ISSN 0132-6023

# ცისკარი

12/92

# ცისკარი

დეკემბერი № 12.

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.

თბილისი
1992

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბადათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
მამუკა სალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი სულაკაური
იორამ ქემერტელიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
ვახტანგ ღლონტი
თემურ შაველაძე
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პმ/გ მდივანი)
გოდერძი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მხატვარი
ვახტანგ რურუა

# შინაარსი

## დავით გურამიშვილის დაბადებიდან 200 წლისთავი

3. ვაჟა-ფშაველა — დავით გურამიშვილის ხსოვნას. ლექსი
4. ელგუჯა მაღრაძე — დავით გურამიშვილი — ქართული ლექსის რეფორმატორი.
9. ზაურ კალანდია — წარსულის ავბედითი გაკვეთილი...

## მილოცვა

10. მურმან ლებანიძე — ლექსები
13. ემზარ კვიტაიშვილი — გულუხვი მასპინძელი. რევაზ მიშველაძე — სიტყვაგზიანი. ზურაბ ლობჟანიძე — დიდი პოეტი

## პროზა და პოეზია

18. რეზო ჭეიშვილი — კუდიანი ვარსკვლავი
64. გუჩა კვარაცხელია — მგზავრო, მავალო!.. ეპიტაფიები. დასასრული
71. იოსებ აფციაური — ლექსები
72. ბადათერ არაბული — ლექსები
77. ჯუმბერ ხანთაძე — მოთხრობები
89. გიორგი ხუხაშვილი — ლექსები
92. თენგიზ ჩალაური — ლექსები
94. გოგი ურგებაშვილი — მხეცები. მოთხრობა
99. ერეკლე სადლიჯანი — ლექსები
102. გოდერძი გოდერძიშვილი — ლექსები

## ახალი თარგმანები

104. ვლადიმირ ნაბოკოვი — ლოლიტა. რომანი. გაგრძელება. თარგმნა თამარ ლომიძემ

## წერილები

122. ლადო ავალიანი — როზენკრანციდან ჰამლეტამდე
132. როსტომ ჩხეიძე — შურისგება. გაგრძელება
149. ნოდარ ხუნდაძე — ლალატი
155. ნუგზარ ტერ-ოგანოვი — იაჰია დოულათაბადი თბილისისა და თბილისელების შესახებ
158. ნაირა ცხვედიანი — ლადო ასათიანი და ნიკო ფიროსმანი

## ვაჟა-ფშაველა

### დავით გურამიშვილის ხსოვნას

*რა ძალიან გული მტკივა,*
*მაყრუოლებს და ტანში მზარავს,*

**დ. გურამიშვილი**

შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!
შენ აჩრდილს ვეამბორები,
ლექსიც რამ დამიჩხაპაო.
ნეტავ, რას მემუდარები,
მე რა გიამბო აბაო,
ნამდვილო მამულიშვილო,
სამშობლოს ეკლის მკაფაო?!
პოეტად ვიხსენიები,
თუმცა ხარი ვარ ლაბაო;
ჩემისთანები ბაგებზე
ასი, ათასი აბაო.
ტან-ფეხ-შიშველი დავდივარ,
ცოლს არ მიცვია კაბაო;
შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემის გრძნობების ფაფაო;
ამგვარი საჭმლის კეთებას
დიდი სდომნია ჯაფაო;
გავუღე ხული და გული,
როდის ხანია ვულაპაო,
გაუთავებო გამოდგა,
არც დამკარგვია მადაო.
ვიცი, არ გამიჯავრდები
და არცა მკითხავ: რადაო?
მას აქეთ ჩონგურს ვაყღერებ,
თანაც ლექსებსა ვჩმახაო.
ჩუმ-ჩუმად კიდეცა ვტირი,
რა დაგიმალო, — მნახაო!
იქნება მადლობელიც ხარ,
იქნება არა მძრახაო?!
მიშველეთ შენ და შოთამა,
მკოხნობა გამიძრახაო,
გული დადნა და დანავლდა,
მიხმება, მშრება ხახაო.
დაჩოქილი ვარ თქვენს წინა,
ვით ერთი ვინმე გლახაო;
მიშველეთ, მომაკლებინეთ,
ლელო, რაც დამისახაო.
მაშინ თქვენს ნათელ სახებს
მეც პირნათლადა ვნახაო.

(1913 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ელგუჯა მაღრაძე

## დავით გურამიშვილი – ქართული ლექსის რეფორმატორი

განსაცვიფრებელია დავით გურამიშვილის პოეტური სიტყვის ძალა, ცხოვრებისეული სიბრძნე და აზრობრივი სიღრმე. იგი ჭეშმარიტად სასწაულებრივი სიდინჯითა და სიმშვიდით წარმოგვისახავს თავისი იავარქმნილი ქვეყნის ტრაგიკულ წარსულსა და აწმყოს.

გურამიშვილთა გვარისა და გუჯაბის დამდები წიწამურის ბატონი გურამ ზედგინიძე ყოფილა. ამ გვარის შვილები შიდა ქართლის ამილახორებად, ანუ მეფეთა მეჯინიბეთუხუცესებად ჩანან. ვახუშტის ცნობით, გურამიშვილები მღვიმელი ზედგინიძეების შთამომავალნი არიან. საქართველოს მეფენი ხშირად იხსენებენ ამ გვარის შტოს წარმომადგენელთ, რომლებიც ქვეყნის პატრონთა ყურადღებას ერთგულებით, თავდადებით და ნამსახურობით იქცევენ.

გურამიშვილის „დავითიანი“ გახლავთ სიბრძნის საუნჯე, უნატიფესი გემოვნებისა და განსწავლულობის ძეგლი. წიგნს მისას არ ეთქმის მარტოოდენ კრებული ლექსთა. ესაა სამშობლო ქვეყნისა და პირადი უბედურების გამო ეტრატზე გადატანილი მწარე სამსალა, სევდიანი კაცის სასოწარკვეთილი დრტვინვა-ღაღადი, უცხოთა კარზე მყოფი პოეტის ავადმოსასმენი ოდისეა, სხვის კიბეზე მავალი კაცის სევდა-ვარამი, ალაგ ელვასავით გამკრთალი იმედნეულის გულწრფელი აღფრთოვანება, გულგატეხილის ყრუ, პირქუში სევდა და ცრემლიანი გოდება.

მისი „დავითიანიდან“ აშკარად ჩანს, რომ პოეტი კარგად იცნობს თეოლოგიის საფუძვლებს, მისი მთელი შემოქმედება გაჟღენთილია ბიბლიიდან და ახალი აღთქმიდან მომდინარე სახეებით, ზოგჯერ კი მისი პოეტური სტროფები მსოფლიოს გამოჩენილი თეოლოგების: ბასილიოს დიდის, გრიგოლ ნაზიანელის, ეფრემ სირიელის, იოანე ოქროპირისა და იოანე დამასკელის გამონათქვამთა ემოციურ ანაბრწყინადაც შეიძლება მოგვეჩვენოს. გურამიშვილი უაღრესად ფართო ცოდნას ამჟღავნებს საქართველოს მატიანის, სიტყვაკაზმული მწერლობის, ფილოსოფიის, პოეტიკის და, ასე განსაჯეთ, საირიგაციო მშენებლობის საქმეშიც კი.

დავით გურამიშვილი სამშობლო ქვეყანას, ქართულ გარემოს სიყმაწვილიდან მოწყდა და თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე უცხო ქვეყნებში, უცხოობაში გაატარა. ალბათ, ამიტომაა სამშობლოს დანატრებული ასე მძაფრად, დიდი სულიერი ტკივილებით რომ განიცდის მოგონებებსა და წარმოსახვებში ყოველივე ქართულს: ქართულ ყოფას, ქართულ სიტყვას.

დავითი მთელი სისავსით ფლობს ქართული ენის მდიდარ ლექსიკას. ივი დიდი სიზუსტით და სიფხიზლით იყენებს ქართული ენის ყველა კილოკავს... შესაშური ოსტატობით ახერხებს სალიტერატურო და სასაუბრო ენის შერწყმას და ეს არის სწორედ დავით გურამიშვილის პოეზიის ჯადოსნური მომხიბვლე-

ლობა, მისი პოეტიკის იდუმალება, რითაც მუდამ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

პოეტურ აზრს, სათქმელს დავითი ისე უშუალოდ განიცდის, ისე უბრალოდ, სადად გამოხატავს, იეჭვებთ, იქნებ მხოლოდ თავის შესაქცევად, ფიქრთგასართველად წერსო. მაგრამ ანაზდად სიტყვას ისე მოიქნევს, პოეტურ ფრაზას, სტრიქონს ისე დაახვევს, დაატრიალებს, დაგრეხს, დაკვანწავს, უმალვე სულში უზენაეს სიამოვნებასთან ერთად გულისმომწყვლელ სევდას გვაწვეთებს და ჭეშმარიტად მაღალი პოეზიის უხილავ მხარეში გვასახლებს. დიახ, სიკვდილამდე პოეზიაზე თავგადაკლული უზომო სევდითა და ირონიით ზომიერად შერწყმული, ულოსავით დაქნილი სტრიქონების ხელრთვაში ჰპოვებდა შვებას. უკრაინის თვალუწვდენელ სტეპებში ჩაკარგულ პოეტს კავკასიონის მიღმა დარჩენილი სამშობლოს უმშვენიერესი ხატება ნიადაგ თან სდევდა და შორეულ მირგოროდში მშობლიური საგურამოს სანახების გახსენებით სულდგმულობდა. შიომღვიმის საგვარეულო „ძვალთშესალაგს“, წინაპართა საფლავებს ეფერებოდა და სამშობლოსათვის უკვდავ ლირიკულ პოემებსა და ლექსებს ჰქმნიდა, ქართულ სიტყვას ელაციცებოდა, შეჰფოფინებდა და სასოებით უვლიდა.

დავით გურამიშვილი თავისი დროის უდიდესი მოაზროვნეა. რუსთაველისა და საბა-სულხანის შემოქმედებით გონებაგაწვრთნილმა თავისი ლირიკული პოემებითა და ლექსებით საოცარი სიმართლით ასახა და დაგვიხატა მაშინდელი საქართველოს აწეწილ-დაწეწილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კულტურული ყოფა და ქართულ ლიტერატურაში ჭეშმარიტად დიდ, რეალისტურ ეროვნულ პოეზიას დაუდო სათავე.

დავით გურამიშვილი პირველი პოეტია, რომელმაც გაბედულად დააღწია თავი აღმოსავლურ მოტივებს და ქართულ პოეტურ სიტყვას სულ სხვა, ახალი ინტონაციური ჟღერადობა მიანიჭა. მისი ლექსების მდიდარი ვერსიფიკაციული ნაირსახეობა დღემდე გვაოცებს.

გაექცა რა ექვსი საუკუნის მანძილზე გაბატონებულ რუსთაველის პოეტურ ფორმას, ქართული პოეზია მრავალნაირი მეტრითა და რიტმით გაამდიდრა. გურამიშვილის პოეზია დაედო საფუძვლად მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ პოეზიას. რუსთაველის შემდეგ გურამიშვილი ქართული ლექსისა და პოეტური აზროვნების უპირველესი რეფორმატორი და ვერსიფიკატორია.

გურამიშვილმა მთელი სიცოცხლე ლოცვასა და გოდებაში გაატარა და ბოლოს მშობელ ხალხს ანდერძად დაუგდო:

**ყველას გაფიცებ ამ საფიცარსა:**
**თუ ღმერთი გრწამდეთ, ამ სამ ფიცარსა**
**ნუ გაიძნელებთ ასაშენებლად,**
**გარს ნურას უზამთ დასაშვენებლად.**

გურამიშვილის მოქალაქეობრივი და ეროვნულ-პატრიოტული მოტივებით მოხიბლულმა ჩვენმა საამაყო მგოსანმა აკაკიმ, რომელიც მთელი სიცოცხლე სამშობლოს სადიდებელ ჰანგებს თხზავდა, მშობელ ხალხს ასეთივე მოწიწებული და თავმდაბლური ანდერძი დაუტოვა:

**ოთხი ფიცარი კუბოსთვის,**
**უბრალო, შეუმკველადა,**
**და ოთხი მუშაც წამღები,**
**რომ გამასვენონ ხელადა**

სულმნათი აკაკის ლირიკული შედევრები ინტონაციურად ხშირად ეხმიანება დავით გურამიშვილის ლირიკულ ქმნილებებს. აკაკის საქვეყნოდ განთქმული „იავ-ნანა“ და „იმერული ნანინა“ უთუოდ გურამიშვილის „სიმღერა

ქართლ-კახეთის ჯვარობის სანაცლოდ სათქმელის“ ინტონაციურ ქარგაზეა შექმნილი:

ჯრმავ, გონება უგუნური აგონიარეო,
თავს ნუ გახდი ულონოდა, ალონიარეო;
იქით-აქეთ მიიხედე, ათვალიარეო,
სცან საწუთრო მუხანათი, სალმობიარეო.

ძ(ჯ)ახ, ინტონაციურად ეს სტრიქონები ეხმიანება დიდი მგოსნის, აკაკის სტრიქონებს:

გაპუტული გლეხის შვილო, შენ პაწაწინაო!
აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?
. . . . . . .
ყური უგდე, დაისწავლე ჩემი ნანინაო,
თვალ-ხილულად დააკვირდი, იცან ქვეყანაო.

ასევე შესამჩნევად ეხმიანება ტონალობითა და ინტონაციურად დავით გურამიშვილის ზოგიერთ ლექსს ილია ჭავჭავაძის ლირიკული შედევრები.

დავით გურამიშვილის ძალუმმა, ღონიერმა, ხან რბილხორციანმა, ხან რვალივით ნაჭედმა სიტყვამ ისევე კეთილად იმოქმედა ილიას პოეტური ენის, მხატვრული სტილის შექმნაზე, როგორც, მეორე მხრივ, აკაკის პოეტური სტილისა და მეტყველების ჩამოყალიბებაში დავითის პოეტური ენის ხალხურობამ, სისადავემ და პოეტური ფრაზის მთლიანობამ, რომ აღარაფერი ვთქვათ ვაჟა-ფშაველაზე.

ვაჟა-ფშაველამ დავით გურამიშვილი თვითონ აღიარა თავის დიდ წინაპრად და მართლაც, გურამიშვილის შინაგანი სულიერი მრწამსი, იდუმალი პოეტური ხილვები სრულიადაც არაა უცხო ვაჟასათვის.

აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი მოქალაქეობრივ-პატრიოტული მოტივები, რაც მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის ქვაკუთხედია, დავით გურამიშვილის პოეზიიდან მომდინარეობს. ქვრივ-ობლების, ღარიბ-ღატაკთა გამოსარჩლება, ხალხში სიმართლისა და პატიოსნების ქადაგება, ცბიერი სასულიერო პირების თვალთმაქცობის სააშკარაოზე გამოტანა დავით გურამიშვილის პატრიოტული პოეზიის ერთ-ერთი სურნელოვანი დაფნის შტოა, რომელზეც შესაშური ოსტატობითაა ასხმული მისი ლირიკული შედევრები:

მღვრდელო, რაც ღმერთმან მადლი მოგმადლა,
არც აგიწონა, არც განგიადლა;
დაუფასებელს არ დასდვა ფასი
არცა ერთი და არცა ათასი.
. . . . . . .
ცოცხალი რომე პატარად ვღირდი,
მკვდარს რად მედების მე ფასი დიდი?
მღვრდელო, შენს მადლსა, ძვირად ნუ მყიდი, —
რაც მოგითვალონ, მას მიითვლიდი!

ამგვარი მწვავე სიმართლით შეზავებული ადგილები უხვადაა დავით გურამიშვილის პოეზიაში, სადაც პოეტი დაუნდობლად ამათრახებს არა მარტო სამღვდელოთ, არამედ ყველა ჯურის მომხვეჭელთა და მძარცველთ, ვინც კი საქვეყნო საქმეზე მაღლა პირადულს აყენებდა და მშობელ ხალხს არას შეეწეოდა.

დავით გურამიშვილის პოხიერი პოეტური სიტყვა დღემდე არ მოძველებულა. ქართულ პოეზიაში იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი სალექსო საზომი, რომელიც გურამიშვილს არ გამოეყენებინოს.

ამ მხრივ გურამიშვილს მეოცე საუკუნის დიდი პოეტებიც ვერ გაექცნენ.

დავით გურამიშვილი:

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი.
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი.

გალაკტიონ ტაბიძე:

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შელამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს.

დავით გურამიშვილი:

თაყვანსა გცემ, გეაჯები, ვითხოვ შემიწყნარო,
მიმკვდარებულს მამაშველო უკვდავების წყარო;
მასვა, მკვდარი განმაცოცხლო, შენს მეს შემამყარო,
ვით წესია საყვარლისა, ტრფიალს შემაყვარო...

გალაკტიონ ტაბიძე:

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს ვინა ხარო...

დავით გურამიშვილი:

მე გაჭმევდი, მე გასმევდი, მე გაცმევდი ტანთ,
შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა სხვისგან მონატანთ.

მე ესე მკლავს, მით ლახვარი გულს გამიყარე,
ჩემგან თვალად უვარესი შენ შეიყვარე.

კონსტანტინე გამსახურდია:

ცისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და მისთხოვდები სხვას,
გადავლახავ აზვირთებულ რიონსა და მტკვარს
და მოგიკლავ მოღალატევ მაგ ნაფერებ ქმარს.

ნოე ჩხიკვაძე:

ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე?
აცრემლებულ თვალთ ვაცეცებ, მოდი, ხმა გამე!
ირგვლივ ცივა... სისხლიანი ღამეა, ღამე,
გული მტკივა, სანუგეშო მითხარი რამე!

ასე რომ, ჩვენს თანამედროვე პოეზიას ძველი პოეტებიდან ისე ორგანულად არავინ ეხმიანება, როგორც დავით გურამიშვილი, მისი სიტყვიერი ფაქტურა, პოეტური აქსესუარები, ლექსის რიტმული რხევა, ტონალობა, ინტონაცია თანამედროვე ნიჭიერებით აღბეჭდილი პოეტების შემოქმედებაშიც ჟონავს. ეს რომ ასეა, ერთ მაგალითს კიდევ მოვიტან:

**დავით გურამიშვილი:**

**ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს ნურითა,**
**მეორემ: თევზით გავძღები ზურგიელ გელაქნურითა,**
**მესამემ: მივიბრუჟები ღვინითა ატენურითა,**
**მეოთხემ: კიდეც დაგვთოკვენ საბლითა მაზმანურითა!**

**მუხრან მაჭავარიანი:**

**რა გამოსცილდნენ მცხეთას —**
**თქვა დიდვაჭარმა ერთმა:**
**— იცოცხლე,**
**ლდინზე ვიბანო**
**ჭრელ აბანოში ნურითო.**
**მეორემ:**
**გაგიხარია!**
**გამოვთვრე ატენურითო!**
**მესამემ:**
**— ოქროდ გავყიდი —**
**ნაყიდსა ასპანურითო!**

ასეთი კეთილი გავლენა მოახდინა დავით გურამიშვილის დიდმა პოეზიამ ქართული პოეტური კულტურისა და აზროვნების განვითარებაზე. მისი პოეტური მეტყველება, მისი გენიალური ლირიკული და ეპიკური ქმნილებები დაედო საფუძვლად მეცხრამეტე საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას.

დავით გურამიშვილის პოეზია და პოეტური ენა ახლაც ცხოველმყოფლობით მოქმედებს და დიდად უწყობს ხელს ქართული პოეტური კულტურის განვითარებას. განუმეორებელია დავით გურამიშვილი თავისი ბედით და პირადი ცხოვრებით; ჭეშმარიტად, ასევე განუმეორებელია დავით გურამიშვილის პოეტური შემოქმედება.

## ზაურ კალანდია

### წარსულის ავბედითი გაკვეთილი...

**ხშირად** გაიგონებთ: დღეს საზეიმო განწყობილება არაა საქართველოშიო! ეს, რა თქმა უნდა, ასეცაა! ქართველობა იუბილეებისთვის ვერ იცლის! ქართველი ერი ბრძოლის ველზეა! ის იბრძვის, თავს იცავს; ხან იმედიანადაა, ხან — უფრო უარესის მოლოდინში!

არადა, სწორედ დღეს გვჭირდება ისეთი წინაპრის გახსენება, როგორიც დიდი დავით გურამიშვილი გახლავთ.

დიახ, ამ უმძიმეს ჟამს, დიდს თუ პატარას, ბრძოლის ველზე მყოფს თუ შინ, ტელევიზორის ეკრანს მიჩერებულს, უგუნურს თუ გონიერს, „მრუდი გზით" მავალს თუ შარაგზის ყაჩაღს უნდა შევახსენოთ ქართველთა ტრაგიკული ხვედრი:

**თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,**
**ჩერქეზ, ლლიღვი, დიდო, ქისტი,**
**სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,**
**ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!**
**მერმე შინათ აიშალნენ,**
**ძმამ მოუღვა ძმასა ყისტი;**
**თავის თავსა ხმალი იცეს,**
**გულთა მოიხვედრეს ხიშტი!**

წიგნი „დავითიანი" არის ჩვენი ტანჯული ქვეყნის მხატვრული მატიანე; „ქართლის ჭირი" ჩვენი ქვეყნის ისტორიის შემზარავი ფურცელია. მაგრამ ერთია, ეს თითქმის დაბადებიდანვე რომ ვიცით და მეორე — ყურად ვღებულობთ თუ არა გურამიშვილის სიტყვა-გოდებას, გვესმის თუ არა მისი გაკვეთილების, იმ ავბედითი წარსულის გაკვეთილებისა, რომელსაც დაუნდობლად გვიმხელს ხალხის „წყლულების მოზარე" პოეტი. უფრო სწორად, ამხელს ყველას: შინაურია ის თუ გარეული, ჩინოსანია თუ უჩინო... იმისდა მიხედვით, ვის რა ტრაგიკული როლი აქვს „მინდვრის უკუღმართად გადახვნასა" და ერის მთლიანობის გახლეჩაში..

დავით გურამიშვილი დიდი რუსთაველის მემკვიდრეცაა და ახალი პოეტური მეტრის, რიტმის, მეტყველების გამკვალავიც მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში.

დავითი, როგორც დიდებული ვაჟა ამბობს, მისი წინამორბედი და უძვირფასესი პაპაა. მეტიც, მე-19 საუკუნის ერის სულიერ მამათა მოძღვარია და ჩვენც, დიდიან-პატარიანად, უფრო მეტად ვართ მოვალენი, ყურად ვიღოთ ბრძენი წინაპრის ხმა და თხოვნა.

მადლიერი შთამომავლობა ერის რჩეულს იუბილეს უხდის.

დავით გურამიშვილი რჩეულთა რჩეულია!

და მაინც: ჩვენს დღევანდელ ყოფას, თუ ზედმეტ სითამამეში ნრ ჩამომერთმევა, მისი ხელახლა წაკითხვა მოუხდებოდა. ეს ჩვენს ტანჯულ ქვეყანასაც არგებდა და, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენს ცოდვილ სულებსაც!..

დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუსრულდა გამოჩენილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ მურმან ლებანიძეს. ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია, სარედაქციო კოლეგია და მისი მრავალათასიანი მკითხველი ულოცავს პოეტს საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდ ძალისხმევას ახალ-ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად.



# მურმან ლებანიძე

ძველი მთიბავი ძველ სათიბს თიბავს,
შვენის ჩხრიალი გაწვრთნილი ცელის,
მაგრამ უკეთეს თივების დიბას
ძველი მთიბავი ახლისგან ელის!

ძველი მხატვარი ძველ ხატებს ხატავს,
მაგრამ ძმასავით გუმანი შველის
და ფერებს, ბევრად ცხადსა და მართალს
ძველი მხატვარი ახლისგან ელის!

მთიბავი თიბავს, მთოხნელი თოხნის,
მხატვარი ხატავს, პოეტი მღერის,
ძველი მხედარი ძველ გზაზე მოჰქრის
და ახალ მხედარს ქვეყანა ელის...

კურთხეულ იყოს ბრძოლა, შენება!
აყირავებას დრომოჭმულ ძველის
და უკეთესი დღის გათენებას
ეს ძველი ჩანგიც ახლისგან ელის!

1969 წ.

---

მე მოვყვებოდი
ჩემს ღამეულ გორმახებს ცხენით,
უცბად... ტირილი შემომესმა
წყალგალმა მგლების:
იწყებდა ერთი,
ბანს აძლევდნენ თვისტომნი
ღრენით,
და საკვირველი
გულზე მეცა თანხმობა ხმების...

და ვთქვი: — ოჰ, მურმან!
შენ შენს ხრიოკს მოჰყვები კენტად,
შენ მარტო შესვამ
საწამლავებს და ყველა შხამებს,
როცა მგლებიც კი,
შე საბრალო, მგლებიც კი ერთად,
მგლებიც კი
ერთად შეჰყმუიან ამ ზამთრის
ღამეს!

1969 წ.

●

ამ ფაციფუცის,
ამ ფუსფუსის, ამ ბრძოლის
მკაცრის,
ამ თვალთა კაწვრის,
ხორცის გლეჯის მანიშნე წყარო;
ამაოების
ამ ჭრელჭრული ყაყანა ბაზრის
მითხარი რამე,
ნატამალი მანიშნე აზრის —
შენ მაინც მენდე,
შენ, შენ მაინც, დიდგორის ქარო!

არსით პასუხი!
ყრუ ბუზღუნი დიდგორის ქარის!
არც მართალს იტყვის,
არც იკადრებს ვაგლახად ტყუილს!
ძეძვებში ჰყმუის,
ეფინება ფუჩეჩით არეს,
ეჯაჯგურება
გამწარებით სამშობლოს მხარეს —
გრიალებს ქარი
ათასწლების ვაის და ვუის.

1970 წ.

●

არც რაინდობა,
არც უბრალოდ ეთიკა ომის —
გაზრწნა, დაცემა,
დამცირება ადამის ტომის!..
დამესიზმრება:
სისხლის წებო ჩექმაში ჩამდის
და, როგორც კურდღელს,
მესერშმიტი მინდორში დამდევს.
ვდგები, ვეცემი —
ვერ წაუველ მოტორის ხროტინს,
სისინებს ტყვია,
ჩემს გარშემო ბალახებს კორტნის.

მინის ლუკიდან
შემამოწმებს პილოტის თვალი,
ძირს, ცხენის ლეშთან,
ხომ ნამდვილად ვაგდივარ მკვდარი.

რა დარწმუნდება,
შებრუნდება, ყიჟინას დასცემს
და სხვა მინდვრებში
სანადიროდ ხარხარით გასწევს.

გამეღვიძება,
შუქს არ ვანთებ... დე, ღამე იყოს —
ღამის უკუნი
მზამზარეულს მკარნახობს სტრიქონს:
არც რაინდობა,
არც უბრალოდ ეთიკა ომის —
გაზრწნა, დაცემა,
დამცირება ადამის ტომის!

1971 წ.

## ანდერძი

ფანჯარაში — ქედია,
ვსტყუი! — ქედზე მეტია —
საქართველოს ხედია!..

რაც მე მიკეთებია
მისთვის ზღვაში წვეთია,
მე მივდივარ, შენ რჩები —
შენი მოიმედეა!

1972 წ.

●

მეწადა, ქართველს მეელო ქართველად,
ის, რაც მწამდა და მკლავდა — მეხატა...
ვგონებდი, მშობლის ასე ადვილად
სესხი და ვალი გადამეხადა...

მივალ! მივდივარ! ვდონდები შენით!
ხვალ-ზეგ მომსვლელი, ალბათ,
მიხვდება:
მხოლოდ სიკვდილით! — ცხოვრებით
გრძელით
სესხი და ვალი არ გადიხდება...

შენ ჩემი წიგნი სახსოვრად გქონდეს, —
მე მზის ქართულის მითქვამს
სიცხოვლე, —
ასიათასჯერ მე გიხდი ბოდიშს —
მაპატიე, რომ დიდხანს ვიცხოვრე!

მივალ! მივდივარ! ვდონდები შენით
და ყელგალადრულს აქ მრჩება თვალი...
გადაუხდელი ცხოვრებით გრძელით
მიმყვება შენი სესხი და ვალი!

1981 წ.

## გულუხვი მასპინძელი

მურმან ლებანიძესთან, როგორც უფროს მეგობართან სიახლოვე და ურთიერთობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მუდამ მაოცებდა მისი მოუღლელობა, ენერგია და უზომო სიკეთე. იშვიათად მინახავს მასავით თავგადაკლული, გულუხვი მასპინძელი. ბევრჯერ ვყოფილვარ მასთან ერთად ხან ექსკურსიაზე, ხან რომელიმე ლიტერატურულ სალამოზე მიწვეული და, როცა გზად ავტობუსი გაჩერდებოდა (გზისპირას, სეზონისდა მიხედვით, ყოველთვის ყიდიან ხილს ან რაიმე თავშესაქცევს), ძირს სხარტად ჩამომხტარი მურმანი წინ გადაგვიდგებოდა: მე გპატიჟებთ სუყველას, ხელი არავინ გაატოკოთ, სასტიკად მაწყენინებთ, იცოდეთო...

ასეთივე უშურველი და უხვად გამცემია იგი პოეზიაშიც. მართლაც განებივრებული ჰყავს მკითხველი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გავუხარებივართ და სათქმელი — ხან ალერსიანი, ხანაც პირქუში — გულში მოსახვედრი ლექსი, ღვთის მადლით, არ ელევა. შეიძლება იფიქრო კიდეც, ამ კაცს, შემოქმედებითი კრიზისი რომ ჰქვია, ისეთი რამ არასოდეს დასდგომიაო.

ყველა ჭეშმარიტი პოეტის დარად, მურმან ლებანიძემ პირველი გამოჩენისთანავე მოიტანა საკუთარი სამყარო, ყველასაგან გამორჩეული ხმა და ხედვა, ოღონდ, თუ არ ვცდები, ოცდათხუთმეტი წლის ვაჟკაცი იყო, რამდენადმე სრულად რომ გამოავლინა თავისი პოეტური ძალა და შესაძლებლობები (მაშინ დაწერა ლექსების ბრწყინვალე ციკლი „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა"); ამდენივე ხანი გავიდა მას მერე, მთელი ეპოქა, პოეტი სამოცდაათი წლისა გახდა და მის სტრიქონს ბზარი არ გასჩენია, დღემდე შემორჩა სინედლე და ბავშვური გულუბრყვილობა, რის გარეშეც დიდი და ნამდვილი პოეზია ვერ იარსებებს. ამადაც უწოდა დედაზე დაწერილ უმშვენიერეს ლექსში თავის თავს „ბებერი ბავშვი". აქ ჩვენს თვალწინაა „თავსაფრიანი დედაკაცის" ძირსეული შთამომავალი. მუდამ მადლიერებით მოვიგონებთ სათნო, ღვთისმოსავ მანდილოსანს; ხმას ვერ გაიგონებდი სამზარეულოში მოფუსფუსე ამ შაოსანი, გაცრეცილი ქალისას და ამ დროს რამდენს ამბობდა მისი ნაღვლელითა და რიდით სავსე თვალები. ხსენებულ ლექსში „გაფოთლილ ქარში" აძრული მატარებელი და „დაწყევლილი სადგური" გარდუვალი სიკვდილის სიმბოლოებია, მისი ჭაღარა შვილი კი კვლავ ცოდვილ მიწაზე უნდა დარჩეს და ცხოვრების მძიმე ჭაპანი ზიდოს.

ვიცი, პოეტის ფიქრი კვლავინდებურად ძვირფასი მამის განსასვენებელ ადგილს დასტრიალებს. ახლაც ყურში მიდგას დიდ ხნის წინათ აგუგუნებული წვიმის ხმაური, მან რომ საოცარი ძალით გააცოცხლა („წვიმს და ჩხრიალებს ჩქერები ურჩი, აწვიმს საფლავებს კუკიის ბაღში..."); ისევ ჩამესმის „ტაშტში კენჭივით" ჩავარდნილი წვეთის ხმა და წარმომიდგება მყუდრო სენაკის წვიმაგამოვლილი, დასველებული ჭერი... ვხედავ სარკმელთან მიმდგარ გამხდარ ბიჭს, მეოცნებე, გაოცებული თვალები ღამის უკუნეთისთვის რომ მიუპყრია.

ცხოვრობს ამქვეყნად პოეტი და გულგახსნილი ეგებება მზეს, წვიმას, ქარს, თოვლს... წელიწადის ოთხივე დროს თავის ფერებსა და ხმებს ურჩევს, სხვადასხვა ჰანგზე ამბობს ბუნების სამადლობელსა თუ საგალობელს. ნესტისგან

დაორთქლილ ფანჯარაში ერთი გახედვა კმარა, რომ ჩუმი ნაღველი მოეძალოს, დალონებულმა ამოთქვას:

**დგება წვრილი წვიმების**
**და მოწყენის სეზონი....**

მაინც ვერ სწყვეტს მზერას მიწიერ სილამაზეს, ვერაფრით შეჰგუებია, ენანება მასთან განშორება, თავბრუდამხვევ სისწრაფეში მოლანდებად ეჩვენება ყოველი. ეს განცდაა აღბეჭდილი მიმრავ, მღელვარე სტრიქონებში:

**ჩამიფრინეს შხივილით**
**წუთისოფლის ბალებმა...**

ჩვენი მურმანი ვალში არ დარჩენია არავის — არც მშობლებს, არც ცოლშვილს, არც მეგობარ-ნათესავებს, არც რატი ლებანიძეს, მის პირველ შვილიშვილს. ერთადერთი, ალბათ, სამშობლოა, ვისი ვალის გასტუმრებასაც მთელი სიცოცხლე უნდა მოანდომოს. მჯერა, მის გარდა მამულს სხვა ასე ვერ ეტყოდა:

**საქართველო, კოხტა ბიჭო,**
**მე ვარ შენი წიქარა...**

სხვა შემთხვევაში საყვარელი პოეტის, ტიციან ტაბიძის მსგავსად, თავის თავს ერთგულ ძაღლს ადარებს, ღამეს ყეფაში რომ ტეხს და სამშობლოს მტრებს უგერიებს:

**მთელ ღამეს ჰყეფს, მთელ ღამეს ჰყეფს,**
**ყურშას წესია, აამოს პატრონს...**
**პოეტი უღრენს სამშობლოს მთებს —**
**პოეტი ათას გარეწარს აფრთხობს.**

ცოტა ვინმეს თუ დაუწერია იმდენი კარგი და გულწრფელი ლექსი ახალგაზრდობაზე, რამდენიც მურმანმა დაწერა. ზოგჯერ ტელევიზორის ეკრანიდან ჰაეროვანი, უმშვენიერესი სიმღერა შემომესმება და მაშინვე სიჭაბუკეში გადამისვრის, სტუდენტობის განუმეორებელ დროს მიცოცხლებს:

**მელიქიშვილის გამზირი,**
**ია, ვარდი და ბზა...**
**უშენოდ ველარ გავძელი,**
**ჩემი ბალღობის გზავ.**

მე ვლოცავ ამ სტრიქონების ავტორს, რადგან მათი მოსმენისას ჩვენი უღიმღამო ცხოვრების ყველაზე სხივიანი ხანა გვახსენდება, წამით გაითელვებს წლები, რომელთაც ვერაფრით ვერ დაიბრუნებ.

ამ კაცისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება — როგორ უნდა გარდაცვლილ ახლობლებს დატირება, გაპატიოსნება და მოვლა-პატრონობა, როგორ უნდა დახვდე მტერსა და მოყვარეს. როგორი ჭირისუფლობა იცის, თუნდაც გალაკტიონ ტაბიძისა და ლადო ასათიანის მემკვიდრეობის უსაზღვრო სიყვარულითაც ცხადყო მურმან ლებანიძემ.

მახსოვს, მისი გასაოცარი ლექსი „ლადო" ერთხელ ზეპირად მითხრა აღფრთოვანებულმა რეზო ინანიშვილმა, თვითონ სულით პოეტმა, რომელმაც „სალაღობოს" ავტორზე ბრწყინვალე მოთხრობა („ლხინი კახელებთან") დაწერა. მურმანმა თავისი „უფროსი ძმის" დაუვიწყარი ხატი შექმნა, სიმინდის ატევრებულ ყანაში თოხმომარჯვებულ ლადოს ფართო სვრელი გააქვს, მერე ვეება, დასიცხულ ფეხებზე ნამიან, ამობრუნებულ ბელტებს იყრის, შვება რომ იგრძნოს. ამ ლექსს რომ ამბობდა, რეზო ინანიშვილს მღელვარებისგან ხმა უთრთოდა, ნიკაპი ოდნავ უცახცახებდა:

**ვაი, შე დიდფეხა, შენ!**
**ვაი, შე დიდგულა ლადო!**

რა მიწა გაგაგრილებს შენ,
მაგ შენი ფეხების პატრონს!

ბარდნალას მიედენი თხებს
და ლადოს სიმაღლეს ვნატრობ...
ჭალიდან თავის სიგრძე ხეჲს
მიქნევს და მიცინის ლადო.

ამაღამ ულამაზესი დღესასწაული, შობა უნდა დადგეს ნერვებდაწყვეტილ, გაწამებულ, სისხლისგან დაწრეტილ საქართველოში. ლამაზად ბარდნის; სახურავები, ხეები გადათეთრებულია. მე სამოცდაათი წლის მხნე, გაუტეხელ მურმან ლებანიძეზე ვფიქრობ და მისი ერთსტროფიანი ლექსი „ზამთარი" მახსენდება:

თეთრია ირგვლივ რცხილა და მუხა,
თეთრია ირგვლივ სამშობლო მხარე,
მხოლოდდა ცხელი ბუხრები ბურღავს
საქართველოს ცის გაყინულ ჰაერს.

ღმერთმა ქნას, ცხელი ბუხრებიდან ამოდენილი კვამლის გარდა არაფერს გაბურღოს ჩვენი მამულის მრავალჭირნახული ცა, — ვიცი, ახლა ამას ნატრობს ჩემი საყვარელი უფროსი ძმა და პოეტი.

ჟემარ კვიტაიშვილი
24.12.92.

## სიტყვაგზიანი

**ჩაიფრინ-ჩაიქროლა**, ჩაიხრიგინა, ჩაიგრიალა შენმა სამოცდაათმა, საყვარელო მურმან.

შენ თვითონ გაიტანე ლელო — პოეზიაში ცალუღელამ, მარტომსრბოლმა, ეულმოლაშქრემ.

რა იყო შენი ცხოვრება? თავგანწირული კვეთება, ხმალშემართული ომი წითელ ურჩხულთან, განთიადამდე ჭიდილი სიტყვასთან, დილით მთავლიტთან მკლავჭიდი და შუადღისას სტამბის მტვერში დგომა, ლამაზად რომ მიგერთმია მკითხველისთვის შენი ჯავარიანი სიტყვა.

მერე, საღამოისხანს გულამოსკვნით დაჩივლება — არაფერი ჩემი ხელით მანდ არ კეთდებაო და სულის მოსათქმელად ხან ხუდადოვის ტყეში „ზამთრის ძილი", ხან რაჭის „გატყვევებულ სოფელში" მოლაპარაკე ბუხართან ჯდომა, ფანდურის ჩხაკუნი და ჭრილობების მოშუშება.

შენ იმ თითო-ოროლა სიტყვაგზიანთა მეწინავე ფრთას ამშვენებ, რუსმა თავის კაცად რომ ვერ გაზარდა. ბევრი გდია, მაგრამ ვერ დაგეწია შავბედი განიერი, ღონიერი ნაბიჯებით მოსიარულე არწივისცხვირა ფალავანს — საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის სინდისს, ლექსის ჭეშმარიტ ოსტატს.

„რა ჰქვიან, პატარა წიგნუკა გამოვეცი. ორიოდე, რა ჰქვიან, გროში გამიჩნდა და თითო ჭიქით გზა დავულოცოთ. რაღაც-რაღაცები გავაპარე. ჩვენი კაცები დავპატიჟე. ისა, ისა, ისა და ისა, ხომ არავინ გამომრჩა?"

„ისა?" — შეგეკითხები ხოლმე.

„აღარ მიყვარს. რაც იქ გამოვიდა და ისა თქვა. რა ვქნა, აღარ მიყვარს და, იმასთან ჯდომა, რა ჰქვიან, აღარ გამეხარდება".

ასეთი ხარ შენ; ყურადღებიანი და მომფერებელი, თანაც მკაცრი და უკომპრომისო.

შენ არავინ არა გგავს. შენეულია ყველაფერი — ეგ ბუზუნა ხმაც, ხელგაშლით შეგებება-გადახვევაც, უსიამოვნო კამათის დროს უეცრად დოინჯის გაკეთება და ხანდახან კალმახივით გასხლტომაც.

საქართველოს დამოუკიდებლობას მთვარე რომ დაადგა, როგორ გავიხარეთ. ურდოში წავედით და ერთად ვყეფდით ურუსთა წინაშე; საქართველოს ავი თვალით ნუ უცქერით, ბოლოს და ბოლოს ჩვენი სამშობლო ღირსია იმისა, რომ თავისუფალი იყოსო. მერე, ეროვნულმა მთავრობამ განზე რომ გაუხვია და, ნაქებარი ძაღლივით, ნიაზური წაბილწა, მოვიწყინეთ და იმედის ხავსს ჩავებღაუჭეთ.

ბოლოს და ბოლოს, რა გინდა შენ, სიტყვით ერის მსახურს — მურმან ლებანიძეს; ერთიანი, მთლიანი საქართველო, გამრავლებული და აღორძინებული საქართველო — სხვა არაფერი. ამიტომაც ერთგულ დარაჯად დადგომიხარ შენს შამულს, თოფით ხელში უვლი შენი ქვეყნის წყალ-ჭალას, რათა საქართველოსკენ თვალგაშტერებულ მეკობრეთ შეუძახო და საქართველოს ცაზე მორიალე ყვავ-ყორნებს აუქშიო.

შენ ყველა სასიკეთოდ მოსულ მთავრობას უთანაგრძნობ და არც ერთ მთავრობას ნავში არ ჩაჯდომიხარ. კარგად იცი, ყველა ხელისუფლება, თავისი ცოდვა-მადლით, წარმავალია — საქართველოა მუდმივი.

შენ ის ფილტვჩაკირული და გაუტეხელი „მურმანიკა" ხარ, ყალბად გულის გაკეთება რომ არ სჭირდება. მე რომ არ გითხრა, მშვენივრად ხედები, რომ სამოცდაათის მერე, წუთისოფლის ერთი გრძელი პაუზა და, უჯრების მილაგმოლაგების დროც მალე დგება.

ნუთუ (ასი წლის მერე) წასულნი საფლავში წავიღებთ ჩვენს მოურჩენელ ტკივილს და სევდას — „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო!"

ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალე თვალით გადმოგვხედავს, ზეცას მიჰგვრიან შენს ლოცვას და შენს ცრემლურვიან ლექსებს „წითელფეხება ტრედები".

**რევაზ მიშველაძე**

## დიდი პოეტი

„...**შენდობას** ვითხოვ, შენდობას ვითხოვ — დაბერებული მოგივალთ კაცებს"... ამ სიტყვებში არა მარტო დიდი სიყვარული და პატივისცემაა გამოხატული ლექსის ადრესატების მიმართ, არამედ რაღაცნაირი უხერხულობის გრძნობაც იმისადმი, რასაც სიბერე ჰქვია... რადგან პოეტმა კარგად იცის, რომ შემოქმედის გული (გრძნობა) არასოდეს ბერდება...

„ — ორად ორი ნაბიჯია სიკვდილამდე დაღალვიდან... ღმერთო, დაძინება მინდა, გაღვიძება აღარ მინდა!" ხშირად, როცა სიკვდილზე მიფიქრია, თქვენი დიდებული ლექსის ეს სტრიქონები გამხსენებია... ლექსის დაწერის თარიღს მნიშვნელობა არა აქვს, მასში შემოქმედისა და ცხოვრების, მტრობა-სიყვარულის, წუთისოფლისაგან გატანჯული, მისი ყოველი წვრილმანის მცოდნე, თავის თავში გათავისებული გრძელი თუ მოკლე წამებითა და წუთებით დაღლილი ადამიანის [illegible] ვრაა (რასაც ხალხი მშვიდ სიკვდილს ეძახის) გაცხადებული...

[illegible library stamp]

„არ წააგო, არ წააგო ეს წალკოტი! — დამიხსომე, ასი წლის წინ გეძახოდი, დამიხსომე, განჯღრევდი და გაღვიძებდი!“ ყოველი ჭეშმარიტი პოეტი წინასწარმეტყველი უნდა იყოს, რასაც ბატონ მურმანის შემოქმედება ადასტურებს... აქ მოტანილი ლექსის ფრაგმენტი მისი დიდი გულისა და ნათელი სულის გამაფრთხილებელი ამოძახილია გზააბნეული და შინაგანი ძალისაგან დაცლილი დედა-სამშობლოს მიმართ, რომელიც, თითქოს გარეშე მტრები არ გვყოფნიდეს, ჩვენივე უგერგილობისა და სიბეცის წყალობით, დაღუპვის პირამდე მიგვყავს...

„მართლა ღმერთი კი არა ხარ — მაინც, მაინც კაცი ხარ!“ — ამ სტრიქონებს ყველა ვერ დაწერდა... არის თქვენში ადამიანისა და მოყვასის სიყვარულის ღვთიური გრძნობა, ბატონო მურმან. ხოლო იმას რაც შეეხება — მართლა ღმერთი კი არა ხარო — აბა, ის შემოქმედი რა შემოქმედია, ვისაც ერთი წამით მაინც თავი ღმერთი არ ჰგონებია...

მე არ ვიცი, ბატონო მურმან, საერთოდ, არის თუ არა მისალოცი სამოცდაათი წელი, რადგან ცხოვრების უმეტესი ნაწილი უკვე გავლილია, მაგრამ თქვენთვის, როგორც შემოქმედისა და პიროვნებისათვის, იგი დიახაც მისალოცია იმიტომ, რომ თქვენ დიდი პოეტი ხართ და, თუ არაფერს დახარჯავდით, ისე სამშობლოს ვერაფერ ღირსეულს ვერ შესძენდით; თქვენი წიგნები არის ღრმა და „სახრჩობელის ძელივით სწორი!.“ საქართველოში (ღმერთმა ნუ ქნას — მარტო თქვენ ერთი იყოთ პოეტი) არიან კარგი პოეტები, მაგრამ თქვენ დღევანდელი (და, ალბათ, ხვალინდელი) ქართული ლიტერატურის ის ერთი ნიშანსვეტი ხართ, ვისაც ქართველმა ერმა ყური უნდა დაუგდოს...

თქვენს ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში ამბობთ: „...რომ არ მახსოვს, კარგიც კია — შებერება დამიწყია, ყველაფერი დამვიწყნია სიბერისა გამო“... ცოტა ადრე ხომ არ არის, ბატონო მურმან? „ოჰ, გზას სოფლისას რა გალევდა, ანუ რა გალევს აწ გზას გასავლელს, რომ არ იყოს სიცილი ქალის!“

„აღარც — დევის ქალი ცოლად! აღარც — სკიპტრა ზღვიდან ზღვამდის! ხელმწიფება კი არა და, აღარც — რუსთველობა მწადის!“ — დღეს თუ ვინმეს ეკუთვნის რუსთველის სახელის ხსენება, ერთ-ერთი პირველი თქვენ ხართ, ბატონო მურმან!

— ბატონო მურმან, „თქვენ პირველი ხართ, დაგვისახელეთ მეორე პოეტი“...

იცოცხლეთ დიდხანს — „კაცი — კლდედ დამდგარი სჯულზე! სული — ანთებული, წრფელი! გული მართალი და გულზე მართლად დადებული ხელით:“

თქვენთვის ცნობილია თქვენი შემოქმედებისა და თქვენდამი ჩემი სიყვარული და მოკრძალება, ამიტომ თქვენივე სიტყვებით გეტყვით:

„რას არ მოესწრება ცოცხალი კაცი, შენს სადიდებლად სიტყვა გვეძლევა“...

ზურაბ ლობჟანიძე



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



რეზო ჭეიშვილი

# კუდიანი ვარსკვლავი

„მე თუ მოვკვდე, ჩემი კერძი სოფელიცა გარდიფხვრების".

რუსთაველი

ვარსკვლავები ციმციმებენ გადაწმენდილ ცაზე. სიბნელით გამოთოფილ სახლებსა და სახლებშუაც კრთის შუქი. ქოხში არ სძინავთ. დასალიერში ფეთქავენ სინათლეები; ცისა და მიწის ნათელი ერთმთლიანდება ცისკიდურში. წითლად ფართოვდება სამყარო. მიჰქრიან და უსასრულობიდან უკან დაბრუნების იმედით შორდებიან ერთმანეთს გალაქტიკები. ტრიალებენ ავერცხლილი ტრამალები. მატარებელი მატარებელს ჩაუქროლებს; ფანჯრებიდან ფანჯრებში არეკლილი ფანჯრები გამოჩნდებიან. მარტოსული მგზავრი დგას ერთგან, ორგან... ჩარჩოებში ასვეტილი, მოწყენილი სილუეტები ეფეთებიან და შორდებიან ერთმანეთს ჭახაჭუხით. მგზავრი მგზავრის გაფართოებულ თვალებში ხედავს თავისსავე თვალებს და მინებზე ასხლეტილი ვარსკვლავები გადიან თვალებიდან.

გამრუდებულ სივრცეში ჩვენკენ მოჰქრიან კომეტები, ასტეროიდები, არათანაბარი ინტერვალებით, აბნეული ორბიტებით, ციალით, ნათებით, ცეცხლის ფრქვევით. ძიგძიგებენ მზის შვილები, დედამიწა ბორგავს, შლეგდებიან ადამიანები მზის ტყუპისცალის მოლოდინში. ნემესიდა კი ჯერ არ უხილავს ადამიანს, ურომლისოდაც არ არსებობს არსებული: მოპარპალე მნათობები: მზე, მთვარე, იოს ნემესიდა. სივრცე და დრო გამრუდებულია. მოძრაობა გაშლაშია. გაფართოვდება და შეიკუმშება კვლავ, დაუბრუნდება საწყისს და კვლავ გაიშლება; გაცივდება, გათბება და ისევ ალორძინდება. იყო და იქნება, დრო აითვალა შექმნიდან და იყო შექმნამდე. არ ვიყავით, არ ვიქნებით მოწყენილი დროის ერთ-ერთ მზერაში. უკაცრიელი გაკაცრიელდა, კვლავ გაუკაცრიელდება. დარჩებიან გალაქტიკები, მზეები, მერე-

და ვისთვის გაანათებს მზე, ვინლა იხილავს მის ბრწყინვალებას; ნემესიდას, რომელიც ჯერ არ დაგვინახავს?

„...ქ. კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ეს იქმნა დასაბამითგან წელთა ႵႫႭႧ, ქორონიკონსა ႱႼႫ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიკტიონსა ლႧ აპრილსა თუესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა ალმოვლიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდ მჩკიდებით მასვეა. ეს იქმნა ბზობითგან აღვსებადმდე".

შენ იყავ კუდიანი ვარსკვლავი, ჰალეა რომ გიწოდეს დასამცირებლად. ხან ერთხელ, ხან ორჯელ მობრძანდები ერთწამიანი საუკუნის გადმოსახედიდან; ჩანდი და ისევ გამოჩნდები, წითელო ბატონო!

ერთი ჩვენკენაც:

მე, მზე, მთვარე, ვარსკვლავები.

„მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითარცა ჰკადრა მტერობა?!"

მთვარე მზესაც ეტოქება, არამარტო იმიტომ, რომ მზე მხოლოდ დღე ანათებს, მთვარე — ღამითაც. მთვარე მამაკაცია, ნაყოფიერების ნათელია, იგი მამაა ჩვენი, მზე დედაა ჩვენი. ოსირისი — მზეა, ისიდა — მთვარე. აქ მზე მამაა, მთვარე — დედა. ისიდა დაია მეუღლისა. დედის საშოშივე წაცდნენ ისინი (სისხლის აღრევის ყველაზე ადრეული ფაქტი ადამიანთა ისტორიაში). დედა იყო ნილოსმდინარე კაცობრიობისა. ნილოსის ქალებს ანათებდა ისიდა, პაპირუსებისა და ლოტოსების ამოღორთქვაში მართავდა მისტერიებს და იყო როკვა შიშველთა, შემდეგ ფშვინვა დამცხრალი ვნებისა, ლოტოსთა ბუტკოების ფეთქვისა. ცოცხლად დააკუბოვა ძმა სეტმ ოსირისი. მიცვალებული ასო-ასოდ აქნა ბოლოს და ნილოსის ლაქაშებში მიმოფანტა. ნაჭერნაჭერ მოიძია დამ ძმა-ქმარი; ვერ მიაგნო მხოლოდ ფალოსს, რომელიც თევზმა გადაყლაპა...

ოკრიბაში სოფელია ანტორია. ბატონმა ივანემ არ იცოდა, თორემ უეჭველად მოიხსენიებდა ისტორიებში: დაუკავშირებდა ხევსურულ ანატორებს, მეგრულ ანთარს, აფხაზურ აითარს, თურქულ ანტარიას და წარმართული ღვთაებების სახეცვლილებათა ერთობლიობასაც განამტკიცებდა. რით უკავშირდება ანტორი, ანტორია, ანთარი, აითარი, ანტარია მთვარეს, თეთრ გიორგის, კვირიას, მურყვამობას, მელაი-ტელეფის თუ ადრეკილაის, დადგენილი არ უნდა იყოს, მაგრამ სოფელ ანტორიაში მოიძია პედაგოგმა ზურციძემ ქვის ორმეტრნახევრიანი ფალოსი. ექსპონატი თავდაპირველად რაიონულ მუზეუმში უნდოდათ გამოეფინათ, უფრო სწორად, გამოედოთ, მაგრამ, რაიონული მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზის სიპატარავისა და არა მცვლის სიდიდის გამო, იგი ჯერ ქუთაისში მიაცილეს, შემდეგ დედაქალაქში წაიღეს. საბარგო მანქანის ძარაზე ლადეს აღგილობრივმა მოხალისე არქეოლოგებმა, რომლებსაც ადრევე მოპოვებული ჰქონდათ ისრისპირები, ბრინჯაოს ცულები და ქვის ნაკლებმნიშვნელოვანი, უტილიტარული დანიშნულების საგნები.

მანქანის ძარაზე შედეს ნივთი და დაულოცეს გზა მხცოვან, საქართველოს მუზეუმებისათვის ცნობილ პედაგოგ ზურციძეს და კუთვნილ ფალოსს, ვერ იტყოდით — სინანულითო, მაგრამ ეჭვით (სწორად ვიქცევით თუ არაო) გააყოლეს თვალი. პირველსავე ხერგილზე გააჩერა ავტომობილი ავტოინსპექტორმა ბღარაძემ და მძღოლს საბუთები შეუმოწმა.

— რა მიგაქვს?! — იკითხა, ქაღალდებში ხელის მოსაჭიდი რომ ვერაფერი აღმოაჩინა.

— კითხე იმ კაცს! — უპასუხა დალევრემილმა მძღოლმა, რომელსაც ზოლიანი პერანგი ჰქონდა ამოჩაჩული და ლიპი მოუჩანდა ჭიპთან. ავტოინსპექტორმა ბღარაძემ კაბინაში შეიხედა, შლიაპიან-სათვალიან გამხდარ მგზავრს დააკვირდა, შემდეგ ბორბალზე შედგა ფეხი, მარდად აიწია, საბუთებიანი ხელი დააბჯინა ძარის ქიმს, მანქანის ტვირთს დახედა.

— რა არი?!

— ფალოსი. — ჩუმად უპასუხა კაბი-

ნიდან გადმოსულმა პედაგოგმა ზურცაძემ და შლიაპა გაისწორა ორივე ხელით.

— რა არი?!

— ფალოსი, — უფრო დაუწია ხმას, მიწას დააჩერდა. ჩვევაც ჰქონდა ამნაირი: ხმას, თვალებს, ცხვირს დაუშვებდა, თითქო მსმენელს არ ელაპარაკებოდა. ოპონენტის წამება რაღაცნაირ კმაყოფილებას ანიჭებდა.

— რა არი ფალოსი?

— ყ-ე.

— ყ-ე?!

— დიახ.

— და, — თქვა ავტოინსპექტორმა ბღარაძემ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

— წავიდო?

წაიდე, მშვიდობაში, მოგახმაროს გამჩენმა!

— გმადლობთ.

„...მეგრელებს ეშმაკის, წმინდანების, ანგელოზებისა, თვით ღმერთისა არ ეშინიათ ისე, როგორც მთვარისა... განრისხებული მთვარე უგზავნით მათ ყოველნაირ უბედურებას, სნეულებებს, თვით სიკვდილსაც... ახალი მთვარე რომ გამოჩნდება, ერთიმეორეს ასწრებენ დანახვას. ერთი რომ შეხედავს, მეორეს აჩვენებს. ზოგი ხელებს გაიშვერს მთვარისაკენ, ზოგი გაშიშვლებულ ხმალს, ზოგი დანას, ზოგიერთი ქუდს მოიხდის და თაყვანს სცემს მას...“

ღმერთო შენითა და არა ჩვენითაო.

წმინდა მაქსიმე ცაცხვის ფუღუროში ცხოვრობდა. მოკლა წყეულმა ქარეიშვილმა და დაასაფლავა კანცელარიასთან. მეორე დღეს ფეხზე დოუხვდა, წეიდო და ცაცხვთან, კაპიტონა ახელედიანის კარზე დამარხა. არც იქანე გაჩერდა. ქარეიშვილი შერქმეული გვარია. დეხვირელი ჭაბუკიანი იყო. საქონელს სხვის ყანაში შედენიდა და ნამუშევარს აჭმევდა, ჩვეულება ჰქონდა ამნეირი. წმინდა მაქსიმე ყუროზდა და ხუობდა, ჭირნახულის წახდენა წყინდა. უქმობასაც ტეხავდა ქარეიშვილი, კვირიკობის თვეში, წიფეთელობას, ელიობა დღეს კალო ჩააფინა და კეურს ხარები ჩოუბა. შუადღე რო შეიქნა, ზუსტად მისი კალოს სწორა მაწვიმარი ღრუბელი გაჩერდა სვეტივით. ეიდო თოფი და დოუცალა, მე შენი ასე და ისე, რას დამდგომიხარ თავზეო, კაცი ჩამოვარდა. იცნო. შეეშინდა და წეიყვანა საქორიაზე. დეინახა, მეორე დილით კიდო ამოსულა. მერე ნაეკლესიარზე დაასაფლავა. არც იქ დადგა. იქიდან ჩხუტელას, საჩიტებოს მიიტანა, იქინაც რო არ დამდგარა, მურს მიუტანია, იქინა დოუმარხია და დამდგარა. შეიქნა მას მერე წვიმა. კალოს ვეღარ ლეწენ, არიან ისე... მერე ღვდელს გამოეცხადა წმინდა მაქსიმე და ასწავლა, რანაირად უნდა ელოცათ...

ბუკის დვრინი გადაუვლიდა სველ გორებს, გაცრიატებულ სერებს. სველ ბურს გაფატრავდა ხანდახან მზე და მაინც ჟინჟღლავდა. ბუკი ზმუოდა და ფეხშიშველი მამაკაცები მიდიოდნენ აყალოზეთხილის ღვლეჭები ჰქონდათ ჩამოკიდებული ყელზე. ხის ფალოსი ეჭირა ერთს.

მემურეები ხართ თქვენე?!

ჭურისწყალში დიდი ცაცხვის ქვეშ იკრიბებოდნენ სველყაბალახიანები, ფეხშიშველანი. ღმერთო, შენი გაჩენილია ცა და ქვეყანა, წმინდა მაქსიმე, გამოგვიდარე.

დაჩოქილნი იყვნენ.

ხომ არავინ წაწყმედილა ამ კვირია ქალთან? თუა ასეთი პირობაგატეხილი, დაგვანებოს!

მიდიოდნენ აყალოზე, წვიმაში, ღვლეჭებგადაკიდებულნი. ჟეგავდნენ ყანებს, ფეხით ცეხავდნენ ღომის ყუმბარებს; ცემდნენ შემხვედურთ; ხის ფალოსით, ზარით, მოძახილით, ორ, ბუნად მიდიოდნენ:

წმინდა მაქსიმე, დარი გვიბოძე,

შეგვიხვეწიე...

ოი-ოი, ჰო, ჰო...

მაინც წვიმდა და მიდიოდნენ ბუკით ფალოსით, ორ ბუნად, ზმუილითა და მოძახილით:

წმინდა მაქსიმე...

ო-ი-ო,... ჰო, ჰო...

დარი გვიბოძე,

შეგვიხვეწიე...

ო-ი-ო... ჰო, ჰო!..

ლურჯია მზის ჩასვენებისას აჭარისწყალი. ლაჟვარდისფერია აჭარის სერები, სამხედრო ჭოგრიტი, ვისთვის დურბინდი, ვისთვის ტელესკოპი. საგორავზედსადგარებზე დამაგრებული გალილეის მილებიდან ჩანდნენ: სახლები, ხეები, მინარეთები...

და ჩამოდიოდა დიდი მზე. მოშრიალებდნენ ლურჯი ჩრდილები, წითლდებოდნენ მთები. გაილანდა წითელი კაბითა და ცისფერი კოფთით, ჩალის თმითა. კიბე იყო მიდგმული ვაშლის ხეზე და იდგა კიბეზე წითელ ვაშლებში, წითელმწვანე ფარდაზე ირხეოდა... და იყო სულ ახლო, ჩანდა მხოლოდ ჩემთვის, სიზმარივით ახლობელი და მიუწვდომელი.

შენა ხარ ნაწილი მთელისა, ერთიანისა, დიდისა, გაუსრულებელისა, წამისა და მარადისისა. შენი ჭურჭელი ხელმეორედ არ შეივსება. სული აღარ უბრუნდება საკუთარ სხეულს. მხოლოდ ერთხელ, ერთხელ სიზმრისფერებში...

კანდამსკდარი, ბებერი ბალი ცრემლისქვეშ მოლია. ანბანია გაფენილი ჭილოფზე: ტოტზე ჩიტია, ჩიტი გალობს. ბავშვი დასურათხატებულ ანბანს ჩასცქერის...

გაიზრდება, აღარ განვითარდება. სიკეთე სიკეთეს, ძალა ძალას არ დაუწყვილდება. ეგ არ მოხდება. ზრდა არითმეტიკულ პროგრესს არ ითვალისწინებს. სისუფთავე სისუფთავეს, ძალა ძალას. ნიჭი ნიჭს წლების შეფარდებით არ დაემატება; თხუთმეტიოდე წლისა გასრულდება და ჩამოდგება ხანა სირეგვნისა, სიპირუტყვისა, ჩამოიყრება წლები და დაიწყება უკუსვლით წინ სიარული. დასასრულიც მალე მოვა. ყველაფერი იყო და იქნება. იყო ბლის ხე და ბალი შეთვალული. იყო ჩიტი და დღე უშფოთველი. არ არსებობს დრო, რომლის ათვლა ერთნაირად შეიძლებოდეს ყოველი წერტილიდან. ორასი მილიონი წელი უნდა მზის ერთ შემობრუნებას, დაბერებას — უთვალავი, დასასრულს — აღარაფერი. და დაფარფატებს ადამიანი-პეპელა უთვლელ დროში უთვალავი ფერით მობიმებულ დედამიწაზე.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა მეტეოროლოგიური სამსახური დააწესა, ყველაზე თბილი წელი 1990 აღმოჩნდა. მოეჩვენათ, რომ დაიწყო ათბობა, ძალაში შევიდა სითბური ეფექტი, შიშით და ძრწოლით რომ ელოდებიან. დედამიწამ ხომ არ ამოწურა ენერგიის რეალური შესაძლებლობანი. ენერგიის ხარჯვა უახლოვდება ზღვრულს, ჩვენს გარეშე არსებული ენერგიის რაოდენობას. ბოლო სამოცი წლის შეჯერებით, სპეცლიტერატურის მოხმობით, ჩვენი თავმდაბლური დაანგარიშებითაც ათჯერ გაიზარდა ულტრაიისფერი სხივები, გაჩნდნენ ოზონის ხვრელები. ოზონის კონცენტრაცია შემცირდა თვით ანტარქტიდაში. მის ცაზე წარმოიშვა ნაპრალი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების (რატომ დაჭირდათ ამნაირი შედარება?) ტერიტორიას აღემატება, საზღვრებიო (ნაპრალისა და არა შტატებისა) შემაშფოთებლად ფართოვდება, თხელდება და იზრდება ცისფერი ბურუსი ჩვენს ზემოთ; რადიაცია მოდის უწყვეტი ჭავლის ციმციმითა და ბრჭყვიალებით.

გამოჩენილ ასტრონომთა დაკვირვებით, ჩვენგან 200 მილიონი სინათლის წელიწადით დაშორებული გალაქტიკის შუაგულში მდებარე შავმა ხვრელმა გრავიტაციული მანევრით დაშალა მზისხელა ვარსკვლავი და ჩაყლაპა დედამიწაზე ოთხჯერ დიდი ნაგლეჯი. შავი ხვრელის „გრავიტაციული მანევრი" ადრე არ იყო შემჩნეული და ამჟღავნებენ თუ არა ყლაპვის მადას სხვა ხვრელები, — ჯერჯერობით არ იციან.

ჰაერი აღარ ეყო ბესარიონ ამერიძეს. გააღეთო ფანჯრები, ვეღარა ვსუნთქავ! ფანჯრები ღიააო, ბატონო ბესარიონ.

კარიც გააღეთო.

ღიაა კარიცაო.

— გააღეთ მაშინ ჭიშკარი!

გრძელი, კოინდრიანი ეზო ჰქონდა შემორჩენილი და ღია ჭიშკრით შემოვიდნენ სულ მალე შეტირილზე ახლო-

ბლები. ძლივს შესამჩნევი ღიმილიც დაჰფენოდა სახეზე. აღარ კი იყო. გარდაიცვალაო ბესარიონ ამერიძე. სხვამ ვინ შეიმშვენა კიდევ ამნაირად!

ადამიანები ერთნაირად იბადებიან და სხვადასხვანაირად კვდებიან: მოდიან ტირილით, ყვირილით, ჭყავილით; მიდიან შიშით, აუწერელი შიშით და ერთეულები — სხვანაირადაც.

ბესარიონ!

დონ კიხოტიო, სერვანტესმა ბრძანა, „ჩემთვის დაიბადა, ისე, როგორც მისთვის გავჩნდი მე!"

„... სევილიაში იყო ერთი გიჟი, შეპყრობილი რაღაც უცნაური და სულელური ჟინით (სერვანტესი: დონ კიხოტი.), მეტად აკვიატებული ახირებით, როგორადაც კი შეიძლება შეიშალოს კაცი ამქვეყნად... საქმე ის არის, რომ მან ერთი ლერწმის წვეტიანი ღერო გამოფუღრა... ქუჩაში ან სხვა ალაგას ძაღლებს იჭერდა, იმ ძაღლს ერთ უკანა ფეხზე თავის ფეხს დაადგამდა, მეორე ფეხს ხელში დაიჭერდა, იმ ლერწამს გულმოდგინედ უკანალში ჩაურჭობდა და ჩაბერვას დაუწყებდა, ვიდრე ძაღლი ბურთივით არ დამრგვალდებოდა. მერე ერთი-ორჯერ მუცელზე ხელს დაუტყაპუნებდა და გაუშვებდა. შემდეგ უსაქმო მაცქერალთ (მუდამ რომ ბლომად შეგროვდებოდნენ ხოლმე) ეუბნებოდა: იქნებ, თქვენო მოწყალებავ, გგონიათ, ძაღლების გაბერვა ადვილი საქმე იყოს! იქნებ ფიქრობთ, თქვენო მოწყალებავ, წიგნის დაწერა იოლი იყოს!"

მე ვიყავი სევილიაში.

და გვადალკივირი ვერ დავინახე. წმინდა ანტონიოს დიდებულ მოედანზე, დიდ და მშვენიერ ტაძარში ქრისტეფორე კოლუმბის სამარე ვნახე, მაგრამ ნაპოლეონის საფლავი არ გვაჩვენეს პარიზში, „ინვალიდების სახლში" არ შეგვიყვანეს, რომში კაპიტოლიუმი დაგვიმალეს, სტამბოლში „ცისფერი მეჩეთი" და ასე შემდეგ. გამატარეს ავშარით ევროპაში და ამისთვისაც გმადლობთ. სევილიაში კი ფორთოხლები მწიფდნენ, გლიცინიათა ოჯახის წმინდა ხვიარები ყვაოდნენ ალისფრად.

ძნელია ძაღლის გაბერვა.

ღორის დაკვლა?

ერთმა მგზავრმა ხალხით გაჭედილ კახეთის მატარებლის საერთო ვაგონში სრულიად მოულოდნელად წამოიყვირა: ვისაც ღორის დაკვლა იოლი გონია, მე იმის ცოლი და დედა ასე და ისეო.

ერთ უთოვლო დეკემბერს ახალშობის წინა დღეს დასაკლავი, უფრო სწორად, დაკლული, მკერდში დანაგაყრილი ღორი გაექცათ გუგეშაშვილებს. რას შობიშე ჩათლახო, რავა მომისვარე სისხლით მთელი ეზოო, მისდევდა ავალო გუგეშაშვილი.

ბინის მეპატრონე გედეონ ბორდღური ელექტროინჟინრობას იბრალებდა; არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა სინამდვილეში და, როგორც გამოირკვა, ღორებიც მიჰყავდა ქირით ახალშობას და ძველშობას (ღორებსაც კლავდნენ მაშინ თბილისში) ბაზრიდან მყიდველის სახლამდე. მეღორეს თუ ელექტროინჟინერს ქალაქის მთავარ არქიტექტორად ვასაღებდი ზოგიერთებთან და გედეონ ბორდღური ღირსეულად იფერებდა ამ წოდებას, იმდენი ვიძახე, ქალაქის მთავარი არქიტექტორია-მეთქი, რომ თავად კინაღამ დავიჯერე ჩემი ტყუილი და ერთხელ ეს „მთავარი არქიტექტორი" ღორისთავად დავინახე ვარაზის ხევში (მაშინ იქ ხევი იყო და არა მაგისტრალი). ჩატეხილი შლიაპით, გაცვეთილი პალტოთი, ჯემპრში ჩატანებული ჰალსტუხით მიუძღოდა უზარმაზარ საშობაო ღორს, საბურთალოდან ვაკეში ადიოდა ვიწრო ბილიკით. ღორის წელზე და მკერდ-კისერზე ჩამარყუჟებული (ჩაბმაა მთავარი) მსხვილი თოკის ბოლო მკლავზე ჰქონდა დახვეული. დინჯად ადიოდა და ალბათ ღრუტუნით (ხმა არ ისმოდა) მიჰყვებოდა ტახი თუ ნეზვი (შორიდან რას გაარჩევდი) და წკეპლიანი ქალი, უეჭველია, ღორის პატრონი.

ავიდნენ. გაივაკეს მშვიდობიანად და უკუღმა ჰქნა მოულოდნელად ღორმა პერი. ციცაბოზე ჩამობრუნდა. გედეონ ბო-

რდური (ქალაქის მთავარი არქიტექტორი) ჩამოჰყვა, უთრია პატარაზე ბაწარი, მოსწია შემდეგ, მაგრამ ლორი ვეღარ გააკავა. წინ ლორი, უკან გედეონი. ლორმა აჯობა გედეონს. წააქცია, მაგრამ თოკზე ხელი ვერ გააშვებინა. ჩაყოლას ჩათრევა იმჯობინა გედეონმაო, ვერ იტყოდით, მაგრამ ეგრე გამოვიდა. ცხენის კუდზე გამობმულივით მიფხოკიალებდა და იკარგებოდა თვალთაგან გედეონი. კარგად ჩანდა ეგ სურათი გედეონისავე დიდი ბინის (დანგრეული, კერძო ქოხის სანაცვლოდ რომ არგუნეს) ოთახის (სადაც მე ვიდექი, მდგმურად) ფანჯრიდან.

ლორის კოლტმა დააფეთა ერთხელ სანჩო პანსა და თავად დონ კიხოტი:

„...ხმაური თანდათან ძლიერდებოდა და ორ დამფრთხალსა და შეშინებულს უახლოვდებოდა.

...ფართოდ გაშლილი კოლტი დრუტუნფრუტუნით მორბოდა. დონ კიხოტისა და სანჩოს ღირსებას არად აგდებდა. სანჩო გადათელა, დონ კიხოტიც წააქცია, როსინანტიც ზედ მიაყოლა.

...სანჩო, როგორც იყო, წამოდგა და თავის ბატონს ხმალი სთხოვა. უნდოდა ათიოდე თავხედი ლორი მაინც აეჩეხა, რათა მათთვის ზრდილობა ესწავლებინა...“

სანჩოს მცდელობა სურვილს არ გასცილებია, როგორც ჩანს, რადგან კოლტს. თუ არაფერი გვეშლება, პასუხი არ უგია უდიერ საქციელზე. სანჩოსაც აღარ მიუცია ზრდილობის გაკვეთილები. ჭკუა არ მოეკითხება ლორს, ცხადია, მაგრამ ნასწავლი ლორებიც გამოდიან თურმე. დიდი ბრიტანეთის რომელიღაც საგრაფოში ორი განათლებული ლორი (ტელევიზორით აჩვენეს) ცხვრის ფარას მწყემსავდა. ძაღლებზე უკეთესად ასრულებენ თავიანთ მოვალეობასო (ვინ დაავალდებულა?), აღნიშნავდა მთხრობელი.

რკინიგზის ლორი თუ გინახავთ?

გაჯაგრული, ნეკნებამოყრილი ზაფხულის ლორი, აცივებამდე თავად რომ უნდა ირჩინოს თავი, მიჰყვებოდა ხოლმე გამაზუთიანებულ განძელებს, ახლად ჩავლილი სამგზავრო მატარებლის სურნელებით გაღიზიანებული ტკვირავდა ვაგონებიდან გადმოყრილ (რა უნდა გადმოეყარათ ოდელია მგზავრებს ბლის, ქვიშნისა და ატმის კურკების მეტი) კურკებს. ატმის კურკა ატმის ყვავილი არ გეგონოთ! მატარებელი შეიძლება გადააბრუნოს ლიანდაგზე შემოდებულმა ტვინისფერმა და ტვინივით დალარულმა კურკამ. ფშვნიდა ამ კურკებს ჩვენებური მუშა ლორი, ამსხვრევდა, ლეწავდა ხლაწახლუწით. ნეტარება იყო ფშვნისა და ლეწვისა.

აფრიკა. სავანა. ლომი მისდევს ლორს შამბნარში, ლიხში; დაეწევა და დაგლეჯს, უეჭველია.

...ამას რას ხედავს ჩვენი თვალები: ლორი მოდევს, მგონი, ლომს. ეგრეა. შემობრუნებულან. წინ ლომი, უკან ლორი. მართალია, ლომი ყმაწვილი იყო, მაგრამ არც ლორი ჰსჩანდა ჭკვიანი. რამდენჯერმე დავატრიალებინეთ და სულ ინგრე იყო: წინ ლომი, უკან ლორი. გადავაბრუნე — კარდონი არი, გადმოვაბრუნე — კარდონი არი...

ნახევრად ოფიციალურ შეკრებაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა თქვა: კარგია მარქსიზმი, ლორისქონწასმული კიდევ უკეთესიო. რას ნიშნავდა ეგ, ჩემი არ იყოს, ბევრმა ვერ გაიგო. თავად ნიკიტას კი ჰქონდა ლორის გამბედაობა, ვირის მოთმინებაც და შეუპოვრად, თუმც, წარუმატებლად ებრძოდა მკვდარ და ცოცხალ მუყაოს ლომებს.

ლორების სისხლში ამოთხვარეს 1 მაისს ჩიკაგოს სასაკლაოზე გაფიცულმა მუშებმა გრძელი ნიფხვები და წითელ დროშებად აafრიალეს ჩიკაგოში, დასაბამი მისცეს 1 მაისს — მუშათა სოლიდარობის დღეს.

ყველაფრის მჭამელი ლორი შინაგანი ორგანოებით ყველა ცხოველზე მეტად ჰგავს (შიგანითა და არა ტვინით) ადამიანს. ისე რომ, ზოგიერთი მისი ორგანო, მხოლოდ ზოგიერთი, შეიძლება გადმოვინერგოთ წარმატებით, რასაც აკეთებენ კიდეც. რა ამის პასუხია და მორიელის ტვინის ენცელოგრამა ძალიანა ჰგავსო

(ფრანგი მეცნიერების ვარაუდით) ადამიანის ტვინის ელექტროენცელოგრამასო. აქ უკვე შემთხვევითობასთან უნდა გვქონდეს საქმე და ყველაფრის მჭამელი (ადამიანიც ყველაფერს მიირთმევს) ღორის შიგანი მარტო ტაფაზე ასაშიშხინებლად არ ყოფილა გამოსადეგი და გადმონერგვა ღორის შიგანისა, სასურველიაო ვერ იტყვით, — სავსებით შესაძლებელი ყოფილა.

ღორი, არ არი იოლი, ცხადია, მისი დაკვლა (სწორია ის კახელი), არც ძაღლის გაბერვა იქნება ადვილი, მაგრამ იმ დალოცვილ სერვანტესს მწერლის უმადური შრომის შესაფასებლად ძაღლის გაბერვაზე უკეთესი მაგალითის მოტანა შეეძლო.

რეზო ინანიშვილმა პატარა მინიატურა დაწერა ეგნატეზე (ეგნატე ნინოშვილი — არის ასეთი მწერალი). აი, როგორ მთავრდება იგი:

„...ეგნატე ნინოშვილი 34 წლის გარდაიცვალა ფილტვების ტუბერკულიოზით. სოფელში კუბოსათვის ფიცრები ვერ იშოვეს, მთლიანი მორი ამოგულეს, შიგ ჩაასვენეს და ისე დამარხეს. მის კალამს ეკუთვნის: „პალიასტომის ტბა", „ჯანყი გურიაში", „გოგია უიშვილი", „ქრისტინე", „სიმონა", „პარტახი", „ჩვენი ქვეყნის რაინდი" და სხვა მოთხრობები. თუმცა, სულ დამავიწყდა მეკითხა, გიყვართ, საერთოდ მოთხრობები თუ არა?"

ყველაზე კარგი მოთხრობა, კარგი კი არა — სრულყოფილი, არისო ლერმონტოვის „ტამანი", ტოლსტოიმ ბრძანა. ცოტა ზედმეტი მოუვიდა. არადა, მაგარი მოთხრობაა, რაღა ლაპარაკი უნდა. აი, როგორ იწყება:

„...ტამანი ყველაზე საძაგელი ქალაქუკაა შავ ზღვისპირეთში. იქ მე კინაღამ მოვკვდი შიმშილითა და თანაც დახრჩობაც მომინდომეს..."

სხვისი არ უნდა გაჰკვირვებოდა:

„...კავკასიაში ოფიცრად მსახურობდა ერთი მებატონე, ეძახდნენ ჟილინს. ერთხელ სახლიდან წერილი მოუვიდა. ბებერი დედა წერდა..."

შესადარებლად:

„...იყო ერთი კაცი ყუცის ქვეყანაში, სახელად იობი". („იობი").

ახალი აღთქმაც:

„...სოფელსა შინა იყო და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა..."

ქართული ხალხური:

„...სოფლისა თავსა ვესახლე,
არა სოფელი ჩემს თავსა,
სოფელს კი ვეთავსებოდი,
სოფელი მე არ მეთავსა..."

„...იყო ერთი კაცი ყუცის ქვეყანაში, სახელად იობი..."

უფრო ადრინდელის მოძებნა შეიძლება, ადრინდელზე ადრინდელისაც. რადგან არაფერია მზის ქვეშ ახალი...

„...ზოგიერთები წერენ იმისათვის, რომ წერონ. მათი ცნობა იოლია, რადგან გრძლად ამბობენ... ჩვეულებისამებრ უყვართ ბურუსი, რათა არ გამოჩნდნენ ისეთები, როგორებიც არიან..." (შოპენჰაუერი).

„...ჩემი დღე ზეგინდელია... ზოგიერთი ადამიანი სიკვდილის შემდეგ იბადება" (ნიცშე).

ვწერთ იმიტომ, რომ არ შეგვიძლია არ ვწეროთ. ვიმახსოვრებთ, დავდივართ და ვყვებით გუნებაში. წარსულისა და წელიწდეულის გაცრიატებული სურათები ზრიალებენ მახსოვრობაში. ერთი ახალგაზრდა შემოქმედი ამტკიცებდა: ჭიანჭველები დამიდიან თავში, თავის ნებაზე მატარებენ ჭიანჭველებიო.

ბაღის კიდეზე გააჩერა მარკოზიჩმა.

— ყმაწვილო, კიდევ დაგიდიან ბუჭინჭველები თავში?

— დიახ, ბატონო მარკიჩ, დაბჟუიან, თავის ნებაზე მატარებენ..

— არ გაუწიოთ, ყმაწვილო, წინააღმდეგობა, გაყევით და გამოყევით, რა გაქვთ სხვა საქმე!..

ჩემი დღე მაინც ზეგინდელია, ჩემო ბესარიონ!

„...კავკასიაში მსახურობდა ერთი მებატონე, ეძახდნენ ჟილინს..."

სანამ ზოგიერთი გაგაგებინებს, თუკი საერთოდ გაგაგებინა, რომ მსახურობდა კავკასიაში კაცი ჟილინი, მანამ შენი და-

გემართება. ერთსა და იმავეს გაიმეორებს სხვადასხვანაირად (ამასაც თავისებური ხიბლი აქვს) და დაგღლის. ცოტანი უძლებენ ამდაგვარ გამოცდას და ცოტანივე იმკვიდრებენ ჩვენს მკაცრ დროში თავგადადებული მკითხველის სახელს, სამაგიეროდ ბატონობენ არამკითხველ უდანაშაულო უმრავლესობაზე და სნობობას ამკვიდრებენ სნობობით, მწერლობაც რჩებათ (დროებით) სნობებს. სხვას რას უნდა გამოელოდე მექანიკური ინტელექტის ზეობაში.

მარსის თანამგზავრები ოფიციალურ, რეალურ აღმოჩენამდე, აღმოაჩინეს: კეპლერმა (გასაგებიცაა), ვოლტერმა და სვიფტმა — დიდებული „გულივერის მოგზაურობის" ავტორმა. ასი წლით ადრე, დაახლოებით, გამოთვალეს მათი ორბიტებიც.

ტოლსტოი: „...ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ღვთის ნებას ვასრულებდი და ეს იყო ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები".

...მერე ჩვენ, დაბადებით უნარჩევესთ, ვინ გვიბოძა ეგეთი წუთები! აკი აღვნიშნეთ: ექვსი წლის ასაკში შენელდა ღვთის ძალა და თხუთმეტი წლის შემდეგ დაიწყო აზროვნების, ნიჭის, სიძლიერის, სიმამაცის შეუმჩნეველი, სამაგიეროდ — პროგრესული დეგრადირება-მეთქი. იქიდან მოყოლებული დღემდე უკუსვლით მივდიოდი წინ.

სკოლიდან კოლექტიურად (ჩვეულებრივი ამბავი იყო) წაგვიყვანეს კინოში, ჩაგვკეტეს დარბაზში და სანამ სეანსი არ დამთავრდა (ვუყურეთ თუ არა, არავინ დაინტერესებულა), გამოსასვლელი კარი არ გაგვიღეს. ფილმი იყო უღიმღამო, მოსაწყენი. მიძალებული კი არმოსაწყენიც არ ვარგა. და იყო ყვირილი, სტვენა, ფეხების ბრაგუნი, სკამების ხრიგინი. ზოგიერთმა დარბაზშივე მოისაქმა ვითომ, კარი რომ არ გაგვიღეთო (საათნახევარი ვერ გაძლეს), თავი ველარ შევიკავეთო. ცნობილმა რეჟისორმა, არც უნიჭომ, გადაიღო „მიჩურინი", რომელიც ამნაირად დამამახსოვრდა. მიჩურინი კი, რომელსაც ცხვირში გვატენიდნენ ვირის პიტნასავით, ისედაც გვძულდა. ვნახეთ „მიჩურინი". ჰქონდა აზრი ამ ნახვას, ამნაირ „ღონისძიებას"? ჰქონდა, ალბათ, სიძულვილისა და მორჩილების განსამტკიცებლად, ტრიალებდა ბორბალი, სიძულვილისა და მორჩილების მექანიზმი მუშაობდა ზუსტად, შეუფერხებლად: ნათლად, გარკვევით ვიგონებ და დღენათელში ვხედავ უზარმაზარ სარეკლამო ფარ-აფიშას სასტუმროს წინ, ბაღის კიდეზე:

(დასწრება სავალდებულოა)

მ ი ჩ უ რ ი ნ ი

სასურველი კი არა, სავალდებულო იყო ნახვა კინოფილმისა ქალაქისათვის. ეს არც გვიკვირდა. ახლაც არ მიკვირს და მაშინ, როცა „მიჩურინის" ნახვა სავალდებულო იყო, ქეც ვიქნებოდი თხუთმეტი წლისა... იმავ დროს ფიზკულტურის მასწავლებლად გამოგვიმწესეს ცნობილი კალათბურთელი ჯემალ ი-ძე. ბევრგან ასწავლიდა და ჩვენც გამოგვითანიერა. რვაწლიან სკოლაში შემოვიდა ლურჯი, სრული პალტოთი, ხელთათმანებით, კაშნეთი, მაღალი, საზემოცინარი. დაგვაწყებინა კალათბურთი. ყურებდალურჯებულები დავდევდით ეზოში ბურთს, ცალ კალათს (მეორე არ იყო) ვესროდით და ვერ ვაწვდენდით. ქალაქის სასკოლო პირველობაზე, ერთმანეთის მიყოლებით რომ ტარდებოდა იმ წლებში, ვუგებდით მხოლოდ რვაწლიანებს, ვაგებდით საშუალოსკოლელებთან, ტექნიკუმელებთან, სადაც მეცხრე, მეათე, მეთერთმეტეკლასელები და ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების მოსწავლეები გამოდიოდნენ. მერვე საშუალო სკოლაში, ჩვენნაირი დაბდურებით რომ იყო დაკომპლექტებული, მხოლოდ ერთი ნამდვილი კალათბურთელი, ქალაქის სპორტსკოლის აღზრდილი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი რეზო იობიძე თუ იობაშვილი, გვარი ზუსტად აღარ მახსოვს, თამაშობდა. ჯემალ მასწავლებელმა გვითხრა: რეზო იობიძე (თუ იობაშვილი)

დღეს არ მოვა. ვიცი, და ამგენს ქეც უნდა მოუგოთო. კინაღამ მოვუგეთ მართლაც მაღლებსა და ფეხებდაბრეცილებს, ბურთი რომ უვარდებოდათ ხელიდან. მერვე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, პირწმინდად თავგადაპარსული კაცი, გრინიოვს რომ ეძახდნენ საკუთარი მოსწავლეები, ტყავის საქაღალდით სცემდა ბოლთას სპორტდარბაზში, მალიმალ იხედებოდა საათზე, სადაა რეზო იობიძეო, ნერვიულობდა. დამთავრდა პირველი ტაიმი, დაიწყო მეორე და გამოჩნდა რეზო იობიძე (იობაშვილი). იანვრის ნათელი დღეა. სპორტდარბაზის ბადეფარდებჩამოფარებული ვეებერთელა ფანჯრებიდან შემოდის მზე. ისმის მცირერიცხოვანი მაყურებლის (მოსწავლეების) ჭაჭყანი და მუხის პარკეტზე მძიმე ბურთის ცემის ხმა. გალაჟღაჟებული, წითელკაშნემოფრიალებული მოდის რეზო იობიძე.

„მთვრალია!“ ხვდება გრინიოვი. გაიხადეო, სთხოვენ რეზოს. თავაზიანად.

ტანსაცმელს ვიცვლიდით ქანდარაზე. კარი, საიდანაც ვიწრო ხის კიბე ადიოდა, დაკეტილი აღმოჩნდა. „პივის“ დასალევად წასულ დარაჯს გასაღები ჩარჩენოდა ჯიბეში. ხეზე მისაყუდებელი ცალფა კიბე გამოათრიეს საიდანღაც და დარბაზის მხრიდან უსწორეს ქანდარას; აწვდა და ვერც აწვდა ზედა ფალანგიდან გადასამხობს. ავა, ვერ ავა, — შეიქმნა ბჭობა. რეზო ადიოდა და უკან იხედებოდა ღრეჭვით. ბოლო ფალანგიდან აიწია ცერებზე, მკლავებით ჩამოეკიდა ბირკვილის სამხობს, აიწია, გაექცა კიბე და ფეხებაფშეკილი დარჩა ჰაერში. შეშინებული გრინიოვის ყვირილში გადაძვრა ქანდარაში და უფრო გამხიარულდა. თამაში გრძელდებოდა და აღარ გადიოდა დრო, მერვესკოლელების სასარგებლოდ რომ იწელებოდა. რეზო კი არ ჩქარობდა, იცვლიდა ტანსაცმელს და ისევ იკრიჭებოდა, ნანერვიულები გრინიოვი იჯდა მზიანში და პრინციპულად აღარ იღებდა ხმას. მიეპარა მეცხრე კლასის მოსწავლე ცირეკიძე და ქათმის ფრთა (სად მოძებნა, არ ვიცი) გადაუსვა მოტელეპილ თავზე. მასწავლებელს ბუზი ეგონა, ხელით აიქშია და რეზო იობიძეს გახედა მალულად. რეზო წითელ კედებს იკრავდა უკვე. თამაში არ მთავრდებოდა, ცირეკიძე საკუთარ ფიზკულტურის მასწავლებელს უსვამდა ფრთას, გრინიოვი იგერიებდა (რა უნდოდა იანვარში ბუზს) არარსებულ ბუზებს და რეზოს ჩამოყანყალებასაც არ ადგებოდა საშველი. ნახევრად სულელი ცირეკიძე კი ცეცხლს ეთამაშებოდა უკვე. ნაკანტუზიევი, ომიდან დაბრუნებული გრინიოვი ტვინს მიასხმევინებდა კედელზე, როცა იქნებოდა. რამდენჯერმე აიქნია კიდევ ხელი გრინიოვმა და იობიძეც გამოვიდა ასპარეზზე. იგი არც ისეთი მთვრალი აღმოჩნდა, როგორც ეგონათ და მოგვიგო კიდეც დარჩენილ ოთხ წუთში. გათამაშების მეორე წრეში, მეორე თუ მესამე შეხვედრაში რეზოს უკვე აღარ მიუღია მონაწილეობა. იგი კაუნასში (იმჯერად ფხიზელი) საწვრთნელ შეხვედრაზე წაიყვანეს და ულხიდეროდ, მიჩაჩულ-მოჩაჩული ფორმით გამოვიდა მერვე სკოლის გუნდი მოედანზე. ახლა ნამდვილად უნდა მოვიგოთო, თქვა მწვრთნელმა და შენო, პერსონალური დარიგება მომცა, სულ წინ უნდა იყო, არამც და არამც უკან არ დაგინახოო. გამიკვირდა, თუმც ხმა არ გამიღია. უნდა გამოვტყდე, ბურთს სხვაზე უკეთესად, როგორ და რანაირად, ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა, ვაგდებდი კალათში და დავრჩი წინ, სამწუხაროდ, — მარტო. არ ჩამობრუნდეო, მაფრთხილებდა მაინც მწვრთნელი და მივხვდი, რომ არავინ მიჭერდა.

მართალია, ბურთს კი ვაგდებდი (ძირითადი მოვალეობა, თუ არაფერი მეშლება, კალათბურთელისა), მაგრამ ვაგდებდი წვალებით, ჯახირით, ტანჯვით. მარტო დარჩენილმა ვერ ჩავაგდე.

ონჭეიშელს მიაწოდეთ!.. — მესმოდა მწვრთნელის ბრძანება. მაწოდებდნენ, ვერ ვაგდებდი, არა გამოდიოდა რა. რა ისეთი პრინციპული ტურნირი ის იყო, რაში დასჭირდა ჯემალ ი-ძეს წინასწარი გარიგება, ჩემი მარტო დატოვება, გაყიდულ თამაშში დაბევება? კაცი არ მი-

ჭერდა, კაცი არ მაკავებდა და უსუსურობის, უმწეობის გრძნობა არ მშორდებოდა.

სიცოცხლე არც აქ იწყება, არც აქ მთავრდება. სად იწყება და სად მთავრდება? არსად? გამრუდებულ დროს და სივრცეს აქვს კი არაფერი? რა არის არაფრის იქით? სული უკვდავია, ადამიანიც უკვდავია — აქედან გამომდინარე, მაგრამ იგი (ჭურჭლით, გარსით) ძალიან რთულადაა აგებული; დროებით სახმარი, საჩხარუნო ნაწილებით, გადასაყრელი რთული მექანიზმებითაა გავსებული. შარდის ბუშტი, სწორი ნაწლავი, გრძელი ნაწლავი, ნაღველა, ტყირპი... არ შეიძლებოდა უფრო სადად, უფრო მარტივად? არა? სამყაროს მომცველი ტვინი, სისხლის მიმოქცევის კუმშვადი სისტემა. სამყაროს მოდელს, გაშლა-გაფართოვებასა და უკუპროცესს, ჰგავს, მართალია. სამასი მილიონი სპერმატოზოიდი მიჰქრის საშვილოსნოსაკენ ფინალში. მხოლოდ ერთი მესამასმემილიონედთაგანი ამკვიდრებს სიცოცხლეს, კოსმიურ მარათონში გამარჯვებულ ერთ მესამასმემილიონეს, შემთხვევითობისა და აუცილებლობის სპერმას შეაქვს ნათელ წყვდიადში კოდი წინაპრისა, სიჯიქე, უნარი, ნიჭი წინარე თაობისა. ყაყაჩოს თესლის ფორმის, ფერის, მოცულობის, ყველა სულიერის პრინციპით აგებული მწერი თეთრ თაბახზეა მისრესილი. ნაწილია მთელისა, გასაგების და გაუგებრისა, დიდისა, ერთიანისა, მუდმივ არსებული პროცესისა. კაცობრიობას გავლილზე მეტი გასავლელი აქვს, ადამიანი კიო, ამბობენ, აღმოაჩენს სამყაროს ყველა საიდუმლოს და იგი ისეთი მარტივი, გასაგები და ნათელი აღმოჩნდება, რომ გაოცდებაო. კაცობრიობა ადამიანია და ჩვენც აქა ვართ. აგერ ბურთი, აგერ კალათი. კაცი არ გაჭერს, კაცი არ გაკავებს; აღარც მიჩურინს გტენიან ცხვირში, აღარც სხვა უფრო პატივსაცემ გვამებს. უფრო ვიბნევი. ხელი მითრთის, მუხლი არ მემორჩილება. მიუშვითო, მესმის ხმა შორეთიდან. ვიღაც ვიღაცას გაურიგდა ჩემი სურვილისა და ნებართვის გარეშე. თავისუფალია გზა მიზნისაკენ, ჭეშმარიტების შეგრძნებისაკენ. მაქვს ეს წუთები. ფარია. კალათია, ბურთია და წინ არავინ. რა შობი ახლა! ადრინდელი ჯობდა. ალბათობა მეტი იყო ზედახორაში. თავისუფლება კი წამიერია და იმ წამებშიც ძნელი სატარებელია: ბნელს ვით გაანათებ, ხელისცეცებით რას მიაგნებ არაფერში, არაფრის მქონე. ონჭეიშელს მიაწოდეთ! იძახიან ბნელში. ხმა შორეთიდან მოდის.

მიაწოდეთ!

მომაწოდეთ.

ვერ ვაგდებ, რას მაწოდებთ!

ლევ ტოლსტოი იტალიაში გაემგზავრა პედაგოგიურ მეცნიერებათა შესასწავლად, სოფლის სკოლის გახსნასთან დაკავშირებით. მსურდა გამეგო, თუ არსებობს მეთოდი — უცოდინარმა ვასწავლო უვიცებსო. უბრალო ამბავი არ გეგონოთ ეგ. დიდი ხელოვნებაა უცოდინარისაგან უცოდინარის განათლება. ჩვენთვის ამნაირადაც არ უსწავლებიათ. ჩვენ ისიც არ ვიცოდით, რომ არაფერი არ ვიცოდით. აწი რაღა დროს. ვთქვი კიდეც, ჩემო ბესარიონ ბატონო, ზოგიერთი მწერალი სიკვდილის შემდეგ იბადება-მეთქი.

მოლამ დუქნის გატეხვა დააპირა. ბინდბუნდში დარჩა ღალამების მომლოდინარე. მგზავრმა შეამჩნია მაინც: მოლავ რას აკეთებ მანდაო, დაუძახა. ფანდურს ვუკრავო. ხმა რომ არ ისმისო?

— ხმას დილით გაიგონებთო!

სასაცილოდან სასატირლომდე ერთი ნაბიჯია მაინც. ჩემმა მეგობარმა სკოლის დამთავრებისას გაიგო, ლენინს რომ წელზე ყინული ჩაუტყდა და კინაღამ დაიხრჩო. პირველ გაკვეთილზე რომ ატეხა სიცილი, ბოლოზე დაამთავრა. სიცილისაგან იხრჩობოდა თავად, ცრემლი სდიოდა და ვერ ლაპარაკობდა. რა გაცინებდაო, ჰკითხეს გაკვეთილების გამოსვლისას. ლენინი რომ დამხრჩვალიყო, როგორ იქნებოდაო, უცნაურია მართლაც. ვეღარ აიღებდნენ ძალაუფლებას ბოლშევიკები. აღარ იქნებოდა სტალინი. იგი ხომ ლენინს მოჰყვა მომყოლივით. აღარ იქნებოდა ლენინიზმი, რომელიც მომყოლმა გამოიგონა. არ შეიქმნებოდა სოციმ-

პერია და აღარ დაინგრეოდა შვიდი ათეული (რიცხვი საკრალურია) წლის შემდეგ. ისტორიას უყვარს პარადოქსები, მაგრამ კანონზომიერებას არ ღალატობს. გონებისაგან არდაწერილი კანონებით ქმნიან პიროვნებანი ისტორიას აუცილებლობის ფარგლებში. ლენინი და ბოლშევიკები სჭირდებოდნენ ისტორიას და ამიტომაც არ დაიხრჩო ლენინი ისტორიაში.

და არ არსებობს საზღვარი სასაცილოსა და სასატირლოს შუა.

სიცილი წამალიცააო.

მეთოდი სიცილით წამლობისა მედიცინაში არაა დანერგილი, მაგრამ სიცილით მკურნალობა ფაქტია. საფრანგეთში სიცილის თერაპიის ცენტრიც კი გაუხსნიათ ერთ დროს. იგი ფინანსური სიძნელეებისა და მოხალისე პაციენტების, სასაცილოდ რომ არ ჰქონდათ საქმე, სინაკლულის გამო დახურულა. სიცილი ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, დადებითად მოქმედებს ღვიძლის მოქმედებაზე, შარდის ბუშტზე, სწორი ნაწლავის ფუნქციაზე. სიცილის სიკეთეს ერთნაირად აღიარებენ ერი და ბერი, ამ საქმით დაინტერესებული მეცნიერები კი ასკვნიან: თუ არ მოგიხდება, არც გაწყენსო. ჯანსაღ და არაჯანსაღ სიცილსაც ასხვავებდა ერთ დროს ბოლშევიკური იდეოლოგია. გადაბრუნდა სიცილით, მოკვდა სიცილითაო, იტყვიან და, როგორც ირკვევა, არცთუ უსაფუძვლოდ.

სიცილის სენს კურუ ჰქვია. ახალი გვინეის ერთი ტომის (ფორუ) ხალხში იფეთქებს ხოლმე დროდადრო; მოულოდნელად შეეყრება ადამიანს თურმე საცილის ბაცილა და კვდება ეს ადამიანი სიცილით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. სტატისტიკით, საუკუნოვანი დაკვირვებით დადასტურებულია ამ უბედური სენის ერთი მეტად ნიშანდობლივი თვისება: კურუთი დაავადებული ადამიანი ჯერ ცოცხალი არ გადარჩენილა. ეგეთი შემთხვევა არა გვქონიაო.

ნამდვილი იუმორი საბჭოთა მმართველობის ნიადაგში ამოყვავილდა. კაცი, მისდაუნებურად, ერთს ფიქრობდა, მეორეს ლაპარაკობდა და შეშინებულ, გაორებულ ადამიანს ირონია, შაყირი თავდაცვით მექანიზმად განუვითარდა. ტყუილს, თვალთმაქცობას, შავის თეთრად გასაღებას ირონია უპირისპირდებოდა, ადამიანი გულს იფხანდა და იმავ გულს გახეთქვისაგან შაყირით ინიავებდა. ერთი ებრაელი მეგობარი მყავდა, ახლაც მყავს. ქუთაისიდან პირდაპირ მოსკოვში გადაბარგდა, შემდეგ ამერიკაში დასახლდა. იყო კაცი დიდად ნიჭიერი, დიდი მოშაყირე. სასაცილოს სატირალშიც აღმოაჩენდა, ხოშის გამო კი არა. სამწუხაროში სასაცილოცა დევს, რომლის დანახვა ყველას არ შეუძლია. მოსკოვ-ქალაქში მწვერვალზე აიყვანა (საამისო საფუძველი და მასალაც ჰქონდა) ირონია, შაყირი და, როგორც მოგახსენეთ, ამერიკაში გადასახლდა. თექვსმეტი წლის შემდეგ ჩამოგვაკითხა. ვეღარც კი ვიცანი დადინჯებული, თავის ხელობისაკენ ყურადღებაკონცენტრირებული ბიზნესმენი. ჩვენებურ სინამდვილეზეც კი აღარ ეცინებოდა, თავადაც აღარაფერი იცოდა სასაცილო. თამაშობდა მეგონა, მაგრამ შევცდი; რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი: საქმიან ამერიკაში დაეკარგა ყველაზე ძვირფასი, რაც ბუნებამ უპირველესად და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ გვიბოძა. მივხვდი და გული ჩამწყდა. შემეცოდა მეგობარი და თავიც შემეცოდა. ეს ბედი ხომ არ გველის ჩვენც-მეთქი!

იმპერია დაირღვა. ახლა ყველაფერი ნებადართულია, დედის გინების ჩათვლით. რაც გინდა — თქვი, რაც გინდა — დაწერე, ილაპარაკე საჯაროდ. ხომ არ ვიღუპებით! ყველაფერს თუ თავისი სახელი დავარქვით, ყველაფერი თუ ნებადართული გავხადეთ, რასაც ვფიქრობთ, ის თუ ვილაპარაკეთ, იუმორის შეგრძნებას ხომ არ დავკარგავთ? რას შევიძენთ უკეთესს სამაგიეროდ?!

მერიმემ ბრძანა: მე ანეკდოტი მიზიდავს, წერასა და თხზვას ანეკდოტით ვიწყებო (ანეკდოტში ამბავს, არაკს გულისხმობდა). ბევრი ანეკდოტი ნამდვილი ვიშოვნე, გადავაწყვე, გადავარჩიე. მინ-

დოდა დამეწერა პოლიტიკური „დეკამერონი“. დავიგვიანე. „რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მეთქვა გრძლად, თავი მეცადა. ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა!“ (გურამიშვილი). მოცლას მართლა ვუცდიდი, მაგრამ მოუცლელობას ვერ დავიბრალებ. სინამდვილეში დროს ველოდი. ეგ დრო, პოლიტიკური პორნოგრაფიის დრო არ დამდგარა-მეთქი, დამდგარიყო, დრო მოსულა და წასულა კიდეც. დრომ გამასწრო.

არა მჯერა, რომ დედამიწა ბრუნავსო (ერთხელ ვთქვი), განაცხადა ვახტანგია ბუკოვსკიმ, არ მჯერა ჯორდანო ბრუნოსიო; თუკი დედამიწა ბრუნავს, კაცის „მერსედესი“ ერთხელ მაინც რატომ არ შემოგორდა ჩემს ეზოშიო. „მერსედესი“ თავისით არ შემოგორდება. ბედი ცდააო, რუსთაველი ბრძანებს. „ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა სურდეს, მოცაგზვდების“.

მეორთქლმავლეები, მამა და შვილი იემენიძენი, პოლიტიკური მუხლით იყვნენ დაპატიმრებულნი 1937-ში. ბრალდებოდათ დივერსია. ნახჭევანიდან თავრიზში გადაიყვანეს საბჭოთა ორთქლმავალი და მიჰყიდეს უცხოელებს ახლად აღორძინებული სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შესარყევადო. გამოირკვა, რომ იმ დროს საზღვარზე, ჯულფაში არ ყოფილა ლიანდაგი და ეს არ ცოდნია არა მარტო ძიებას, არამედ მეორთქლმავლეებს — მამა და შვილ იემენიძეებს, რომლებიც ხაშურ-ზესტაფონის გადასარბენზე ატარებდნენ მძიმე შემადგენლობებს. რატომ, რა მიზნით, ვისი მითითებით — ცნობილი არაა, მაგრამ გადაისინჯა საქმე №-რაღაც და რაღგანაც ორთქლმავალი მიწაზე, მით უმეტეს მთაზე (ჯულფაში) ულიანდაგოდ მაშინაც არ დადიოდა, საქმე გაითხოვეს სამხედრო პროკურატურაში. განიხილეს საქმე №—რაღაც და საბუთების ფალსიფიკაციისათვის (დაშალეს ორთქლმავალი და ნაწილ-ნაწილ, ბორბალ-ბორბალ გაიტანეს სპარსეთშიო, უნდა დაეწერათ) გაასალეს გამომძიებელი ვინმე იოველი მამა-შვილს კი არაფერი შველებია. ისინი ადრევე დაეხვრიტათ.

ვიქნებოდი, დიდი-დიდი, ექვსი წლისა, მამაჩემი რომ დააპატიმრეს. სოფლის სკოლის დირექტორი იყო ხარაგაულის რაიონში და პატეფონს გადააყოლა თავი, ჩემო ბატონო. ამოიტანა ერთ დღეს სოფელში სასოებით, ამოაყოლა ფირფიტები ქართული ხალხური სიმღერებითა და XVII ყრილობაზე წარმოთქმული სტალინის სიტყვით. დაატრიალებდა საღამოს ქართულ სიმღერებს, დააყოლებდა სტალინის სიტყვას და ჩაკეტავდა გასაღებით. გადავიდოდა მზე, ბინდი დაეფინებოდა სოფელს, ვივახშმებდით და გახსნიდა. კუჩხი ბედინერი, ურმული, მრავალჟამიერი და ამნაირი ხმები ისმოდა, შემდეგ სტალინი დაიწყებდა ლაპარაკს სამარიდან, რიგრიგობით ამოჰქონდა მამაჩემს სქელი და მძიმე ფირფიტები დაკეცილი გარმონის მსგავსი კოლოფიდან. მესმოდა სუსტი ხმა და დახშული ლაპარაკი პატეფონში ჩამძვრალი კაცისა. ერთი ფირფიტა ტაშისა იყო. იწყებოდა ტაშით, მთავრდებოდა ტაშით. გადააბრუნებდი — ტაში, გადმოაბრუნებდი — ტაში. მოახლოვდა არჩევნები. დაიწყო (ეს ყველაფერი შემდეგ გავარკვიე) წინასაარჩევნო კამპანია. კომკავშირელებმა სკოლის შენობაში გამოაწყვეს აგიტპუნქტი. გამოკიდეს წითელი დროშები, გააკრეს პლაკატები და მოსთხოვეს მამას პატეფონი. ბატონო მიხაკო, გვათხოვეო. არ ქნა. გააფუჭებთო. რავა გეკადრებათ, საკუთარივით მოვიხმართო. მაგას კი იზამთო, მამაჩემს ეთქვა, მუდამ სხვისაზე რომ გიჭირავო თვალი, თქვენი უნდა გქონდეთო. დაიბარეს რამდენიმე დღის შემდეგ რაიონში და აღარ დააბრუნეს. სხვები ამოვიდნენ. გაგვჩხრიკეს. წაიღეს მხოლოდ და მხოლოდ პატეფონი და წავიდნენ. მამას კი, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, დააბრალეს არჩევნების ჩაშლის მცდელობა, დაასახელებინეს თანამზრახველები და წამოიწყეს ოპერაცია კოდური სახელწოდებით „პატეფონი“. ბევრი გააყოლეს იმ ოპერაციას იმ რაიონში. გა-

ნათლების სისტემის მრავალი წარმომადგენელი დაიჭირეს. აგვხრიგლა ერთ დღეს დედამ შვილები და ჩაგვიყვანა თბილისში. მივადექით მამის ბიძაშვილს, ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, ღმერთმა აცხონოს, აღარაა ამ ქვეყანაზე და აღარ მოვისახელგვარებ. ასეა და ასეა ჩვენი საქმეო, ატირდა დედა. დაგვეხმარები, გავარკვევთ ყველაფერს, ჩალით ხომ არ გგონიათ ეს ქვეყანა დახურული, ნუ სლუკუნებ, დალაგებით მითხარი ყველაფერიო. დაიწყო დედამ და პატეფონის ხსენებაზე შეხტა გველნაკბენივით ჩვენი მწყალობელი.

— პატეფონზეა დაჭერილი?! — გადმოკაკლა თვალები.

აქ რამ მოგიყვანათ, რას მიშვებით, ვინ ხართო; მაგ საქმე ლავრენტი პავლოვიჩს ჰყავს აყვანილი კონტროლზე, არ ახსენოთ ჩემი სახელიო, უკანა კარით, არავინ დაგინახოთო, გამოგვიშვა გადარეულმა. რა ექნა! სადგურში შევითენეთ და რომელიღაც მატარებლით ჩავაღწიეთ სახლამდე მეორე დღეს, პირში წყალი ჩაიგუბა დედამ. ამის შემდეგ გავიდა დრო, გადაგვავიწყდა მარტო პატეფონი კი არა, მამაც. დაიწყო და დამთავრდა დიდი ომი, მოკვდა სტალინი და ერთ მშვენიერ დღეს გამოგვეცხადა მამაც. ვიცანით გუმანით. თვითონაც მიხვდა, ვინ ვიყავით. სად არი პატეფონიო, იკითხა და წაუვიდა დედას გული კიდევაც. პატეფონის ხსენებაა აკრძალული ამ სოფელში-მეთქი, ავუხსენი არ გაჭრა, იჩივლა. პატეფონი დამიბრუნეთო, წერა, იარა. პატეფონის წამლები კი არა, მნახველი ვერ მოიძია. ამასობაში ტელევიზორი შემოვიდა. მამაც მალე გარდაიცვალა.

1937 წლის ზაფხულში, ხვრეტების დროს ქართული ხელოვნების დეკადა გამართეს მოსკოვში. გვამღერეს, გვაცეკვეს, გვალაპარაკეს, ტაში გვაკვრევინეს და დაგვიჭირეს მაინც ზოგიერთები. ორდენებთან ერთად საჩუქრებიც ჩამოგვირიგეს. ზოგს რა შეხვდა, ზოგს-რა. რამდენიმეს პატეფონი ებოძა, რაც მთავარია, სტალინმა ჩამოარიგა პოლიტბიუროს წევრების თანდასწრებით. კალინინი კითხულობდა დადგენილებას. მდივანი მედლებსა და ორდენებს ანაწილებდა; სტალინი, როგორც გითხარით, არიგებდა პატეფონებს ხაზგასმული, ხომ ხედავთ, რას ვშვრებიო ფიზიონომიით, ირონიული მზერით, კონიაკით აპრიალებული თვალებით. მოქანდაკე ი. ნ-ძის კოლეგამ უჩურჩულა: წითელი პატეფონი არ აიღო, მემბრანა არ უვარგაო. არადა, წითელი წამოვიდა მაინცდამაინც თუ შეიძლება, მწვანეო. ნაძალადევი ღიმილი შეეყინა სტალინს სახეზე. ბერიას თვალებმა გამოანათეს პენსნეს შუშებიდან. უხერხულ სიჩუმეში შეყოვნდა. მოკლე მკლავქვეშ ამოდებული წითელი პატეფონი დადო მაგიდაზე, ამოიღლიავა მწვანე და გადასცა მოქანდაკე ი. ნ-ძეს.

ჩამოვიდა თბილისში სახეგანათებული, სახელოსნოში დაგვიყარა თავი მოწაფეებს, მოსკოვური ამბები მოგვითხრო. ბერია გიბარებთო, დარეკეს ამ ლაპარაკში. მალე დავბრუნდებიო, დაიბარა და გახარებული წავიდა, რაღაცას კიდევ მაძლევენო, გაიფიქრა. მე შენი დედა და ცოლი და შვილიო, ბერიამ აგინა რუსულად და ქართულად.

— პატეფონების ცვლა დამიწყე, კოპერატივი გეგონა!

გამწვანებული დაბრუნდა. იჯდა, დუმდა. ვერ ლაპარაკობდა.

— მოსე თოიძე სად ცხოვრობს?.. — ამოღერღა, როგორც იქნა.

რად გინდათ, ბატონო იაკობ, მოსე თოიძეო, შეჰკადრეს.

— მოსე უნდა მოვკლა!

მოსეს ჯვარი ეწერა და თავად კინაღამ გადაჰყვა შიშს და ჯავრს. სამი თვე ელოდა დაჭერას, ღამეების ეშინოდა, ზარის ხმაზე და დაკაკუნებაზე უსკდებოდა გული. არ დაიჭირეს, ყველას კი არ იჭერდნენ.

1937 წლის ზაფხულის მიწურულს, სწავლის დაწყების წინ ტყიბულში გაიმართა განათლების მუშაკთა ზონალური შეკრება თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული განათლების კომისარიატისა და სხვა კომისარიატების ხელმძღვანელი პი-

რების მონაწილეობით. იყო მუქარა, ტუქსვა. მარქსისტული საზარების კითხვა. მოძღვრავდნენ შეშინებულ პედაგოგებს და დამოძღვრილებზე მეტი დამმოძღვრელები დაიჭირეს. დიდი ჭერვები რომ დაიწყო, დამოძღვრილებმა თქვეს, ახია მაგათზეო. მეტი უნდა დაეჭირათო. რატომაო და რისთვისაო, არ უკითხავთ. დრო იყო ასეთი. პედაგოგთა უმრავლესობა, ყველაფერი მართალი რომ ეგონათ, დაიღუპა მაინც ომში, ოთხიოდე წლის შემდეგ რომ გაჩაღდა. იმ თავყრილობაზე კი ერთი გაუთვალისწინებელი სცენა გათამაშდა. არასრული სკოლის ახალგაზრდა დირექტორმა ავალო მინდიაშვილმა მოულოდნელად განაცხადა: ყველაფერი მე კი არა, ლენინმაც არ იცოდაო. დარბაზი გაილურსა და ავალო მასწავლებელმა შეცდომის გასწორება დააპირა ცალხაზიან რვეულში. გვიანღა იყო. არ იცოდა, პირიდან ამოფრენილი სიტყვის უკან ჩაბრუნება რომ აღარ შეიძლებოდა.

— ...მე იმის თქმა კი არ მინდა, არაფერი არ იცოდა ლენინმა...

„არაფერი არ იცოდაო!"

— პირიქით... — ოფლს იწმენდდა სამარის სიჩუმეში.

— ის ვთქვი, ყველაფერი არ იცოდათქვა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მართლა არ იცოდა ჩვენი საქმის, ჩვენი კი იცოდა, თავისიც იცოდა, ამაში არაა საქმე, ხომ შეიძლებოდა თოხნა არ ცოდნოდა...

„თოხნაო!"

— ანდა ვენახის აქიმობა, სიტყვაზე ვამბობ, შეწამვლა ვენახისა...

ლენინი, ზურგზე აპარატმოკიდებული, შაბიამნით დასვრილი ფრენჩით.

— ...ანდა სოფლის მეურნეობის სხვა საკითხები..... იმის თქმა კი არ მინდა, რომ ან ეს არ იცოდა... ლენინზე არაა საქმე... — უსველდებოდა ლურჯი სატინის ხალათი, ეკვროდა ზურგზე, გვერდზე ჩახსნილი საყელოს შავ-შავ ღილებს იკრავდა, ხედავდა გაოცებულ, დადუმებულ დარბაზს; გრძნობდა, რაც მეტს ფართხალებდა, მეტად იძირებოდა, ეკვროდა სუნთქვა და ნელ-ნელა მიტოპავდა ციმბირისაკენ.

7 ნოემბერს სახელმწიფო უშიშროების ერთმა თანამშრომელმა კოლეგები დაპატიჟა ახალ ბინაში. საცხოვრებელ ბინებს მაშინ, ოცდაათიანი წლებია, იშვიათად აშენებდნენ, მაგრამ თანამშრომლები სუკისა უბინაოდ (უთავოდ კი) იშვიათად რჩებოდნენ და გერონტი, ვინაც თანამშრომლები, სინამდვილეში უფროსები, დაპატიჟა, შესახლდა ხალხის მტრის, დახვრეტილი ინტელიგენტის სახლში. გასახლებულმა ოჯახის წევრებმა დატოვეს, — დატოვეს ალბათ, რადგან წასაღებად აღარ მობრუნებულან, — შეფუთული წიგნები. 7 ნოემბერს, სტუმრების მობრძანებამდე მუყაოს ყუთებში ჩაწნეხილი სწორედ ის წიგნები გამოალაგა და თვალსაჩინოდ გამოაწყო დიასახლისმა; ფერისა და სისქის მიხედვით დაალაგა თაროებზე... სუფრის გაწყობამდე ნერვიულმა სტუმრებმა ნარდით შეიქციეს თავი. ერთმა ნარდსაც ვერ გაუძლო და დიასახლისს მიმართა, თუ შეიძლება თქვენდამი კუთვნილ წიგნებს დავათვალიერებო.

— კი, თქვენი ჭირიმე!.. — გაღიმებულმა სამზარეულოდან შემოსული, სახეანთებული ტანსრული ქალი.

წიგნის მოყვარულმა სუკის თანამშრომელმა წითელყდიანი წიგნი გამოიღო თავდაპირველად და ტროცკი შერჩა ხელში. გამოიღო მეორე — ლენინი, მესამე — ტროცკი. იმ გაყოლებაზე სულ ლენინ-ტროცკი იყო დალაგებული.

— ქალბატონო... — მიუბრუნდა დიასახლისს სტუმარი. — ვერც კი ილდით ალბათ ოჯახში ამნაირი მშვენიერი წიგნების საკითხავად...

— მართალი ბრძანდებით... — დაეპუდა სუფრის გაწყობით გართული ქალი. — ჩემი მეუღლე კითხულობს ძირითადად.

— ბატონი გერონტი? — გულწრფელად გაუკვირდა თანამშრომელს: გერონტის წიგნიერებისა, სავსებით სამართლიანად, არ სჯეროდა.

— გერონტი, დიახ, თვალები აქვს ამოლამებული.

— საინტერესოა... კიდევა გაქვთ, ქალბატონო, ამნაირი წიგნები? — „ტროცკი“ აჩვენა.

— გატენილი გვაქვს სარდაფი... გერონტი ახლაც იქაა, ღვინოს ასხამს.

„კიდევ კარგი, იქაც კითხულობსო, რომ არ თქვა!“ — გაიფიქრა თანამშრომელმა, „ტროცკი“ შეაბრუნა თაროზე ფრთხილად.

ფინალი ადვილი ამოსაცნობია.

მეორე ღამითვე გაჩხრიკეს და დალუქეს გერონტის ბიბლიოთეკა, წაიყვანეს თავად გერონტი, რომელმაც მიებაშიაც ვერ გაარკვია, რა წიგნებზე იყო ლაპარაკი.

მხატვარ შალვა მენაღარეს (მენაღარაშვილს) სტალინის თაბაშირის ბიუსტი გადმოუვარდა მაგიდიდან. ფეხსაცმელს აკერებდა ლამფის შუქზე, გამოუსხლტა საპირედან გასანთლული ძაფი, გაექცა მარჯვენა, გაკრა იდაყვი სტალინის ბიუსტს და გადააგდო საკლასო რვეულებთან ერთად. ფეხსაცმელი, ძაფ-მახათ-სადგისი დადო ლამფასთან და დააჩერდა ნამსხვრევებს, რომლებსაც კაცი ველარააწყობდა ბიუსტად.

ეს რა დამემართა!

გადავყრიო, გადაიფიქრა. ნახავენ სანაგვეში, ვისიაო, მომძებნიან. ჩანთით წავიღებ, მტკვრამდე მისვლა არ გინდა, რა მიგაქვსო, რა გადაყარე მდინარეში, შეიძლება არც კი ჩაიძიროს ულვაშები...

მარტოხელა კაცი იყო, ეულად ცხოვრობდა მამის დანატოვარ ბინაში; ხატავდა, წერდა, თავს ირჩენდა ომის დროს. იმ დღემდე განსაკუთრებულად, არაფერს უჩიოდა. მარცხენა ფეხზე ადგა იმ დილით, სიზმარიც, შინელი ეცვა ვითომ მუშტაიდის ბაღში, აუხდა.

„წვრილად დავამტვრევ, პატრონიც ვერ იცნობს!..“

გამოიტანა ჩაქუჩი, დაიწყო ფრთხილად მტვრევა. ჯერ დამლა და სერიის ნომერი დაჩეჩქვა. მიადგა ცხვირს, ყურებს...

„...რას ამტვრევდი წუხელიო... რა ვუთხრა? მოვა დილით მენაგვე ჰასანა, დახედავს, შალვას სტალინია ნალდათარო, დაიფერთხავს ულვაშებს... ასე არ გამოვა...“

მოიძია ჭოპოსანი და დაუწყო ცხვირსა და ნიკაპს ხეხვა. ხეხა, ხეხა, დაიღალა, გადმოიღო როდინი, ჩაყარა ნამსხვრევები და დაუწყო ქვასანაყით ნაყვა.

რას ნაყავდიო, მკითხავენ რა ვუთხრა? ხმელ სუნელს გავურევ. ულვაშები არ უშველის ჰასანას, ტარაბუას დავასხამ ხმელი სუნელით...

შემოახვია როდინს ძონძები; ნაყა და ნაყა თაბაშირი დილამდე ხმელ სუნელთან ერთად.

— რა გადაყარე?!

კბილატკიებული მეზობელი ეწეოდა პაპიროსს ალიონზე სანაგვესთან და თეთრად მოფიფქულ, სურნელოვან ნაგავს უყურებდა.

— სალამი... ბოდიშს ვიხდი, ვერ შეგამჩნიეთ... თაბაშირი ამიფუვდა, ამ დილით ვნახე და არ მომეწონა... თანაც კატა მყავდა დასაბანი...

— კატა? — გასიებულ ლოყაში დაიგროვა მეზობელმა თამბაქოს ბოლი.

ერთი დამსახურებული პედაგოგი კაცი იყო, გვარად გოგიიაშვილი. პენსიაში გავიდა და გადაწყვიტა დაბრუნება ჭიათურაში, სადაც განათლების განყოფილების მეთოდისტ-კონსულტანტის ადგილსაც დაპირდნენ. მივხედავ სახლს მამიჩემისას, ვენახს ვუაქიმებ, ვიმსახურებ კიდევაო, გახარებული იყო. გამგზავრების წინ დაიბარეს სუკში; ამა და ამ საათზე მობრძანდით, თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სამვე დაგიხვდებათ სასაშვეშიო. მივიდა სასაშვეში შეშინებული და დაბნეული. ამა და ამ კაბინეტშიო.

წითურმა, სახეჭორფლიანმა კაცმა მიიღო, ეცნაურა და ვერ მოიახლოვა. დაბრძანდით, ამხანაგო გოგიიაშვილო, გავიგეთ, ჭიათურაში მიბრძანდებით, მშობლიურ ჭიათურაშიო. დიახო მოკლედ პასუხობდა. რა უნდათო, ეს ფიქრი აწამებდა. ჩვენო, წითურმა კაცმა უთხრა, ერთი მიწა-წყლისა ვართო. მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. ელექტრონის შუქზე თავსახეაპრიალებული სხვა ეგონა.

მოწერეთელი ვარ მეო, ვიცი, ბატონო, მის მამა-ბიძასაც იცნობდა, წითელი მოწერეთელი კი ამის გარდა არ ენახა. ვის ჰგავსო, სხვა დროსაც ფიქრობდა. ჩვენო, თქვა მოწერეთელმა, პატივსა ვცემთ თქვენს პედაგოგიურ გამოცდილებას, ალღოს, პარტიულობას, პატიოსნებას, 1924 წელიც არ გვავიწყდება, მაგრამ ამნაირ წვრილმანებს ყურადღებას აღარ ვაქცევთ, იმედია, გავუგებთ ერთმანეთსაო და სხვა. თანამშრომლობას თავაზობდა, რაღა მიხვედრა უნდოდა. ყოველი საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია მჭიდრო კავშირში იმყოფებოდეს ჩვენთანაო, ქვეყნის ყურთან, თვალთან, უშიშროებასთან; ჩვენთან უნდა იყოს მუშა, გლეხი, ინტელიგენტი, მით უმეტეს, დამსახურებული პედაგოგიო...

— მე არ შემიძლია, ბატონო, არ გამოგადგებით...

— ნუ აჩქარდები, ამხანაგო, გოგიაშვილო, ახლა შინ წადი, მოიფიქრე, აწონე, დაწონე ყველაფერი და პასუხი ხვალ მითხარი...

მეორე დღესაც იგივე გაიმეორა. არ გამოგადგებით, არ შემიძლიაო.

— არ შეგიძლია, ესე იგი... — ფეხები გაწვართა მაგიდის ქვეშ მოწერეთელმა. მარტო არ ყოფილან. ორი სხვაც იჯდა სხვადასხვა მაგიდასთან. დუმდნენ თავ-თავიანთ საწერში ჩაგულისყურებულნი.

— არ შეგიძლია...

— ნამდვილად არ შემიძლია, ბატონო, მე მიყვარს სკოლა, ბავშვები...

— ფეხბურთი თუ გიყვარს?

მოულოდნელმა შეკითხვამ დააბნია თანაც ფეხბურთი არ უყვარდა. იქნებ მოვიგო მოწერეთელის გულიო და მიყვარსო, თქვა. აქ კი უღალატა სიმართლეს, საკუთარ პრინციპს.

— ფეხბურთი ნაყვარება! — ორს გადახედა. ზანტად წამოდგა და ახალი „პადოშის“ სუნი იკრა გოგიაშვილმა, ცხვირთან მოხვდა ფეხსაცმლის ჭვინტი. ეტკინა და ვერ გაიგო, რა მოხდა. ახალმა დარტყმამ წამოაგდო სკამიდან. ზურგში მოხვდა სხვა წიხლი და იგრძნო სიბერე, წაბარბაცდა, გასცდა მოწერეთელს და გვერდიდან იგრძნო, შემდეგ ისევ წინიდან...

სამნი ურტყამდნენ, ოთახის ერთი კუთხიდან მეორესაკენ მიაქანებდნენ, წაქცევის საშუალებასაც არ აძლევდნენ.

შემოგვაკლა თავიო, გამართული ქართულით განმარტა ჯაგარბეგოვმა კოლეგიის შუაღამის სხდომაზე. შემოგვაკლაო... საბუთებში კი გარდაცვლილი მასწავლებელი, როგორც რიგი და წესი ჰქონდათ, ისე გააფორმეს.

თბილისელი მეკონდიტრე, ბუნებით კონდიტერი ადოლფ ალშვანგი პატიმრებით გატენილ მოზრდილ საკანს ათვალიერებდა ქსიტინით, მძიმე სუნთქვით; იატაკზე მიყრილ პატიმრებს დაჰყურებდა თვალებგადმოკაკლული, კვნესას, ოხვრას, ტირილს აყურადებდა. მითითებულ ალაგას დაკეცა მუცელი და ჩაჯდა ხვნეშით. რა ხდებაო, იკითხა ცოტა ხნის შემდეგ. ნაცემი ხალხი კვნესისო, აუხსნა მეზობელმა, ის კაცი, ჩაიში დასველებულ ჭინჭებს რომ ადებენ ზურგზე, სულ ახლახან დააძვამბილესო. რათა გცემენ, დაინტერესდა ხიხინით დიდი მეკონდიტრე. ყალბი ბრალდების ოქმზე არ ვაწერთ ხელსო. რათაო, დაგვხვრეტავენო. მაშინ ნუ მოაწერთო. ეგრეც გვშვრებით და ხვალ მე მიმასიკვდილებენო. ალშვანგმა იფიქრა, უყურა, ისმინა და — რომ მოვაწერო მე, მაგალითად, ხელი, რა მოხდებაო, იკითხა სვენებ-სვენებით. აღარა გცემენ, დაგხვრეტავენო. მეტი აღარაფერი უკითხავს. პატიმრები კვნესოდნენ, აქა-იქ ჩურჩულებდნენ, ელოდნენ, არ იძინებდნენ. სუკის ოთხკუთხედ ეზოში ნაშუაღამევს უკუსვლით შემოხრიალდებოდა საბარგო ავტომობილი, შეყრიდნენ ბარნიჩბებს და გაიყვანდნენ პატიმრებს. საკანი ფხიზლდებოდა, მანქანის მობრუნებას ელოდა. უკუსვლით შემოდიოდა კვლავ, ბარ-ნიჩბები იყრებოდა, ბეტონზე ფოლადის წკრიალი ისმოდა და ძილი ერეოდათ. საერთო სამარე — მოსწორებული, სუკის საწარმოო იარაღები — ჩამოყრილი იყო, მეორე შუაღამემდე აღარავის გაიყვანდნენ. მეო, თქვა მეორე დღეს ალშვანგმა, თავს ვერავის გავალა-

ხვინებ, ამ ხნისა მოვიყარე, ჯერ არავის ვუცემივარ, ვერც ვეცემინები... ჩემი წილი ერთი სიცოცხლე კი მე მეკუთვნის, მევე გამოვიყენებო. გაჩუმდა, ცოტა ხანი იქსიტინა და დაუძახეს. მალევე დააბრუნეს სალსალამათი, პაპიროსით დასაჩუქრებული. ახალი კოლოფი გახსნა, მწეველებს პაპიროსი დაურიგა, განახევრებული კოლოფი შემოდო რაფაზე, გააბოლა ზერელედ და ყველაფერზე მოვაწერე ხელიო, განაცხადა; ხვალ ან ზეგ გამიყვანენ ალბათ, ამელამ კი მშვიდად დავიძინებო. ეს თქვა და საკუთარი გვარი გაიგონა საკნებისა და კარების საკეტების რაჩხარუჩხში, საბარგო მანქანის ხრიალში. პატიმრები გაჰყავდათ, ბარნიჩბებს ყრიდნენ ძარაში. ალშვანგიო, იძახდნენ. გათეთრდა და ხმა წაერთვა ცოტა ხნით. შეიძლება ისევ გამომძიებელთან მეძახიან, ხელმოუწერელი ხომ არა დამრჩა რაო. ასე იქნებაო, დაამშვიდეს კრიჭაგახსნილებმა. საკნიდან მხოლოდ ალშვანგს ითხოვდნენ და შიში შორდებოდათ.

— ასე უცბად? — უკვირდა ალშვანგს და მეგვერდულეს უყურებდა.

— გამომძიებელთან აგიყვანენ ისევ, — ძლივს ამოილაპარაკა ხმაწართმეულმა მეზობელმა. ასე იქნებაო, სხვამ თქვა.

— აფერი არაა მაგ! — ხუმრობის ხასიათზე მოვიდა ერთი.

— თუ ეზოში ჩამიყვანეს, გასვლისას ხმამაღლა ჩავახველებ და მიხვდებით, დამხვრიტესო. — თქვა ალშვანგმა. ერთი ღერი პაპიროსი აიღო. კოლოფიც ჩაიდევიო, ურჩიეს. არაო, თუ ჩამომაბრუნეს, აქ დამხვდება, თუ არადა მეტი არ დამჭირდებაო. გააბოლა, კვამლი ფილტვებისაკენ არ ჩაუშვია, ხიხინით გავიდა, გაბუნაგებული საკანი დატოვა. კარი დაიგდო, ტალანიც დადუმდა, მძიმე ნაბიჯების ხმა შემოვიდა ცოტა ხნის შემდეგ. ჩალურსმულ ფეხსაცმელებს მიაფხოკიალებდა მეტლახზე თბილისელი მეკონდიტრე, სიტყვის კაცად ცნობილი ალშვანგი. წიკწიკებდა წამები, დროის ათვლის შეგრძნება იკარგებოდა.

— ხმუ! — ისე ხმამაღლა ჩაახველა, რომ ბარ... ის მცველი, რომელიც მოულოდნელ არაფერს ელოდა, საშინლად და... თდა. ჩახველების ექო კი ტალანებში დატრიალდა, ღამისა და დღის გასაყართან ჩაქვავდა, დავიწყების ხსოვნაში ჩაიკარგა, თბილისელი მეკონდიტრეც გადავიდა სცენიდან. იმ დღის შემდეგ იგი აღარავის უნახავს. არც მისი ამბავი უკითხავთ. მხოლოდ ის კაცი, ვინც იმ ჯოჯოხეთს გადაურჩა და ეს ამბავი გარეთ გამოიტანა, ახსენებდა ხოლმე დროდადრო.

თბილისის საშუალო სკოლის მოსწავლე ანრიმ სკოლაში კედლიდან ჩამოხია „რკინის სახკომის", ეჟოვის პორტრეტი. პროტესტი გამოხატა მამის დაპატიმრების (დახვრეტა არ იცოდა) გამო. დაასმინა მასწავლებელმა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ცოცხალი იყო; ანრიმ ეჟოვის პორტრეტი ჩამოხია მრავალთა თვალწინ და მასწავლებელმა დაასწრო სხვებს, რათა მომხდარი ფაქტის დამალვა ანდა დამნაშავეზე ხელის დაფარება არ დაბრალებოდა. მე რომ არა, სხვა იტყოდაო, იმართლა თავი დიდი ხნის შემდეგ. სხვა იტყოდა, მართალია, მაგრამ სასამართლო დაეყრდნო მასწავლებლის ჩვენებას, თუმცა ჰყავდათ ბრალდების სხვა მოწმეებიც (რამდენიც დასჭირდებოდათ, იმდენი) და მაინცო, ოფიციალური საჩივარი რომ არ შემოსულიყო, შეიძლება არც არავინ გამოგვეძახებინაო. ასე იყო თუ ისე, საქმე შედგა და თბილისის საშუალო სკოლის თხუთმეტი წლის მოსწავლე ანრის მიუსაჯეს დახვრეტა სულითა და სხეულით მახინჯი ეჟოვის სტამბურად ნაბეჭდი, მასობრივი ტირაჟით გავრცელებული პორტრეტის ხელყოფის გამო. სტალინს სურდა ბავშვების დახვრეტაც. სასჯელის უმაღლესი ზომა უნდოდა გაევრცელებინა თორმეტი, უკიდურეს შემთხვევაში — თხუთმეტი წლის ასაკის მოზარდებზე, რაც სახელმწიფოს ინტერესების აუცილებლობით იქნებოდა გაპირობებული, მაგრამ, გაითვალისწინა რა საბჭოთა დერჟავის ჰუმანური სტრუქტურის პრინციპი, 1935 წლის 7 აპრილის დადგენილე-

ბით დახვრეტა შეეფარდათ 16 წლისანებს და ზევით.

გამოიყვანეს ბიჭი ბნელი საკნიდან. უარი გეთქვაო შეწყალებაზე. მზეში თვალებწაჭუტული მიხვდა, დასჯიდნენ, ეტკინებოდა; სამაგიეროდ, მეორედ აღარ ჩაიდენდა ამნაირს, აღარ მოიქცეოდა დაუფიქრებლად, უაზროდ. მიჰყავდათ. მიდიოდა, უსახურ კედლებს ხედავდა, იყო სინათლე, დღე იყო, რას ნიშნავდა უარი? სიცოცხლეზე უთხრეს უარი? რანაირად? აღარ იქნებოდა აღარც ხვალ, აღარც არასოდეს?.. ანრის ჰყავდა დედა, სწამდა დედისა, ვინც შობა — იმ ქალისა... დედა შეურიგდებოდა მის გაქრობას?.. ყველაფერი იქნება, ყველა იქნება; იტყვიან, იყოო და აღარ ვიქნები?.. მიჰყავდათ არაფერში და ეგ მაინც არ იყო სიზმარი, სინამდვილეც არ იყო; დღე იყო და დილა იყო, მზე ამოდიოდა.

დღენათელში, დაბადების დღეს თექვსმეტი წლისას ჩააყოფინეს თავი გობში. ერთმა ერთი ხელი დაუკავა, მეორემ — მეორე, მესამემ ქოჩორზე დააჭირა ბლიკვი, თმა ატკინა და კაცი, რომელიც მარჯვნივ იდგა და ახალი „გიმნასტიორკა" ეცვა, გვერდზე გახტა, ალისფერ სისხლს გაერიდა, ხელებზე დაიხედა სახეშეჭმუხნილმა.

ნამდვილს ტყუილი ურჩევნიათ, მოგონილზე ღვრიან ცრემლს; მართალზე, იგი ხომ სიმართლეა, არ ტირიან. დახვრიტეს. მოკლეს. ჩამოახრჩეს. არაფერს ეუბნება მასას, ბრბოს. გაუნათლებელს, წარმოსახვის უნარდაჩლუნგებულს სხვისი ჭირის გულთან მიტანა არ შეუძლია, არც სურს... დახვრიტეს. უნდა დაეხვრიტათ. ყველა უნდა დაეხვრიტათ! ამ სიტყვების იქით სიცარიელეა და თუ მას არ კლავენ, თუ მის ნაშიერს არ ართმევენ სიცოცხლეს, ბუნების საწინააღმდეგო აქტი არ აწუხებს, პირიქით, რაღაც ფიზიოლოგიურ სიამოვნებასაც კი ანიჭებს მკვლელობის განზოგადება, მისი ფსიქიკური ინტერესებისადმი დაქვემდებარება.

1942 წლის 17 ოქტომბერს თბილისში დახვრიტეს უნივერსიტეტის ასისტენტები და ახლად კურსდამთავრებული ჭაბუკები — საქართველოს იმედი და მომავალი:

„...დედიკო, დეიდა! მე დახვრეტა მომისაჯეს. თუ რაიმეს მომიხერხებთ, კარგია. დეპეშა გაგზავნეთ მოსკოვში (სტალინთან და კალინინთან). მე კარგად ვარ, ნუ იდარდებთ, შეწყალების უფლება მაქვს. ამის მომტანს 100 მანეთი გამოვართვი და მიეცით. გკოცნით ყველას".

რა ჭკუაზე იქნებოდა 26 წლის შვილის ხელით ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ბარათის შემნახავი დედა.

დედიკო... დახვრეტა მომისაჯეს.

დედა შვილის დახვრეტას არ იჯერებდა. მადნებში წაიყვანეს სამუშაოდ. იცოდა და სიმართლეს არ იმხელდა. ღამეების თევით, არარსებულის მოლოდინით ილეოდა. ძილ-ბურანში ესმოდა:

„დედა, მე დამხვრიტეს!"

ილვიძებდა კივილით, სიცარიელეში ესმოდა და აშინებდა საკუთარი ხმა. ქარის წივილს აყურადებდა გათენებამდე და ცხოვრობდა ჩემს ქალაქში მასწავლებელი, დედა, რომელსაც სიმწრით გაზრდილი შვილი დაუხვრიტეს. არ ამხელდა და მოწაფეებმა არც ვიცოდით. მუშაობდა, არსებობდა, ღიმილიც კი გაუნათებდა ხანდახან ულამაზეს სახეს...

ადამიანების ისტორია წამებაა.

აწამეს არამარტო ქრისტე. მილიონები ქრისტემდე, — ქრისტეს შემდეგ: იან ჰუსი, ჯორდანო ბრუნო, ქეთევან დედოფალი და მრავალი სხვა. თავი მოჭრეს ლავუაზიეს, მარიამ სტიუარტს; დახვრიტეს: ფედერიკო გარსია ლორკა, გუმილიოვი, ტიციან ტაბიძე... საწამლავი შეასვეს სოკრატეს ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე.

ადამიანები აწამებდნენ ადამიანებს; ამწარებდნენ. აწამებდნენ:

ცეცხლში წვავდნენ, ჯვარზე აკრავდნენ, ახრჩობდნენ, მიწაში მარხავდნენ ცოცხლად. ხის კენწეროებით ხლეჩდნენ, პირში ასხამდნენ ადუღებულ ლითონს, მუცელში უყრიდნენ ბასრ რკინას; კლავდნენ უმიზეზოდ, სხვანაირი აზროვნებისათვის. კაცობრიობის საშველი არ იქნა-

ბა, სანამ იგი არ გათავისუფლდება შიშისაგანო. როგორ რანაირად? წმინდა წყალივით შემოდის დიდ, ამღვრეულ, ტალახიან-სისხლიან მორევში ქრისტიანული, აღმოსავლური სიმშვიდისა და მორჩილების მოძღვრებები, შედიან სიმღვრივეში და იკარგებიან ურწმუნოების ლიაში. შიში სხვადასხვანაირია: ადამიანური, ცხოველური, ინსტინქტური, კოლექტიური, არაცნობიერი და იგი ადამიანს მთლიანად არასოდეს ჩამოეხსნება, მაგრამ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი შიშისაგან საზოგადოების გათავისუფლება შეიძლება. ან სახელმწიფო უნდა იცავდეს ადამიანს, ან მორალი. ის რა სახელმწიფოა, სადაც არც ერთია (თუნდაც ფორმალური) და არც მეორე.

ცივა. ცას პირი ჩამოტირის. სროლაა. ხოცავენ ერთმანეთს, ანგრევენ საკუთარ დედაქალაქს თავისუფლების სახელით ზნეობასა და განსჯის უნარს აცილებული ადამიანები. არ მოსწონთ გენადი. გენადის ისინი არ მოსწონს. ხალხს უყვარს გენადი, გენადის არავინ არ უყვარს. ბედნიერი არაა ის ერი, რომელსაც ჰყავს გენადი და უყვარს გენადი! გენადის სძულს ერი.

ჯაჭვის რგოლი იქ გაწყდა, სადაც სუსტი იყო, თქვეს. წინააღმდეგობის ჯაჭვი სუსტი იყო რუსეთში, დაწოლა იყო დიდი, გაწყდა ჯაჭვი და მოხდა რევოლუცია, ტყუილია. ჯაჭვი იქ გაწყდა, სადაც ყველაზე დიდი სიძულვილი იყო ჩათესლილი. სიძულვილის ჯაჭვი გაწყდა.

მერე რა მოხდა? აეფცქვნა შემაკავებელი გარსი ტვინს და გამოთავისუფლდა პირველყოფილი ინსტინქტები?. არა. მონამ გადაყარა ხუნდები და ცხოველური შიშისაგან განთავისუფლდა მხოლოდ. ახლა მისთვის ყველაფერი დასაშვებია. თავისუფლდებიან და მისტირიან:

— გენადი, გენადი!..

ვინაა ეს გენადი? საიდან მოიყვანე. ვინა ხარ შენ თავად. საიდან მოხველ, რა მისიით, რა ცოდვით?! მახსოვრობის გენმა რა შემოგინახა, საიდან შეგეყარა ბელადომანია? გყავდა მართალი გმირი. ამირანი? ოდიოზური პირი. ამბავში ნაგლეჯები შენი და სხვისი მოგონებიდან, სამაგალითოდ მაინც ვის დაისახავდა? ამირანს? ღმერთს რომ შეეურჩა? აქედან ხომ არ დაგვყვა ფუყე სიამაყე, სრულყოფის სურვილი არაგაცნობიერებული? საიდან ამოდენა მზვაობა, ამპარტავნება სამკვიდროდაკარგული მონისა? ახლა ძალიან გიჭირს და გადარჩენის გზას თუ ხედავ?

„...ხოლო უფალმა თქვა: მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენაც რომ გქონდეთ...

...და უთხრა მას: ადექ და წადი! შენმა რწმენამ გადაგარჩინოს!"

— გწამს შენ თავად, მამაო?

— რას ბრძანებთ, ბატონო, რავა გეკადრებათ!

— ღმერთი არი?

— თუ იწამებ, არი.

—სული?

სული ჩვენც ხომ ვიცით (ჩვენ ყველაფერი ვიცით), არის!

მდინარე რაჩხას ხმაურში დალამდა. სულ ახლო გაჩირაღდნებული ადგილი გამოჩნდა. გადავაკებულში სხვა ხმაურმა იმძლავრა. საზეიმო—სამგლოვიაროდ გაწყობილი სასაფლაო უკაცრიელი აღმოჩნდა. არავითარი გიორგობა, არა დღესასწაული. სახლებად ქცეული, გაბდღვრიალებული, მოვლილი საფლავები. საფლავებსა და საფლავებშუა საჭმლის ნამუსრევი, ძვლები, ნაგავი, ცაცხვები და გაპარტახებული ბაზილიკა, ვიღაც მღეროდა, ვიღაც ლაპარაკობდა, ამერიკული ვიდეოფილმების ხმა ისმოდა. კარფანჯრებშებმული გალია-სახლ-სამარეები ცოცხლობდნენ. ცოცხალი მკვდარს, სულიერი უსულოს რადიოტექნიკით იყო დაკავშირებული. სახლში უყურებდნენ, სასაფლაოში ასმენინებდნენ არამარტო მუსიკას: ტელეფონის ზარს, საუბარს, ყვირილს, ტირილს, სადღეგრძელოებს. ხვნეშა არ ისმოდა მხოლოდ ქვეშაგებიდან. იმ დროს ელექტრონს თიშავდნენ, სახლს და სასაფლაოს აშორიშორებდნენ.

სიმონეთი. რბილი, გლუვი გორეზა· ყვირილასაკენ ჩაფენილი ზეგნები ზად-

ვენახიანი. ხალხი გონიერი... შედარებით. ძელქვები. ძეძვნარი. ჯაგ-რცხილები. კვრინჩხა. კუნელი (კურკანტელა). კორტოხის ძირში ბალახგადარებული, ალაგ მოვლილი, ალაგ მოუვლელი სასაფლაო. რაჩხიანის სასაფლაოზე ნაკლებ (რა შედარებაა) პომპეზური. ერთი სამარის სახლ-გალიასთან მივიდა ფოსტალიონი, სიგრძივ გაკეცილი გაზეთები შეყარა, ბეტონის, მოზაიკიან მაგიდაზე გაადენინა ტყაპანი.

– რა ქენი, თუ კაცი ხარ, მითხარი!

დაღლილი ფოსტალიონია. აღარსად ეჩქარება, ეტყობა, მაინცდამაინც.

– გაზეთები მივუტანე, ბატონო.

– ვისა კაცო, მკვდარსა?

– გამოწერილი აქვს და რა ვუყო!

— ვისა კაცო, მკვდარსა?

– მკვდარი უძახე შენ!

„კომუნისტი", „სოვეტსკი სპორტ", „ლელო", „კომსომოლსკაია პრავდა" და სხვა. — ამოვა, ალბათ, ჭირისუფალი და წაიღებს.

– ოჯახში ცალკე აქვთ გამოწერილი, ეს ამისია, მიშა ერქვა ცხონებულს...

– გაუმარჯოს, თუ სადმეა!..

სადაც არი, იქ გაუმარჯოს!

თუ სადმეა!

– ღმერთი არის?

– ღმერთის საქმე ასეა, ბატონო, ღმერთი... არი.

ზაფხული. სუფრაა მსხლის ქვეშ მთვარიანში, ფანდურღელის ჩხრიალი და ღამის ფრინველების ხმა ისმის. ვარსკვლავებით მოჭიქული ცაა ჩვენს ზევით.

– ბატონო მიტუშა, ყველაფერი ბრუნავს, კარგად მოგეხსენებათ, ყველაფერი უბრუნდება საბრუნველს...

– არაფერი არ ბრუნავს, ბიძია, ტყუილია მაგი... მაღაზიის ყარაული ვიყავი მე, შვიდი წელი გარეთ მეძინა... — ენა ეჩლიქება, წ-სა და ტ-ს ერთ ბგერად ამთლიანებს. — მთვარე ჩადის, მზე ამოდის და ესაა, ასე იყო სულ...

– ჩვენ ხომ ვართ დედამიწაზე?

– მერე?

– დედამიწა რაზეა?

– წყალზე.

— წყალი რაზე დგას?

— არ დამიწყოთ ახლა, კვერცხი ადრე გაჩნდა თუ წიწილა, რა ვიცი მე, რაზე დგას... — წიწილას ვერ ამბობს სწორად: — წტინწტილა...

— დალიე, ბიძია, მაგი ტყულა ნუ გიჭირავს ხელში, წასულების სადღეგრძელოა, სადაც იყვნენ, იქ გაუმარჯოთ...

— სული გწამს?

— სული არ ვიცი მე, რაცხა რო არ იყოს იქითაც, არ შეიძლება...

ეხ, მიტუშა, შენი ბოხოხი მომცა და ჩემი თავი!

უფლებისათვის, იდეებისათვის ბრძოლა, შურისძიება ადამიანის შეძენილი თვისებაა; ცხოველები, ადამიანთა „წინაპრებიც" კი, ფიზიკური და შთამომავლობითი არსებობისათვის იბრძვიან მხოლოდ. სიკეთითა და სიბოროტით, ნათელითა და ბნელით არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. არსებობისათვის ბრძოლა, თავისნაირის გაჩენა, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება თავდაპირველი, უზენაესის მონიჭებული საბოძვარია. მეტს არ ითხოვდა და ინარჩუნებდა სიმშვიდეს, რაც გამოთავისუფლებული ენერგიის ნელი ხარჯვისა და ლოდინის საშუალება იყო. ელოდა და მოლოდინში გადაავიწყდა; კვლავ აღორძინდა და კანონების — თავისიანზე გაბატონების წესების — გამოგონება დაიწყო. დაიპყრო დედამიწა და არ ჩათვალა თავისად. აღარ ემშობლიურება და სპობს. ცივილიზაციამ ნგრევის, წაშლის უნარი შესძინა და მოლოდინის შეგრძნება დაუკარგა. აღარ ახსოვს, აღარ ელის და დედამიწის გადაბალახების, ზღვის კოვზით დაშრობის პროცესი დაიწყო.

...ელიან მართლები, პირველყოფილ ნოსტალგიაშენარჩუნებულნი და ქვები. აღდგომის კუნძულებზე 525 ოცტონიანი კოლოსი დგას. დგანან. იხედებიან ერთი მიმართულებით, ერთი ვარსკვლავის, ეფემერიდის გაყოლებაზე დგანან. ელიან. სოლსბერის დაბლობში ბრეტების აგებული ოცდახუთტონიანი მონოლითებით აგებული ზუსტი და უტყუარი ზესამზე-

რია. 40 საუკუნის უკან მთავარი სამზერიდან სტოუნხენის თვალს არ აშორებდნენ ვარსკვლავს, რომელიც აღარა ჩანს და გამოჩნდება.. ნასკის ველი და პლატო (პერუ) გეომეტრიული ფიგურებითაა მოხატული. ისინი ზემოდან ჩანან მხოლოდ: მთლიანი პანო კი თვითმფრინავიდან იკვეთება. ასაფრენ-დასაფრენი მოედნის გეომეტრიული ფიგურები დიდდებიან და პატარავდებიან ზემოდან.

მზის კასეტა ტრიალებს მზის სამყაროში. სამოც ენაზეა ჩაწერილი ლაპარაკი. მიაქვს ამოსაცნობი ნიშნები, სანოტო ნახაზები, სიმღერები. ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე უსახური პრეზიდენტის ჯიმი კარტერის მისალმება. ზანგური მუსიკა, მეცხრე სიმფონია და „ჩაკრულო“. ჩაუარა იუპიტერს, სატურნს, ურანს, ნეპტუნს, იოს, ტრიტონს. მზის ციალიდან გადის, სხვა ვარსკვლავეთს ესალმება ბეთჰოვენითა და ზანგური მელოდიით, ქართული სიმღერით. აღარ ვიქნებით, აღარ იქნებიან და ჩვენით დატენილი, დამუხტული კასეტა მივა ცისფერი დელფინებით, ფესტოს დისკოთი, და გაჩნდება: ვინ იყვნენ?

ვინ ვიყავით?

მანამდე ელვა ჩაფატრავს ბნელს, წამით გაანათებს ნემესიდა მიწას, ნათელი ნათებით მოჭრის მზერას, მეხი დაიგრიალებს და დაიწყება მოლოდინის წვიმები.

პერუსა და ბრაზილიას შუა ადგილია, სადაც სულ წვიმს. წვიმს ყოველდღე: დილით, შუადღისას, საღამოს, სერისკუდის დადგომისას, ღამითაც. სულ წვიმს. ხან ცრის, ხან თქორავს. მზე გამოიხედავს, მთვარე გამოანათებს გვერდიდან და იქ მაინც წვიმს. თავსხმაა. მოდის თბილი, ხანდახან ფერადი, რბილი წვიმა. სხვაგანაც წვიმს, როგორც რიგია, ხშირადაც წვიმს, იქ სულ წვიმს, წელიწადის ყველა დროს, ყველა დღეს. იანეთში კოპიტზე ჩიტის ბუდეს აწვიმს. დედაჩიტი გადაჰფარებია ბარტყებს. დედის ფრთებბუმბულის ქვეშ სიმშრალეა. ჟრუნი კრუხი ფრთებს შლის ქოთქოთით, წიავ-წიავით იმალებიან ყვითელი წიწილები ფრთებქვეშ. ვარდისფერი, ნედლი ჭვანგება უჩანთ დედის მუცლიდან. ერთს ყვითელი თავი აქვს გამოყოფილი ფრთაში და უმეტყველო წერტილებით მისჩერებია გაცრიატებულ სამყაროს. დათვი ამთქნარებს ბუნაგში, ფეხს ილოკავს ერთგულებით, გულმოდგინებით, წყლის ფარდის იქით წყლის თხლიშინი ესმის, თვლემს და ელანდება; ძროხა იცოხნება ლაფაროში, ოჭვეთელასთან განისლ-განალვლიანებული, ლურჯბუზიანი თვალებია გაჩერებული. პერუ-ბრაზილიის ჯუნგლის კარავში გაბუნაგებული, უკვე ყურებდახავსებული კაცი გამოდარებას ელოდება. აქ სულ ხომ არ წვიმსაო, ეკითხება საკუთარ თავს გაოცებული. არადა სულ წვიმს. იცდის, მაგრამ არ გამოიდარებს. ედება ხავსი და ელოდება, ლაყუჩებად ექცევა ლოყები.

ორი სიხარული ელის ჯუნგლში ადამიანსო. სიხარული შესვლისა, სიხარული გამოსვლისა. დიდი მდინარეა ჯუნგლისა — ამაზონი, ორი დიდი სიხარულის, შეხვედრისა და გამოთხოვების ყვითელი წყლები მოაქვს, მოდის და მოაქვს.

ამაზონიის სიმფონია დაარქვეს მოცარტის „ბანგს“. ბურუსში, მთვლემარებაში გაატანა მუსიკამ დედა-მდინარისამ და თუთიყუშების ხმას მიუერთდა, ჯადოსნურ ხმებად დაიშალა, წყლის სველ სუნთქვას შეერია. მზერა გაუშტერდათ დედაშობილებს ტყის სულის შრიალზე.

წვიმს. შრება და ისევ წვიმს. იორთქლება ანაზონიის კაპილარებთან მიწა. პალმის ფოთლებით გადმოხურულ ლაფაროში, გვერდებმოღნიოშებულ ქოხებთან ანთია ცეცხლები, სხედან შიშველნი, უწვერულვაშონი, უბალნონი, თვინიერად გაშტერებულნი. ერთ მხარეს მზირალნი. წვიმს და სხედან ბოლში დედამიწის აბორიგენები. უყურებენ ცისფერი თვალებით, ახველებენ. დედას, შიშველს, უჭირავს ყრმა, დგას ლამაზი, ახლად ზრდადასრულებული დედა. წვიმს. სხედან. ბოლი წვავს თვალებს. ახველებენ. შიშველ ქალს შიშველი ყრმა ჰყავს.

წვიმს კვამლში.

აჭრილია მსოფლიო, წამლის კვამლი ასდის ცათამბჯენებს.

ქვემეხების ქუხილი ისმის ყოველი მხრიდან.

არ მოისვენებს ჩამოსული ხალხი და „აღდგება ხალხი ხალხის წინააღმდეგ...“ წითელი წვიმების დროა ჩამომდგარი, ჩვენ ვიხოცებით, ივერიის დროშას აფარებენ გრძელ კუბოს. ქარს მოაქვს მუსიკა და ისვრიან ქარში, დროშაგადაფარებულ რაინდს უშვებენ სამარეში და აყრიან კლდის ნატეხებს.

წითელი წვიმების დროსაც ვწერო. როცა ყუმბარები ბუგავენ მიწას, ზოგიერთებს მშვიდად ეძინებათ. ფარუნზე იღვიძებენ, ზარბაზნების გრიალზე სძინავთ. ზოგი დიდი სტრესისა და ნერვიულობის დროს ჭამს. მოვიდა ლექტორი იაგო ვ-ძე, არ გველოდა შეცბა. იკითხეთ, იკითხეთ, ხელს არ შეგიშლითო, გაიხმო მასპინძელი, პროფესორი კ-ვა და აღელვებულმა (ცოტა ნასვამი უნდა ყოფილიყო) უთხრა ცრემლების წმენდით:

— ცოლმა მიმატოვა...

გამექცა ფაქტიურადაო, დააზუსტა და მოუმატა ტირილს. საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი დაიბნა და დამუნჯდა, ვერაფრით ვერ გაიგო, ცოლი თუ გაექცა, რაღა ატირებდა ან მისგან რა უნდოდა. იყუჩა და სადღაც დაიკარგა. გული ხომ არ გაუხდა ცუდად-მეთქი. ჰოლში გაველ ფეხაკრეფით. სამზარეულოში დავინახე. ლობიოს ჭამდა პირდაპირ ქვაბიდან ღამის პირველ საათზე. ფეხზე ილუკმებოდა ცხენივით, პურის დიდ ნატეხებს აწებდა საინჯრეში რაღაცაზე ღრმად დაფიქრებული.

ორი ქუთაისელი თამაშობდა ჭადრაკს (გვარ-სახელებს აღარ გეტყვით); მუდმივ პარტნიორებს დავა და ჩხუბი ჰქონდათ მუდმივი. ერთ დღეს დათქვეს, აღარ ვიჭაჭყანოთ, ვისაც რამდენი გვინდა, იმდენი ვიფიქროთო. ასე იყოსო და ერთმა ყოველგვარ დროს გადააჭარბა. დაფას დაჩერებულს გაუშტერდა თვალები და 45 წუთის შემდეგ ჩაილაპარაკა: ვაი, რა უბედურად წავიყვანე ჩემი ცხოვრებაო, შე შობელძაღლო, მეგონა, მორიგ სვლაზე ფიქრობდიო, ფიგურები შეაყარა ნერვებდაწყვეტილმა პარტნიორმა.

რუსთაველის პროსპექტის ქართველთა ომში ახალი წლის დილას, კანტიკუნტი სროლების დროს მარქსიზმ-ლენინიზმის სარკოფაგის კედელს აფარებული რამდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის მეომარი სვამდა „სიბიენის“ კინოკამერის წინ. აზარტს გრძნობდნენ და გადამწვარი ქუჩის ფონზე სამ ხმაში მღეროდნენ დიდის მონდომებით: შაური შენ, შაური მე, შაური მამაშენს... ორ შაურად სულ გიყიდით შენ და მამაშენს...

— უკან ნუ ბრუნდები, არ ჩამოხვიდე უკან! — მეძახიან.

წადი შენც, კაცი არ გაკავებს!

უარესია.

— ონჭეიშელს მიაწოდეთ!

მარტოა ონჭეიშელი, მიაწოდეთ! რა გამოვა მერე! ბურთი ფარს მოხვდება, ცარიელ კალათშიც არ ჩავარდება...

სხვა შემდეგ მოხდება. გასარკვევი გვიან გაირკვევა, ბატონო ბესარიონ. წყალი დაიწმინდება, დაკრიალდება და გამოჩნდება. უჭაეროში ჩამორეკავს და ხმას დილით გავიგონებთ.

ჩემი ბოლოდროინდელი აღმოჩენა:

ჩარლზ დარვინს არ უბრძანებია თურმე, ადამიანი პირდაპირ მაიმუნისაგან გაჩნდაო. ბატონი დარვინი ამტკიცებდა: ადამიანსა და მაიმუნს ერთი წინაპარი ჰყავდათო. გამრავლებულან, გამაიმუნებულან, გაადამიანებულან ნაწილნი. არც ზიარი მაიმუნ-ადამიანის წინაპრობაა სახარბიელო და საამაყო, მაგრამ სულ არარაობას ეგ ჯობია; რაღაი პირდაპირ მაიმუნს არ ვყავართ შობილნი, ვინ დაემებს. სიცოცხლეო, მეცხრამეტე საუკუნეშივე ივარაუდეს, თვით მატერიის კბილა შეიძლება იყოსო. იგი ისეთივე ხნიერია, როგორიც სამყაროო. მარად მფეთქავი სიცოცხლე იბჟუტება, ქრება, ინთება, აკაშკაშდება, ერთი სხეულიდან მეორეში, პლანეტიდან პლანეტაზე, მზიდან მიწაზე, ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე გადადის. ბატონი ენგელსი ამ მოსაზრებებს აფიქსირებდა და, რასაკვირველია,

არ იზიარებდა. შრომამ შექმნა ადამიანიო.

შრომამ, დიახ:

ხელების ხელებად გამოყენებამ მაიმუნისა და ადამიანის ზიარი წინაპარი ორ ფეხზე სიარულს შეაჩვიაო. შემდგომ ამოიდგა ენაო, ყმუილიდან, დაუნაწევრებელი მეტყველებიდან ლაილაიმდე მივიდა და ბოლოს ჩამოუყალიბდა ტვინიო. ჩვენ პირიქით გვგონია, მაგრამ დავას არ ვაპირებთ.

ახლახან დმანისის ნაქალაქარში მოპოვებული ადამიანის ქვედა ყბა მილიონი წლით დაათარიღეს დაახლოებით. ამავე ხნის (ცოტა მეტი, ცოტა ნაკლები ასაკის) თავის ქალებში ჩარიწკინებული, კატლეტის საჭმელად გამზადებული კბილები აღმოაჩინეს. ისე რომ, დედამიწის ასაკი, ჩემი გულუბრყვილო დაანგარიშებითაც, დარვინის თეორიას (სახეობათა წარმოქმნის პროცესს) არ ჰყოფნის.

შრომამ შექმნა ადამიანი.

უკეთესად: შრომამ გააადამიანა მაიმუნი ანდა მაიმუნისა და ადამიანის საერთო წინაპარი — ნახევრად მაიმუნი, ნახევრად ადამიანი.

მასწავლიდნენ, მარწმუნებდნენ, მაიმუნისაგან ხარ გაჩენილიო; თავში მიჩაჩქუნებდნენ და ამ თეორიით მზრდიდნენ. თუ ცხოველის, პირუტყვის, ხვადაგვს წინაპრობა აუცილებელი იყო, უკეთესი არჩევანის უფლება რატომ არ დამიტოვეს?.. ამის პატიება შეიძლება?! რატომ არ წარმოვიშვი კეთილშობილი დელფინისაგან, მოლაღურისაგან, ქვიშნის ცვრიან რტოზე რომ ირწევა მზის ამოსვლასას ოქროსფერი გულმკერდით?

მაიმუნის გაადამიანების მეთეორიეები, კვლევის რომელიღაც მონაკვეთში, ორ ბანაკად (მონოგამისტებად, პოლიგამისტებად) გადაჯგუფებულან, ერთსახეობისა და მრავალსახეობის მომხრეებად ჩამოყალიბებულან. მარქსის მიმდევრები ამტკიცებდნენ: ერთი სახეობის ანთროპოიდიდან (შიმპანზედან) ვართო, მეორენი, რომლებიც რეაქციონერებად მოინათლნენ, რამდენიმე სახეობის მაიმუნით გამრავალფეროვანდნენ და ერთ რამეში შეთანხმდნენ: ნეანდერტალელი (მაიმუნის შორეული ჩამომავალი და ადამიანის უახლოესი წინაპარი) ასი ან სამასი ათასი წლის წინ ცხოვრობდა და მოღვაწეობდაო. ახალმა აღმოჩენებმა, დმანისის ნაქალაქარის ყბამაც, მილიონი წლებით გადასწია ეს თარიღი და ჩვენი მოწონებული ნეანდერტალელი გააბავშვა.

საინტერესო კია, რისი დამტკიცება სურდათ მაიმუნური თეორიით მარქსელებს, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული დრიოპითეკის (ადამიანის მსგავსი მაიმუნის) გაადამიანება, შიმპანზეს (სხვა მაიმუნები ვერ აიტანეს) გაფეტიშება.

შიმპანზე და ჩვენ.

გვყავდა ერთი წინაპარი. ერთი ვართ ყველანი — აქედან გამომდინარე. არსებობენ რასობრივი ტიპები, გარემო პირობებისაგან ჩამოყალიბებული სხვადასხვა ფორმის, ფერის ადამიანიშვილები და მაინც ვართ ერთნი, შიმპანზეს ძუძუ გვაქვს ყველას ნალეჭი.

ადამის ძენი არ ვიყავით ისედაც: ყველანი ხომ ერთ ღმერთს ვყავდით გაჩენილნი მსგავსად და სახიერად მისისა. ეგრე იყო, მაგრამ მაიმუნობა ღმერთსაც უარყოფდა, უღმერთობას ამკვიდრებდა, მარქსიანობას აუკვდავებდა და კიდევ რაღაცაშია საქმე. აქ მეტი დაკვირვებაა საჭირო.

გვყავდა ერთი წინაპარი და გვყავს ერთი გენადი. გენადი დიდი, გენადი ნიჭიერი, გენადი სახიერი, მოძღვარი, სწავლული, პოლიგლოტი, პოლიტიკოსი, ყველას მაგიერ ინტელიგენტი, გენადი, ჩვენი, ყველასი!

რამდენიმე წლის წინ უგანდის ტროპიკებში იპოვეს ბიჭუნა, ექიმების ვარაუდით — შვიდი წლისა, რომელსაც დღემდე ერთი დანაწევრებული სიტყვა ვერ წარმოათქმევინეს. იგი ახლაც საბავშვო სახლში ჰყავთ, წვრთნიან, ზრდიან, არა გამოუდით რა. უღრან ტყეში გაზრდილს მხეცთაგან ძუძუნაწოვს ტყისკენ გაურბის კვლავ თვალი, წკმუტუნებს, როგორც კი საშუალება მიეცემა, ღეჭავს ბალახს, ტკვირავს ხის ყლორტებს; კანსქელს, ხელფეხდაბედებულს სიარული

უჭირს, ოთხზე დგომა ურჩევნია; მეცნიერები და ზედამხედველები (მსგავსი შემთხვევების ანალოგიით) მხეცთაგან მიტაცებულ ადამიანიშვილს ამსგავსებენ. დღემდე ვერ ჰგუობს ტანსაცმელს, იბრდღვნის, იხევს ტანზე ჭინჭებს, სათამაშოებსა და თანატოლებსაც ყურადღებას არ აქცევს. დაამყარებს თუ არა ცოდვის დღეზე გაჩენილი ადამიანებთან კონტაქტს ოდესმე, — არ იციან. ექიმებისა და ექსპერიმენტატორების მეცადინეობას კი ჯერჯერობით სასიკეთო პირი არ უჩანს.

ხომ მშვენიერია კიპლინგის „მაუგლი", მშვენიერია „საიდუმლო კუნძული", ნაკლებ ფერადი, უფრო მიმზიდველი სამაგიეროდ. დაუსახლებელ კუნძულზე იძულებით დამკვიდრებული აირტონა თორმეტ წელიწადში გაველურდა. უსახსოვრეს ქოხი, დაუტოვეს, როგორც ბატონი ენგელსი იტყოდა, საწარმოო და სამეურნეო იარაღები და მაინც გაველურდა. მარტოობამ გააპირუტყვა. ზღაპარიაო, მაგრამ სიმართლეცაა ზღაპარში...

თანამედროვე, ცივილიზებული ადამიანის ჩამოყალიბებას მილიონი წელი მოხმარდა, უკან დაბრუნებას ათეულიც ეყო. მუნჯის ალაპარაკება ძნელია, მოლაპარაკის დამუნჯება — იოლი. კაჟის დანის გაკეთებას ეპოქა დასჭირდაო, ტვინის ჩახვევას — მილიონი წელი, გამოტვინებას — არაფერი. ამის დასადასტურებლად ტყეში გაზრდილი ბავშვების, მხეცთაგან ძუძუნაწოვ ადამიანიშვილთა „აღზრდის" მრავალი და მრავალი ისტორიაც გამოდგება და მშვენიერი „საიდუმლო კუნძულის", მშვენიერი „მაუგლის", ჯუნგლის სიმღერების მოშველიება არცაა საჭირო, მაგრამ სწორედ მათი წყალობით დავარქვი ადამიანთა დეგრადირების, უკუგანვითარების პროცესს აირტონიზმი.

არა მარტო შრომამ, შრომის თუ „საწარმოო იარაღების" ერთობლიობამ, არამედ ბრძოლამ, საბრძოლო იარაღებმა, ძმათაკვლამ, თავდაცვითი ნაგებობებისა, სარწყავი და სანაოსნო საშუალებების აუცილებლობამ ჩამოაყალიბა დღევანდელი ადამიანი, მაგრამ ჩემი უმეცრება, ურწმუნოება მაიმუნის გაადამიანების დიალექტიკაში (ბოდიშს კი ვიხდი ბატონ დარვინთან) არ მაჯერებს. დედამიწის ხნოვანება, ასე მგონია, ამ პროცესისათვის საკმარისი არ არის. სახეობათა გაკეთილშობილება (სახეობათა შერჩევა) ფაქტია, მაგრამ ერთი სახეობიდან მეორე არ წარმოიშობა, დარვინი, მიჩურინი, კოზლოვი, პავლოვი, ბუდიონი, თავად ბატონი ენგელსი საბუთად არ გამოგვადგება. ყეფამ ხომ არ შექმნა ბოლოს და ბოლოს ძაღლი, გალობამ ფრინველი, ყროყინმა ვირი.

ადამიანმა გაიარა უგრძესი და ურთულესი გზა, კაციჭამიობისა და სიყვარულის მინდორი, ქვის ხანიდან ელექტრონის საუკუნემდე მოვიდა, გამოქვაბულიდან ცათამბჯენებში შესახლდა, ხილტონებში დაბინავდა.

ხუთი ცივილიზაცია დაიღუპაო, ერთი ნათელმხილველი ამტკიცებდა. თუ მართალია, მეექვსესაც გამოუვა წირვა, რაღა ლაპარაკი უნდა. ბევრი ნათელხილვის გარეშე ამტკიცებს და ვერ ასაბუთებს: მოსულნი ვართო სხვა პლანეტებიდან. ვარსკვლავებიდან ქარი არ გადმოგვყრიდა, ნეანდერტალელის, ტროგლოდიტელი ტვინით ხომ ვერ ჩამოვსახლდებოდით. დიდი ცოდნით, ტექნიკით აღჭურვილნი ჩამოვეთესლებოდით და უმაღლესი ცივილიზაციის ნაშიერნი თანდათან, დროისა და გარემოების შესაფერისად დავქვეითდებოდით.

I. უადამიანო დედამიწაზე დაჯდა ხომალდი ადამიანებით.

II. იძულებით თუ საკუთარი სურვილით, მშვიდობიანად ჩამოვსახლდით გონიერი არსებანი.

შემდეგ:

კავშირი გაწყდა მშობელ ჭულსართან. გაბრუნება არ მოხერხდა. დავმკვიდრდით სასიცოცხლოდ ვარგის სხვა მიწაზე. დავრჩით თუ ჩავრჩით.

თანა აქვთ: საშრომო, საბრძოლო იარაღები, გამომთვლელი, გონიერი მანქანები და სხვა... კოლონისტები („საიდუმლო კუნძულის" ავტორის ტერმი-

ნით ვისარგებლოთ) არსებობაზე (საკვებზე, სათბობზე, ჩასაცმელზე) დაიწყებდნენ უპირველესად ფიქრს. ნადირის ხორცის, ტყავის, მცენარეთა ნაყოფის მომარაგებაზე, თან ჩამოტანილის შევსებასა და გაზრდაზე იზრუნებდნენ. გონების პროდუქტი (მანქანები, ხელსაწყოები) არ იჭმება, არ ისმება. ცივილიზებული ადამიანი კი, რა მეცნიერების წარმომადგენელიც უნდა იყოს იგი, საწარმოო იარაღების მომხმარებელია და არა შემქმნელი. ხმარობს და არ აკეთებს, აპროექტებს, ხაზავს და არ აგებს, იცვამს და არ კერავს, არ ქსოვს; წერს, აფორმულებს, მაგრამ ვერ ადნობს, ვერ კვერავს; გამომთვლელ მანქანებს აპროგრამებს, ამუშავებს, მაგრამ დეტალებს ვერ ჩარხავს, ელექტროხელსაწყოებს ვერ მუხტავს და სხვა და სხვა. გავა წლები: დენის წყარო დაიშრიტება, რკინას ჟანგი შეჭამს, ტყვიას — ნადირი, წიგნებს და ნახაზებს—ჩრჩილი და ნესტი; სიდუხჭირე, ყოველწამიერი ფიქრი არსებობისა მოგონებებსაც დააბედებს, აზროვნებასაც დააბლაგვებს და ახალი თაობა გაველურების პირველ ნიშნებს გამოამჟღავნებს...

გაველურდებიან. კაჟის ძებნას, დამუშავებას, ხმარებას დაიწყებენ, შევლენ ხეებზე, თუმცა კუდი არ გამოებმებათ არაფრისდიდებით. ტვინი არ დაპატარავდება. იგი დროდადრო აენთება თავის ქალაში, პატრონს მოსვენებას დაუკარგავს, ცეცხლის ალით განათებული გამოქვაბულის კედლებზე სკაფანდრიან კაცებს, ლითონის ფრინველებს მიახატვინებს,

და კვლავ ისწავლიან რკინის გამოდნობას, ომს, თანამოძმეთა ხოცვას, ერთი დედის შვილთა ნაშიერნი ამოულეტენ ერთმანეთს და ლურსმურად დაიწყებენ წერას. მახსოვრობის გენი ბუნდოვან მოგონებებს აუშლით დროდადრო, ციური სხეულების გადაადგილება ახალ ენერგიებს, იმპულსებს მიანიჭებთ; ააგებენ პირამიდებს, ტაძრებს, სალოცავებს, ოპერის თეატრებს.

ბრაზილიის ჯუნგლში, ამაზონიის აუზში, რიუ-ნეგრუზე ააშენეს ქალაქი მანაუსი და აგეს მსოფლიოში თუ ყველაზე დიდი და საუკეთესო არა, ერთ-ერთი დიდი და საუკეთესო ოპერის თეატრი, სადაც არასოდეს ოპერა არ დადგმულა. ჯუნგლს შესეულ კაუჩუკის მომპოვებელთა აზრით, ქალაქი კიდევ უფრო გაშლიდა მხრებს, გაიზრდებოდა, გამრავლდებოდა და ოპერის თეატრი ამღერდებოდა; ჩამოვიდოდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მომღერლები, ბალერინები, მუსიკოსები და სხვა. ეგრე არ მოხდა. კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდა.

ხელოვნურმა კაუჩუკმა გააბითურა კაუჩუკის მომპოვებელი, დააქვეითა, დაამცრო და გადააშენა. ქალაქი დალარიბდა, გატყიურდა მანაუსი. ტრამვაის ლიანდაგებს გადაუარა ჯუნგლმა, ხავსმა დაფარა ოპერის თეატრის კედლები, ნესტმა დაუწყო ჭამა ქვას, ხვიარამცენარეები შემოეხვივნენ კოლონადის სვეტებს, გადაეგნენ სახურავს. ახლა მახრჩობელა გველებს ყიდიან აბორიგენები ტურისტებზე ოპერის თეატრის კიბეზე. სახურავზე შავი გრიფები თვლემენ, ბურანიდან არ გამოდიან მოშიებამდე.

ქვემო ქართლში, ადვილი გადასამოწმებელია, ჭურში ცხოვრობდნენ პირველყოფილი ადამიანები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კრაზანების სარაჯებივით მიწყობილი მოჭურთავებული ქალაქი ფრინველთა ბუდეებსაც ჰგავს. კიბით ჩადიოდნენ ჭურში, ჭურში ინახავდნენ კიბეს ღამით, გათენებამდე. უკარო და უსარკმლო ჭურიდან ადიოდა კვამლი და ყიოდა ჭურგარეთ ზიარი მამალი. შემდეგ: გამოჭრეს კარი, გააკეთეს სარკმელი, გაფართოვდნენ, გაკიდეგანდნენ ზოგიერთები, აეშალათ მოგონებანი, დახატეს უცნაური ფრინველები, გამოადნეს ლითონი, გაჭედეს რკინა, დაჩეხეს ერთმანეთი, გაფხენეს და აბოლეს დენთი, შექმნეს შიდაწვის ძრავები, მოიგონეს კომუნიზმი, სუკი, სენატი, ფედერალური ბიურო, ჩამოაყალიბეს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლები... მივიდნენ იქ, საიდანაც დაქვეითდნენ. ეგაა აირტონიზმი, უკან წასვლის,

უკუსვლის დრო დგება, დაქვეითების სტარტზე დასადგომად ემზადება დედამიწა. 50 მილიარდი წლის შემდეგ ხელახლა დაიწყებს სამყარო შეკუმშვას და 50 მილიარდი წლის ლოდინი დასჭირდება ხელახლა აფეთქებას, ყველაფრის ხელახლა დაწყებას... „...რაც ყოფილა იგივ იქნება და რაც მომხდარა — იგივ მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი".

ინდოელი მეცნიერები (რამდენიმე პატივცემული გვამი) დედამიწის სიცოცხლის წარმოშობას კოსმიურ გენებს, კოსმიურ ვირუსებს უკავშირებენ*. ზოგიერთი ევროპიელი თუ ამერიკელი სწავლულიც იზიარებს ამ ვარაუდსაო. იმათი საქმეა. ჩვენ ასე შორს ვერ წავალთ, ამჯერზე აირტონიზმით შემოვიფარგლებით.

მოგვეხმარება:

დარვინიზმი (საფუძვლები).

მარქსიზმი.

ენგელსიზმი (არ არსებობს ამნაირი მეცნიერება).

ლენინიზმი.

პოლიტეკონომია (იზმი აღარაა).

საზოგადოებრივი მეცნიერება (ბოლოს მოიგონეს).

გული წაუვიდა ჟოზეფინას მარქსიზმის ლექციაზე დიდი ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვით ადრე. თავბრუსხვევას გრძნობდა დილითვე. ჩაის დალევაც კი ვერ მოვასწარიო, ეთქვა. გული წაუვიდა უჭმელობით, ისედაც სისხლნაკლულს, გამხდარს, მარქსიზმის ჩათვლაზე ნანერვიულებს. ესეც მე დამბრალდებაო, ფერი დაკარგა ლექტორმა შურა ფხალაძემ, დემობილიზებულმა მასწავლებელმა. ჟოზეფინა აუდიტორიაშივე მოსულიერდა, ფხალაძეს საყვედურიც არ შეხვედრია, იგი კარგა ხნის შემდეგ დაიჭირეს ქრთამის აღებისათვის, დანომრილი ფულით შელებილი ხელები გადმოუტრიალეს მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე. რაც ადრე იშოვნა, ძიებაში გამოაჭამეს, სასამართლოში გააყიდინეს სახლი და გამოუშვეს. სტუდენტისაგან მაინც არ უნდა აეღოო, დაამადლეს.

არ მესმის ეს მარქსიზმიო (ვითომ ფხალაძეს ესმოდა), წუხდა ჟოზეფინა, მარქსის „კაპიტალს" ვერასდიდებით (ვინ აძალებდა, არ ვიცი) ვერ წავიკითხავო, ვერც მეო, ვერც სხვაო. ვერავინ ვერ კითხულობსო. იმ კაცმა დაწერა და თქვენ ვერ კითხულობთო, უკვირდა დედაჩემს.

— არ შეიძლება მაგისი წაკითხვა, ნადეჟდა დეიდა!

— ბევრი უნდა ჭამო (სად ჰქონდა ბევრი საჭმელი) და წაიკითხავ... — ურჩევდა მეზობლის ჟოზეფინას, დაფოთლილი, ლიპაბეჭებიანი, სხეულზე ჩამომწლეული კაბა რომ ეცვა. საკვებნაკლულს თაყვანისმცემლებიც არ ჰყავდა. რომ გათხოვდა, მერე მოებრიცათ თვალი (ომიდანაც დაბრუნდნენ), მაგრამ გვიანღა იყო. წყალი გადაივლო იასამნის ბუჩქებით შემობურდულ კორდში შიშველ ტანზე, ეგონა ვერავინ ხედავდა უკაცრიელ ალაგში. არც სიგამხდრე ეტყობოდა შიშველს, არც უჭმელობა. რბილ, თეთრ მკერდს და თეძოებს უნათებდა იასამნის ყვავილების იქით ჩამავალი მზე. ზუსტი ხელსაწყოების ლაბორატორიის გამგე იოველ ღვალაძეს გაჰყვა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე. ზუსტი ხელსაწყოების დიდოსტატი იოველი ჟანგიან სასწორებს დააჩხარუნებდა და მწვანე ბაზრის დახლებზე ანაწილებდა პროთეზის ჭრიალით.

— დაწერა იმ კაცმა და თქვენ ვერ კითხულობთ?!

— ვერ ვკითხულობთ, ნადეჟდა დეიდა... — ჩალისფერ თმას იწორებდა, მწვანე კრიალა თვალებით ჩასჩერებოდა მრგვალ სარკეს.

მართლა და მართლა, რა დაწერა ბაბუა მარქსმა იმნაირი უბედური, კაცი წამკითხველი რომ ვერ აღმოვაჩინე. წიგნი ასეთი უნდა, დაწერა და, თუ კაი ბი-

---

* სამეცნიერო ცენტრებში ამჟამად სერიოზულად ამუშავებენ მარსზე სასიცოცხლო პირობების შექმნის (მიკრობების შეყვანის, გრავიტაციული ველისა და წყლის ორთქლის წარმოქმნის, ატმოსფეროს დაკავების) აუცილებლობის თეორიულ პროექტებს.

ჭი ხარ, წაიკითხე.

დავყურებდი სქელტანიან, აგურისფერ, აგურივით მძიმე წიგნს. თარგმანი მალაქია ტოროშელიძისა. მალაქია ტოროშელიძე (ხალხის მტერი) იისფერი მელნით იყო გადაშლილი, თუმცა მალაქია ჩანდა და ტოროშელიძეც ილანდებოდა სხვენში კრამიტების ღრიჭოებიდან ჩამოღვრილ მზის სხივებში. თბილოდა და ჩახლართული წინადადებების ლაბირინთებში ვოვლემდი, ვფხიზლდებოდი, თავიდან ვიწყებდი; წინადადებას (აზრს ვინ ჩიოდა) წინადადებას ვერ ვუკავშირებდი, სიტყვები მოდიოდნენ ორ მწკრივად, ერთმთლიანდებოდნენ, იშლებოდნენ, ერთდებოდნენ კვლავ ბორბლების რახარახზე. უდაბნოში ვეძებდი წყალს, ყვითელი სილის დიუნებს იქით ვხედავდი ოაზისებს, პალმებს, შადრევნებს და ვკითხულობდი, რას? არ ვიცოდი, ვმარცვლავდი, ყვითელ ქვიშაში, ხუანხეს ნაპირზე ვეძებდი ჩინგისხანის დაკარგულ სამარეს.

ექვსჯერ ჩააბარა თამაზ შაორშაძემ პოლიტეკონომია, სამჯერ ერთსა და იმავე კურსზე. ჩააბარა, მხოლოდ ჩაიბარეს თუ არა, ვერ გეტყვით. თავად რომ არაფერი დაიტოვა, ვიცი. პატრონი არ ჰყავდა, სხვისი მოიმედე არ ყოფილა და თავად კითხულობდა პოლიტეკონომიას, თავს და ბოლოს ვერ ურკვევდა, კითხვაშივე ეძინებოდა. ერთადერთი წინადადება, კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშა იძულებულია ლუკმა სანაგვე ყუთებში ეძებოსო, დაიმახსოვრა პოლიტიკური კარაბადინიდან. წიგნი არ გადაუგდია ამიტომაც, ორი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც. შემოიდებდა პოლიტეკონომიის დიდ წიგნს აპრიალებულ შუბლზე საწოლში და გულაღმა იძინებდა, შეიბრუნებდა გვერდს პირველი ძილის გასვლისას და გადაშლილი წიგნი მოადენდა იატაკზე ტყაპანს. არ ეძინებოდა უიმწიგნოდ, უპოლიტეკონომიოდ; არ შველოდა საძინებელი აბი, ღვინოც კი. გადაშლიდა ნებისმიერ ადგილას, ჩაიკითხავდა პირველსავე აბზაცს, რომელსაც თვალს დაადგამდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ეძინა, წიგნი ედო აპრიალებულ, მაღალ შუბლზე. ბათუმის სასტუმრო „ინტურისტის" ნომერში მივლინებით დაბინავებული უძილობამ გატანჯა. თბილისში ტელეგრამა აფრინა, პოლიტეკონომიის დიდი წიგნი გამომიგზავნეთო. ცას ეწიენ სიხარულით მამიდები, საკანდიდატო მინიმუმის ჩასაბარებლად სჭირდებაო. ცოლი ვერ შეირთო, ოჯახი ვერ შექმნა, თორემ მშრომელი კაცი დარჩა. სამსახურიდან დაღლილი ბრუნდებოდა. დილაბნელში რკინიგზის საბარგო სადგურში გასული, ალიონზე ასადგომი, ადრე წვებოდა, მეკარტეებს და მსმელებს გამოეთხოვებოდა, გამოიმარაგებდა თავსასთუმალთან წიგნებს: მერიმეს, თუკიდიდეს, პლატონს, პოლიტეკონომიას, რასაკვირველია, და სხვებს. ერთი წიგნი სჭირდებოდა და ბევრს რას ეხარბებოდა, არ მესმოდა. შუბლზე გადაიჩრდილავდა პოლიტეკონომიას, გაახსენდებოდა მამიდების ოცნების დისერტაცია, ჩაიკითხავდა ნახევარ გვერ-დამ-დე და გასრიალებულ შუბლზე ედო წიგნი, ეძინა და მიდიოდა ცხოვრება.

ერთ გამოქვაბულში, სადაც მრავალი ათასი წლის წინ ქვის ხანის ადამიანებს უცხოვრიათ, კაჟის დანებისა და ბუნიკების საგროვებელში ზღვის ნიჟარების „კოლექცია" იპოვეს. მძივებად მიწყობილი, ფერი-ფერში გადასული ნიჟარები იყო ჩალაგებული კუთხის ბუჯერში. მრავალი ათასი წლის წინ გოგონა ოკეანის ნაპირას ქვიშაში ეძებდა და აგროვებდა ფერად ნიჟარებს, სადედოფლო სამკაულებს იზმანებდა და მილიონი წლის შემდეგ რაღაც იმდაგვარი ახსენდებოდა, წმინდა ფერებს ხედავდა ძილში, ქვის ხანის სიზმრიდან გამოდიოდა ტორშერის მკრთალ შუქში და რბილი მუსიკის სხივებში გახვეული.

კადავა კანში (რელიგიური კასტა ყოფილა ინდოეთში) ერთი უჩვეულო წესჩვევა აქვთ საუკუნეებით შემომტკიცებული. ქალიშვილებს მხოლოდ 12 წელიწადში ერთხელ, ისიც განსაკუთრებ[illegible] კათხოვების უფლება.

ზოდიაქო შემობრუნდება, თორმეტი წლის ერთი დღეც გაფრინდება და დაიწყება მომდევნო სიხანგრძლივე 12 წლის ჩამოცლამდე.

და ელოდებიან უსაშველოდ გრძელი თორმეტწლიანი წლის გასრულებას. საბედნიეროდ, ამ უსაშველობასაც ჰქონია საშველი. ქალიშვილები ყვავილებზე იწერენ ჯვარს. ყვავილი დაჭკნება, ქალი ქვრივდება (ქვრივზე თორმეტწლიანი ციკლი არ ვრცელდება) და, როცა უნდა, გათხოვდება კიდეც. ყვავილის გარდაცვალებას კი დიდი დრო არ სჭირდება.

იავას კუნძულზე ერთი ჯუჯა, მრავალწლიანი მცენარეა, რომელიც მიწისძვრის დაწყებამდე, ვულკანის ამოფრქვევამდე გაყვავილდება. ქალიშვილები თვალს ვერ აშორებენ თეთრ-წითელა მცენარეს, ბედნიერების ნიშანი ჰგონიათ და მონუსხულები დგანან. ბანალაბურმგნილი მამაკაცები თავქუდმოგლეჯილნი გარბიან, საჯდომზე იტყაპუნებენ შიშველ ფეხისგულებს.

გაქალღმერთებას ზეიმობენ ნეპალში და კამეჩს კლავენ დიდი ტაძრის წინ. ალისფერი სისხლით ილებება ფილაქანი წარბშეუხრელი, გარუჯული გოგონას თვალწინ. არ შეეშინდაო, დაასკვნეს ქურუმებმა და არც კი გვგონია, მარტო ამ ნიშნით აერჩიათ ქალღმერთად, კუმრად იმ დღეს საკიაბხიკშუ, დიდი და ღარიბი ოჯახის ნაბოლარა.

ტაძარში იზრდებოდა ამის შემდეგ გალიის ჩიტივით. წელიწადში ერთხელ ოქროს ტახტრევანით გამოჰყავდათ ზეიმზე კატმანდუს ქუჩებში, თაყვანის საცემად გამოსული ხალხის დასანახებლად. ტაძარში სალოცავად მოსული მეფე-დედოფალი და დიდებულები მუხლმოყრილნი შეჰყურებდნენ და თვალში თვალს ვერ უსწორებდნენ ლერწივით გაზრდილს.

თორმეტი წლისა, წესისა და ადათის მიხედვით, მიაბრუნეს საკუთარ სახლში კუმარი საკიაბხიკშუ. ახლა იგი ჩვეულებრივი მოკვდავია. ცხოვრობს უღარიბეს დედ-მამასთან მრავალ და-ძმათაგან ბალახში ამოსული თეთრი ყვავილივით გამორჩეული. თანატოლებთანაც ზედავენ ხოლმე, მაგრამ არ თამაშობს, საერთო მხიარულებაში და წუხილში მონაწილეობას ვერ იღებს. თვალები აენთება დროდადრო, გაახსენდება დრო დიდებისა და ილევენთება მალევე. გოგონას გათხოვება არ შეუძლია. ეს დიდ უბედურებას მოუტანს ნეპალს. და ნაღვლიანი თვალებით ელოდება ყოფილი ქალღმერთი ბედს, რომელიც აღარ მოვა.

ასტრონავტმა ლუი ამსტრონგმა მარცხენა ფეხი დაადგა მთვარეზე. რით იყო გამოწვეული მარცხენის გადაბიჯება მოკვდავთაგან ფეხდაუდგმელ სხეულზე? ტრადიციით თუ უსაფრთხოების ინსტრუქციით?

„...ვერ ვიხსენებ რაიმე განსაკუთრებულს, რომელსაც იმ მომენტში განვიცდიდი. ადამიანის ერთი პატარა ნაბიჯი ერთი დიდი ნახტომია კაცობრიობისათვის!"

1989 წლის მარტში 70 წლისა გარდაიცვალა მფრინავი კერმიტ ბიხენი, ვინც 1945 წლის 9 აგვისტოს იაპონიის ქალაქ ნაგასაკში ჩაზღიწა ატომური მოწყობილობა (ბომბი). მოკვდა ადამიანთა უგნურობის უშუალო ბოლო მონაწილე, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე რომ გაამართლა თავისი საქციელი, თუმც დანაშაული სხვა დროსაც არ უღიარებია, იმ აქციის მთავარ მოქმედ პირად თავი არასოდეს ჩაუთვლია. ისე რომ არაო, ომი არ დამთავრდებოდა, უფრო დიდი მსხვერპლის მოწმე გავხდებოდითო, გაიმეორა მრავალჯერ სხვისი ნათქვამი. იმ ინტერვიუმდე იგი არც ახსოვდათ, არც ალარავის გახსენებია ამ დღის შემდეგ, სიკვდილამდე.

რვა აგვისტოს საბჭოთა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა იაპონიის საიმპერატოროს და თერთმეტი აგვისტოსათვის დაგეგმილი აქცია ამერიკელებმა ცხრისთვის დააჩქარეს. ატომური მოწყობილობა უნდა ებუთქათ ქალაქ კოკუროსათვის ზუსტად თერთმეტ აგვისტოს. ბარემ ცხრაში ლეწეთო, ახალი ბრძანება მოვიდა და ცხრა აგვისტოს ატომურ-

მა ფრინველმა გააკეთა ირაო კოკურო-ზე, რომელიც სქელ ღრუბლებში აღმოჩნდა გახვეული. თვითმფრინავი რომ ჩაღრუბლულ კოკუროს ათვალიერებდა, ნაგასაკის ბედი წყდებოდა.

თერთმეტ აგვისტოს გამოიდარა. ღრუბლის ნაფლეთი აღარ იდო კოკუროს თავზე, ნაგასაკი კი აღარ იყო. იმნაირი უბედურება კი უკანასკნელად აფეთქდაო ცოდვილ დედამიწაზე...

კლაუს ფუკს:

მე მივყიდე ატომი რუსებსაო, განაცხადა სულ ახლახან. როზენბერგების ღალატი არ უარუყვია, ბერია არ უხსენებია. ოთხმოცდაათს იყო უკვე გადაცილებული. სახედაპრანჭულს ბრტყელი შლიაპა ეხურა; რომ ლაპარაკობდა, წირპლიან თვალებს აცეცებდა დაპატარავებული.

უსაფრთხოების არავითარი გარანტია არ არსებობსო, ტელევიზორში აცხადებენ, ჩერნობილის ატომური სადგურის მეოთხე ბლოკის სარკოფაგი გაუძლებს თუ არა დროს, სითბოს, წვას, არავინ იცისო. ატომური ელექტროსადგურების გარეშე კი ვერ ვიცხოვრებთო.

მოლა იმ ტოტს ჭრიდა, რომელზედაც იჯდა. გამოიარა მგზავრმა:

მოლა, იმ ტოტზე ზიხარ, რომელსაც ჭრიო.

რა გინდა მერეო.

მოჭრი მაგ ტოტს და ჩამოვარდებიო. არ დაიჯერა. მოჭრა ის ტოტი, რომელზედაც იჯდა და მიწაზე მოადინა ბნეყვა. აითრია წელი, წამოეწია წინასწარმეტყველს და ჰკითხა: ყველაფერი იცი, გეტყობა, და როდის მოვკვდები, ბარემ ისიც მითხარიო. მგზავრმა, მოლას რომ წინასწარმეტყველი ეგონა, სხვისი კი არა, თავისი არ იცოდა.

ბრძენი იყო ეს მოლა.

ერთხელ ქალიშვილი გაათხოვა. გადაიხადა ქორწილი. გაისტუმრა მაყრიონი, გამოვიდა კიბეზე, სიძეს ბოდიში მოუხადა, ქალიშვილთან სალაპარაკო მაქვსო. შეაბრუნა შინ და, როცა დაიმარტოხელა, უთხრა: შვილო, უცხო ოჯახში შედიხარ და ერთ რჩევას მოგცემო: ნემსში ძაფს რომ გაუყრი, აუცილებლად ბოლო გამოუნასკვე, თორემ ძაფს ვაწვევ და ყუნწში გაძვრებაო...

1991 წლის 24 სექტემბერს ლეონიდ ჵრ...ევს ჩამოართვეს ორდენი „პობედა". არ დაუმსახურებიაო. სხვა ჩინმედლები, მათ შორის ლენინური პრემია ლიტერატურის დარგში, რა დამსახურებისათვის დაუტოვეს, არ უბრძანებიათ. იგი გააორდენეს გარდაცვალების შემდეგ. წაართვეს „პობედა" მკვდარს.

ძაფი ყუნწში გამძვრალია მაინც.

ავღანეთის ომში დაჭრილ ჯარისკაცს მოსკოვის ჰოსპიტალში დიდი ყოყმანის შემდეგ მოჰკვეთეს მარჯვენა ფეხი. ახალგაზრდა, რომელმაც ჯარში „დაბერებაც" ვერ მოასწრო, დარჩა უფეხოდ და მძიმე დეპრესიამ მოკიდა ხელი. საგანგებოდ შეკვეთილი პროთეზი, უფეხობას არ გაგრძნობინებსო, რომ არწმუნებდნენ, არ ჩანდა. დაგვიანებით მოვიდა, მაგრამ მარცხენა ფეხის აღმოჩნდა. ხეიბარი განერვიულდა და პროთეზი ნაფოტებად აქცია: ამის ფულს გადაიხდი და დაელოდები ახალ პროთეზს როდინობის კვირამდეო, გააფრთხილეს. ჯა...სკაცი ცუდად გახდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაგზავნეს.

ქალაქ ბრიჟის (ბელგია) საავადმყოფოში მამაკაცს ჯანსაღი ფეხი მოსჭრეს და განგრენიანი დაუტოვეს. მთავარმა ქირურგმა რიგით ქირურგს მარჯვენის მაგივრად მარცხენის მოკვეთა დაავალა. საქმე გადაეცა სასამართლოს. რიგითი გაამართლეს, მთავარი ქირურგი დასვეს საბრალდებულო სკამზე. გაჯანჯლებული სასამართლო პროცესის დროს უმეთვალყურეოდ დატოვებულ ავადმყოფს განგრენიანი ფეხი მოურჩა. მაინც ცალფეხა რჩებოდა და კმაყოფილი გაეწერა ერთი ფეხით. იმავე კვირაში დაიღუპა საავიაციო კატასტროფაში.

გოგია ე-ძეს ავსტრიიდან ჩამოტანილი პროთეზი მოჰპარეს ქობულეთში, თვალდახელშუა ააცალეს პლაჟზე. ამოსკინკილდა ზღვიდან და ფეხი არ დაუხვდა. იხუმრეს, გადამიმალესო, გაიფიქრა. მოიძიეს, ვერ იპოვნეს. შინაური იზამდაო,

დაარწმუნეს. დაიჯერა, მაგრამ რა შეღავათი იყო. გინდა მგელს შეუჭამიხარ, გინდა მგლისფერ ძაღლს.

რაღას იქმოდა. შეიბინა საბჭოთა პროთეზი, უკეთესის მოლოდინში გაითავისა, თუმცა ხმარება გაუჭირდა, შევეჩვევიო, შეეჩვია...

ერთხელ გვიან ღამით გამოჭრიალდა ვერეს (მაშინდელ კიროვის) უკაცრიელ ბაღში და ფეხბურთის მოყვარულთა მიერ ერთმანეთისაკენ შეტრიალებულ ორ სკამმერხზე მოკალათდა. ერთზე დაჯდა, გაწვართული ფეხი შემოდო მეორეზე. ენიავა და ეგრილა, მაგრამ ფეხმა შვება არ უყო. მაინც არავინ მხედავსო და ჩაიხსნა პროთეზი, ფეხი კი, რომელიც აღარ ჰქონდა და რომლის გული ეფხანებოდა მაინც დროდადრო, ცალკე, ასტრალურად, უსაგნოდ დარჩა, პროთეზი ცალკე განივთდა. მოულოდნელად მობველბიჭო ახალგაზრდათა (ზოგიერთი ეცნაურა კიდეც) გუნდი შემოვარდა ყაყანით, ხელების ქნევით. გოგიას გულმა რეჩხი უყო. პროთეზს შევიბამო, გაიფიქრა, მაგრამ რაღაცამ გააშეშა, ბედს დაემორჩილა და მოძველბიჭო ელემენტებმა მაინცდამაინც იქვე დასცხეს ერთმანეთს. სტაცა ერთმა გოგიას პროთეზს ხელი, ლეწა მეორეს და გადააფშვნა თავზე. თავი მთელი დარჩა, პროთეზი დანაფოტდა და, თითქო ამას ელოდნენო, მველი ბიჭები ისევე მოულოდნელად გაუჩინარდნენ, როგორც გამოჩნდნენ. დარჩა გოგია ე-მე ბაღში, ღამეში. სიგარეტი ამოიღო, ღერი ატრიალა, როდის-როდის მოუკიდა დაფიქრებულმა, გააბოლა და ნაცნობ სიფათს მიაქცია ყურადღება, მარტოდმარტო შემოხეტიალებულიყო ბ. დ-ðე, მეტსახელად კორო.

„...ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც გამოჩნდა!" — გაიფიქრა.

რომელიღაც კომპანიას ჩამოშორებული „ზნამენიტი კორო" ვიღაცას ეძებდა, მარტოსულ დამსვენებელს აკვირდებოდა ამღვრეული თვალებით.

— ვახ! — თქვა გაოცებულმა, ახლოს რომ მოვიდა. — შენა ხარ?!

— მე ვარ, კი.

— ეგ რაა?

— ხომ ხედავ.

— ფეხი, ტო?!

— შემოცვივდნენ, დალეწეს და გაცვივდნენ...

— ვინა, ტო... იცნობ რომელიმეს?

— ბიჭები იყვნენ...

— აქაურები? (ის უბანი იგულისხმა).

— წარმოდგენა არა მაქვს.

— გადაირევი კაცი... გარეთ აღარ გამოისვლება... ეს რა ახალგაზრდობაა, რა თაობა მოდის, ტო! სახლში როგორ წახვალ?

— ვერ წავალ.

— აბა?

— არ ვიცი, ვიქნები აქ...

— ვახ შენი... — თავი მოიფხანა კორომ. გოგიას აფასებდა. ტკბილად მოსაუბრე, მოფილოსოფოსო ადამიანს პატივს სცემდა. თავის აგრესიულობას ამნაირ, განათლებულ ადამიანებთან მეგობრობით ანეიტრალებდა, საზოგადოებრივ თვალსაზრისში დისონანსი შეჰქონდა.

— წავალ, რაღაცას მოვიფიქრებ, შენ იყავი აქ, არ გახვიდე... — წავიდა და, გოგიას გასაგიჟებლად, ნახევარ საათში დაბრუნდა პროთეზით.

„აი, კაცი!" — გაიფიქრა გულაჩუყებულმა გოგიამ.

— ნახე, თუ გამოგადგება!

— სად იყო?

— ნახე ჯერ.

— საჩემოა, საკუთარივით არ მომერგო! — ალტაცება ვერ დაფარა. წამოდგა, გაიარ-გამოიარა. — სად იყო, გაფიცებ ყველაფერს?

— ერთი დამპალი მოდიოდა თავისთვის შუა ქუჩაში და წავაძრე!

ღრმად მოხუცებულმა ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთმა ლიდერმა რუდოლფ ჰესმა შპანდაუს ციხეში (გერმანია) ელექტრონის „შნურით" ჩამოიხრჩო თავი. შვილმა იჩივლა, მომიკლესო. ორმოცდაცხრა წელი იპატიმრეს და რაღა წერილის წაღების დროს გაასაღებდნენ! თავი მოიკლა. ამ გადაწყვეტილების მისაღებად დრო ჰქონდა და მამულიც,

სიბერისაგან ისე იყო გამხმარი, რომ ძაფზეც ჩამოეკიდებოდა.

ყველაზე შტატიანი პატიმარი კი ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ სატუსაღოში ჰყავთ გამომწყვდეული. 1917 წელს, ბოლშევიკების გამარჯვების თვეს, სრულიად ყმაწვილკაცს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ვეტერან ტუსაღს (ბოლშევიკური იმპერია დაიშალა ამასობაში) ციხის ეზოში თავისუფლად, უნებართვოდ გამოსვლის უფლება მისცეს. გავა-გამოვა და საკანში ბრუნდება მალევე, თუმცა დაღლას არ უჩივის, უგუნებობაც არ ეტყობა.

პორტუგალიის გამგებელი სალაზარი ანტონიო ოლივეირიო ბოლო ორი წელი სიაბანდად ადიქტატორეს, არ გააგებინეს, მის ადგილზე რომ სხვა იჯდა. 79 წლისა მოკვდა და მორგში გაცოცხლდა, მოიხედა და მართვის პულტთან დაჯდომა მოითხოვა. შეიტანეს კაბინეტში, შემოუყვანეს მოხსნილი მინისტრები, დაპატიმრებული და დროებით ციხეებიდან გამოთავისუფლებული თანამშრომლები. საინფორმაციო მასალების ყურება ექიმებმა აუკრძალეს, გასართობი პროგრამებით გაუწყვეს შიდა ტელევიზორები, გაზეთებს კი, შუშა კიტრივით რომ იყო მაშინაც, არ კითხულობდა და ასე, ამნაირად ორი წელი უჯდა საჭეს, მართავდა მანქანას, რომელიც არ დადიოდა. მე რომ ვნახე, რამდენიმე დღეღა ჰქონია დარჩენილი, ლიმუზინში გამუმიებულს ღრიალით ესალმებოდნენ პორტუგალიის მოქალაქენი. უმეტყველო, გაშეშებული თვალები იყო მობჯენილი სარკმლის შუშას. მოდიდან, დროიდან, სივრციდან და განზომილებიდან გასული სამი თვალებდაჭყეტილი მანდილოსანი ეჯდა უკანა სავარძელზე.

იაპონიის კომუნისტური პარტიის გენცეკი ნატაკა სიბერეში მსტოვრობაში დაადანაშაულეს. ოციან წლებში თავისი ქვეყნის, ამომავალი მზის სახელმწიფოს, იაპონიის წინააღმდეგ ეწეოდაო ძირგამომთხრელ საქმიანობას. შეუგროვეს სამხილი, მოწმეებიც დაუპირისპირეს, თუმც ნატაკისაც არ დაუპირებია თავის მართლება. საბჭოთა კავშირთან ვთანამშრომლობდიო, აღიარა. ძიებაში გახდა 100 წლისა. დაბადების დღე შინ გადაიხადა.

ტაილანდში 1982 წელს გაასამართლეს ქალი, რომელმაც სახელმწიფო ხაზინიდან გაიტაცა დიდძალი ფული. დაიჭირეს. უსასამართლეს, მიუსაჯეს 1000 წელი. გაასაჩივრა, ბევრიაო. გამოცდილმა ადვოკატებმა დაარღვიეს საქმე, განაჩენი გადაასინჯვინეს ზემდგომ ინსტანციას და 200 წელი ჩამოაკლეს მსჯავრდებულს. დარჩა 800. ქალი ახლაც იხდის სასჯელს, არა გვგონია, საპატიმრო ვადის გასვლის იმედით.

და სიბერე მაინც შემთხვევითობაა. ასში ერთი თუ გადაურჩება ფოთოლცვენას, შემოდგომის დამდეგს რომ იწყება. ფოთოლს ქარი ყრის სიცივეში, თვითონაც ცვივიან, გაზაფხულამდე შემთხვევით ტოტზე შერჩენილს სიმწვანე დაჭმაქავს; ახალი ამოფეთქილი ფოთლები დაიზრდებიან და ხელახლა დაიწყება წრებრუნვა.

ჩრდილად, ციალად, მოგონებად, აზრის ფეთქვით გაიელვებ შენს ხვედრ სამყაროში მატერიალური განსხეულებით. „...მან უთხრა მათ: თქვენი საქმე არ არის იცოდეთ დროები ან ვადები“, 25 ათასი წელი სჭირდება სარკოფაგიდან გაპარული პლუტონიუმის მთლიან დაშლას და ესაა წამი დროის მარადისობასთან, ადამიანთა არსებობის ეფემერიდისათვის. იყო და იქნება რთულად და მარტივად, გაუგებრად და გასაგებად. აინთებიან და ჩაქრებიან ვარსკვლავები მარად მფეთქავ სამყაროში, უძრავ მოძრაობაში. ხარ წამში, ყველაფერში ერთდროულად: იდეაში, პერსპექტივაში, აუცილებლობაში, ჩანაფიქრში, ჩანასახში, დედის წყალში, შობის პროცესში, ბავშვობაში — სრულყოფის დროებით სიდიადეში.

ერთმა ნორვეგიელმა მეზღვაურმა, ქრისტიან დრაკენბერგმა შვიდი მეფე გამოიცვალა; 92 წლისამ მიატოვა გემი, ზღვას დაემშვიდობა, ას თერთმეტი

წლისა დაქორწინდა. 149-სა მიიბარა უფალმა.

ადამიანი ნაკრძალის კუ კი არაა. როგორც ვთქვით, ათასში ერთი ბერდება (ზემოთ ჩამოთვლილ ანომალიებს არ ვგულისხმობთ) და ოთხმოცს გადაცილებული ეთხოვება დროებით სამყოფელს. ტროგლოდიტები კი განსაკუთრებული მისიით ევლინებიან ქვეყანას (ამოცნობა იოლია): ადამიანის სიცოცხლის ზღვარის დადგენის საშუალებებს სპობენ, მატერიალური სიცოცხლის ხანგრძლივობის იმედად ხანხალებენ. არავინ არ უნდა იცოდეს, როდის მოკვდება. იგი არც არავინ იცის. მოლამ არ იცის, მგზავრმა არ იცის და არ იცის. „მან უთხრა მათ: თქვენი საქმე არ არის იცოდეთ დროები ან ვადები..." (მოციქულთა საქმენი. ამაღლება ზეცაში).

ეგვიპტის მეფე მიკერინოსს ქალაქ ბუტოში უწინასწარმეტყველეს: ექვს წელიწადს იცოცხლებ, დღეიდან მეშვიდე წელს მოკვდებიო. მიკერინოსი განრისხდა, ღმერთების აუგი თქვა. დაუდგენელი ექვსი დღე ამჯობინა დადგენილ ექვს წელს. გაურჩდა, დღე-ღამის გაერთიანება, ზედის გამრუდება დააპირა. ღამის, ძილის ხარჯზე იორმაგებდა წუთისოფელს. არ ეძინა და სხვასაც არ აძლევდა ძილის საშუალებას. ჩირაღდნებით განათებულ სასახლეში საკრავების ხმა ისმოდა; ლელქაშცეცხლწაკიდებულ ტბასთან აყვირებდნენ ბუკს, განათებულ წყალზე ნადიმობდნენ. აორმაგებდა მიკერინოსი დროს მოხერხებულად, მაგრამ იგი უძილობით გარდაიცვალა ორიოდე წლის შემდეგ.

ჩემს სტუდენტობაში ერთი მაღალი რანგის ნომენკლატურული მუშაკი, მოწოდებით ყომარბაზი, გრიპით გარდაიცვალა* და ვერეს გაუქმებულ სასაფლაოზე დაკრძალეს. ჩემმა მეგობარმა ლექსი უძღვნა:

გრიპმა უთხრა ფერაძეს,
პატარა ვარ ყველაზე,
რა დროს დავი-დავბასეა,
გამომყევი ვერაზე.

რიო-დე-ჟანეიროს გარეუბანში ბიჭებმა იპოვეს ლითონის ფისტონი, რომელშიაც ინახებოდა რადიაქტიული ფხვნილი ცეზიუმ-137, კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიამ რომ გაატანა ნაგავს. ბნელ ფარდულში გახსნეს წვალებით ბიჭებმა ფისტონი და აღმოაჩინეს მანათობელი, ბლანტი სილა, რომელიც საკარნავალო მალამო ეგონათ. შიშველ მკლავებზე და გულისპირზე წაუსვა ბიჭმა ივომ დაიკო ლეიდას. პეპელასავით დაფარფატებდა და ანათებდა ექვსი წლის ლეიდა ღამეში. განგაშის ზარებს ჩამორეკეს დილით. ქალაქის ჰოსპიტლის დიდ და ნათელ, ფერადი სურათებით მორთულ ოთახში მოათავსეს, წითელ-ყვითელი ზევრი სათამაშო ჩაუყარეს საწოლში ლეიდას. თოჯინებს ეფერებოდა დღე, მოიღვენთა შიმწუხრისას. ცისფერთვალებიან თოჯინაჩახუტებულმა ყვითელ-წითელ ბურთებში დაიძინა სამუდამოდ, სამარადისოდ... იწვა მკვდარი პატარა შემზარავ სინათლეში; ღამეს უთევდნენ, უცოდველ სახეს უნათებდნენ დარადიაქტიებული სათამაშოები.

ხანდახან არაფერი არ გინდა — ფიქრიც კი. ყვითელი ქვიშის ალმურით გათანგული იძირები სიცხეში და ეხვევი მხურვალე აბლაბუდაში, გინდა იყო აბლაბუდაში, გინდა იყო შენში, მხოლოდ შენში...

მრავალი ერი გადაშენდა და ჩვენ გადავრჩითო. იქნებ შენა ხარ სწორედ ის გადაშენებული ერი, ხმელთაშუა ზღვის აუზიდან, ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან აყრილი, კოლხეთში დასახლებული. არც ერთი ერი არ გადაშენებულა. ყველანი — ეტრუსკები, ხეთები, პელაზგები და სხვები — ცხოვრობენ, არსებობენ, მაგრამ არ იციან — ხეთები თუ იყვნენ ან შუმერები თუ იყვნენ ან პელაზგები თუ იყვნენ. სად წავიდნენ კუნძულ კრეტიდან მეფე მინოსის ნაშუშარნი, სესოსტრისის დახეიბრებული მეომრები, ექვ-

* სიუჟეტებს, რომლებიც არ გეცნაურებათ, ჩემს სიცოცხლეში ჩემს უკითხავად ნუ გამოიყენებთ.

სინის პონტოს სანაპიროდან ფაზისის დელტაში რომ მიმოიფანტნენ და უკან აღარ დაბრუნებულან? ჭაობებისაკენ, კოლხეთად ყოფილ ქვეყანაში რატომ მოუწევდათ ბერძნებს გული, ცხვრის ტყავს კი არა, მონათესავე ხალხს, შეიძლება — თავიანთ წინაპრებსაც კი ეძებდნენ...

ჰეროდოტემ ბრძანა, კოლხები ეგვიპტელები არიანო.

„...მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად". ზოგს ეს ცოტა ჰგონია. ერთნაირად პენტავდნენ, ერთნაირად ძაზავდნენ, ერთნაირად ართავდნენ, ქსოვდნენ.

ბოლოს და ბოლოს:

„მთელი ცხოვრება და ენა ერთი აქვთ".

„...კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები". ეს ბუნებრივიცაა. წამოსული ხალხის ნოსტალგია უფრო ძლიერია, ვიდრე დაკარგული აზლობლის ბუნდოვანი მოგონება. ჩვენ არაფერი არ გვახსოვს ამჟამად საკუთარი თავისა და გენადის გარდა, მაგრამ ძველ ეგვიპტესთან, თუ ეს აუცილებელია, გამოიძებნება საერთო. გამოძებნილიცაა. ეგ უკვე სხვა დროს.

ეგეოსის ზღვაშია საბერძნეთის კუთვნილი პატარა კუნძული კორბო თუ კორფუ, სადაც არისო წმინდა სპირიდონის ტაძარი. ასეთ წმინდანს, ჩემი ჩათვლით, ბევრი არ იცნობს, სამაგიეროდ, მახსოვს სევდიანი სიმღერა (არავითარი საერთო კორფოსთან არ ექნება): სად მიხვალ, სად მიხვალ, უბედურო სპირიდონა.

სიმღერა ჩვენი სულის ტკივილია, ჩვენი წარსულის, დაკარგული საცხოვრისის დაჩეხილი ჰანგია, რომლის გამთლიანება აღარ შეიძლება, მაგრამ იგი არსებობს დიდების ჰიმნად. ვიყავით, ვართ.

ვისმენდით, როგორ მღეროდნენ სარდები და ჩვენები სარდინიაზე ახლახან ერთნაირ სიმღერებს, ერთი დედის ნაშობ ორი სიმის რხევას როგორ აერთმთლიანებდნენ, ტიროდნენ ჩვენი სიმღერის გაგონებაზე იქაურები, ჩვენც ვტიროდით იქო, უცრემლოდ არც აქ მოისმინებოდა. ხმელთაშუა ზღვა ჩვენი ტირილის, ფილტვების ავსების, სუნთქვის, ენის ამოდგმის აკვანია. დელფოს სამისნო ჩვენი უბედური ბედის წინასწარმეტყველიცაა, სპირიდონის ტაძარი ჩვენი სულის, ერთხელ გარდაცვლილი ხალხის მოსახსენიებელი, საალაპო ეკლესიაა. სად მიხვალ, სად მიხვალ, უბედურო სპირიდონა.

კორსიკაზეო, ბატონ მერიმეს უწერია, ასეთი უცნაური ჩვეულება აქვთო:

„...კორსიკის ზოგიერთ კანტონში, განსაკუთრებით მთებში, არსებობს მეტად ძლიერი ჩვეულება, რომელიც შეიძლება წარმართული ცრუმორწმუნეობის ნაშთია, ყოველი გამვლელი ვალდებულია ქვა ან ტოტი დააგდოს იმ ადგილას, სადაც ძალადური სიკვდილით დაღუპული მარხია".

ამას „ჯრედს" უწოდებენო. ამნაირ ადგილს, ქვებისა და ხმელი ტოტების ხურდუმს, ჩვენში ჯღრდე ჰქვია. ოკრიბაში კი, სოფელ ოჯოლის გადასახედში გვიანობამდე იყო სამარე, სადაც „ძალადური" სიკვდილით დაღუპული ბერი განისვენებდა. იქ ყრიდნენ ხმელ ტოტებს და ეყარა ხმელი როკები ჯღრდედ. სამარის ადგილს ბერსათრიელა ეწოდება. მე თვალად დამიგდია სამარეზე ხმელი ტოტი და მოთხრობაც ნამდვილ ამბად დამიწერია, გამომიქვეყნებია მრავალჯერ.

ჯრედ.

ჯღრდე.

კორსიკაზეო, ისევ ბატონ მერიმესთან ვართ, შურისმაძიებელი, სისხლის ამღები ხალხი ცხოვრობსო. სისხლის აღების გულისამრევი წესი არ გადავარდნილა ზოგან ჩვენთანაც. შურისძიება კი სიგლახისა სიგლახით გადახდის წესია, გულში ჩასატოვებელი ბოლმის საყუდარი, სამაგიეროს გადახდის ტრადიციაა. შური — მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედაო, საბა ბრძანებს და სხვის სიკეთეზე მწუხარების მძებნელი სიგლახის (არა ყოველთვის) მაძიებელი გამოვა.

ჩვენ სასისხლო გამოსასყიდსაც ვიღებდით და შურისძიების სისხლიანი ფორმები უარყოფილი გვქონდა. თავის-გასამტეხლოდან დაწყებული სიკვდილის საზღაურამდე ფულადი და ნატურალური კომპენსაცია იყო დაწესებული, თუმცაღა სისასტიკითაც, როგორც ირკვევა, არავის ჩამოუვარდებოდით. ტყუილად კი არ იბრალებდნენ ქართველთა მეფენი ისრაელთა დავითის შვილობას. ებრაელებს კი რჯულით უწერიათ სისხლის სისხლითვე განბანა:

„...მესისხლეს შეუძლია მოკლას მკვლელი, როცა შეხვდება“.

„...ნუ აიღებთ გამოსასყიდს მკვლელის გამოსახსნელად, რომელიც სასიკვდილოა, რადგან სიკვდილით უნდა დაისაჯოს...“

„უფლის ანგელოზის“ ხელდასხმით დაიბადა გმირი სამსონი.

„...დაორსულდები და ვაჟი შეგეძინება, სამართებელი არ უნდა მიეკაროს მის თავს, ღვთის მოწმიდარი იქნება იგი დედის მუცლიდანვე და შეუდგება ისრაელის დახსნას ფილისტიმელთა ხელიდან“.

იშვა, გაიზარდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, უფლის ნაკურთხი სამსონი, შეირჩია საცოლე ფილისტიმელთაგან, ვისი განადგურებაც დაეკისრა უზენაესით და ლხინის სუფრაზე გამოცანა უთხრა მაყრებს. თუ გამომიცნობთ, „ოცდაათ ხელ საცვალს და ოცდაათ ხელ ტანსაცმელს მოგცემთ...“

გამოიცნეს.

„...მოიცვა იგი (სამსონი) უფლის სულმა, წავიდა ასკალონში, დახოცა ოცდაათი კაცი, გახადა ტანსაცმელი (იგულისხმება საცვლებიც) და ჩამოურიგა თითო-თითო ხელი გამოცანის გამომცნობელს...“

არ ყოფილა სიტყვის კაცი!

ავთანდილთან შეისწრო ფატმანი ფატმანის საყვარელმა. შემოვიდა ყმა ვინმე „ტანნაკვთიანი“, დაინახა საკუთარი ხასა უცხო მამაკაცთან: „...გაგითენდების განანებ შაგა მოყმისა ყოლასა!“ — დაემუქრა, ავთანდილს არა აკადრა რა. გათენებაც კი აცალა. შექმნა ვაი-ვაში ფატმანმა. შეწუხდა ავთანდილიც, გაჰყვა ტანნაკვთიან ყმას „...გავლო ქალაქი მით უებროთა ტანითა; ზღვის პირას სახლი ნაგები დგა ქვითა წითელ-მწვანითა“. ორ მძინარე დარაჯს დაავლო ხელი, თავი თავსა შეუტაკა, მიასხმევინა ტვინი ტვინზე, ფატმანის კაცი დაკლა საწოლში დანით, მოაჭრა ბეჭდიანი თითი, გვამი „ზღვათაკენ სარკმლით გასტყორცა, ზღვისა ქვიშათა გარია“. ახალი აღთქმა ძველი აღთქმის ანტიაღთქმაა, ახალი ძველის ანტისახარებაა, მაგრამ კაცობრიობამ, სამწუხაროდ, სწორედ ის გადმოიღო და გაითავისა, რაც ახლით იქნა უარყოფილი. ჩვენც, რაც სავსებით ბუნებრივია, ვერ გავეთიშეთ ამ პროცესს და სხვის ომში და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში, ტრაბახში და ბაქიბუქში სხვებსაც გადავამეტეთ:

სეხნია ჩხეიძემ დაწერა (იგი სპარსეთის შაჰის დამსჯელ რაზმთან და სხვა ქართველებთან ერთად ავღანეთში იბრძოდა): ავღანელ ტყვეებს კბილებს ვაძრობდით და თავში ვაჭედებდითო.

დიდი ომის ტყვეობიდან თავდაღწეული ქართველებიც პარტიზანობდნენ იტალიის ნახევრად კომუნისტურ, ანტიჰიტლერული მოძრაობის რაზმებსა და შენაერთებს მიკედლებულნი. ერთხელ, საბრძოლო ოპერაციაზე გასვლის წინ, მეთაურობის პრეტენზიის მქონე ორი ქართველი საბარგო მანქანის კაბინაში, მძღოლის გვერდით დაჯდომაზე ვერ შეთანხმდა. არა მე მეკუთვნის, არა მეო, შელაპარაკდნენ, უკადრისი აკადრეს ერთმანეთს, დააძრო ერთმა ქართველმა პისტოლეტი და მოკლა მეორე ქართველი იტალიაში, ავტომანქანის კაბინის სკამის გაყოფის დროს. თქვენ ვინ ყოფილხართო, უთქვამთ იტალიელ მეომრებს და ქართველებისათვის ამრეზით დაუწყიათ ყურება. ეს ამბავი მოყვა თვითმხილველმა (გარდაცვლილის ვინაობაც დაასახელა), იტალიიდან სალ-სალამათად ჩამოსულმა, შემდეგ გადასახლებულმა და ციმბირიდან სტალინის სიკვდილის შემდეგ თავდაღწეულმა ქართველმა კაცმა.

სასტუმრო „თბილისის“ სალონში, სულ ცოტა ხნის წინ რომ რესტორანი იყო და ახლა აღარაფერია, ლიტერატურული დისპუტები იმართებოდა თურმე. ესტრადაზე, სადაც რესტორნის ორკესტრი, დიდებული, ვერ იტყოდით, მაგრამ მაინც ორკესტრი, ჯდებოდა, მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი ისხდნენ. სვეტებიან დარბაზში კი, სადაც ახლა აღარც სვეტებია, აღარც კედლები, დისპუტებს, შეხვედრებს, ლიტერატურულ საღამოებს მართავდნენ. ერთ-ერთ შეხვედრაზე, მთავრობის თანდასწრებით რომ გაიმართა, ერთმა მწერალმა, ახლა კლასიკოსად შერაცხულმა, კაცის კვლა დაიბრალა. ყარაიაში ნადირობისას გადმომიხტა მძლოლი (ნადირის გადმოხტომას ელოდნენ) გაშიშვლებული დანით, ამოვიღე საზღვაო ბრაუნინგი და დავახალე შიგ შუბლში გარეწარსო!

— მოჰკალით?! — დაიძახა ქვევიდან ერთ-ერთმა ხელმძღვანელთაგანმა (ნამდვილი მკვლელები ქვევით ისხდნენ).

— დიახ, — შეუყოყმანდა დაბნეული კლასიკოსი. — მოვხკალი (ჰ შეცვალა ხ-თი), მოვხკალი და მაპატია მთავრობამ!

მთავრობა იქ იყო, რიგორც გითხარით, და ვის რა აპატია, კარგად ახსოვდა, კლასიკოსს კი არავინ მოუკლავს და საპატიებელიც არაფერი სჭირდა.

ოპერა „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენისა და წარმატების შემდეგ (ვინ დაიანგარიშა, აღარ გვახსოვს) საქართველოში გახშირდა სახელი მურმანიო. მართალია, ჩემი თაობის, ამ ოპერის დიდებასთან ერთად რომ დავიბადეთ, აღზრდას დაემთხვა ეს პროცესი. ბევრს ჰქვია მურმანი. ზოგმა დაამთავრა სიცოცხლე და კიდევ დაიბადება ბაბუების ხათრით, მაგრამ რატომ აბესალომი არ დაარქვეს ახალშობილთ ქართველმა დედებმა? რატომ ამჯობინეს აბესალომს მურმანი, ბოროტების განსახიერება, ეკლად რომ ამოუვიდათ შეყვარებულებს საფლავსა და საფლავშუა?

რამდენიმე წლის წინ ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა წერილი მასწავლებელი ქალისა, რომელმაც „არსენას ლექსის“ სასწავლო პროგრამიდან ამოღება მოითხოვა და ამის აუცილებლობა მისი განათლებისა და მსოფლმხედველობის დონეზე დაასაბუთა. რატომ დაიწუნეს საპროგრამოდ პედაგოგებმა, ვთქვათ, ციალა ნარშავაძემ (მარტო ციალაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი) და სხვებმა, არსენას ლექსი, რომლის ბადალი მსოფლიო ლიტერატურაში ცოტა აღმოჩნდება? აი, რატომ: ?

„...შვიდ წელიწადს ყაჩაღად ვარ, კაცის ცოდვა არ მადევსა...“

პედაგოგი მიზეზად სხვას ასახელებს, მაგრამ არმოწონების საბაბი (არაცნობიერად) ეგაა. ყაჩაღი და არამკვლელი? არამხოცველი, არამელეტელი რა გმირია! მურმანი ურჩევნიათ აბესალომს, თუმცაღა აბესალომის უპატივცემლობა პიროვნების სისუსტითაც აიხსნება და, მიუხედავად ამისა, კაცისმკვლელებსა და ტირანებს ამჯობინებენ წმინდანებს და ვერც ვერავის დაადანაშაულებ. ადამიანები ხომ მოჩვენებით პატრიოტიზმზე, ყალბ ისტორიაზე, ვაჟკაცობის ფიზიკურ სიძლიერესთან გაიგივებაზე არიან აღზრდილნი. სხვისი მოძულე თავის მოყვარე ჰგონიათ. ამიტომ გაჰკივიან ყელის ჩახეთქამდე უდღეური გმირის სახელს:

— გენადი, გენადი!

და არ მოსწონთ არსენა, ქეთევან წამებული, სულით ძლიერი, გაუტეხელი, ხორცის დამთრგუნველი, სიმდიდრის არმაძიებელი, ქედუხრელი, იდეისა და პრინციპის კუბოს კარამდე მატარებელი.

...შვიდ წელიწადს ყაჩაღად ვარ, კაცის ცოდვა არ მადევსა, ახლა მოვკლა ნათლიმამა, რაღა ღმერთი გამიწყრესა!

წალეკა მკითხველი იოლად გასაგებმა, გულის მოსაფხანმა გმირულმა ისტორიამ; უწიგნურობა საამაყო არა, მაგრამ ნორმა გახდა და ამიტომაა, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში გენადისაც რომ უნთებენ სანთლებს. საით მიექანები, ურწმუნო საქართველოვ, სად მიხვალ, უბედურო სპირიდონა!

ბრძენი იყო ერეკლე მეფე. მისი წყალწაღებული სამეფოს მმართველობა, პო-

ლიტიკური ორიენტაცია, სამართალი და კაცთმოყვარეობა ამის დასტურია. ღვთის მადლით, დარჩენილია უამრავი დოკუმენტური მასალა, წერილობითი ძეგლები, სიგელები, გუჯრები, უცხოელთა მოგონებანი. ერეკლე მეორემ გადადგა იძულებითი, ერთადერთი, სწორი და გონივრული ნაბიჯი, რაც საქართველოს გადარჩენის გარანტი აღმოჩნდა. მისმა უფროსმა ძემ, ზაქიჭამიას სახელი რომ დაიმსახურა და ინდაურების ჭამაზე უარი განაცხადა, ადრე წაილო წერილი იმ ქვეყნად, მამის დანატოვარსაც ვერ მოუარა. სამეფოდ გამზადებულმა დავითმა, გიორგის ძემ, გვირგვინი ვერ დაიდგა, სანკტ-პეტერბურგიდან მომივა კურთხევაო. სხვისგან ელოდა ღვთით და რჯულით ნაბოძებს, გვირგვინს ვერ იდგამდა ბატონის წყალობის მომლოდინე მონა. ვაჭრის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად, რომელიც საქართველოს დედოფალი უნდა გამხდარიყო. მზითევი მზითევად მოიტანა ვაჭრის ოჯახიდან, ფული ფულს გამოაყოლა, მაგრამ არ ეყოთ; ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო, ნათქვამია, მემკვიდრე-ბაგრატიონმა ფული გამოჭამა და ჭკვიან ცოლზე გული აიყარა; დააპირა განქორწინება, ლობიოში საწამლავს მიყრისო, იჩივლა. მათი უწმინდესობის დიკასტერიამ ვერ მოიწონა დავითის საქციელი, არ გააქორწინა და საქართველოს უკანასკნელმა, უგვირგვინო მეფემ ველარ დაამტკიცა, ყოველდღე უყრიდა ლობიოში ცოლი საწამლავს თუ დღეგამოშვებით, — რა დოზით, რა რაოდენობით.

იმერეთის მეფეს, სოლომონ პირველს თურქმა მეციხოვნემ ახალი შემწვარი სააღდგომო ბატკანი მოუჭამა. შემოვიდა ოქროს ჩარდახად წოდებულ სასახლეში აღდგომის წირვამდე, გაჰყვა შემწვარი ხორცის სუნს, მეფის მისართმევ ბატკანს აზია ცალი ბარკალი და წავიდა. ახალი შევწვათ, მეფე ლაპარაკით შევიქციოთო, დაკვიწიალდნენ დიდებულები, სუფრისა და ლხინის გამრიგენი. უქმი ლაპარაკით შეიყოლიეს, მაგრამ დიდხანს ვერ გააჩერეს მადაალძრული და პირზე ნერწყვმომდგარი სოლომონ პირველი. არ არი მზადაო. გადაირია. ასეა და ასე ჩვენი საქმეო, გატყდნენ. ელდა ეცა, გულყრის შემჩნეული ნიშნები ამოეფოთლა ლაშებზე; გავარდა ვარდციხეს და იქაც მლივს ამოითქვა სული. დაიბარა სარდლები, შეყარა ჯარი და ჩხუბი უქნა თათარს ოკრიბაში, გაემარჯვა ხრესილს.

ბახტრიონის აღება:

ქართველი მღვდელი გააუპატიურეს თათრებმა კახეთში. გზაშარაზე დაიჭირეს და იხმარეს დლისით.

„....ხოლო დღესა ერთსა მღვდელი ვინმე მოვიდოდა შიგნით კახეთს, შეიპყრეს იგი თათართა და გახრწნეს სოდომურითა და განუტევეს. შეიწრებული მღვდელი იგი მივიდა წინაშე ზაალსა მეტყველი ესრეთ: შენდა რწმუნებულ არს კახეთი კნინღა პყრობად. აწ შემამთხვიეს თათართა უჯერო, ამისათვის შენვე პასუხ-უგე ქრისტესა დღესა მას დიდსა განსჯისასა..."

შეკრიბა ჯარი ზაალ ერისთავმა და ქსნის ერისთავების — ბიძინას, შალვას და ელიზბარის წინამძღოლობით დაეცნენ ბახტრიონს.

„...მოსრნეს და მოსწყვიდნეს თათარნი, მერმე ალავერდს და შემდგომად ყოველსა კახეთსა შინა მოსწყვიდნეს, რამეთუ არცაღათუ დაუტევეს აკვანსა შინა მწოვარნი და განათავისუფლეს კახეთი".

რა მოჰყვა ამ განთავისუფლებას, ცნობილია. მოთავენი სიკვდილით დაისაჯნენ, საქართველო ხელახლა აოხრდა. ქმედება ქართველთა აუცილებელი იყო, მხოლოდ არა დროული. იგი მღვდლის გაუპატიურებამდე შეიძლებოდა აღსრულებულიყო, აკვნის ბავშვების „მოსწყვედნის" გარეშე. ხრესილის ომს, ნიაზურას ბრძოლაზე მეტად რომ გახმაურდა, გელათის მონასტრის განადგურება ეწერა.

კადეტთა კორპუსი გაგვიხსენითო, სთხოვა საქართველოს თავადაზნაურობამ რუსთ ხელმწიფეს. არა უნივერსიტეტი, არა დამოუკიდებლობა, — კა-

დეტთა კორპუსი. ამას როგორ დავამადლი ჩემს ერთგულ ქართველებსო, წამოიძახა გახარებულმა ხელმწიფემ. სწორი იყო იმ ეტაპზე ის მოთხოვნა. ნაადრევი იყო უნივერსიტეტი, ავტონომიაც. ჭკუა თუ გვღალატობს, ინტუიცია გადარჩენისა, იმუნიტეტით რომ გვაქვს გამომუშავებული, არ გვტოვებს, გვშველის ხოლმე. 1832 წლის შეთქმულება მონანიების შეთქმულება იყო და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარების მოსალოდნელი გაკვეთილიც. შეთქმულებაც აუცილებელი იყო და მონანიებაც. საქართველო, ქართველები მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის მთიან ექსპანსიაში, მთიანი კავკასიის დაპყრობაში, ისლამური ფუნდამენტალიზმის აღორძინებას (რამდენად შეგნებულად, განსასაზღვრია) ეღობებოდნენ და ესეც ისტორიული აუცილებლობით იყო გამოწვეული. საქართველო ერთმთლიანდებოდა იმ დროს. დედა-სამშობლოს უერთებდა მიტაცებულ მიწებს — ახალციხეს, ახალქალაქს, ყარსს, ართვინს და სხვას. უქმდებოდა, ფსიქოლოგიურ ერთმმართველობაში შედიოდა სამთავროები სამეგრელოსი, გურიის, სვანეთისა, აფხაზეთისა; გაუქმებული იყო სამეფოები ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა; აღარ არსებობდნენ საერისთავოები: არაგვისა, ქსნისა, რაჭისა, სამუხრანბატონოსი და სხვა. ბატონდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის იდეა. ასპარეზზე გამოდიოდნენ დიდი კაცები: ილია, აკაკი და სხვები. დაწერილი იყო: „ივანიამ რა ჰქმნა", „გოსტაშაბიშვილის ამბავი", „ბაში-აჩუკი", „დემეტრე თავდადებული", „თორნიკე ერისთავი", „სამშობლო ხევსურისა", „მე პატარა ქართველი ვარ" — საქართველოს ძველი დიდების ამსახველი თხზულებანი; სიყვარულის, მეგობრობის, თავგანწირვის, გულწრფელობის წიგნები. ვერ დაიმგვანეს შემდეგდროინდელი ცრუპატრიოტული, ავტორთა განდიდების მანიით შექმნილი ნაწარმოებები, ასე რომ შეუწყო ხელი ჩვენი ერის მანკიერ თვისებებს: მჴვაობას, ამპარტავნებას, ფუყე სიამაყის, შოვინიზმის გამოვლინებას. გადავურჩით პირველ მსოფლიო ომს, მსოფლიო რევოლუციებს. ვხნავდით, ვსწავლობდით, ვსვამდით, ვმღეროდით, ვმრავლდებოდით, სანამ ჩვენიანი არ გამოტყვრა, სანამ საეჭვო სისხლის ქართველი არ მოვიდა იმპერიის სათავეში. საქართველო დაშალა კვლავ, — სისხლიან წერტილებად: აფხაზეთად, აჭარად, ოსეთად. რუსეთი გააერთიანა სამაგიეროდ. ვითომ გააერთიანა. სინამდვილეში „დრუჟბით", ფურთხით შეაგოჯიალა საბჭოეთი, მისი სიკვდილის შემდეგ ნაკერებში რომ გაირღვა, დაიწყო დაშლა, და დაიშალა ბოლობოლო. ცოტა ხნით შეაკავეს მისმა მოძულე მოწაფეებმა და ვერაფერი გააწყვეს. შეშინებული, დაბეჩავებული საქართველო კი დაშლილი შეეგება, მისიანის წყალობით, ამ პროცესს. ახლა იგი გაერთიანებისათვის იბრძვის.

1924 წლიდან ერი შევიდა კლებაში: ხვრეტაში, დეგრადირებაში. სხვის ომში. სამაგიეროდ გვყავდა კაცი, რომელიც ვითომ საქართველოს განასახიერებდა. იგი უნდა ყოფილიყო კარგად და საქართველოს თუნდაც საბოლოოდ მოღებოდა ბოლო. დედამ შობა თუ საუკუნემო, ერთმანეთს ვეკითხებოდით სიამაყით. ჯუღაშვილი დედამ შობა და სტალინი საუკუნემ. სავსებით სწორადაა განსაზღვრული, ჩემო ბესარიონ. მეჯლანე ბესარიონმა ჩასახა, დედამ შობა და დრომ გააჩინა; დრომ მოიყვანა, დროს გაჰყვა. დრო წარმოშობს დროს, გამოაღენჩებს მრავალთ, მრავალთა პირდაღებით ალაზევებს არარაობებს.

გენადი. ვინაა ეს გენადი!

ერთი კაცი იყო, გვარად ქურიძე. თავად თბილისში მსახურობდა, ცოლი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ჰყავდა სოფელში, თბილისთან ახლო. რადგან ქმარს უქალობა უჭირდა, ქალს სათბილისოდ არ ეცალა, კაცი აკითხავდა და მაინც იშვიათად იხელთებდა. ქალს საზოგადო საქმით ჰქონდა დღე და ღამე გასწორებული: ხან ალმა დაჰქროდა, ხან დალმა, ხან ზვარში იყო, ხან ყანაში,

ხან ფერმაში, ხან რაიკომში გამოძახებული: კრებებს ატარებდა თავადაც, რაღა ლაპარაკი უნდა. შუაღამისას ბრუნდებოდა ხშირად შინ, აივნის სვეტთან ქმრის სიგარეტის მუგუზალს ხედავდა. რა ვქნა, ასეაო, ბოდიშობდა დაღლილი; რას იზამ, ისეაო, პასუხობდა ქმარი — კულტურის დამსახურებული მუშაკი. ერთ შვიდ ნოემბერს შინიდან არ გასულან. ის ღამე გაითენეს და რვაში, დილით ნახევარი სოფელი შეიყარა ეზოში ბაირაღებით.

— გენადი, გენადი!

კაცმა ბლუზა ჩამოიცვა და წელქვევით შიშველი გაჩერდა აივანზე, მოაჯირს გადმოეყუდა.

— რა გნებავთ, პატივცემულო კოლმეურნენო, — იკითხა წყნარად.

მიტინგი უნდა ჩავატაროთ, თავმჯდომარე გვინდა, თავმჯდომარეო, აყვირდნენ.

— ბოდიშს კი ვიხდი, მარა ახალი ნახმარი მყავს თქვენი თავმჯდომარე და ვერ დგება...

რუსეთი მყარ, კუმშვად იმპერიას აკეთებდა; იერთებდა, იმტკიცებდა მომიჯნავე ტერიტორიებს მოთმინებით; სახელმწიფოდან სახელმწიფოში არ ხტებოდა, კოლონიებს ზღვებში და ოკეანეებში არ ეძებდა. მონათესავე ერებს (არც სხვას აკლებდა ხელს) მეთოდურად არუსებდა. ითვისებდა მოწინავე ერების კულტურას, ქმნიდა თავისსაც; ეწეოდა და უსწრებდა ევროპის სახელმწიფოებსაც: ლიტერატურით, მუსიკით, საბალეტო ხელოვნებით, სამხედრო არისტოკრატიით, ფილოსოფიით. რევოლუციებმა — პირველმა, მეორემ და ახლანდელმა, განსაკუთრებით, დააქცია და ესეც ისტორიული აუცილებლობით იყო გამოწვეული. ორჯერ ჩაგვიხუტა, ორჯერ დავებდღვენით და მესამის მოლოდინში ნუ დავრჩებით. შორიახლო გაუჩერდები, გაიბები, ახლო მიხვალ — დაიწვები. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი ისტორიული, დღესდღეობითაც ასე იქნება და დანარჩენს უახლესი ხვალე დაგვანახებს. ისტორია ნახტომებით ვითარდება, მაგრამ წინ და უკანაც ხტებიან ხოლმე.

ერთი სოფლელი დედაკაცი გაქურდეს ქუთაისის ბაზარში, მთელი დღის ნავაჭრი ფული მოჰპარეს. გამწარდა, გაშალა თმა და მოთქვა:

— დამაფსეს, დამაფსეს!

ნუ ვიჩქარებთ. უმწიფარ პოლიტიკოსებს ნუ ავყვებით, თორემ დავიფსებით— ამ სიტყვის სწორი ტრანსკრიპციის მიუხედავად.

ქართული დიალექტების, კილოკავების, ფონეტიკურ სახესხვაობათა უხვაობა, სიმღერების მრავალხმიანობა ჩვენი ხასიათის სირთულეს, მრავალფეროვნებას ეხამება და ქართული ჭირ-ვარამის, იუმორის, სიბოთავის გამოვლენის კარგი საშუალებაცაა. აქ ხომ ყველამ ყველაფერი იცის (განსაკუთრებით პოლიტიკა), ყველა თავის ჭკუაზე ერეკება, ყველა თავის სიმღერას მღერის და პოლიფონიურობა ამერ-იმერის ერთიანობის, სხვადასხვა კუთხის გამთლიანებისაკენ სწრაფვის, ხელახალი დაშლის წუხილიცაა.

„...აღსანიშნავია, რომ შავიზღვისპირეთის ამ მიდამოებში ყველა საუკუნეში იბადებოდა დიდი რაოდენობის კარგი ჯიშის ხალხი..."

„მამაკაცები ოცდახუთიდან ორმოცი წლის ასაკამდე, ღირდა მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ. ორმოცზე მეტი ხნისა — რვიდან ათამდე. ლამაზი ქალწულები — ცამეტიდან თერამეტ წლამდე — ოცი ეკიუ. სხვები უფრო იაფად ფასობდნენ. ქალები — თორმეტად, ბავშვები — სამ ან ოთხ ეკიუდ. ერთმა ბერძენმა ვაჭარმა, რომელსაც ბინა ჩემი სადგომის გვერდით ჰქონდა, ქალი ძუძუს ბავშვით იყიდა თორმეტ ეკიუდ; მეგრელი ქალი, იქნებოდა ოცდახუთი წლისა. ჰქონდა ულამაზესი ნაკვთები და ნამდვილი, შროშანისფერი პირისახე. არასოდეს მანახავს ისეთი ლამაზი გულმკერდი, ისეთი მრგვალი ყელი და საოცრად ნაზი ფერხორცი. ეს ლამაზი ქალი ერთდროულად ვნებასაც და სიბრალულსაც იწვევდა..."

ამ სცენის შემყურე ფრანგ ნეგოციანტ ჟან შარდენს. ოცდახუთი წლის

დედის ძუძუებიც რომ კარგად ჩაუთვალიერებია, სიბრალულის გრძნობა გაჰყოლია და წიგნის წერისას გახსენებია.

„...ყველა ოჯახიდან, სადაც ოთხი ბავშვი ჰყავდათ, ერთი მას (თურქს) მიჰყავდა. ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა. ვუყურებდი, როგორ გლეჯდნენ დედას მკლავებიდან საბრალო ბავშვებს, ჰკრავდნენ მათ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან...“

დედის წინ მარბენალ კვიცს მგელი შეჭამს.

ტურა მოვა, შვილო, და წაგიყვანს. სისა ტურა. გაგყიდიან, შვილო, კვლავ გაგყიდიან, მოვა ტურა ისევ. მსუბუქი ორთქლი ასდის დატბორილ, ისლიან მინდვრებს. ჩალურჯებულ მთებს შორდება ჯანღი, მთებიც შრებიან. ნაღვლიანი თვალებია ჩაძირული წყლის ნისლში, ნაღველით მზირალი შავი კამეჩების ნიკორა შუბლები ჩანს. ტურა მოვა, შვილო, და წაგიყვანს. გაგყიდის შენი სათაყვანო ბატონი. სამკაულებში გაგცვლის, მოოქროვილ სამაჯურებს უყიდის დიდ ქალბატონს. გენატრება, შვილო, ციებიანი დედოფალი? მოვა, შვილო, კვლავ მოვა ბატონი, სისა ტურა...

ბრძენი იყო მოლა-მეთქი, გითხარით და არ დაიჯერეთ. ძაფს ბოლო თუ არ გაუსკვნეით, გაძვრება. აქლემი გაეტევა, თუ გინდა, ნემსის ყუნწში და ძაფს რა გააჩერებს!

ნიაზურას ომი რომ მოვიგეთ, ბატონიშვილმა იოანემ ბატონთან (ერეკლესთან) მახარობელი აფრინა და მტრის თავები გაატანა. ცხენზე გადაკიდებული თავების ხათქახუთქით შეჭენდა სამი კაცი გალავანში. სიონთან ჩამოქვეითდნენ აღტაცებულ მოქალაქეთა თვალწინ.

კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო, ისეა. თავებზე მონადირეთა მოწაფეებადაც არ ვვარგოდით არც მაშინ, არც ადრე, აწი სულ არ გამოვდგებით. თავით თუ ვინმეს გაკვირვება გვინდა, სკვითების ხელობა უნდა გავიხსენოთ:

„...თავს ისინი ასე ატყავებენ: შემოსერავენ ირგვლივ, ყურებთან, შემდეგ იღებენ და თავს კანიდან გამოაგდებენ. მერე ხარის ნეკნით კანს ხორცს აცლიან და ხელებით ქნიან, რომ დაარბილებენ, ხელსახოცად ხმარობენ. ბევრი მათგანი გატყავებული კანების მოსასხამს იცვამს. ბევრი კიდევ მტრის გვამის მარჯვენა ხელს ატყავებს ფრჩხილებით და კაპარჭის ბუდეს აკეთებს. ადამიანის კანი სქელი და პრიალაა და ყველა სხვა ტყავს აღემატება სითეთრით. ბევრი სკვითი მთლიანად ატყავებს მტრის გვამს, გადაჭიმავს ჯოხებზე და ცხენზე ამხედრებული დააფრიალებს. რაც შეეხება გამოსადეგ თავებს (ყველას არა), წარბებს ქვემოთ ხერხავენ და ასუფთავებენ. თუ პატრონი ღარიბია, მხოლოდ გამოუქნელი ხარის ტყავს შემოაკრავს და ეგრე ხმარობს, ხოლო მდიდარი შიგნიდანაც მოავარაყებს და სასმისად ხმარობს. ასე ეპყრობიან ისინი ნათესავების თავის ქალებსაც, თუ მათთან უთანხმოება მოუვიდათ. სტუმრებთან გამოაქვთ ხოლმე და აცხადებენ: ესენი ჩვენი ახლობლები იყვნენ, მაგრამ ჩვენთან ბრძოლაში დამარცხდნენო“.

ძველად იყო. ახლა, მეოცე საუკუნის დასასრულს, სკალპებს აკეთებენ თავებიდან — ზოგან აშკარად, ზოგან ფარულად, რასაკვირველია. სხვისი ყურება არ გვარგია, ჩვენ ამის ხალხი არა ვართ. მიწის მუშებად დაბადებულებს მიცვალებულთა გაპატიოსნება, პატივისცემა გვიყვარს (ამითაც დავემსგავსეთ ეგვიპტელებს); სხვისგან მოთრეული ყველა სიგლახე შეგვეყარა სახადივით და მაინც სხვა ხალხი ვართ: ვენახს ვუვლით, ღვინოს ღამეს ვუთევთ, ვსვამთ, ვმღერით, ერთმანეთს ვეფერებით ხოლმე.

საქართველო მკვდრად არ შობილა. განვლო გრძელი, რთული, ტანჯვიანი გზა; გაუძლო და მისი დღე მაინც ხვალინდელია.

დოსტოევსკის უბრძანებია: მეორედ მოსვლისას, განკითხვის დღეს კაცობრიობა უფალს „დონ კიხოტს“ დაანვედრებსო. არავისზე ნაკლები დონ კიხოტები არ გვყავდა, ჩვენც ვართ ამ დიდი

წიგნის წარმოდგენაში, მაგრამ ჩვენ პირადად რით შევეგებებით იმ საშინელ დღეს? ყველას რომ ცალ-ცალკე მოგვეკითხოს, საკაცობრიოდ რა შეჰქმენით, თავი რით ვიმართლოთ?

ჩვენ აკაკი წერეთლის „გამზრდელს" და ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს" წარმოვაჩენთ, მორალისა და ზნეობის წიგნებს, საამქვეყნიო კულტურის გვირგვინში ჩასასმელ მანათობელ თვლებს გამოვიტანთ და კაცობრიობაც ამ წიგნების ზნეობითა და მორალით აღორძინდება, ხელახლა რომ დაიწყებს ზეობას.

ახლა ისევ ზამთარია, მარტოობა ჭირს,
შენ საფლავთან ღამეა და ცივი ქარი ჰქრის,
ბუდუია ქვარიანო, ვის ასვენებ, ვის!..

ლექსი დაუწერა ჩემმა მეგობარმა პოეტმა ბუდუ ქვარიანს. ზუსტად არ დავიმახსოვრე, განგებ გავიჩემებურე.

ეკონომიკა ეკოლოგიას უკავშირდება, სიღარიბე — მონობას. გაჭირვება უგნურებასთან (შედეგს ვერ გაითვალისწინებ) გაყრევინებს წილს.

დიდი ომის დროს განადგურდა ქალაქის შემოგარენი. წყალწითელას ხეობაში ტყე საშეშედ ისე არ აუჩეხიათ, როგორც საგვირგვინედ აჭრეს და გამოზიდეს ნედლი შხვერები ჭახათასა და მოწამეთას ფერდობებიდან. გუდურებად მოათრევდნენ ფიჩხს, ნედლ ჭიგოს „სავენოკედ", ბზის რტოებს და ხავსს — სადღესასწაულოდ (საპირველმაისოდ, საშვიდნოემბროდ); ბზის გირლიანდებით რთავდნენ ტრიბუნებს, სახლების ფასადებს, კოლონადებს. აკეთებდნენ გვირგვინებს სართულებად. სატყეო კონვეიერი მისრიალებდა, ტრიალებდა საგვირგვინე წარმოება. ბიძინა და მარო დ-ძეები დასტირიან დაუვიწყარ იუსტინე ბიძიას...

დაუვიწყარებს (საგვირგვინე წარწერებს) წერდა მამია კინო „კომუნასთან", ეხმარებოდა და ხელობას სწავლობდა ბუდუ ქვარიანი, ძირძველი მოქალაქე არქიელის გორიდან. სალებავში მოსვრილი თითებით გამოჰყავდა მუყაოზე ფერადი ასოები; უფროსების ლაპარაკს უგდებდა ყურს, ღადავშიც იღებდა მონაწილეობას. მზა გვირგვინებიც, — დამკვეთზე იყო დამოკიდებული, — მიჰქონდა კლიენტის ბინამდე. აქაა, იძახდა და იქვე აყუდებდა, ჭიშკართან ან სადარბაზოსთან. შინ ხომ არ შეიტანდა! გამოეტიე, ქალო, ყვიროდა ოჯახის უფროსი. მოვ-დი-ვარ!.. ეხმიანებოდა ცოლი და „ჩულქის" ყელებს იმაგრებდა სქელ ბარძაყებზე. წავედიო, იძახდა ბუდუ, თითქო ვინმე აკავებდა.

მიუძღოდა გასვენების პროცესიას გასვენების დღეებში გვირგვინების კავალკადა. გაბაწრულ ბავშვებს მიგვქონდა „ვენოკები", ვპუტავდით გზადაგზა, ვაბნევდით გზაზე ყვავილებს, სასაფლაოზე „დაუვიწყარები" (ეგ აუცილებელი იყო) და ხის ნედლი ტოტები აგვქონდა. ბუდუ ქვარიანი ერთხელ წყალსადენის თავახდილ ლუკში ჩავარდა და ორსართულიან „ვენოკს" ხელი არ გაუშვა. პროცესია მიდიოდა ორკესტრითა და დროშით, ბავშვი აღარ ჩანდა, ლუკიდან გამხდარი მაჯები, გაუხრელი სამგლოვიარო გვირგვინი იყო ამოშვერილი. გასვენების კაცი დადგება ამ ბალანისაგანო, შენიშნა კოწია წულუკიძემ, პენსნე გაისწორა, ვისიაო, გაიფიქრა და გვირგვინიანად ამოქაჩულ ბუდუს დააკვირდა.

გასვენების კაცი დადგა. არამარტო გასვენებისა; ხელმძღვანელობდა დრამწრეებს, კულტურის სახლებს და გასვენებებშიც თავკაცობდა, რაღა თქმა უნდა.

ჩვენებური დაკრძალვა მისტერიულია, წარმოდგენისეულიც, და ბუდუს მოღვაწეობის ორი სფერო — გასვენება და თვითშემოქმედება (დრამწრე, სპექტაკლი, წარმოდგენა) ერთმანეთს უკავშირდებოდა.

პიონერთა ბანაკში, კათოლიკური ეკლესიის ეზოში რომ იყო დაცემული, ომის დამთავრებამდე კულტმუშაკად იყო მიწვეული სრულიად ახალგაზრდა. მნე შოთა კარანაძე, ბავშვებს საჭმელს რომ

ჰპარავდა, ისადილეო, აძალებდა, ბაღნების პურს არ დავაკარებ პირსო, ბუდუ უარობდა, ნაჭამი მოვდივარ ისედაც სახლიდანო და გამწლეულ მუცელზე ისვამდა ხელს.

სამხედრო თამაში ჩაატარა ერთ დღეს. ბაგრატის ტაძრის შემოგარენში გერმანელებმა გადმოსხეს დესანტი (იაპონიაში ვიყავით შესული უკვე) და გვევალება ტერიტორიის გაწმენდა, განაღმვა, დესანტის განადგურებაო და სხვა. დაგვირიგა სასწავლო თოფები, აირწინაღები, ხელყუმბარები. თავად მართლა შეიარაღდა. გაგვყვეს ორად — მომხდურებად, დამხდურებად (მე, პირადად, დივერსანტებში აღმოვჩნდი) და წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით გაიმართა სამხედრო (იმ დროს კიდევ სავალდებულო) თამაში. საბჭოთა არმიას სათავეში ჩაუდგა ბუდუ ქვარიანი; მტრის დესანტს, დიდი უარის მიუხედავად, უმეთაურა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა, გვარად (სახელი აღარ მახსოვს) კუპრეიშვილმა. დაგასწრებ სროლას, მკვდარი ხარ, დამასწრებ — შენი აჯობებს. სდექ! — დაუყვირებ, ტყვედ ჩაგბარდება, დაგიყვირებს — შენ ბარდები; ყველაფერი მოსწრებაზეა, სიმარჯვეზე და საზრიანობაზე ალარაფერს ვლაპარაკობო, განგვიმარტა ბუდუმ და გაგვშალა. თქვენ იქით, ჩვენ აქითო. წავყევით კუპრეიშვილს უხალისოდ. დავნაღმეთ ბაგრატის ციხის შესასვლელგამოსასვლელები და მე და ჟორჟიკაშვილი ჩაგვასაფრეს ფერდობზე, საცალფეხო ბილიკის ახლო, ანწლის ბუჩქებში, სადაც, ჩვენი ვარაუდით, ადამიანიშვილი არ უნდა გამოჩენილიყო. ვსხედვართ მე და ჟორჟიკაშვილი მწიფე ანწლის მომწარო სუნში, ვლაპარაკობთ; ფრონტზე რა ხდება, არ ვიცით, სროლა არ ისმის, ნაღმი არ ფეთქდება. ვხედავ, წავუმუჯლუგუნე ჟორჟიკაშვილს, ბუდუ ქვარიანი მოდის სომბრეროთი, სანადირო თოფით, პისტოლეტით, კომისარიატიდან რომ გამოატანეს ხელწერილით; არც დაუხედავს, ისე გადაალაჯა ნაღმს, მიადგა კურკანტელის ძეძვს, მიემარჯვა, მიუშვა. ვაცალეთ და ხვანჯარი რომ შეიკრა,

— სდექ!

არ გველოდა. ცოტა დაიბნა კიდეც, მაგრამ სწრაფად გამოერკვა, დაგვიმიზნა „ცენტრალკა“, არ წამოხვიდეთო (არც დაგვიპირებია), გვიყვირა, ტყვეები ხართო!

— რანაირად, კაცო, ჩვენ არ დაგასწარით!

— ლაპარაკი! — აიშვირა ლულა და ისროლა. დამხმარე ძალაც მოუვიდა სროლაზე. პლენები ავიყვანე, მოუარეთო, ორ კაცს უთხრა, დანარჩენები გაიძღოლა და წავიდა. აგვაწევინეს ხელები და შეგვყარეს მოსახლის საქათმეში, სადაც, მათი ჭკუით, ომის დამთავრებამდე უნდა დავრჩენილიყავით.

ნამდვილი ომის გასრულებიდან ორაოდე წლის შემდეგ სამ კაცს, სეითა ბოკერიას, პეტია ხიწვაძეს და უინსტონ ჩერჩილს ეცვა განსაკუთრებული ხარისხის, ინგლისური მაუდის მოლისფერი მაზარა. ბუდუ ქვარიანი მიადგა კომისარ პეტია ხიწვაძეს და შინელი უნდა მათხოვოო, უთხრა. რად გინდა შინელი ამ სიცხეშიო, გადაირია პეტია. სტალინის როლს ვთამაშობ კულტურის სახლში და გენერალსიმუსის (პაგონები გვაქვს) შინელი გვჭირდება „ბერლინის დაცემაშიო“. სტალინი არ გეხსენებინა, კარგი იყოო, შეფაქრიანდა პეტია ხიწვაძე, რაღაი მიხსენე, წაიღე; მამაჩემს არ მოვახურე ორპირ ქარში, გაოფლილი რომ დაბრუნდა ვირის აბანოდან; შენ გათხოვებო და გამოუტანა ნაფტალინით აქოთებული მაზარა. წაიღო ბუდუმ და იმავე დღეს გაყიდა სამტრედიაში. საძმაკაცო ვალი ჰქონდა გასასტუმრებელი, ხელფასი სიგარეტში არ ჰყოფნიდა და დაუყარა თავისიანებს თავი. ეტლითა და დამკვრელებით იქეიფა, სასაფლაოები ჩამოიარა, დაღუპული და შინ არდაბრუნებული ბიჭები გაიხსენა.

მიცვალებული აღარ იმარხებოდა ბოლოს ქალაქში ბუდუ ქვარიანის გარეშე. ის იყო თავკაცი, დაკრძალვის გამრიგე. ბალტიისპირეთში კინოგადაღება-

ზე (ექსპედიციას გაჰყვა ადმინისტრატორად) მიუვიდა ბიჭიკო კოლუაშვილას ტელეგრამა: დედა დაუმარხავი დამრჩება, თუ არ ჩამოხვედიო. ჩამოვიდა. რომელი მხრიდანაც ამოუდგებოდა ჭირისუფალს, იმ მხრიდან ქარი არ დაუბერავდა. გაზომავდა, გათვლიდა, წესი არ გაეხრებოდა; მიცვალებულს გაპატიოსნებულს გაუშვებდა, ოჯახს თავდადგმულს დატოვებდა. დამფასებლებს რომ გაისტუმრებდნენ, შინაურები რომ მიუსხდებოდნენ სააზლობლო სუფრას, მხოლოდ მაშინ მოკეცავდა ფეხს. ბევრს ვერ სვამდა, მაგრამ სადღეგრძელოს არ დაიკლებდა; რამდენიმე ჭიქის შემდეგ ცრემლი ადგებოდა, რა კაცი ამოვდევით მიწის ქვეშო (კაცი და ქალი ერეოდა ხანდახან ერთმანეთში), ტიროდა. ჩამომდნარი და გაშავებული ვნახე ბოლოს დიდ ბანკეტზე. მაღალს, გამხდარს ბეჭები დაწვრილებოდა, მუცელი შებერვოდა შესამჩნევად. ძველ ეშხს უკბილობაც ვერ უფარავდა. ლაპარაკობდა კაცობაზე, მეობაზე; მთავარი გატანააო, სხვას ვერ მაცებინებდა ნასვამი იმ ხმაურში. სიკვდილის წინ გარდაცვლილი ძმაკაცები მოიკითხა, ძილ-ბურანიდან გამოვიდა და გურამია ბირდაბირი დაინახა. ირწეოდა საწოლთან, ღვინის სუნი ამოსდიოდა. რა გინდა, ბუდუ, მითხარი, რა გინდა, მითხარი, არ დამიმალოო, ჩასძახოდა გულაჩვილებული. არაფერი არ მინდაო, ამოულაპარაკებია ბუდუს, ერთი წამომაყენა და თავი მარეკია შენთვის, მთლად მირჩევნია ყველაფერსო. რომ ასაფლავებდნენ, უსახური დღე იყო და ქარი უბერავდა, ხმელ ფოთლებს ფანტავდა. ღარიბული, მოუვლელი საფლავი დაურჩა ქვიტირთან, მოუხერხებელ ადგილას. სამაგიეროდ, მზიან და გაშლილ, შემოურჩგვავ ველზე ამოჩნდა. გამხდარი ძროხა იყო და ძოვდა უგულოდ შებურულში, როცა მივედი.

აზლა ისევ ზამთარია, მარტოობა ჭირს,
შენ საფლავთან ღამეა და ცივი ქარი ქრის,
ბუდუია ქვარიანო, ვის აჰვენებ, ვის!..

დიდი მეფე იყო ბაგრატ III. ტაოში, ფანასკერტის ციხეში აღესრულა 36 წლის მეფობის შემდეგ. შეტირილებით წამოასვენეს და გადაუხადეს თუ არა, სანამ ბედიაში დაკრძალავდნენ, პარაკლისი ქუთაისის დიდ ტაძარში, მისი სახელით რომ შემორჩა წლების ბრუნვას, ისტორიით არაა ცნობილი. დაკრძალეს საქართველოს აფხაზეთში საქართველოს ძლიერებაზე და ერთიანობაზე გადაგებული სახელოვანი მეფე.

„ოდეს განამტკიცა იატაკი ქორონიკონი იყო 223“ (223+780=1003 წ.) კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენიდან ხუთი წლის შემდეგ გაასრულეს ტაძარი ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ და დგებოდა საუკუნეები სახელმწიფოებრივი სიმტკიცისა, აღმშენებლობისა, ნაკიანი ციკლისა, ვარსკვლავის თითოჯერ (სამ საუკუნეში სამჯერ) მობრძანებისა. მხოლოდ ვარსკვლავის 22-ჯერ შემობრუნების შემდეგ XXX-XXXI-XXXII საუკუნეებში (2974-3050-3125 წწ.) განმეორდება იგივე. „რაც ყოფილა იგივ იქნება და რაც მომხდარა—იგივ მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი!“

უგუმბათოდაა დარჩენილი ბაგრატი და ბედია. ბაგრატიდან ლურჯი ცა, ბედიიდან მთიდან ზღვამდე გადალურჯებული სივრცე, გაუწელებელი ცისფერი წუხილი ჩანს.

აზლა ისევ მეფე გვინდა უმეფობის წელთაღრიცხვაში.

7. „...უთხრა უფალმა სამუელს: შეისმინე ხალხის ყოველი სიტყვა, რასაც გეტყვის, რადგან შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს თავიანთ მეუფედ“.

„...უთხრა სამუელმა უფლის სიტყვები ხალხს, მეფეს რომ მოითხოვდნენ მისგან“.

„...არ დაუჯერა ხალხმა სამუელს. თქვეს: არა და არა, მეფე უნდა გვესვას!..“

ჯერ დამოუკიდებლობას მოვიპოვებთ და შემდეგ მეფეს დავსვამთ, სისხლაჭრილ ბაგრატიონთა გვარისას, თავისუფლებისა და მონობის სიმბოლოდ. მოვიდა ეგ თავისუფლება, თუ აწ მოვა კადევ? ბევრჯერ გავიმარჯვეთ, ბევრჯერ

გავთავისუფლდით და გვანთხევინეს ყოველი გამარჯვება. ჯუნას და ოთიას სისხლი არ შეშრობია ჯერ თბილისს. ღირდა ეგ თავისუფლება ახალ წლის ღამით 7 წლის გოგონას თოვლში დაღვრილ სისხლად, ხილიანზე დაბჟუტულ ბიჭუნას სიცოცხლედ? თოვლი ვერ ჩარეცხავს ბავშვების სისხლს. ბავშვობიდანვე დაეთხოვენ ცოდვილ დედამიწას. წავიდნენ, გვაპატიეს, შეგვინდეს. ჩვენ შევინდობთ საკუთარ თავს? ისიც არ ვიცით, რა ჩავიდინეთ, რა გვჭირს. საით წავედით, როცა ვაღიარეთ გენადი, უარვყავით მთავარი, უმთავრესი...

„...რადგან შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს თავიანთ მეუფედ..."

ახლა სად მივდივართ. საით მიექანება კაცობრიობა. სად მიზვალ, უბედურო სპირიდონ!

ერის გარკვეული ნაწილის გალენჩებამ დამაღონებლად იმოქმედა. ყველაფერს ეჩვევი, სიცივეს, სიდუხჭირეს, სიკვდილსაც კი, სირეგვნეს გონიერი ვერ ურიგდება. უსინათლოს ბეწვის ხიდზე გაატარებ, უფსკრულისაკენ მიმავალ თვალგახელილ ბრმას უკან ვერ შემოაბრუნებ. იღვრება სისხლი კვლავ. იმსხვრევა სული. პასუხს არავინ ითხოვს. შემძახებლები — გაჩერდით! — არ ჩანან. მძიმე სურათია, ჩემო ბესარიონ ბატონო, და მაინც მომავლით ვცხოვრობთ, არამარტო მომავლით...

წესრიგი ყველგან და ყველაფერში, — დევიზი, დროდადრო რომ წამოაბოდებდათ კომუნისტებს; უწესრიგობისა და უკანონობის სახელმწიფოში ამ ლოზუნგის საფუძველიც არსებობდა.

ოლქობაზე ქუთაისში ჩავიდა აბასთუმნის ობსერვატორიის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი, გვარად ღლონტი. მოინახულა ძმაკაცები, გადაჰყვა ხელს და მეორე დღეს, ნაბახუსევი, უბილეთოდ ჩავიდა ხალხით გაჭედილი ტროლეიბუსის უკანა კარით და დააკავა გაჩერებაზე ჩასაფრებულმა რიგითმა მილიციელმა ღოლაბერიძემ. რადგან პირადობის დამადასტურებელი საბუთიც არ აღმოაჩნდა, მიაბრძანეს მეორე რაიონის მილიციის განყოფილებაში, სამორიგეოში გაჩხრიკეს, ამოუღეს ჯიბიდან ნაშალი ფული, სავარცხელი, უბის წიგნაკი, გასაღები და შეაგდეს საკანში უსაქმურებთან და წვრილმან ხულიგნობაზე დაკავებულ პირებთან. მორიგე ოფიცერმა იმხნელმა, პოსტი რომ გადაიბარა, მთქნარებით ჩაათვალიერა სარეგისტრაციო ჟურნალი, ჩამორთმეული უბის წიგნაკი ნახა, გაშალა, ჩაიკითხა და წააწყდა ასეთ ფრაზას: მაო ძე-დუნის წინააღმდეგობის შესახებ...

— მდა... — თქვა მან და ღოლაბერიძეს მიაჩერდა. — შენ მოიყვანე?

— მე. უკანა კარიდან ჩამოვიდა.

— ვერ დამართია კაი საქმე...

ცხელოდა. იმხნელმა უბის წიგნაკი ჩაკეცა და ღოლაბერიძეს უყურა თავის კანტურით.

— წავიდე, უფროსო?! — მზეში გასვლა შეეზარა, ირონიულ მზერას და უსაფუძვლო თავის ყანყალსაც ვერ გაუძლო.

— წადი. რა ჩემ ფეხებს მიკეთებ... შემოიყვანე ჯერ ღლონტი!

— რომელი ღლონტი, ჟლენტი რომ არი?!

— ჟლენტი.

შემოიყვანეს ჟლენტი, აბასთუმნის ობსერვატორიის მეცნიერ-მუშაკი, ტროლეიბუსის უკანა კარიდან ჩამოსვლაზე გასოხარებული.

უყურა იმხნელმა, უყურა:

— რას ეწინააღმდეგები, ბიჭო შენ, მაო ძე-დუნს?

ყველაფერს ელოდა, ამას — არა.

— მაო ძე-დუნის წინააღმდეგობის შესახებ... — ამომარცვლა უბის წიგნაკიდან.

— მაო ძე-დუნის კი არა, მაო ძე-დუნი წინააღმდეგობის შესახებ, სტატიაა ამნაირი სათაურით, საპლანეტთაშორისო სივრცეთა გამოკვლევების დროს დამჭირდა, შესავალ ნაწილში, რასაკვირველია...

— დისერტაციას იცავ?

— დიახ.

— ამხანაგ მაო ძე-დუნზე?

— მცირე ვარსკვლავების, ასტეროიდების ინტეგრალურ აღრიცხვაზე...

დოლაბერიძე გამოშტერდა. იმხნელი ღრმად დაფიქრდა.

— ისე რომ, მაო ძე-დუნთან არაფერი მაქვს საწინააღმდეგო... — დაასწრო ძლენტმა.

— კარგია, რომ არა გაქვს, მაგრამ მაინც ვერ გაგიშვებ იანგულიძის მოსვლამდე!

— იქნებ სულ არ მოვიდა იანგულიძე?

— ადვილი შესაძლებელია.

— მოვა, მოვა! — წამოიძახა დოლაბერიძემ.

— შენ კიდევ აქ ხარ, შე ჩემის გადაწგრეულო!

— მივდივარ, უფროსო... — გავიდა და კიბეზე გაჩერდა, გამვლელ-გამომვლელს გააყოლა ფერისმჭამელმოდებული სახე და ზეთიანი თვალები, რენტგენის სხივებით გაუშუქა კრეპჟორჟეტის კაბაში გახვეული უკანალი სქელ ქალს.

ამასობაში ძლენტის თანაკლასელები მოცვივდნენ. ეს კაცი ასტრონომია, ვარსკვლავი აქვს აღმოჩენილიო, ალაპარაკდნენ. ერთი ტანმორჩილი, ნასვამი ყმაწვილი გააქტიურდა. ვარსკვლავი აქვს, ბოლოს და ბოლოს, აღმოჩენილიო, დაიჟინა.

— რომც არ ქონდეს, ვერ დავაკავებდით, მაგრამ იანგულოვის მოსვლამდე მაინც ვერ გავუშვებთ... — თავისაზე დადგა იმხნელი და დაღამდა.

— ბევრი გყავთ ვარსკვლავების აღმომჩენი... — ხმას დაუწია ნასვამმა. ნაცრისფერი, თხელი, გარეჯიბიანი, კარგად და სრულად მორგებული პიჯაკი ეცვა და ჭროლა თვალები ჰქონდა უკვე წაჭუტული.

— ხო, კარგი! — უთხრა ძლენტმა. ანიშნა, არ გინდაო იანგულიძის მოსვლის იმედად დარჩენილმა, იმხნელის მოთმინების საზღვარი არ იცოდა და რადგანაც ვარსკვლავიც არ ჰქონდა აღმოჩენილი, სიტუაცია აღარ უნდოდა დაემძაბა.

მეტეორიტის ორბიტის განსაზღვრაზე ვმუშაობო, გამინაურდა. სხვადასხვა ობსერვატორიების მონაცემების შეჯერების შემდეგ, თუ ორბიტა ორბიტას არ დაემთხვა, მეტეორი, თქვენთვის მცირე ვარსკვლავი, აღმოჩენილი იქნება და დაერქმევა ჩემი სახელი ან გვარი, სიტყვაზე ვლაპარაკობ...

— ვარსკვლავს კაცის სახელი?

— ეგრეა ქვიათ კიდეც. მაგალითად, სიტყვაზე, ვარსკვლავი ჯლამაძე, ჯოლოგავა... თქვენი გვარი?

— იმხნელი.

— კარგია. ვარსკვლავი იმხნელი.

— შვიდი წელია ერთი ვარსკვლავის მომატებას ველოდები, ჩათლახი იანგულოვი შენ მოგიმატებს რამეს, არ დაგაკლოს პირიქით... დაურეკია, არ გაუშვათო, გეგონება, რამეს გამოგრჩება ვარსკვლავების მეტს...

ამის შემდეგ ნამდვილ ვარსკვლავებზე ილაპარაკეს და დოლაბერიძეც შემობრუნდა. ისმინა, ისმინა და ჭროლათვალებიანს ანიშნა, გარეთ გამოდიო. გაჰყვა. კიბეზე გაჩერდნენ მთვარიანში

— აიხედე ზევით!

ჭროლა თვალები მოჭუტა და თავი ასწია, გადავარსკვლავებული ცა დაინახა.

— რად უნდა ვარსკვლავს აღმოჩენა, გლახაობთ თქვენ, აღმოჩენილი არაა ყველა!

ვარსკვლავებით იყო გადაჭედილი ცა, აღმოჩენილი იყო ყველა ვარსკვლავი, რომელიც ქვევიდან ჩანდა.

კუდიანი ვარსკვლავი საუკუნეში ერთხელ, ყოველი ორი საუკუნის ჩაგდებით — ორჯერ (ოცდაორი საუკუნის შემდეგ სამ საუკუნეში სამჯერ), 76 წლიანი ინტერვალებით, წითელა ბატონებივით მოევლინება ხოლმე დედამიწას. ედმუნდ ჰალეიმ, ვისი სახელიც ეწოდა კომეტას, მხოლოდ ერთხელ — 1682 წელს — დაინახა, თუმცა 86 წელი იცოცხლა. მეორედ მოსვლა 1758 წლისათვის ივარაუდა და მობრძანდა დათქმულ წელს, წინასწარმეტყველის გარდაცვალების 16 წლისთავზე. XVII საუკუნეში ორჯერ გვეახლა, მეოცეშიც ორჯერ (1910-1987) გაგვაბედნიერა, აჭრილი და გაუბედურებული დატოვა მრავალი ქვეყანა.

ამ საუკუნის კომეტის პირველ (1910

წ.) გამოჩენას მოჰყვა პირველი მსოფლიო ომი, რევოლუცია, ნგრევა და სისხლი; მეორის (1987) მობრძანებას — ისევ ნგრევა, ომები, იმპერიის დაშლა. XXI-XXII საუკუნეებში თითოჯერ გამოჩნდება, XXIII ხელახალი ნგრევის იქნება. წინ უსასრულობაა, უკან მოკლეა, მოზედვაც იოლია. მხოლოდ XII საუკუნე (1150 წ.) გამოდგა ჩვენთვის ფეხბედნიერი, წინა გამობრწყინებებმაც (998-1074) ბევრი სიკეთე მოიტანა, გაერთიანდა საქართველო, აიგო მრავალი ტაძარი, მათ შორის ტაძარი ბაგრატისა. იგი XVII საუკუნეში, ვარსკვლავის ორჯერ გამოცხადებისას საქართველოსთან ერთად გაუბედურდა და დაიქცა. პირველი საუკუნე (10-87) მეოცე საუკუნის შუალედებს (1910-1987) დაემთხვა. დანარჩენებს სხვა შეაჯერებს, თუ ყველაფერი, ყველა ქვეყნისათვის ცალ-ცალკე, შეჯერებული და დაანგარიშებული არაა. ნეტარ იქნებიან XXI-XXII საუკუნეების მცხოვრებლები, შეჭირვებიან ოცდამესამისა და ისევ დაიხსევ ყველაფერი განმეორდება. მზე ამოვა და ჩავა, მთვარე გაანათებს.

დედაჩემს ორჯერ გამოეცხადა კუდიანი ვარსკვლავი, თუმცა იგი ცაზე, მგონი, არც ერთხელ არ დაუნახავს. კვიმატი ვარსკვლავის ორგზის შემწრეს უბედურება არ წვევია, დიდი ბედნიერებაც არ ღირსებია; ჩვეულებრივად, დარდით, წუხილით, ცოტა სიხარულით იცხოვრა. დედამიწიანთა უმრავლესობა კუდიან ვარსკვლავს არ შესწრებია; მათი ეფემერიდები (კომეტისა და ადამიანებისა) ერთმანეთისას არ დაემთხვნენ. ერთი ხანმოკლე სიცოცხლე ერთ შემოვლას არ ეყო. კომეტა კი დარჩა. იგი იყო, იქნება. მოდიოდა და კიდევ მოვა, ქნარის ხმაზე მოვუთხებთ და კვლავ მოვა.

„...აღმოხდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება".

„ქ. კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ეს იქმნა დასაბამითგან წელთა ხჟჲთ, ქორონიკონსა სჰჟ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიკტიონსა ლდ აპრილსა თუესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოვლიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდ მოკიდებით მასვეა. ეს იქმნა ბზობითგან აღვსებადმდე".

ლიხნის (აფხაზეთი) ეკლესიის წარწერაა. თარიღებში მცირეოდენი უზუსტობანია. ბაგრატ მეოთხეს, გიორგის ძეს, კი ბედიც დაჰყვა და უბედობამაც გაამწარა. დედით სომეხი, ბიზანტიის კეისრის სიძე, ქრისტეს სამსჭუალის მფლობელი, „სიბრძნითა ფილოსოფოსი, ენითა სვიანი, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა, მოწყალე, უხვი, შემცოდეთა შემნდობელი; არამედ ქუეყანათა ჟამსა ამისსა დაწყნარება არა აქუნდა". სელჯუკებმა ორჯერ მოუნიავეს სამფლობელო და „დიდი თურქობაც" მოვიდა. ამას მოჰყვა ჟამიანობა, მიწისძვრები, წყალდიდობანი. მიიცვალა 1072 წელს და ორი წლის შემდეგ კეთილად მობრძანდა „ვარსკვლავი კვიმატი ლაზურის მსგავსი", მობრძანდა და სვიანი საუკუნეების (სამ საუკუნეში სამჯერ გამოცხადების) ჩამოდგომა გვაუწყა. გადიოდა წლები, საქართველოს ძლიერებას ვერარაფერი შეარყევდა თითქოს, მაგრამ უბედურება მოახლოებული იყო. მეფობდა ნაოსარი ლაშა გიორგი, რომელსაც ჩვენი ბედის ისტორიის შეჩერება აღარ შეეძლო. დაიწყო დამცრობა, დაქვეითება" „...ვინაითგან შევაწუხეთ ღმერთი, შეგვაწუხა ჩვენცა და სირცხვილეულ გვყვნა წინაშე მტერთა ჩვენთა".

საქართველოს გავლილი ჰქონდა მოკლე და სახელოვანი გზა: აგებული იყო: ოშკის, სვეტიცხოვლის, ალავერდის, ბაგრატის, სამთავისის, გელათის ტაძრები, გადმოღებული იყო ბიბლია, სახარება. დაწერილი იყო „ვეფხისტყაოსანი", ვალმოხდილნი განისვენებდნენ ბექა და ბეშქენ ოპიზრები, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ნამღერი იყო „შენ ხარ ვენახი" და მრავალჟამიერები, მრავალ ხმაში.

1822 წელს ტახტზე ასვეს თამარის ასული, დაი ლაშასი, ცოტა ქართველი რუსუდანი. დაუნიშნეს საქმროდ მუტრა-

ყიდინი, შერთეს ერზრუმელი თათარი მულისედინი. მოვიდა „ვარსკვლავი კვამატი ლაზერის მსგავსი“, მოვიდნენ ჩვარაზმელები, მონღოლები და იმის შემდეგ აღარც გაგვიხარია სახელმწიფოებრივ დონეზე.

1986 წლის ახალ გაზაფხულზე გერმანელებმა კომეტა ჰალეასკენ გაუშვეს ხომალდი „ჯოტო“. სისხლისფერ აბლაბუდაში გაიხლართა ხვამალდი, სინარინჯისფრეში აბრიალდა.

ჯოტო, შენი სახელისა, ჩვენი ბედისა და დიდი უბედობის სტუმარს ხომ შეავედრე დაღუპულთა სულები, აფხაზთა და ქართველთა შვილებისა!

„წარმოიყვანეს ბაგრატ გიორგის ძე სამშვილდედან ქართლს ჰორლეთი“, მომაკვდავმა მეფემ უთხრა დედას: „დედაო, მეწყალვი, რამეთუ წარაქციონ ყოველნი ნაშობნი შენნი პირველ შენსა და მერმეღა მოკუდები შენ!..“

დიდო კიროს, მპყრობელო ქვეყნიერებისა, არავინაა ისეთი უგნური, რომ ომი ერჩივნოს მშვიდობას. ახლა მამები მარხავენ შვილებს, მოვა დრო თავისუფლებისა, მშვიდობისა და შვილები დამარხავენ მამებს.

მოვა.

ახლა კი ჟამია შვილების გამოტირებისა, მიწისძვრებისა, გაუთავებელი წუხილისა, მოლოდინის წვიმებისა.

მშვიდობის, სიყვარულის დრო დადგება.

დრო ყველაფერს აფერადებს, ყოველივეს კურნავს, დრო დროს აბრუნებს, დროსაც აცამტვერებს. წასული ხმების დაბრუნება შეიძლება, სულების გამოხმობაც, რაც მიდის, ბრუნდება კიდეც აუცილებლად. ჩვენ ისევ შევხვდებით, დავუყვავებთ ერთმანეთს, ცისფერ წუხილში დაღუპულებს მივეფერებით, მტანჯველი სიზმრისაგან გავთავისუფლდებით, მარადიულ სიზმარს მივუერთდებით.

და გმადლობთ ყველაფრისათვის, მრავალნაირი ფერებისათვის.

იდგა ალისფერკაბიანი ქალწული წითელვაშლებიან მწვანე ხესთან, ჩალისფერი თმა ჰქონდა და იყო შორს.

ამისთვისაც გმადლობ.

— ყველაფრისათვის.

1992 წელი.

## გუჩა კვარაცხელია

### მგზავრო, შავალო!..

(ეპიტაფიები)

●

მჯობდა ჯოკონდა
იმითი, რომ
უწარბო იყო,
ქვეშქვეშობით არავინ ჰგავდა?
რამდენი ვიცი უკეთესი —
დავიწყებული,
ლეონარდო ვისაც არ ჰყავდა!

●

ქვეგამხედვართა ჩახველება,
კრიტიკოსთა ჩუმი ხითხითი
ძილს ვერ გაუფრთხობს,
ველარც სინათლე უეცარი
გამოაღვიძებს.
აქ სძინავს პოეტს.
ზე ამოდიან დამარხული ლექსები მორცხვად
და ლიცლიცებენ
ნარცეცხლების ცისფერი ალით.

●

არავინ არასოდეს მიქია, თუმცა, ალბათ,
მაინც შეიძლებოდა კარგი მეთქვა იმათზე,
ვისაც ჩემს დროს, ჩემთან ერთად მოუწია ცხოვრება.
ვფრთხილობდი, ჩემს სახელს არაფერი დაჰკლებოდა;
რადგან ერთი თუ გამოჩენილია,
გამოჩენილია დანარჩენების ხარჯზე
და როცა ვინმეს აქმის კანივით

---

დასასრული, დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 11.

შემოეთლება ხოლმე სახელი,
წონას მე ვიმატებ,
ასე მეგონა.
თვალით ვზომავდი და ვახარისხებდი ყველას.
დარწმუნებული ვიყავი, რომ
ჰამლეტის გონიერი სიფხიზლე
და დონ კიხოტის შლეგური სწრაფვა
არასოდეს შეჯვარედინდება ერთ კაცში,
რომელიც ნახტომით ჩამომიტოვებს.
მე ფორას ვაძლევდი სხვებს,
რადგან ცოტ-ცოტა ისიც ვიყავი და ისიც.
დიდებას დავდევდი და არ ვიცოდი,
რომ იგი პირობითი
და საეჭვო რამ არის —
ერთის ბაგე, შეორის ყური
და ბევრათა ნაკადი მათ შორის —
აი, სულ ეს ყოფილა მესამის დიდება.
მივხვდი და პირკატა მეცა,
რადგან ასეთი ბაგე და ასეთი ყური
ერთდროულად თუ არ იქნა,
რის იმედზე ვიყო აქ?

●

როცა დავინახე, რომ მოჯამაგირის შვილიც
უსამართლო ხდება, იმპერატორის ტახტზე ასული,
სიკეთის ყოველგვარი იმედი გადამეწურა.
გავლოთდი.
არავის შევუმჩნევივარ,
ჩემით გაპეზრებული ოჯახის გარდა.
რადგან
ტირანული რეჟიმის პომპეზური ფასადის მიღმა
მოჩვენებითი საწყნარე და წესრიგი სუფევდა.

●

როგორც კი დედის მუხლიდან ჩამოვცოცდი,
ისეთ ფერხულში ჩავები, რომ
ვერასოდეს მოვიცადე, მეფიქრა —
რა მიგვარდა, რა საქმეს უნდა ვწეოდი.
ჩემს მოელინებამდე დაედგინათ,
რა უნდა მექნა, რომ სხვის თვალში
მოსაწონი ვყოფილიყავი.
არ მესმოდა ფილატელისტის.
დროის მიულებელ ფლანგვად მიმაჩნდა
კაქტუსების კოლექციონერის ფუსფუსი.
ისინი კი იმას სჩადიოდნენ, რაც მათ გულს ეწადა,
რასაც ბედნიერება მოჰქონდა და არა პრესტიჟი.
ჩემი წინაპრების წარსული ცხოვრება,
სულსა და სხეულში უხილავ ნაწილაკებად ჩაკირული,
დროდადრო მფეთქავ ნიშანს მაძლევდა —

მეჯოგეთა მოდგმისა გახლდით,
სახრე უნდა ამეღო ხელში.
ვნანობ,
არანაკლებ ვნანობ იმასაც,
არ მეყო ვაჟკაცობა,
ერთხელ არჩეული გზიდან გადამეხვია —
სხვასთან ვიყავი,
სულ სხვასთან კი უნდა მეცხოვრა.

●

რადგანაც ძველი გაუფასურდა,
ახალსაც ვერ დაადეს ფასი,
წარსულში დავრჩი,
იქ ვცხოვრობდი ჩემთვის უჩუმრად,
გულს არ მირევდნენ ყალბი ბზინვით
ბურბუშელები ხვეულა ფოლგის —
იქ საგანძური ელვარებდა კეთილშობილი.
თქვენთან, ამწყოში, არავისი მოხუცი ვიყავ,
უწონადს, როგორც ყველის ნასვრეტს,
ვინ შემამჩნევდა,
მით უფრო, ვინ შემიყვარებდა!

იქნებ მოვიდეს და მიკითხოს ფერმკრთალმა გოგომ,
უთხარით, სადაც შარშანდელი თოვლია, იქ ვარ.
მიეცით ჩემი
სადაფის სადა ოთხი ლილი,
ვერცხლის აბზინდა
და წლების წვიმით დაკვნკილი ჩოფურა თეფში.

●

ერთნი ყოველთვის თხრიდნენ ორმოებს,
მეორენი — ისევ ავსებდნენ.
ერთნი დევნიდნენ,
მეორენი იყვნენ დევნილნი.
თუ რევანშის დროს იცვლებოდა მათი როლები,
ვინ იყო ვისზე უკეთესი — ეშმაკმა უწყის.
ჩემს დაკვირვებას, გთხოვთ, მაინც ნუ განაზოგადებთ,
კერძო პირი ვარ, მით უფრო, რომ — ხელმოცარულიც:
მთელი ცხოვრება
რა ნუკვით და რა სასოებით
ოკეანეში გასასვლელი ვაგე ხომალდი
და სულ ამაოდ —
გარშემო მხოლოდ თხელი წყალი მერტყა ჭანჭყობის.

●

ტკივილის ალქმას საზღვარი აქვს.
აღარ მტკიოდი,

არც ჯავრი მკლავდა,
დავიფერთხე სურვილთა მტვერი,
მიმოვაბნიე ოცნებათა ცივი ნაცარი.
იყოს, რაც არი —
ამ საფლავშიც მარტო ვიწვები,
გადამემხობა ღამე წკვარამი,
წვიმაში თეთრი გაშავდება სამარის ქვები,
ქარში ასკილი იქანავებს თავის კანტურით.
ჩემდენი ჯაფა რომ ჰქონოდა ანდა ვარამი,
არც შენი ცოლი იქნებოდა ელეგანტური.

●

გამუდმებული
მადლიერების გრძნობა მქონდა,
შვების კი — არა.
აკრძალვათა ყრუ
აისბერგი
არ მაძლევდა არსით გასაქანს.
სიტყვებით ნაქსოვ ბადეებში ვიყავ გაბმული,
ვფართხალებდი და სულს ვლაფავდი უჟანგბადობით.
ფარული იყო ანგელოზი
თუ სატანა ანონიმური,
ხელ-ფეხს მიკრავდა —
არაფერი ჩამიდენია.
ამიტომ ახლა მშვიდად ვდგავარ სიკვდილის კართან,
ჯერ არ მინახავს ამ ზღურბლიდან გაბრუნებული.
როგორ გამწირავს,
პასუხს როგორ მომთხოვს უფალი,
თუ არჩევანი იმას ჩემთვის არ მოუცია?

●

ცხოვრება ყოველთვის წინ გარბოდა,
მე ჩემი ხელფასით ვერასოდეს ვეწეოდი.
ერთხელაც, როცა მეუღლემ მოსირმული კაბა
გვერდზე გადადო — „ამის ფასს ჩვენ ვერ შევწვდებითო“,
და ოხვრას გული ამოაყოლა,
რაღაც მოხდა ჩემში,
რაღაც ისეთი დამემართა,
იღბლის მოსვლას რომ ეძახიან;
გავვარდი გარეთ. საღამოს ფულით დავბრუნდი.
ისეთი ამბით შემოვიტანე და მაგიდაზე დავყარე,
თითქოს ჩემი კაცობის თამასუქს ვანაღდებდი.
დამფრთხალი თვალები უარს მევედრებოდნენ.
მათი დაშინების ჟინმა ისე შემიპყრო,
ვეღარაფერმა დამაკავა.
შურს ვიძიებდი იმის გამო,
რომ ამ თვალების პატრონი
მზერით მადარებდა ყველას,

ვინც მისი ხედვის რადიუსში ხვდებოდა,
სპრინტერებს მაჯიბრებდა მე, ცრურწმენით დაბორკილს,
მემკვიდრეობითი წესიერებით ხელფეხშეკრულს.
შიში თანდათან გაუბედავ მოწონებად იქცა,
შემდეგ — აღტაცებად და ბოლოს — განურჩევლობად.
მაგრამ ის თვალები აღარც მე მაინტერესებდა,
მათ თავისი საქნელი ქნეს და ჩაქრნენ ჩემთვის.
ველარ გავჩერდი ძირგავარდნილი გოდორივით აუვსებელი...
ოღონდ ყოველთვის
მოკრძალების ცრემლს მგვრიდა პატიოსნება,
რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადიოდა,
დაბნეული და ნირწამხდარი იდგა ხოლმე
ცეცხლწაკიდებულ ბაზარში საახალწლო გოჭების წინ
და სიმწრის ოფლს იწმენდდა.
განა ყოველი ქაოსი წარმოშობს ვარსკვლავს?
ყოველი იხვრა ჩააყენებს ქარს
ან წვიმას შეწყვეტს,
რომ ქუჩადმავალმა სულის მოთქმა და წახემსება შეძლოს,
მძინარე ჩიტებმაც უსაფრთხოდ იქანაონ ტოტებზე?
განა მანქანით გაირბენ იმ სივრცეს,
რომელიც შენშია?
განა ბრმები აგიხელენ თვალს,
როცა თვალხილულიც უნდათ რომ ბრმა იყოს?
უგზონი გასწავლიან გზას?
განა ქარიყლაპიაზე უფრო ფხიან თევზს არ ჩაგჩრიან პირში,
ყველაზე უპატიო სიტყვას არ გაკადრებენ?
შვილო,
მამაშენი გაცოცხლდება და იცნობენ შენში,
როცა თვალს მოწკურავ, ცას ახედავ და მაინც იტყვი:
„ადამიანი კი არ არის ბოროტი,
ბოროტება ხარობს ადამიანში..."
შვილო!

●

ახლა რომ გითხრათ,
გენიალურ ტილოებს ვქმნიდი
უხარისხო საღებავებით,
წაიშალა ამიტომ ყველა,
დამიჯერებთ?
არადა მართლა ასე იყო...

●

გაინტერესებს,
სიბერეში მე რა მქონია?
მოძალებული მელნისფერი მელანქოლია,
პატივაყრილი გენერლის სევდა,
სიწმინდეც წნაკვი.
რით გაძელ, გიკვირს?

ჩემი ბავშვობის მომდევდა კვიცი,
კეხუდგმელი, გაუხედნავი.
ერთხელაც კიდევ დამანახვა,
აუ, ნეტავი!

●

ვერ აღმადგენენ თქვენი სიტყვები,
თქვენი ცრემლები,
მონატრება.
აღარ ვარ თქვენი.
ვერც თქვენს სიყვარულს შევძლებ წასული.
თუ მაინც ძებნას დამიწყებთ, მაშინ
იცოდეთ, იქ ვარ,
სადაც დაბანილ ქუჩაზე ყუჩად
დავარცხნილი ჭადრები დგანან
და სველ ასფალტზე
ჩემი ლანდის ვარდისფრად-რუხი
კვალი ბზინავს,
ნაბიჯების ხმა ისმის ჩემი შარშანწინდელი;
იქ დავრჩი, სადაც ჩემს საყელოს
გაცრეცილი ზოლი დაჰყვება.
მომძებნეთ თქვენი თვალების მწუხრში,
ნიშის სიღრმეში,
სადაც გვერდიგვერდ დაჩოქილი
ვიდექით მუხლზე;
ღვთისმშობლის თეთრი სამოსელის
ნაოჭში მნახეთ...
ველარ აღმადგენთ,
სულ ერთია,
ველარ აღმადგენთ,
ვერც კეთილ სიტყვით უკვდავმყოფთ,
ამაოა ვაი და ვიში.
როდესაც ვიშვი,
უკვდავება მაშინ დავკარგე.

●

ოკეანეში ვინ გამიყვანს,
რომ მას შევერთო,
როგორც მდინარე ჩამდინარი,
რომელსაც დიდი საიდუმლო,
გაუმხელელი,
მუქ წიაღში მიაქვს ხარკივით?
იმ ფსკერს ვინ მიმცემს,
სადაც ჩაძირულ ხომალდების
ქუფრი ჩონჩხები
ამოყვინთვით იმუქრებიან,
ხეტიალობენ უგზო-უკვლოდ
მეზღვაურთა ლურჯი გვამები

და გმინავს დრო,
წყლის მძიმე ტორით დატყვევებული?
იქ ვინ დამმარხავს,
იმ მღელვარე სიჩუმის ქვეშ ზღვის ზედაპირის,
ჭავლგადაკრული დროდადრო რომ
ისვენებს ზურგზე?
იქ ვინ დამმარხავს?
აქ კი მე არ დავიმარხები.
ჩემი საფლავი ღია რჩება
იქაც და აქაც...

●

განკრძალულები,
რას ფარავდით, ნეტავი, მთებო,
რას მიმალავდით,
არგასამხელი რა შეგემთხვათ,
ჩემამდე რომ იყავით, იმ დროს?
გადაჩეხილმა თვალი ვკარი:
დაგიშრათ ჩრდილთა გუბეები ლურჯ უბეებში,
გაქრა ჩქამები,
აილაგმა მათი ხმაური,
რადგან ბგერები, ხვინჭკებივით დაგორებული,
დალაგდნენ ჩემი ყურის დაფზე და გაიტრუნენ.
არავინ კვნესის.
სიბნელეში არავის სტკივა.
მარადისობა და დუმილი
მარადიულ მდუმარებად შეუღლებულან.

●

სიკვდილმისჯილნი
მწუხარების აკვანში ვიშვით.
ვინც უნდა მოკვდეს,
სულ ერთია —
სიკვდილის კარს ვერ გაიხურავს.

●

ვერა ვპოვე რა,
არ დამირჩა წაუგებელი.
ევების უფრო
გაგიღიმოს ბედმა, მავანო,
გზა შეგახვედროს ჩემზე კეთილი.
მე გლოცავ ნუკეთ,
არყოფნაში გამოკეტილი —
შენ მოწყალებით შენდობა თქვი,
მგზავრო, შავალო!..

# იოსებ აფციაური

●

ქორაფის აზლო ვერხვია,
მეუბნებიან, ბზა არი,
ჯანაბას, ეგრე მეგონოს,
თავად ხო იცის, რა არი.
მგელი ფარეხთან დაკრულა,
მეუბნებიან, ძნა არი.
ჯანაბას, ეგრე მეგონოს,
თავად ხო იცის, რა არი.
მოსწყდა სალოცავს თავლოდი,
ამბობენ, მიწის ძვრა არი,
ეგრე ტყუილად მჯეროდეს,
თავად ხო იცის, რა არი.

მოგვეახლაო არწივი,
გადმოფრენილა ციცარი,
მაგაზე იოლ კი ვიცი,
თავად რაც არი, ვინც არი.
უნდოზე მიმიღერებენ —
ძმააო, მე ვერ ვიცანი.
ჩემთან რაისთვის ფიცვერცხლი,
თავად ხო იცის, ვინც არი.
ერთი მყავს ყოველთა მცნობელი,
დაუძინარი მისანი:
დედაის მიწა რას მეტყვის,
ჩემი სათქმელიც ის არი.

●

აღარც ღვინოა მართალი,
აღარც ქალი და ნაბადი,
შავია წუთისოფელი
თავის კვირით და შაბათით.
კაცი ღიმილში ვერ მოკლა
გზამ დიდრონმა და პატარამ,
საცა ვინ იას ელოდა,
გადაუარა ფათალამ.
კლიტე ღალატმა გატეხა,
ვერ პოვნამ მეგობრისამა,
უკუღმა გაიშხუილა
წალმა ნასროლმა ისარმა.

ვის შერჩენია ბოლომდე
ერთგულთა ნაერთგულევი,
ცოტას ელიან ნარ-ეკალს, —
მოვა და მოვა ულევი.
უმადურების უფალი
გაეფიცება სატანას,
ან თავი უნდა ან ბოლო,
უწამლავს სისხლს შუათანა.
ღვთის მადლიერი სიცოცხლე
წილად არავის რგებია,
მგლის კბილი მოესურვება
კაციშვილს ხარის რქებიანს.

●

დაბადებიდან მიწის
ჟინცოფით დაუმცხრალით
ერთად მოდიან, ერთად,
ერთად ცეცხლი და წყალი.
დამნელებელი ერთი,
მიმომშრეტელიც ერთი,
დღელამ მყეფელი ერთი,
რკინის მკვნეტელიც ერთი.
ორნივ უკვდავი მარად,
ორნივ სიცოცხლის ძირი,
სულდგმულთა სალოცავში
ერთფერად შენაწირნი.

ორნივ მშველელი კაცის,
დამამხობელიც კაცთა,
წერამწერელი კაცთა,
ცისკრად მშობელნიც კაცთა.
ადამიანის სისხლში
ორნივ მავალი წყვილად,
ერთ-ერთმა გამთაგორა,
ერთ-ერთმა შეგარცხვინა.
შენ გაიმეტებ რომელს,
მისცემ ქარსა და ეთერს!
ერთ-ერთს დასწყევლი ზოგჯერ,
ზოგჯერ დალოცავ ერთ-ერთს.



## ბალათერ არაბული

### წუხილსა და სიხარულს შორის

მე ვცხოვრობ ქვეყნად
წუხილსა და სიხარულს შორის...
და როს მეწვევა სიხარული,
იქვე წუხილიც ჩამსაფრებია
და თავისთვის ქირქილებს მწარედ...
ვხედავ მის ქვეყნებს
ღრუბლებით და ნისლებით სავსეს,
ვხედავ ქვა-ღორღებს გზებზე
მოფენილს...
ვხედავ ჯაგნარებს,
ხრამებს,
ნაპრალებს,
ღამეებს ვხედავ თვალშეუდგამს,
სადაც სხივის ერთი ნამცეციც
არ კიაფობს ზეცის თავანზე...

ვხედავ ცრემლს,
ტკივილს,
გაწბილებას,
შურსა და ღალატს
და ყოვლისშემძლე სიკვდილსაც
ვხედავ...
იქ, იმ გაცრეცილ მკრთალი ბურუსის
ფარდის მიღმა ვხედავ ძმის სახეს,
და მეგობრების მოწყენილ მზერას...
. . . . . . . .

მე ვცხოვრობ ქვეყნად
წუხილსა და სიხარულს შორის...

და როცა წუხილს გავულებ კარებს,
ვიცი, იქვე,
სადღაც ახლოს,
სიხარული მიცდის იმედით...
ვხედავ, მზის სხივთა
ნედლი რტოებით მომდგარს
ფანჯრებთან,
ჩიტთა ჟივილი
ზანზალაკებად
ჰკიდია
ყელზე
და ცისარტყელას სახტუნელათი
სივრცეები დამზერენ მინდვრებს...
ვხედავ ჩქერალებს,
ნაკადულებს,
ვარდთა ფურცლობას
და მოყვავილე ვარსკვლავებში
ჩაჭედილ ზეცას,
ვხედავ მირიად დღეებს,
ღამეებს
და წელიწადებს ნათლით განბანილს...
. . . . . . . .
მე ვცხოვრობ ქვეყნად
წუხილსა და სიხარულს შორის...

# აპრილის ელეგია

დ-ს

გადაყვავილდნენ იები უკვე
და ჩაქრა მათი ციური შუქი!
და ჩემი ბედიც წარსულს ჩაბარდა,
ბედი, რომელიც სხვა ბედს არ ჰგავდა,
ჩანავლდა ათას ფერით ნაფერი
ის დრო და ჩემი მწვანე აპრილიც
ველარ გადმოვა უკვე ნაპირებს...

გადაყვავილდნენ იები უკვე
და ჩაქრა მათი ციური შუქი!
სად ჩვენი კვალი ქარმა წაშალა,
დაუფარია ბალახს გზა-შარა.
და ჩემი სული კვლავ შენზე ფიქრით
იმ მოგონების ქვეყნებში მიქრის
და მწარე ცრემლებს ვერ მალავს იგიც...

აღარ ყვავიან იები უკვე,
ჩამქრალა მათი ციური შუქი!..
ნაკადულები შორით ელავენ,
ხეებიც სივრცეს მწვანედ ფერავენ
და თითქოს მოაქვს ფოთოლთა სუნთქვას
ნაზიარები სევდა წარსულთან,
წარსულთან, ჩემთვის რაც კი
დასრულდა...

აღარ ყვავიან იები უკვე,
ჩამქრალა მათი ციური შუქი!
და დასტირიან ჩემს მკვდარ იმედებს,
იმედებს, ასე რომ გაიმეტე;
მარადისობა შენ გიხმობს ისევ,
შენ, მოელვარეს ჩემს გულში მზისებრ,
მაგრამ დრო-ჟამი კვლავ წუხილს
მისევს...

გადაყვავილდნენ იები უკვე,
ჩამქრალა მათი ციური შუქი
და შენი სული წმინდა, ვით ბროლი,
კვლავ იფარფატებს საფლავებს შორის.
და ჩემი ბედის ფერისცვალება,
მიუკარები, როგორც ზმანება,
წინ წამიძღვება ტანჯვა-წამებად...

●

ეს ღამეც იქცა გარიჟრაჟის
შუქად და ნისლად,
ეს ღამეც დილას შეერია
და შეეგლისა...

ჩაქრნენ ცის თაღზე ვარსკვლავები
და ჩაიშალნენ,
ისევ ჩანავლდა მზის სხივებზე
ღამის სიშავეც...

ისევ აენთნენ ქართლის მთები
მწვანე კოცონად
და კვლავ დატბორა ველ-მინდვრები
შუქის კოწოლმა...

ისევ შევედით უცნობ დღეში
ბნელ და სევდიან
მგზავრობის შემდეგ,
სად მგზავრები კრძალვით შედიან...

●

ღამდება უკვე
და მთვარის სხივი
ზეცის თავანზე ჩალისფრად ღვივის...

ხვივის მდინარე
დათვისის ჭალის
და ჩქერალებად იშლება ჭავლი...

ჩავლილს,
ჩალეულს
და უკვე ყოფილს
წარუტაცნია დროს სული სოფლის...

საფლავს ჩანგრეულს
დღეს ხავსი აწვიმს,
წაჰკიდებია ნასახლარს ანწლი...
. . . . . . . .
ღამდება უკვე
და მთვარის სხივი
ზეცის თავანზე ჩალისფრად ღვივის...

## ამავე ლექსს

ყვითელ ფერებად ჩანან სერები,
მინდვრებიც უკვე დადგეს ზვინებად;
შენც წახვალ, მალე ჩაესვენები
და საუკუნოდ ჩაგეძინება...

თავს დაგადგება შიშით მზარავით
შავად ნაფერი ღამის ნათელი,

არ გაგიხსენებს ქვეყნად არავინ
და არც არავის მოენატრები...

დამძიმებული დარდით და ფიქრით
ჩუმად იცხოვრებ მარად უცვლელი;
შენი სამშობლო იქნება წიგნი,
შენი სასახლე — თეთრი ფურცელი...

●

ნუ გამოიხმობ მოგონებებს
იმ დახავსებულ წარსულიდან.
შენ იქ ტკივილის
და ცრემლების გარდა რა დაგრჩა?..
ნუ გაიხსენებ
იმ წლებს,
იმ დღეებს,
საიდანაც მხოლოდ ნაღველი
შემოგყმუის მშიერ მგელივით...

ნუ მოძებნი გარდასულში ჩავლილ
სიყვარულს
და ნაცარწაყრილ ნაღვერდლებზე
ნუღარ გაივლი...

. . . . . .

ნუ გამოიხმობ მოგონებებს
იმ დახავსებულ წარსულიდან...

●

შემოეხეტნენ
ხევზე ნისლები,
ცა დაამძიმა
ბინდის ღრუბელმა,
ფიფქაშლილი და
განრისხებული,
ყინულასხმული
ქარი უბერავს...

ჩამოდის თოვლი
და მთა საჩალის
თანდათანობით
ზეცისკენ იწევს
და მოყრანტალე
ყვავი-ყვანჩალა,
როგორც ფოთოლი
ჰკიდია სივრცეს...

ხეობის ბოლოს
არხოტის ქედი,
თითქოს ჩამდგარა
ზეცის გამყოფად,
ალმართულია
თოვლის კედელი
და ღრმა ხეობა
მოჰგავს სარკოფაგს...
ბჟუტავს არაგვი
და კვლავ არიგებს
ირგვლივ დაწყვეტილ
მუსიკის ბგერებს
და ნაპირების
ბედის გამრიგე
თოვლში დალეულ ტანს
მიაგელვებს...

. . . . .

შემოეხეტნენ
ხევზე ნისლები,
ცა დაამძიმა
ბინდის ღრუბელმა,
ფიფქამლილი და
განრისხებული,
ყინულასხმული
ქარი უბერავს...

## ღამის ზეცა

სასაფლაოს ჰგავს ამ ღამის ზეცა
და ვარსკვლავები
ახლობელთა ჰგვანან საფლავებს, —
მარადიულად რომ ბრწყინავენ
სიმარტოვეში...

სასაფლაოს ჰგავს ამ ღამის ზეცა,
სად უკუნის ხავსს დაუფარავს
ირგვლივ ყოველი
და ზედ სხივები
ცრემლებივით
მიმობნეულან...

. . . . . .

სასაფლაოს ჰგავს ამ ღამის ზეცა...

## ვის უხმობს ზარი

დღეს
სიყვარულის
სამრეკლოდან
ვის უხმობს ზარი?...

ვის ბედის ვარსკვლავს
უნთებენ სანთლებს?
ალერსის სხივებს
ვის უფენენ ღამეულ გზებზე?
და მოლოდინის მონატრებით
ვის უგალობენ?

. . . . . . .

დღეს
სიყვარულის
სამრეკლოდან
ვის უხმობს ზარი?...

●

მკვდარი მზეა ამ ღამის მთვარე
და გარდაცვლილი სხივებია მთვარის
სხივებიც, —
მზის ტანიდან ჩამოცვენილი,
მზის სახიდან ჩამოღვენთილი,...

მკვდარი მზეა ამ ღამის მთვარე
და ვარსკვლავები —
თმებჩამოშლილი მოტირლები,
თავზე ადგანან გარიჟრაჟამდე
და ციაგის
ცივი
ცრემლებით
აჟრჟოლებენ შეციენულ სივრცეს...

. . . . .

მკვდარი მზეა ამ ღამის მთვარე...

●

ივსება სივრცე
მთვარის სხივთა
ნათელ ხაზებით,
ბინდის დარბაზებს შერაზვია
ნადარბაზევი...

იძინებს ქართლი,
ახლა ქართლში
არ სძინავთ ქარებს
და ქართლის ქარი
დასავლისკენ ნისლს მიაქანებს...

ქსნის ქედებიდან
მარტოდმარტო მიფრინავს წერო,
რომ წეროვანში
შეეფაროს ღამეულ ჩეროს...

. . . . .

ივსება სივრცე
მთვარის სხივთა
ნათელ ხაზებით
ბინდის დარბაზებს შერაზვია
ნადარბაზევი...

ჯუმბერ ხანთაძე



# მოთხრობები

## სევასტოპოლი

**გაგანია** ომია. ქალაქი გაივსო დაჭრილებით. სკოლები, დაწესებულებები, სტუდენტთა ქალაქი ევაკუირებულთა ლაზარეთად გადაკეთდა. პარტახტიანი ტიფი მძვინვარებს. აუტანელი სიდუხჭირეა მოსახლეობაში.

მე პიონერთა სასახლის ხატვის წრეში მიმიყვანა დედამ იმ იმედით, რომ ზაფხულის არდადეგებზე, სასახლის ბავშვებთან ერთად, პიონერთა ბანაკში ჩავირიცხებოდი. ეს დიდი შეღავათი იქნებოდა ოჯახისათვის.

ხატვას მასწავლიდა მეტისმეტად წყნარი, კეთილი მოუბარი, სათნო გარეგნობის მოხუცი, გრიგოლ მესხი. სტუდენტების ნახაზებს აკურატულად ჭრიდა და ფორმატის ერთ მეექვსედს აძლევდა თვითოეულ ბავშვს. ერთ მხარეზე სტუდენტის მიერ შესრულებული ნახაზი იყო, მეორეზე ჩვენ ვხატავდით. დღესაც სათუთად ვინახავ ამ ნახატებს და ვხვდები, რომ ქაღალდი მაშინდელი „ტბიეტ“-იდან მოჰქონდა. ვხატავდით ნატურიდან თაბაშირის ფიგურებს, ფოთოლს, ხელის მტევანს, თიხის ჭურჭელს, ანტიკურ ბიუსტებს. შიგადაშიგ დამოუკიდებლადაც გვამუშავებდა, — ვისაც რა უნდოდა, იმას ხატავდა. მე ზღვისა და გემების ხატვა მიყვარდა. ერთხელ ჩვეულებრივზე დიდი ფურცლები დაგვირიგა და კომპოზიციის შესრულება მოგვთხოვა.

სევასტოპოლის ბრძოლებია საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სულ ამაზე მესმის საუბარი, ისიც ვიცი, რომ საზღვაო ქალაქია და სწორედ ამიტომ სევასტოპოლის ბატალიების დახატვა გადავწყვიტე. ფანქრით მოვნიშნე კონტურები. როგორც ყოველთვის, ენა გამოყოფილი მაქვს, რაც დღემდე შემოქმედებითი ძიების განუყოფელ ატრიბუტად დამრჩა და რასაც, რასაკვირველია, ვერც ბატონმა გრიგოლმა გადამაჩვია. საოცარი გატაცებით შევასრულე მრავალპლანიანი ბატალური სცენის ესკიზური მონახაზი: შორს ზღვაა, ზღვაში ვარსკვლავებიანი გემებია, ესე იგი, წითლების, ჩვენების. ცაში სვასტიკებიანი „მესერშმიტებია“, — თეთრების, ანუ გერმანელების, ყველა „მესერშმიტს“ ბოლი გასდის, წითლებმა მათ ყუმბარები მოარტყეს. შორს, ნაპირზე, ჩვენი ტანკების თანხლებით, ქვეითი ჯარი მოდის. წინა პლანზე ხელჩართული

ბრძოლაა სანგარში. სულ წინ გულგაღეღილი, შუბლშეჭმუხნული, ავტომატმომარჯვებული მეზღვაური შეტევისაკენ მოუწოდებს მებრძოლებს. მთლიანად სურათი გამსჭვალულია ჩვენების უდავო გამარჯვების რწმენით, რაც იქიდან ჩანს, რომ არც ერთი გერმანელი ცოცხალი აღარაა. ერთის სიტყვით, სურათი მაშინ სრულად უპასუხებდა სამხედრო-პოლიტიკურ-პატრიოტული თემის ყველა მოთხოვნას.

ბატონმა გრიგოლმა მომიწონა მონახაზი, ერთი-ორი დეტალი ოსტატურად შემისწორა და ნება მომცა, მომდევნო გაკვეთილებზე გამეფერადებინა აკვარელის საღებავით.

ხმა დაირხა, პიონერთა სასახლეში კინოსტუდიიდან მოდიან ფილმის გადასაღებადო, ბედნიერი ბავშვების კაბინეტებში მუშაობა უნდა აესახათ, ალბათ. სახლში ტვინი გავუხვრიტე ყველას ამ ამბით. მინდა გამოწყობილი მივიდე, იმ იმედით, რომ იქნებ კადრში მოვხვდე. დედაჩემი სასოებით ინახავდა ჩემს სიყრმის თმას, მოცვლილ სარძევე კბილებს, ჩვილობისდროინდელ გასაზვევებსა, ტანსაცმელს და, საერთოდ, ყველაფერს, რაც აკვნიდან მოყოლებული, ჩემი ზრდა-განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მქონია და გამომიყენებია. სწორედ ამ რელიკვიებში ამოძებნა ბამბის ქსოვილის გასახვევები და სახელდახელოდ პერანგი შემიკერა, ძველისძველი მოკლე შარვალი დამიკემსა და საგულდაგულოდ დამიუთოვა, ქეჩის ფეხსაცმელები გამიწმინდა, გამომაწყო და სასახლეში გამისტუმრა.

შესასვლელთან უკვე ფუსფუსებდნენ, შეჰქონდათ უზარმაზარი გამანათებლები, სარკეები, აპარატები, მავთულები, ხალხი ირეოდა. ხატვის კაბინეტში წასვლა არ მიჩქარია, სხვა ბავშვებთან ერთად, კარგა ხანს ამ არეულ-დარეულობის ყურებით გავერთე. აპარატურა სარკეებიან დარბაზში აიტანეს. მივხვდი, რომ იქ მოტაშფანდურე ბავშვები უნდა გადაეღოთ. ამ დასკვნამ საკმაოდ დამაწყნარა, ჩემს წრეს მივაშურე და მთელი გატაცებით „სევასტოპოლის" ხატვა განვაგრძე.

კარგა ხნის შემდეგ ის უცნობები შემოვიდნენ ჩვენს ოთახში, გადაღებას რომ ხელმძღვანელობდნენ. შიგადაშიგ რუსულად ლაპარაკობდნენ, ხელებით რაღაცას ანიშნებდნენ ერთმანეთს, მერე ბატონ გრიგოლთანაც ისაუბრეს. მე რუსული არ ვიცოდი, მაგრამ მომეჩვენა, რომ ჩემზე საუბრობდნენ. ამასობაში გამანათებლები და აპარატები შემოაგორეს. ნამდვილად ჩვენ გვიღებენ-მეთქი, — გავიხარე გულში, არც მოვტყუებულვარ. უცნობები აფუსფუსდნენ, ერთი სათვალიანი კაცი ბატონ გრიგოლთან ერთად მომიახლოვდა, ჩემი ნახატი მიატრიალ-მოატრიალა, მეც შემიცვალა მდგომარეობა, თმა გამისწორა, თავი არაბუნებრივად მომაღერებინა, ხელი ასწია და თვალისმომჭრელი სინათლეებიც აინთო. აპარატიანი კაცი ძალზე მომიახლოვდა. მე პირი დავაფჩინე და აპარატს მივაშტერდი. სათვალიანმა რაღაც მითხრა რუსულად, მე ვერ გავიგე. „განაგრძე მუშაობა", — წყნარად მითხრა გრიგოლმა. ასეც მოვიქეცი, ენა გამოვყავი და ხატვა დავიწყე. „ნე პოიდიოტ", — თქვა აპარატიანმა კაცმა და აპარატი უკან გააგორა. აქედან მიტრიალეს, იქიდან მიტრიალეს, რაღაცას ედავებიან ბატონ გრიგოლს, მგონი ჩემს შესახებ საუბრობენ. „ნუ ვას კ ჩორტუო!" — თქვა გრიგოლმა და ოთახიდან გავიდა. სათვალიანმა ხელი მომკიდა და შემოსასვლელთან მიმიყვანა, იქ, სადაც სეირის მაყურებელი ბავშვები იდგნენ. მერე ბავშვები შეათვალიერ-შემოათვალიერა, ერთ-ერთ ბუთხუზა, სუფთად, კოპწიად ჩაცმულ, დაბანილ-დავარცხნილ ბავშვს ხელში სწვდა და ჩემს ნახატთან მიიყვანა, ჩემი ფუნჯი მისცა, წყლიანი ქილა და საღებავები წინ დაუდგა, რუსულად დაუყვავა, მოეფერა და ხელი შემართა. სინათლე კვლავ აინთო. აპარატიანმა კაცმა აპარატს ჩხრიალი დააწყებინა და ნელ-ნელა ბიჭისაკენ გაგორა. ბიჭი მშვიდად ასველებდა საღებავებში ფუნჯს და უაზროდ უსვამდა ჩემს „სევასტო-

პოლს“, არც ენა ჰქონდა გამოყოფილი. საღებავიანი წყლის ლაქები ქაოსურად ვრცელდებოდა სურათზე, ჩემი საამაყო ნაფიქრალი ფუჭდებოდა, საოცრად დამწყდა გული. თვალები ცრემლებით ამევსო.

## საბავშვო ბაღი

**ომამდე** დედაჩემმა ფრანგულის მასწავლებელს მიმაბარა — მადამ სტრელეცკაიას. კერძო საბავშვო ბაღი ჰქონდა კალანდაძის ქუჩაზე. თვითონ ფრანგი იყო, დიდად განათლებული კაცისა და ინტელიგენტის ნიკოლოზ სტრელეცკის მეუღლე.

ძალიან ტკბილად მახსენდება ის პერიოდი. ათამდე ბავშვი ვიკრიბებოდით, კარგი ბავშვები იყვნენ. მთელი დღე ვსაქმიანობდით. მადამის დახმარებით ქაღალდისა და მუყაოსაგან ათასგვარ სათამაშოს ვამზადებდით, გოგონები თოჯინებს აკეთებდნენ, ტანსაცმელს უკერავდნენ. ხშირად ვხატავდით ხოლმე, ვისაც როგორ შეეძლო; ვმღეროდით ფრანგულ სიმღერებს, ფრანგულად ვლაპარაკობდით. გაკვეთილების შემდეგ ჩვენი ოთახი სანაგვე ყუთს ემსგავსებოდა. იატაკზე ეყარა ქაღალდი, ნაჭრები, ძაფები, მაგიდა მოსვრილი იყო საღებავებით. ერთის სიტყვით, ნაომარს ჰგავდა იქაურობა. ჩვენი აღმზრდელი არასოდეს სწავლისა და საქმიანობის პროცესთან დაკავშირებით საყვედურს არ გვეტყოდა, მაგრამ სასტიკად გვტუქსავდა თუ ერთმანეთს ქართულად დაველაპარაკებოდით. თუ სურვილის გამოსახატავად სიტყვა არ გვყოფნიდა, მისთვის უნდა მიგვემართა და მხოლოდ მისი ახსნა-განმარტების შემდეგ, ფრანგულად უნდა გვეთქვა ჩვენი სათქმელი. მეტი რა გზა იყო, ვემორჩილებოდით და ძალიან მალე თავიც გავართვით დასმულ ამოცანას — ფრანგულად ავიდგით ენა.

ომი დაიწყო. ძალიან გაჭირდა ცხოვრება. დედაჩემი ქსოვდა და ქარგავდა. ამ შემოსავლით ერთხანს კიდევ დავდიოდი მადამთან. მერე ვეღარ ვიარე. ძალიან დამწყდა გული. იმასაც. ომის დამთავრების შემდეგ ჩქარა გარდაიცვალა საწყალი.

ღრმად მოხუცებული ნიკოლოზ სტრელეცკი დარჩა მარტო. მერე ბელინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა ერთ მოცუცქნულ, ბნელ ოთახში თავის წიგნებთან და კატა მუსიასთან ერთად. საოცარი მოხუცი იყო, მაღალი, ხმელი, თვალებჩაცვენილი. ბრწყინვალედ იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, დიდი განათლება ჰქონდა, მაგრამ უპატრონო იყო. მე ძალიან მიყვარდა ბატონი ნიკოლოზი, ჩემს მეგობრებსაც შეუყვარდათ. ხშირად მივდიოდით მასთან, ისიც უშურველად, უსასყიდლოდ გვასწავლიდა თუ რამ იცოდა. ჩვენ მეგობრულად ვეხმარებოდით. მერე გარდაიცვალა. ჩვენ დავასაფლავეთ. თავის წიგნები მე და ჩემს მეგობარს გვაჩუქა. მუსია დაიკარგა.

●

დიდი დრო გავიდა, დავცოლშვილდი. ბიჭი მეზრდება. ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა მეუღლემ მომახარა: ბავშვი აქვე, ინგლისურ ბაღში უნდა მივაბაროთ, კერძოაო. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამეხარდა. არც ცნობა გვინდა საცხოვრებელი ადგილიდან, არც საბუთი ჯანმრთელობის შესახებ, არც ქაღალდი სამსახურიდან თანამდებობისა და ხელფასის მითითებით, არც ჩაწყობა, არც ამოწყობა და, რაც მთავარია, ინგლისურს ისწავლის და არა „შე დებილო“-ს, ჩემმა მეზობლის ბავშვმა საბავშვო ბაღში რომ ისწავლა მასწავლებლისაგან.

დაიწყო ჩემმა ბიჭმა ინგლისურზე სიარული. დილით ყველანი ერთად გავდივართ სახლიდან. მეუღლე ბიჭს ბაღში

მიარბენინებს, მერე სამსახურში მირბის, მერე იქიდან გამოუვლის და შინ ერთად ბრუნდებიან. და ასე ყოველდღე.

ვატყობ, ბავშვი მაინცდამაინც შთაბეჭდილებებით დატვირთული არ ბრუნდება, თუმცა კითხვები კი ბევრი ებადება. ერთ დღეს დედამისს ეკითხება: ბეფსტროგონოვი, თუ იცი, რა არისო. მეორე დღეს ბიფშტექსი და რამშტექსი იკითხა და ასე გაუთავებლად. ვაჰ! — ვფიქრობ ჩემთვის, — ინგლისურს ასწავლიან თუ კულინარიას? მერე პრეტენზიაც გამოთქვა: რა არის, თქვენ საუზმედ სულ ყველს (მაშინ ყველი მაღაზიებშიც იყო) და კარაქიან პურს მატანთ, იქ კიდევ ბავშვებისათვის სულ ცხელ-ცხელი ბიფშტექსები და რამშტექსები მოაქვთ მშობლებს და ბებია-ბაბუებსო. აღარ წავალ ბაღშიო, — კატეგორიულად განაცხადა. საზტად დავრჩი. ჩემს უძლურებას საზღვარი არა ჰქონდა.

ჩემმა მეუღლემ მიხსნა: შვილო, აბა, თუ რომელიმე ბავშვს საუზმედ კალმახი მოუტანია, თანაც მამის დაჭერილი? შენ კი რაღაც ბიფშტექს-რამშტექსებზე გწყდება გულიო. ბავშვი დაწყნარდა, მეც.

იმხანად ბევრს ვთევზაობდი, ხშირად ისე წარმატებულად, რომ შინაც კი მომქონდა ნადავლი. ჩემი ცოლი სულ მეჩხუბებოდა — გაცივდებიო, რას დადეხარ ამდენსო. გამეხარდა, რომ თევზაობა რაღაცაში წაადგა ოჯახს.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ბაღის მასწავლებელმა შემოგვითვალა: ბავშვები იატაკს მიფუჭებენ და ფაჩუჩები მოუტანეთო. ვერაფერი მსგავსი, ვერ ვიშოვეთ, კედები რაა, ბავშვის სარგო, ისიც კი არ იშოვებოდა. სახლში ძველებური დახეული ტყავის ჩანთა მეგულებოდა. ამოვქექე. ტყავი შევრო იყო, რბილი, ამოვჭერი საღი ადგილები და შევუდექი საქმეს. მთელი ღამე ვკერავდი ჩემი ბიჭისათვის ფაჩუჩებს. დილით გაიღვიძა, მოიზომა, ძალიან მოეწონა, გაუხარდა, მაგრამ ბაღიდან გულდაწყვეტილი მოვიდა, ბოტასები მითხოვა — ყველას ბოტასები აცვიაო. არადა, მაშინ ბოტასები ახალი შემოსული იყო. პირველად გავიგონე, ნანახიც არ მქონდა, არც ის ვიცოდი, როგორი იყო და არც ის, სად იშოვებოდა. ბავშვი საოცრად გულდაწყვეტილია. მეც, აქაც მეუღლემ მიხსნა: შვილო! აბა შენს საბავშვო ბაღში მამიკოს შეკერილი ფაჩუჩები თუ ვინმეს აცვიაო? შენ კიდევ რაღაც სულელური ბოტასები ამოგიჩემებიაო! ისევ დავაწყნარეთ ბავშვი. მეც დავწყნარდი.

ერთ საღამოს მეკითხება: მამა, ხიზილალა შეიძლება შავი იყოსო? თურმე კახასათვის მოუტანიათ. შავი ხიზილალა ნანახი არ ჰქონდა. ან სად უნდა ენახა, ქელეხებსა და ქორწილებში ჯერ არ დადიოდა. წითელი კი ჰქონდა ნაჭამი. კალმახის ქვირითისაგან ჩემს მიერ მომზადებული. მე ავუხსენი, შავი ხიზილალა ცუდი ჯიშის თევზებს აქვთ-მეთქი, ეგ რა საჭმელია, აი, წითელია, რაც არის-მეთქი. დამიჯერა, მე კი მოვკვდი ამდენი ტყუილებით.

ყველაზე მეტად ის მადარდებს, რომ ბავშვი არაფერს გვიამბობს თავის ბაღზე, მასწავლებელზე, საქმიანობაზე. მერე და მერე გამოვიჩინე ინიციატივა და ფრთხილად დავუწყე გამოკითხვა ინგლისურის თაობაზე. გაგებაში არაა. ესე იგი, რა? არ ასწავლიან ინგლისურს? — ვფიქრობ ჩემთვის, — მაშ რას აკეთებენ? ტელევიზორს უყურებენ თურმე. ისე, ტელევიზორი კარგი ჰქონიათ, დიდი, ფერადი. ბავშვმა მითხრა, კარგი ანტენა აქვსო, კარგად იჭერსო. იგრძნო, რომ დავინტერესდი და სულ სიტყვასიტყვით მიამბო იქ ნანახ კინოფილმებზე, სპექტაკლებზე, საბავშვო გადაცემებსა და, ასე განსაჯეთ, სასწავლო პროგრამებზეც კი.

●

ის ინგლისურის მასწავლებელი ხშირად მხვდება ქალაქში, რატომღაც თვალს მარიდებს, მე მგონი, ეხლაც დარწმუნებულია, რომ მეწადე ვარ.

# ზაზას ოინები

დიდი გაჭირვება გამოვიარეთ ჩემი თაობის ბავშვებმა ომის პერიოდში. უპუროდ, უშაქროდ და უსათამაშოებოდ დავიზარდენით. ყველანი ერთნაირად გაჭირვებულები ვიყავით. ჩასაცმელიც გვენატრებოდა. ვისაც მამა ფრონტზე ჰყავდა, იმას, შეღავათის სახით, სამოსს აძლევდნენ ხოლმე — ჯვალოსაგან შეკერილ პალტოს, ან ამერიკელების ნაჩუქარ, ნახმარ შარვალ-ხალათს. ერთი ამერიკული ფრენჩი მეც მერგო. მწვანე მაუდისაგან იყო შეკერილი, დიდი, უზარმაზარი ჯიბეებითა და წელში ქამრით გაწყობილი. პალტოც გამომივიდა და ქუდიც, მაგრამ დედამ რომ დაარღვია და გარეცხა, იმის შემდეგ აღარ დაუთოვდა, სულ დაჭმუჭნილი იყო. ახლა, ალბათ, ეგეთი რამ მოდაში იქნებოდა, მაშინ კი არ იყო. მე მაინც მომწონდა იმიტომ, რომ ამერიკული იყო და დედის შეკერილი. ამერიკელები კუს კვერცხებსაც გვიგზავნიდნენ. კვერცხები არ მიყვარდა, უგემური იყო, მაგრამ რას ვიზამდი, ვჭამდი ხოლმე, როცა ვშოულობდით. ფეხსაცმელიც ძალიან ჭირდა, ქეჩის, მუყაოსლანჩიანი ფეხსაცმელები იყო უფრო გავრცელებული.

ერთი ჩემი თანაჯგუფელის, ანზორის, მამა ომიდან მალე დაბრუნდა, მაგრამ დაბრმავებული. ანზორი სუსტი ბიჭი იყო და დედამისს ზამთრობით და წვიმიან ამინდში ზურგზე მოკოტრიალებული მოჰყავდა ხოლმე სკოლაში, ქეჩის ფეხსაცმელი რომ არ დასველებოდა.

მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, მაინც მხიარულები, ცელქები და ცუღლუტები ვიყავით.

სკოლის პირდაპირ ზაზა ცხოვრობდა. თავისი სახლის ფანჯრიდან შეგვეხმიანებოდა ხოლმე. ხმის დაბოხება იცოდა საოცრად. ავად ვარო, — გადმოგვძახებდა და კვირაობით აცდენდა გაკვეთილებს — ცუღლუტობდა, თვალთმაქცობდა..., მამა ფრონტზე ჰყავდა, დედა მუშაობდა, მარტო იყო ხოლმე სახლში. თუ ცუდ ამინდში ვინმე „შატალოზე“ წავიდოდა, ზაზას სახლი იყო მისი თავშესაფარი. მეც მიყვარდა მასთან სიარული, იმიტომ, რომ ძალიან სასაცილო ტყუილები იცოდა და, თანაც, საბავშვო ენციკლოპედია ჰქონდა ძველისძველი, ყდაზე გოგო და ბიჭი რომ არიან გამოხატული წიგნით ხელში, აი, ასეთი. თხუთმეტივე ტომი ჰქონდა. იმის თვალიერება მიყვარდა ძალიან, ათასნაირი ორთქლმავალი, გემი და ავტომობილი იყო შიგ დახატული.

ზაზა დიდი ეშმაკი ვინმე იყო, ოინბაზი, რას არ მოიგონებდა. ერთხელ ლამაზი სალამური ჩაედო ჯიბეში და ისე, სხვათა შორის ჩადგა ბიჭებში. ყველას ერთდროულად დაგვეუფლა იმ სალამურზე დაკვრის სურვილი. ზაზამ ჯერ იუარა — გამიფუჭებთო, მერე ერთ-ერთს მისცა დიდის ამბით. იმანაც ჩაჰბერა, დადგა ნახშირის კორიანტელი, დავიმურენით ყველანი, ის ბიჭი ხომ მთლად გაშავდა. თურმე ზაზას სალამურში წინასწარ ნახშირის მტვერი ჩაეყარა.

ერთხელ კი, შესვენებაზე, ჩვენს შორის ყველაზე სუფთად ჩაცმულს მელნის ბოთლიდან სითხე შეასხა. ბავშვს ტანსაცმელი გაუფუჭდა, ერთიანად დაესვარა. შევცბით, ამგვარ ხუმრობას არ მოველოდით, ზაზა კი ხარხარებს. ძალიან რომ შევწუხდით, ზაზა მივიდა იმ ბიჭთან, ხელები მაგიურად აამოძრავა, ბუტბუტი დაიწყო, შეულოცა, სული შეუბერა და ტანსაცმელზე ლაქებიც გაქრა, მელნის ნიშანწყალიც კი აღარსად ჩანდა. პირი დავაღეთ.

ახლა კი ვიცი, რომ თუ ნიშადურას სპირტში ფოროპტალინს, ანუ პურგენს გახსნით, შეფერილ სითხეს მიიღებთ, რომელიც ძალიან ადვილად ქროლდება და მისგან წარმოქმნილი ლაქაც უმალ ქრება. მაშინ კი არ ვიცოდი და ამ ფოკუსმა დიდი სიამოვნება მომგვარა.

ერთმა ბიჭმა ტვინი გაუხვრიტა ზაზას — მასწავლე, როგორ აკეთებო, შენ ვერ გააკეთებო, — დიდხანს არწმუნებდა ზაზა, რომ აღარ შეეშვა, ასწავლა: აიღებ

ნებისმიერ ფერად სითხეს — მელანს, შავ ღვინოს, ზეთს – ლაქას რომ ტოვებს, ისეთსო. შესხმის შემდეგ ლაქას ჩააშტერდი, ხელები აამოძრავე და გუნებაში სამჯერ გაიმეორე: ცეცხლის, მიწისა და ჰაერის სახელით გიბრძანებ, დასტოვო შენი სამყოფელიო. თანაც გააფრთხილა, — იცოდე, ჯერ ივარჯიშე, ქაღალდზე, უვარგის ნაჭერზე მოსინჯე. როცა დარწმუნდები, რომ გამოგდის, მერე ვისაც გინდა, შეასხიო. საწყალი ის ბიჭი მეორე დღეს კარგა ნაბეგვი მოვიდა — მამამისისათვის შეუსხია მელანი.

ჩვენს კლასში ერთი გივი გვყავდა, ბუნჩულა ბიჭი იყო, წყნარი და გულუბრყვილო. ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, აივანზე რგოლები ჰქონდა ჩამოკიდებული, ერთთავად იმ რგოლებზე ვეკიდეთ მაიმუნებივით. ომის დროს ძალიან რომ გაუჭირდათ ოჯახში, გივი სოფელში გაგზავნეს. იქ უფრო იოლად გავიდოდა კაცი. ფხალი მაინც იშოვებოდა, სხვა თუ არაფერი. ძალიან დასწყდა გული, რომ დაგვაშორეს და როგორც კი თბილისში ჩამოიყვანდნენ, იმწამსვე სკოლაში მორბოდა ჩვენს სანახავად.

ეხლანდელის არ იყოს, მაშინაც ჭირდა საწვავი. ზამთრობით ბინას ზოგი ნახერხით ათბობდა, ზოგი ნავთქურით, ზოგიც ქვანახშირით, ვინც რას იშოვიდა. უფრო მტვრისებური ნახშირი იშოვებოდა. წინასწარ დაასველებდნენ ხოლმე და ისე ჩაყრიდნენ ღუმელში. ზაზასთანაც ქვანახშირის მტვერს ხმარობდნენ. ერთხელაც გივი გვესტუმრა ზამთრის დასაწყისში და გაკვეთილების დამთავრებამდე ზაზასთან ასულა თურმე. შეუნიშნავს ნახშირით სავსე ვედრო და თვითონვე წამოგებულა საწყალი ანკესზე — ამდენი თოფის წამალი სად იშოვეო, — უკითხავს ზაზასათვის. ზაზა ისედაც ტყუილებში ჩემპიონი იყო და ასეთ შემთხვევას როგორ გაუშვებდა ხელიდან,

— არ გამთქვა, ბიჭო, თორემ მეც დამიჭერენ და შენცო. ხომ ხედავ, გერმანელები როგორ მოგვადგნენ, თადარიგს ვიჭერთ და დიდ ბიჭებთან ერთად იარაღსა და ტყვია-წამალს ვაგროვებთო, — „გაუნდვია“ ზაზას. გაგიჟებულა გივი — სოფელში დათვებმა შეგვჭამეს და მომეცი ცოტა წამალიო. მიუცია ზაზას დიდი ხვეწნის შემდეგ ერთი პეშვი ნახშირი, თან დაჰპირებია — ამაღამ ბიჭებს მოვეთათბირები და ხვალ იქნებ კიდევ გაგიხერხოო. გივის დიდი სიფრთხილით, სათუთად გაუხვევია და ჯიბეში შეუნახავს ზაზას ნაჩუქარი ნახშირი. დინჯია — სიტყვას როგორ გასტეხს, საიდუმლოს როგორ გასცემს, არის თავისთვის, ჩუმად, არავის არაფერს ეუბნება წამლის თაობაზე. მეორე დღეს ზაზას თითქმის მთელი ვედრო უჩუქებია. ტყვიასავით მძიმეა ეს ოხერი. გივისა და ბებიამისს წელი მოუწყვეტიათ, ვიდრე სოფელში აიტანდნენ. გივის სოფლის ახალგაზრდებისათვის დაურიგებია. კარგა ხანს თოფი არ გავარდნილა თურმე იმ არემარეში. მერე კი დაუსვამთ დიაგნოზი — ბოლიანი თოფის წამალია, მაგრამ გაფუჭებულია. ნესტში ნამყოფიო.

ზაზა დღესაც ტრაბახობს — საქართველოში პირველი ეკოლოგი მე ვარო, ფლორა მე შეგინარჩუნეთ, თორემ იმ შიმშილობის პერიოდში დათვს კი არა, ჩიტს არ დატოვებდნენ მოუკლავსო. ბუნების დაცვისათვის ჯილდოსაც მოითხოვს ხოლმე. თანაც ამტკიცებს — ნახშირი კი არ მიჩუქებია, მივყიდეო. გივი თავს იკლავს — კაპიკი არ მიმიცია, ტყუისო.

დღესაც ძალიან მიყვარს ზაზა და გივი, იმიტომ, რომ ერთმა კარგი ტყუილები იცის და ბოხი ხმით მათი მოყოლა, მეორე კი ისევ ისეთი ჩუმია, დინჯი და გულუბრყვილო.

# დისერტაცია და ძელეხი

1972 წლის დასაწყისში გური, ჩემი კოლეგა და მეგობარი, სადოქტორო დისერტაციას იცავდა კიევში, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ ინსტიტუტში. ბევრი ტექნიკური საკითხი ჰქონდა იმხანად დისერტანტს მოსაგვარებელი — საბჭოს წევრების წინასწარი გაფრთხილება, მოწვეულ ოპონენტთა მიღება-დაბინავება, დოკუმენტების შედგენა და კიდევ უამრავი თავსატეხი. მაშინ დესერტაციაც ნებადართული იყო, ამასაც თადარიგი სჭირდებოდა. სიამოვნებით გავყევით გურის დასახმარებლად მე და მისი რამდენიმე ახალგაზრდა თანამშრომელი.

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების უმრავლესობა ქალაქის განაპირას, სვიატოშინოში იყო განლაგებული, უზარმაზარ ახლად მშენებარე უბანში.

დაცვის დღეს დილიდან გავუდექით გზას სვიატოშინოსაკენ მე და ნიკა, უმნიშვნელო საქმეებიღა გვქონდა მოსაწესრიგებელი. დაცვა ნაშუადღევს იყო დანიშნული და დროულად ვაპირებდით სასტუმროში დაბრუნებას, რათა იქიდან ყველანი ერთად ჩვენი ნახაზებითა და ბარგი-ბარხანით წავსულიყავით დაცვაზე. ქალაქისკენ მიმავალმა ტაქსმა გაგვიყოლა. მე წინ დავჯექი, ნიკა — უკან. უკან ახალგაზრდა გოგო იყო საცოდავად მიკუნჭული. დიდი გზაა ცენტრამდე, დროც გვარიანი უნდა, ხასიათზე კარგზე ვიყავი და მასლაათიც მწადდა. ჯერ მძღოლს გამოველაპარაკე, მერე იმ გოგოს შევავლე თვალი, ძალიან მოწყენილი და გასაცოდავებული მეჩვენა. ხელოვნური ტყავის ქურქში იყო გახვეული, ფეხები არ უჩანდა, ჩექმები ეცვა. მე მაინც შევუქე ფეხები. გავეხუმრე — არ გიხდება მოწყენილობა, შენ ღიმილი დაგხატავს-მეთქი, ხმა არ გამცა, თვალები აუცრემლიანდა, ცხვირსახოცი მოიმარჯვა. შევწუხდი. მარწყვივით გოგოა, ალბათ, ვინმემ აწყენინა-მეთქი, გავიფიქრე. შემეცოდა. უმალ გადავაბრუნე ფირფიტა, დავუყვავე — შენი დამწუნებელი სულელი ყოფილა, მილიონი ბიჭი მოიკლავს შენი გულისათვის თავს, არ იდარდო-მეთქი. ტირილი დაიწყო, მამა გარდამეცვალაო, — ამოღერღა. ალალად შევწუხდი, როდის, როგორ-მეთქი, ისე შევიცხადე, თითქოს ჩემი ახლობელი მომკვდარიყოს. ღამე გამხდარა ცუდად, უთენია ამოსვლია სული. ახლა კატაფალკის შესაკვეთად და საბუთების გასაფორმებლად მიდიოდა, არც პატრონი ჰყოლია ვინმე, დედა სხვასთანაა თურმე, არც იცის, ვისთან; ამ უბანში ახალი გადმოსახლებულნი ყოფილან, არც ნათესავი, არც მეზობელი, ეულია ამ ქვეყანაზე და ამას უფრო ტირის, როგორც შევატყვე. გავგიჟდი, გოგო ტიროდა, ნიკამ ლამის მეორე ხმა აუბა, ტაქსი გარბოდა, რადიო უკანასკნელ ცნობებს უბერავდა. დავამშვიდე — ჩვენ აქ არა ვართ-მეთქი? და გეგმები გამოვკითხე. დამკრძალავ ბიუროში უნდა მივიდე, რომ კატაფალკი, კუბო და სასაფლაოზე ადგილი შევუკვეთო, არ ვიცი, ფული მეყოფა თუ არაო. დავაწყნარე — ყველაფერი მოგვარდება, მამაშენს დაუსაფლავებელს არ დავტოვებთ-მეთქი. ნიკამ დამასწრო — მე ამ გოგოს გავყვები, ცოდო არისო. ბიუროს მისამართი ჩავიწერე, ამ გოგოს სახლის მისამართიც, მამამისის სამსახურიც გავიგე — ქარხანა „არსენალში“ უმუშავია. აბა, ნიკა, შენი იმედი მაქვს და შენ იცი, არ მოსცილდე, ფული არ დაინანო, იცოდე, წილში შემოვდივარ და არაფერი დააკლო-მეთქი, ვუთხარი ნიკას და სასტუმროსთან დავცილდი. ბიჭები ვინახულე, ყველა ძალიან შეწუხდა. რა ეშველებაო, — მითხრა გურიმ. ახლა ამის დაწყნარება დამჭირდა, — კაცო, შენ შენს საქმეს მიხედე და მაგას მოევლება-მეთქი, ვინანე, ეს ამბავი არ უნდა მეთქვა. ყველა დაიზაფრა, თითქოს ჩვენიანი მომკვდარიყოს. კი მარა, ნიკამ რა იცის, თვითონ ბავშვია, ვერ გაყევი შენო? — მისაყვედურა გურიმ.

დრო კიდევ იყო და „არსენალში“ გავარდი, არც ისე შორსაა ცენტრიდან, მაგრამ დაზურული ქარხანაა — ბუზი ვერ შეფრინდება შიგ. ვრეკე და ვრეკე შესასვლელიდან, — ამა და ამ საქმეზე გაწუხებთ, ჩემი ნათესავი იყო-მეთქი. ბოლოს კაცი გამოვიდა ადგილკომიდან. ავუხსენი საქმის ვითარება, მისამართი ჩაიწერა. აუცილებლად გამოვუწერ, ერთი თვის ხელფასი ეკუთვნის და ქალიშვილმა მოაკითხოს ავანსზეო. მაგის სამქროშიაც შევატყობინებთო.

იქიდან პირდაპირ დაცვაზე წავედი, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თემა იყო ისეთი, აქ კი არა, კემბრიჯში დაიცავდა კაცი. დაცვის მერე ბანკეტი იყო, მაგიდა გვქონდა შეკვეთილი. ორი ჩამოსული ოპონენტი, ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელი და ხუთნიც ჩვენ, ქართველები შევგროვდით. სტუმრები კარგ ხასიათზე იყვნენ, ჩქარა შექეიფიანდნენ გვარიანად. ჩვენ არ ვიცი, რა დაგვემართა, ვერ ავაწყვეთ მხიარულება, ვერც ვჭამეთ, ვერც დავლიეთ, კრიჭა ვერ გავხსენით, უფერულად ჩაიარა ჩვენმა ბანკეტმა, თუმცა იმათ არ უგრძნიათ.

ბანკეტის მერე იმ გოგოსთან წავედი, ბიჭებიც გამომყვნენ. ადვილად მივაგენით. კუბო უკვე მოეტანათ. ისხდნენ ეს გოგო და ნიკა სამზარეულოში და არაყს უბერავდნენ. ცხედარს მარტო ხომ არ ჩავასვენებდიო, ხვალ კატაფალკის მძღოლი მოვა და მომეხმარებაო, — მითხრა ნიკამ. დავიკაპიწეთ მკლავები, გავაპატიოსნეთ მიცვალებული. კარგი კაცი ჩანდა, ახალგაზრდა, ასე, ჩემი ხნის; გულით გარდაცვლილა. ჩავაცვით, ოთახიც მივალაგეთ, ნიკა გავარდა და არაყი, ძეხვი და პური მოიტანა. დავსხედით სამზარეულოში. გოგო საოცრად გახარებული მეჩვენა, წელში გამართული. მშვენიერი გოგო იყო, კოხტა, აწყობილა. სკოლა დაუმთავრებია და რამდენიმე წელია სამეცნიერო მრეწველობაში მუშაობს, ჯერ კიდევ ვერ გაულახავს ცხოვრებას და ხალასად გამოიყურება.

ნიკასა და ჩვენმა თანადგომამ მამის უბედურება დაავიწყა თითქოს, დარწმუნებულიცაა, რომ აღარ მივატოვებთ მარტო. კატაფალკი მეორე დღეს, პირველ საათისათვისაა დაბარებული, საფლავიც ცნობილია: მეორე ზონის, მეჩვიდმეტე ნაკვეთის ხუთასმეექვსე ადგილი. გვიან დავიშალენით. ამ გოგოს მარტო ნუ დავტოვებთ-მეთქი, ვთქვი წამოსვლისას. ნიკამ — მე დავრჩებიო. გოგომ თვალები გამისწორა, შევატყვე, ეგრეც უნდოდა, იმიტომ, რომ ნიკა ყველაზე ახალგაზრდა იყო ჩვენს შორის, ასაკითა და ჭკუით იმის სარგო და, თანაც, ყველაზე ლამაზი. ეგრე იყოს-მეთქი, ვთქვი და იმ გოგოს თავზე ხელი გადავუსვი. ფეხის წვერებზე აიწია და მადლობის ნიშნად მაკოცა.

მეორე დღეს, თორმეტი საათისათვის ყველანი ადგილზე ვიყავით. თუ რამ დასალევი დაგვრჩა, იქ მივზიდეთ და ქელეხის თადარიგიც დავიჭირეთ. რამდენიმე კაცი მოვიდა ქარხნიდან, იმ გოგოს ამხანაგებიც მოვიდნენ. მშვენიერი გოგოები იყვნენ, ყვავილებიც მოიტანეს თითო-ოროლა. გავასვენეთ მიცვალებული კაცურად. ხალხიც დავპატიჟეთ. მგონი, ყველა მოვიდა. გოგოებმა უცებ დაალაგეს ოთახი, გავმართეთ ჭირის სუფრა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც დავეტიეთ. ვისაუბრეთ, დავილოცეთ, მიცვალებული მოვიხსენიეთ.

გვიან დავიშალენით. ნიკას ანგარიში მოვთხოვე. იუარა — რას ლაპარაკობთო. მარტო შენი მკვდარი ხომ არ იყო, ჩვენც ხომ ვიტირეთ-მეთქი, ვუთხარი, დამითვალა დანახარჯი, ექვსზე გავყავი, თითოს ცხრამეტი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი შეგვხვდა. ოც-ოცი შევაგროვეთ და ნიკას დავუბრუნეთ. ჩვენ წამოვედით, ნიკა, გაახარა ღმერთმა, ისევ იქ დარჩა.

## გლობუსი

ბავშვობაში ერთი გოგო მომწონდა ძალიან. იმას არ მოვწონდი, იხტიბარს მაინც არ ვიტეხდი და სულ თვალში ვეჩრებოდი. იმის დასანახად ხან ტრამვაის შევახტებოდი, ხან ჩამოვხტებოდი, ხან ვიხუხებდი, ხან ვმღეროდი. მინდოდა, იმის ფოკუსში ვყოფილიყავი სულ. დღე არ გაივლიდა, სკოლაში არ მიმეკითხა იქვე, ვერაზე. ზუსტად ვიცოდი მისი ასავალ-დასავალი. დღეში ერთი ორჯერ რომ არ მენახა, ვერ ვიძინებდი დარდისგან. ხშირად სახლთანაც ვდარაჯობდი. რა ვიცი, ისე, ტყუილად, მსიამოვნებდა მის სახლთან დგომა. მთელი მისი მეზობლობა მცნობდა. ბევრმა ისიც იცოდა, ალბათ, რომ სიძეობა მინდოდა. ჩემმა მეგობრებმაც იცოდნენ ჩემი სიყვარულის ამბავი, არ ვიცავდი დებულებას — „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა". არ მეთაკილებოდა სიყვარული, ანდა რა იყო სათაკილო. მიყვარდა, ხომ არა მძულდა.

ერთხელ ის გოგო დამეკარგა თვალთახედვიდან. აღარც სკოლაში მივიდა, აღარც მუსიკაზე. ტყუილად ვდარაჯობდი, აღარ გამოვიდა სახლიდან. მოვიწყინე ძალიან, საგონებელში ჩავვარდი. დავდარდიანდი.

იმ გოგოს სახლის ფანჯრების მოპირდაპირე მხარეს ტროტუარი ამაღლებული იყო და ახლა იქიდან დავიწყე ჭვრეტა. დაღამდა. ოთახში სინათლე აანთეს. კისერი გვარიანად წავიგრძელე და ფარდის მიღმა მაგიდა დავინახე, მგონი — საწერი. მაგიდაზე გლობუსი დავლანდე და იქვე, გვერდით, ასე მომეჩვენა, თითქოს გოგო იწვა ბალიშზე მისვენებული, არ ჩანდა კარგად. გვარიანად ვტკეპნე ქუჩა, მაგრამ ვერა დავადგინე რა. იმ უბანში ვიზრდებოდი და ყველას ვიცნობდი. უმალ მოვძებნე ჩემზე ცელქი და მოქნილი მეგობარი და ახლა იმას ვთხოვე, კარგად შეეთვალიერებინა ოთახი, თან ავუხსენი: მაგიდა, გლობუსი, ბალიში, მუთაქა, გოგო-მეთქი.

ბიჭი თამამად მიადგა ფანჯარას, რკინის გისოსს დაებღაუჭა, მაღლა აფოფხდა და იქიდან დაუწყო ჭვრეტა. მე შორიახლოს ვიდექი გულაფანცქალებული. კარგა ხანს უთვალთვალა და მერე ომახიანად შესძახა — გლობუსი კარადის თავზე დგასო.

●

ორმოცდაათი წლის რომ გავხდი, მთელი ჩემი საძმო შევკრიბე. ყველა სიხარულით მოვიდა, მომილოცა, მომეფერა. ის ბიჭიც მოვიდა და გლობუსი მომიტანა, ლამაზი, დიდი გლობუსი, ზუსტად ისეთი, იმ გოგოს ოთახში რომ იყო.

## გოლუაფირო, კეკელია!

სკოლაში ერთი მეგობარი მყავდა მურმანი, ძალიან ბეჯითი ბიჭი იყო და წესიერი, ერთხელაც არ წასულა „შატალოზე", ფორტეპიანოზე დაკვრასაც სწავლობდა, მუსიკაში ყველას გვჯობნიდა, სულ იცოდა სოლფეჯიო, ბელკანტო, კოლორატურა, სოპრანო, ბარიტონი, ფა-დიეზი, სი-ბემოლი და რა ვიცი, ყველაფერი. დიდი ავტორიტეტი იყო ყველასათვის და ჩემთვისაც, იმიტომ, რომ ამბობდნენ, კონსერვატორია არ ასცდება, დიდი მუსიკოსი დადგება. ისე კი, მათემატიკოსი გამოვიდა და არცთუ ისე ცუდი.

მაშინ, ორმოცდაათიან წლებში, ხალხი სიხარულით დადიოდა ოპერაში, სულ გაჭედილი იყო ხოლმე დარბაზი. ბილეთებიც ძნელად იშოვებოდა, ხშირად ზედახორით შედიოდნენ, დაახლოებით ისე, როგორც სტადიონზე. გასტროლებზეც ხშირად ჩამოდიოდნენ: კოზლოვსკი, დავიდოვი, პიროგოვი, ლისიცია-

ნი, დონატ დონატოვი. დონატოვის ხმაზე რა მოგახსენოთ, იერით კი კარგი, ნამდვილად ლამაზი მამაკაცი იყო, სცენაზეც თავი კოხტად ეჭირა, თბილისელი გოგონები გიჟდებოდნენ პირდაპირ. მაშინ ხალხს უყვარდა სიმღერა, ჯერ კიდევ არ იყო როკ-მოკი, პა-ნკი-პუნკი, სხვადასხვა ჯურის ბათქაბუთქი და, ალბათ, იმიტომ.

საოპერო თეატრში ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა — კეკელია, ლამაზად მღეროდა. თბილისს სჩვევია აღტაცება და კეკელიასაც აღტაცებული შეხვდა.

როგორც იქნა, წამიყვანა მურმანმა ოპერაში, კეკელია მღეროდა აბესალომის პარტიას „აბესალომ და ეთერში“ მართლაც გემრიელად მღეროდა და დარბაზიც უხვად აჯილდოებდა ტაშით. მაინც ერთი ვიღაც იყო ქანდარაზე, სულ უსტვენდა აღფრთოვანების ნიშნად და გამყინავი ხმით ყვიროდა — გოლუაფირო, კეკელია, გოლუაფიროო! არ ვიცოდი, რა იყო გოლუაფირო, ისე კი ვხვდებოდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი იყო, ძალიან წააგავდა იმ სიტყვებს, მურმანისაგან რომ მსმენია: ბელკანტო, ალეგრო, მოდერატო, ატემპო, ლიბერო, კრეშჩენდო, დიმინუენდო. მორიდებულად ვკითხე, გოლუაფირო — რა არის-მეთქი. დაუყოვნებლივ მიპასუხა, მაღლიდან კიდევ უფრო მაღალს რომ აიღებო.

კარგა ხანს მახსოვდა გოლუაფიროს მნიშვნელობა, ვიდრე აბაშაში ერთმა მეგრელმა საუბრის დროს მოფერების ნიშნად მხარზე ხელი არ დამარტყა და მითხრა, — გოლუაფირო, მუჭოო*.

*მეგრულად — შენი ჭირიმე, ბიჭო.

## ტელევიზორი და მიმტევებლობა

ჩემმა მეუღლემ ტელევიზორის ყიდვა გადაწყვიტა. მე წინააღმდეგი გახლდით: მაშინ ბავშვები პატარები გვყავდა, შუადღეზე ბრუნდებოდნენ სკოლიდან და საღამომდე, ვიდრე ჩვენ სამსახურში ვიყავით, მარტოკები იყვნენ შინ. აღარ იმეცადინებენ, ტელევიზორთან გაატარებენ მთელ დღეს, უქმად ყოფნას მიეჩვევიან-მეთქი, ვუმტკიცებდი მეუღლეს. გარდა ამისა, პატარაობიდანვე ერთმანეთში კინკლაობა უყვარდათ, ყველაფერზე კინკლაობდნენ. გოგოს რომ მოუნდებოდა ქოთანზე დაჯდომა, ბიჭიც ზუსტად მაშინ მოინდომებდა ხოლმე. ქოთანი, იცოცხლეთ, ორიც გვქონდა და ოთხიც, სულ ფერად-ფერადი, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ორივეს ერთდროულად ერთსა და იმავეზე მოუნდებოდა დაჯდომა და ატყდებოდა ამაზე ჭიჭყინი. სტუმრად რომ მივდიოდით ჩემს სიდედრთან, იმ წუთსავე ტელევი-ზ[illegible] მოუსხდებოდნენ. გოგოს ერთი პროგრამის ყურება უნდოდა, ბიჭს — მეორესი. საბავშვო გადაცემაც რომ ყოფილიყო, ბიჭი, გოგოს ჯიბრზე, სხვა რამის მოსმენას არჩევდა და იწყებოდა გაუთავებელი გადართვა-გადმორთვა, ჩხაკაჩხუკი, ჩხუბი და ტირილი. მადლობა ღმერთს, მერე უცებ შეეშვნენ კინკლაობას და ახლა სიცილით იგონებენ ხოლმე წარსულს. მაშინ კი სულ ჩხუბსა და დავიდარაბაში იყვნენ და ესეც მაღარდებდა. ბიჭი დიდი იყო, გოგო არ უთმობდა და ვშიშობდი, რაიმე მარცხი არ ქნან; ნუ მივცემთ ზედმეტი კინკლაობის საბაბს-მეთქი, ვეუბნებოდი მეუღლეს.

ისე ყველაფერი კარგი აგხდენოდეთ, როგორც მე ჩემი წინათგრძნობა ამიხდა. ბავშვები შეეშვნენ სწავლას, იყო გამუდმებული ალიაქოთი, სულ დაკაწრეს ერთმანეთი ტელევიზორის გულისათვის. იძულებული გავხდი, „სეკრეტი“ გამეკეთებინა, მანქანებს რომ უკეთებენ, ისეთი. ჩემს გარდა, ვერავინ რთავდა და ცოტა ამოვისუნთქე.

მაშინ კი ვერაფრით ვერ დავარწმუნე მეუღლე, ვერ გადავათქმევინე. უტელევიზოროდ თანამედროვე ოჯახი როგორ შეიძლებაო, — მითხრა და ერთ მშ-

ვენიერ დღეს, სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ბავშვებმაც შემომახარეს, — დედამ ტელევიზორი გვიყიდაო. ტელევიზორის ყუთიდან ამოღება უკვე მოესწროთ და გამართვას ცდილობდნენ. გამოსახულება არ ჩანდა. გავბრაზდი სასტიკად — არ მინდა ტელევიზორი-მეთქი... ცოტა ხნის შემდეგ შემომეხვივნენ ყველანი.

— არიქა, გვიშველე, მოუხერხე რამეო. გამყიდველს მეუღლისათვის უთქვამს, — თუ არ ივარგა, არა უგვიანეს ორშაბათისა, უკან ჩამაბარეთ და სხვას მოგცემთო. პარასკევი დღე იყო. რა მექნა, დავიწყე ჩხიკინი. ოთახის ანტენამ ვერ იმუშავა. მეზობლებიც უჩიოდნენ ოთახის ანტენას. გავვარდი, ვიყიდე ეკრანირებული კაბელი, სახელდახელოდ გავმართე გარე ანტენა, ავიტანე სახურავზე, დავამაგრე, აქეთ ვატრიალე, იქით ვატრიალე, არაფერი გამოვიდა. ამასობაში დაღამდა, კინაღამ გადმოვარდი. მეორე დღეს სახელოსნოს მივაკითხე ელბაქიძეზე, ხელოსანი დამპირდა, — მელოდე, მოვალო... მთელი შაბათი ველოდე, კვირაც, ჩემითაც ბევრი ვუჩხიკინე, მაგრამ უშედეგოდ. მერე გავირკვა — კაბელი ყოფილა გაწყვეტილი, აბა, უხელსაწყოდ როგორ მივხვდებოდი, თავშიც არ მომსვლია აზრად, ან რატომ უნდა მეფიქრა, ახალნაყიდი კაბელი იყო.

ორშაბათს, ჩვეულებრივ, წავედი სამსახურში. მორიგედ მეუღლე დარჩა, — იქნებ ხელოსანი მოვიდესო. ის-ის იყო, მივედი ინსტიტუტში და მეუღლემაც დამირეკა. ხელოსანი მოვიდა, აკეთებს და მოდი, დაესწარიო. აუცილებლად უნდა დავესწრო: ჯერ ერთი, საშინლად მაინტერესებს, რა ნაკლი აქვს ისეთი, რომ ვერაფერი მოვუხერხე. გარდა ამისა, ხომ შეიძლება, უვარგისია, შემოგაჩეჩეს და დაკარგე ხუთასი მანეთი დღეს არის... დავაპირე შინ წასვლა, მაგრამ ვინ მიშვებს? მაშინ ინსტიტუტს მილიცია იცავდა, მეტაბელეც გვყავდა, გასასვლელში იჯდა. ასე მითხრა, — დღეიდან სამუშაო საათებში აღარავის გავუშვებო. დავუწყე ახსნა-განმარტება: — ტელევიზორი ვიყიდე... ხელოსანი არ მოვიდა... ახლა მოსულა... ხვალ აღარ დაიბრუნებენ-მეთქი. ყურიც არ მიგდო, ნაბრძანები მაქვს ასეო, დღეიდან დისციპლინა უნდა დავამყაროთ რკინისებურიო. ავიშალე, ავიფოფრე, წონასწორობიდან გამოვედი. ვისი ბრძანება არის-მეთქი. დირექტორის მოადგილის, მარტიროსოვისო, ისე მითხრა, თითქოს შემაშინებდა. არ ეგონა თუ გავიმეტებდი, იმიტომ, რომ ვმეგობრობდი მასთან. შენი მარტიროსოვის ასე და ასე-მეთქი, — მივაძახე. ხმას აუწია, — მარტო იმან კი არა, პარტკომმაც ეგრე გვიბრძანაო. ახლა პარტკომს მივადექი და ვლანძღე. მილიცია გამოესარჩლა, წესი-წესია, დისციპლინა-დისციპლინააო. სულ გადავირიე — არ ვიცი მე პარტკომი, დირექცია და თქვენი დისციპლინა, ინსტიტუტია თუ ციხე-მეთქი. ან თქვენ რას აკეთებთ აქ, თუ დისციპლინაა, თქვენგან დაიწყეთ, ამოდენა ხალხი რომ მთელი დღეები უქმადა ხართ და ძილისაგან დასივდით, ჯერ ამას მიხედეთ-მეთქი. ადრე არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს წასვლა-წამოსვლაზე რაიმე ეთქვას და დღეს ჩემგან იწყებთ წესრიგის დამყარებას-მეთქი? ძალიან რომ შევუტიე და რომ ველარ დამაოკეს, კოზირი დახარჯეს, — ჩვენ რას გვერჩი, დირექტორმა გვიბრძანა, უსაშვოდ არავინ გაუშვათო. ახლა დირექტორის ლანძღვა-გინებას მოვყევი... ხმაურზე ხალხი შეგროვდა, ზოგი თანამშრომელი — შინაური, ზოგიც ქუჩაში გამვლელი. რა საშვი, რის საშვი, აღარ მინდა აქ მუშაობა, ციხეში ვერ ვიმუშავებ, აღარა ვარ თქვენი თანამშრომელი, სხვა ვარ, სხვა, ვერ გაიგეთ-მეთქი? ამას კი აღარ მოელოდნენ. ერთმა მილიციელმა მეორეს წასჩურჩულა, — მგონი გაგიჟდა, მოდი, გავუშვათო და, როგორც იქნა, გამიღეს კარი.

შინ რომ მივედი, ტელევიზორი უკვე მუშაობდა მშვენივრად. აკი გითხარით, ანტენის კაბელი ყოფილა ჩაწყვეტილი ერთ ადგილას, გარედან არ ჩანდა. როგორც უცებ ავფე[illegible], [illegible]წყნარდი. ეს ტელევიზორი მაინც არ

მექნება სადარდებელი-მეთქი, გავიფიქრე და კარგ გუნებაზე დავდექი.

წამოვედი ინსტიტუტში. დისციპლინაზე ვფიქრობდი, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მეცნიერული საქმიანობა — შემოქმედებითი პროცესია, დაახლოებით ისეთი, როგორც პოეტისათვის ლექსის წერა, მხატვრისათვის ხატვა. ეს პროცესი სიამოვნებას უნდა გვრიდეს პიროვნებას. შემოქმედი კაცი თუ არ მუშაობს, მაშასადამე, მიზეზი აქვს, არ სიამოვნებს მუშაობა, ამ მომენტში შემოქმედებისათვის ის უნაყოფოა და არც ძალდატანება შეიძლება; მეცნიერებაში ძალდატანება არაფრის მომტანია. მე კი, თუ რაიმე უბედურება არ მჭირდა, სულ ინსტიტუტში ვფუსფუსებდი, ყველაზე ადრე მივდიოდი, ყველაზე გვიან მოვდიოდი, შაბათ-კვირასაც აქ ვიყავი, იმიტომ, რომ მსიამოვნებდა, მიხაროდა, მიყვარდა ჩემი საქმიანობა. ოჯახშიაც მპატიობდნენ, იცოდნენ, რომ ეგეთი ვარ. ახლა კი, დისციპლინაზე რომ დამიწყეს ლაპარაკი, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი.

დავიწყე მუშაობა. დრო უცებ გავიდა, სამუშაო დღეც დამთავრდა, ყველანი წავიდნენ, დავრჩი მარტო და ჩემთვის ვოცნებობდი, იქნებ როგორმე მოუწესრიგებლობის ტოპოლოგიური კრიტერიუმი ჩამოვაყალიბო-მეთქი.

უცებ კარი გაიღო და ოთახში ჯიქურ შემოიჭრა ჩემი დირექტორი, ბატონი ფერდინანდი, ხელჩანთა მოისროლა, ზედმეტად აღელვებული მეჩვენა, ძალიან მიყვარდა ბატონი ფერდინანდი, ჩემი პირველი პროფესორი, ხელმძღვანელი, ჩემი უფროსი მეგობარი და გულშემატკივარი. სიყვარულის გარდა, რიდიც მქონდა, უფროსი კაცი იყო და, თანაც, დირექტორი.

ტვინმა კომპიუტერის სისწრაფით დაიწყო მუშაობა, მივხვდი, რომ ყველაფერი უამბეს, ენა მიუტანეს: — გლანძლა და გაგინაო. ვფიქრობ, ალბათ, მეტყვის, ვინ მიგდიხარ, საქვეყნოდ რომ მლანძღავ და მაგინებ, ვინ მოგცა მაგის უფლება, თანაც რატომ? იმიტომ, რომ წესრიგი მოვითხოვე, იმიტომ, რომ მინდა ხალხმა საქმე აკეთოს და არ იხეტიალოს როგორც მოეპრიანება; ეს დაწესებულებაა და არა ბალაგანი და ყველა ვალდებულია, წესს დაემორჩილოს... მე ავუხსნი მდგომარეობას, ვეტყვი, რომ არ მინდოდა ტელევიზორი... ცოლმა ძალით იყიდა... ხელოსანმა მომატყუა... ხვალ მაღაზია აღარ ჩაიბარებს... ავუხსნი, — გავიფიქრე ჩემთვის, — ბოდიშსაც მოვუხდი, ვეტყვი, რომ გამოვედი წონასწორობიდან, დაუმსახურებლად მოგაყენეთ შეურაცხყოფა-მეთქი, თუ გაიგო და მაპატია, ხომ კარგი, თუ არა და, აქვე ვწერ განცხადებას, დავტოვებ ინსტიტუტს, აბა რა ვქნა?

ეს გავიფიქრე და ფერდინანდმაც დაიწყო ძალიან აღელვებული ხმით:

— შვილო, ხომ იცი, რომ შენი ნერვიულობა არ შეიძლება. ერთხელ, რომ ინერვიულე, ხომ გაგისკდა კუჭი, შენზე დარდს კინაღამ გადავყევი, გავნახევრდი კაცი: ახლა გინდა, გული გაიხეთქო და დარდით მეც მომკლა? შენ როდესაც გინდა, მაშინ მოდი, როცა გინდა, მაშინ წადი, თუ გინდა, სულ ნუ ივლი, შინ იმუშავე, ოღონდ არ ინერვიულო. მეორედ არ გავიგო, რომ ასეთ სისულელეებზე გულს იხეთქავ და თავს იკლავ. თუ ვინმემ რაიმე გაწყენინოს, აქ არა ვარ? მე მაგათ ვუჩვენებ სეირს, თავზე დამასხდნენ, რასაც უნდათ იმას აკეთებენ, ბრძანებების გაცემა დამიწყეს აქ! ბრძანებას მე ვიძლევი მხოლოდ, და დღეიდან გიბრძანებ, წყნარად იყო, თავს მოუარო, არ იღელვო და არ მომკლა შენზე დარდით!

ესა თქვა და როგორც ჯიქურ შემოვიდა, ისე ჯიქურ გავიდა. პირი დავაღე, სახტად დავრჩი, მაპატია უხეშობა, მაგრამ ასეთ პატიებას არ მოველოდი, სილა რომ გაეწნა, მერჩივნა.

თავი დავიმშვიდე იმიტომ, რომ დიდმა კაცმა მაპატია, ჩემზე კეთილმა, ჩემზე გონიერმა კაცმა. თან მაპატია, თან გაკვეთილი ჩამიტარა, მიმტევებლობის გაკვეთილი...



## გიორგი ჭუჭაშვილი

### კეისარიის ნანგრევებთან

*კოტე მახარაძეს*

რა დიადია კეისარია, ამფითეატრი და ბაზილიკა,
თუმცა დრო-ჟამმა არივ-დარია, გააპარტახა გზა და ბილიკი.
მტკიცე მარჯვენით გათლილმა ლოდმა აქ გამოცურა თითქოს წარღვნიდან.
რამდენჯერ წვიმდა და ქარი ქროდა და წარმავალი უკვე წარვიდა...
ბჭე დაგმანული თითქოს იღლება, ეს მდუმარება რა ხმამ შეაკრთო?
აქტიორების იქნებ ნიღბები დასიზმრებია მაღალ თეატრონს.
აქ ალტაცება დაცხრა რამდენი და სიხარული რამდენს მოშივდა,
ეს — კეისრების მკაცრი ლანდები იხედებიან თითქოს ლოჟიდან.
ამ ქვებზე დაჭკნა ვარდი რამდენი და მაინც გაძლო ქვამ და ეკალმა,
მარადისობის მოყურადენი იდგნენ და სული კბილით ეკავათ.
ვინ დაივანა მაღალ სვეტებთან, ამ ჩამონათალ საფეხურებთან?
აქ რომაელი რას დაეძებდა, — ქვაზე იჯდა და ცას გაჰყურებდა...
ქვის ნასვრეტებში ხმები ბუდობენ, და შენ უეცრად რატომ მოგინდა,
დაეჭვებულსა და მიუნდობელს ხმა შორეული გესმას რომიდან?
ჩქამი შეკრთება ელვისუმალის, თითქოს გრიგალმა გაინავარდა,
აქ ყოველივე ისე მდუმარებს, რომ ისმის სადღაც კენჭის დავარდნაც.
და საოცარი მოგივლის ჟინი — წუთით დუმილის ფარდა გახიო,
ამ საუკუნის უძღები შვილი უშორეს დროის ჰგავდე მსახიობს,
საქართველოდან რა ხმები მოგყვა, თავზე ცა გადგას და მზის არილი
და შენ კითხულობ ვეფხსა და მოყმეს ძველ ნანგრევებში კეისარიის.
დაფრინავს როგორც უცხო ფრინველი, გაღვიძებია ღვთიურ ბუნებას,
და თეატრონში სიტყვა პირველი საუკუნეთა ექოდ ბრუნდება.

## ებრაელ ქალს საქართველოში

შენმა პაპებმა დაუტოვეს მიწას ამბორი,
სული მოითქვეს, საქართველოს გზას რომ მიაგნეს.
შორს მოიტოვეს ბაღდადი და ყურე სტამბოლის,
მეწამულ ზღვაზე მისტიროდნენ ცისფერ იალქნებს.
შენ ქართლში მოსულ პირმშვენიერს არავინ გდევდა,
მკერდს არ გიწვავდა მძულვარება ნაღვერდალივით.
მაგრამ თვალებში ჩაგრჩენია უდაბნოს სევდა
და შორი კვამლი დაქცეული იერუსალიმის.
ცის მარმარილოს შუქთა კრთომა მოგქონდა უბით,
ქართლში შემოგხვდა შემოდგომის მშვიდი ტაროსი.
მაინც აქამდე გეჩვენება ნატყორცნი შუბი
და ძუძუმკერდზე მობჯენილი ხმალი ჯვაროსნის.
შენ მცხეთის გზაზე თეთრ ყვავილებს მიესალმე
და თმით შეკარი სილამაზე ვარდის კონებად,
შორეთში ჩანდა მოლაღადე იერუსალიმი,
რომ გადარუჯეს რომაელმა ლეგიონებმა.
ვერ ივიწყებდი გაშმაგებულ თვალებს სისხლიანს,
ვინ გასვა წყალი, პური მოგცა დევნილ ებრაელს?
რა ცოდვა გქონდა — აქამდისაც ვერ აგიხსნია,
არაგვთან კარი ვინ გაგიღო, ვის შეებრალე?
ბევრი კარიბჭე დაგმანული ციხე-დარბაზთა
გამოიარე შენც, მცხეთამდე რომ მოგეკვლია
და ყვავილები დაკრეფილი გზაზე, არმაზთან,
შენს მჭმუნვარ შუბლზე შეენაცვლა გვირგვინს ეკლიანს.
აპრილის ღამეს თბილისის ცა როცა დალეწეს,
ყელზე იგრძენი ლადარივით ქვა ავგაროზი.
როცა აღზევდა მძულვარება ქართველ ქალებზე,
შენც ძუძუმკერდზე კვლავ გეკვეთა ხმალი ჯვაროსნის.

## ჰეროდე

ციხე-გალავნის შეღრკა კედლები, მზე ჩამავალი იმ დღეს აჩქარდა,
მე მეჩვენება ღამე ბეთლემის, ცემა მახვილთა, ელვა ჩაჩქანთა.
სისხლიან ნადიმს იხდის ჰეროდე, უმასპინძლდება წვეულთ მზაკვრულად,
ყველა სტუმარი, სიკვდილს ელოდეს, თითქოს ბატკნების ფარა დაკლულა.
ლეგიონერთა ორლესულებით უმანკო სისხლის წვიმა გაწვიმდა,
ცად მიფრინავდნენ თეთრი სულები, მაღლა აჰქონდათ გმინვა ყმაწვილთა.
იდგა ქვისა და რკინის ღრჭიალი, ისე გოდებდნენ, თითქოს მღეროდნენ,
მეფე ბოროტი და იჭვიანი, გალერეაზე იდგა ჰეროდე.
წარბშეუხრელად იდგა მრისხანე, წამით არ შეძრა სინდის-ნამუსმა,
ჯარისკაცები როცა იხხამდნენ მახვილებს წვეულ ბავშვთა სამოსრად.
მ..ეცნენ როგორც ლხინს აღტაცებით, რა კოცონები ნაირფერობდნენ,
ძ..ჰქონდათ სისხლით სავსე თასები და გახელებით სვამდა ჰეროდე.
და ირყეოდა მკვიდრი კედელი დედების მოთქმით შეძრულ ციხესთან,
მაგრამ ვერ იქნა, ნაზარეთელი ყრმა მოსაკლავად ვერ მოიხელთა.

ციხე-გალავნის გაღებულ კართან, სად ჯოჯოხეთის იდგა თაკარა,
გადააფარა უფალმა კალთა და ყრმას მტრის ხელი არ მიაკარა.
ვერ აისრულა ავი სურვილი, ვერ მოისვენა ვერსად ვეროდეს
და მოუკლავი სისხლის წყურვილით გაშმაგებული დაძრწის ჰეროდე.
ვერ მეფობს მშვიდად და გალაღებით, დღითა და ღამით არ ეძინება,
ისევ სწყურია ხოცვა ბალღების და ნაზარეთელ ყრმის მოკვდინება.
ცოდვილი ხელი ედოს ხანჯალზე, იქ გაჩნდეს, სადაც არვინ ელოდეს,
სისხლის წყურვილი მარად ტანჯავდეს და ვერასოდეს დაცხრეს ჰეროდე.

## პილატე

რა უცნაურად დუმს გალილეა, ვისი თვალები უცხოს ზომავენ,
მოედინება და არ ილევა, წყარო უშრეტი უკვირს რომაელს.
ჟამი მოიხმო მამლის ყივილმა და მშვიდ სხეულზე, როგორც ნატორი,
სიტყვა ყოველი იქცა ტკივილად და შეაძრწუნა პროკურატორი.
ეს სიბრძნე არი თუ ნიღაბია, სიკვდილის პირას თქმულა სიმშვიდე,
განა მორჩილი ცხვარი აბია, განა თვალები ამოიშრიტნენ?
და იმ თვალებში არ არის შიში, შუქად ანთია რწმენა ღვთაების,
რადგან განგების სურვილით იშვა უშრეტ სიკეთედ და უკვდავებად.
ნუთუ არ იცის, მკაცრი კანონი ყველას მიაგებს თავის მისაგებს,
უცოდველობით, უანგარობით წავა ბატკანი გოლგოთისაკენ?
ეყოფა ძალა — არ შედრკეს წუთით, ხელებგაშლილი სიკვდილს დანებდეს,
ვინძლო ჯალათის ნაჯახი ნუთუ აღარ მოქმედებს ამისთანებზე?
იქნება შეცდა მართლაც იუდა, ხელი დაადო მწირს და უპოვარს?
ბოლომდე შეძლებს ასე ჯიუტად იაროს მტკიცედ და შეუპოვრად?
თუ გაიწირა, მისი ბრალია, ვერც გაატანოს იქნებ დილამდე,
მე კი ხელები დამიბანია, აღსრულდეს, როგორც ნებავს პილატეს.
ჯალათის ხელი იტყვის დანარჩენს, ყოვლის შემძლე და ყოვლის მჯობნელი.
პილატეს ხელებს რატომ დააჩნდა უცებ ცოდვების შავი ჭორფლები?
და პროკურატორს ახლა ვინ იხსნის, ასე სასტიკად რა ახელებდეს?
საიდან გაჩნდა უმანკო სისხლი ცოდვებისაგან ნაბან ხელებზე?
დაეჭვდა, მაგრამ არ დაუფარავს, ჩამოიშორა დავიდარაბა,
ვერ ამოიცნო კაცში უფალი და დასასჯელად მისცა ბარაბას.
აივსო რისხვის თასი პირამდე, ასე ინება ალბათ იღბალმა,
მას აქეთ ხელებს იბანს პილატე, მაგრამ ვერ იქნა, ვერ დაიბანა.

## თენგიზ ჩალაური

### საათი

**(ავტოკატასტროფაში მოყოლილს ვილაცამ საათი შემხსნა)**

ალარ მჭირდება ახლა საათი,
იქნება რვაა,
    ან ცხრა,
        ან ათი,
(ქირურგებსა აქვთ ჩემზედ კამათი,)
რაში მჭირდება ნეტავ საათი?!
    ...ვიხსენებ ეშმას,
    შავი ეშვი რომ ჩამასო ფერდში,
    როდესაც სული
    დამწვარ ბალღივით აკივლდა
                მკერდში,
    როცა ბჟუტავდა,
        ნელა ქვროდა ჩემი სანათი,
        ვილაცამ ხელზე შემხსნა საათი.
მესმოდა ზმები,
        შორით, ქორალით...
ქურდი? — როგორ ვთქვა,
        ქურდს აქვს მორალი,
წამგლეჯი? —
        არა!
არცა ბაცაცა,
        იმას სხვა ჰქვია,
სულ სხვა რალაცა.
ნივთად არ ვდარდობ,
ბარე ათიოდ უფრო ძვირფასი,
ფეშქაშადა მაქვს გაცემულიც
და მ...ლებულიც ალალ-არჩივად,
გუმან...თა ვგრძნობ,
        იმ ღამეს, იმ წუთს,
მე იმ საათმა გადამარჩინა —
გარშემორტყმულმა მოციქულებით
        მინიატურულ სამყარო-ცაში,
ციფერბლატიდან მაცხოვარის
        კეთილი მზერა მფარავდა მაშინ...
გავიმეორებ:
ნივთად არ ვდარდობ,
რაა — საათი?!
მაგას რად უნდა
სჯა და ბაასი,
რომ სულთმობრძავ კაცს
        ფეხზედ ჰკიდია,
თუგინდ რვა იყოს,
        გინდ ცხრა,
        ან ათი,
რაში სჭირდება ნეტავ საათი?
ერთი მაფიქრებს:
იმ არა კაცსა,
იმას, რომელსაც ჰქვია „რალაცა“,
დრო ხომ მოუწევს
        წესით-ადათით
        და რას მიუგებს
        უწმინდეს მსაჯულთ,
ოდეს ჰკითხავენ —
ხომ ხედავ, შენიც
        ჩაქრა სანათი
და როგორ ფიქრობ,
იქ, სადაც მიხვალ,
დაგჭირდება
მომაკვდავი კაცის საათი?!

## ახალწლის ღამე

სულში ცრემლი
მთელი ღამე
ღვართქაფებად წვიმდა,
ახალი წლის სადღეგრძელოს
შესმა შხამით მინდა.

91-92

## კვლავ გაცლა მიჯობს...

ნუ მეძებთ,
რადგან გადვიქეც ქარად,
ცრემლად შევერწყი დენთიან ჰაერს
და სალამურის მკვნესარე ჰანგით
აღარ ვმსახურებ
არც ხალხს და არც ერს.
მე გავექეცი
დაქცეულ ქალაქს,
სამშობლოს მთებს და
სალოცავ ზეცას.
შეშლილ ღვთისშვილებს,
ქვისგულა კერპებს,
ვინც გონს მიწამლავს
და ფრთებს მიკვეცავს,
რაც კვლავ მანატრებს
ჩვეულ მონობას —
უთქმელ ოცნების დაკანონებას,
რაც დამავიწყებს
ქართული გენის
გააფთრებას და გადრაკონებას...
მე გავეცალე ჩემს სიუძლურეს...
აწ ყულფად ვნასკვავ
ძმობის ძველ საბელს,
რამეთუ ვხვდები,
რომ ვერ ვუშველი
ჩემს სიყრმის შვილებს —
კაენს და აბელს...
და ვიქეც ქარად,
კუდქარბორბალად,
ბლოკვად შევძვერი
ნაჩვევ ხაროში,
ნუ მეძებთ, რადგან
მიჯობს აქ დავრჩე,
ჩემს ეულ სულის
ძველ სამყაროში.

92.

## მეტრონომი

დაბადებიდან ჯადოსნურ
წრეში
რად მომისაჯეს
ტანჯვა-წამება?
ასე უაზროდ,
ოხვრით და ხვნეშით
გადაქანება-გადმოქანება...
ჩემს რიტმის თვლაზე
არავინ მღერის,
არც არვინ უწყობს
გამათ ქნარებას,
მხოლოდ ვიღაცის
მზერა მიბრძანებს
გადაქანება-გადმოქანებას...
ცას შევაცქერდი,
დავდუმდი მარად
და აღარც ვნანობ
ამ დახანებით,
გწამდეთ,
დღეიდან არ შეგაწუხებთ
გადაქანება-გადმოქანებით.



გოგი ურგებაშვილი

# მხეცები

## მოთხრობა

შებინდებული იყო, მეფუტკრის სადგომს რომ მიაღწიეს, დაქანცულები, იქვე ჩასხდნენ.

— სად არიან? — იკითხა ბეშიმ, თოფი კარვის კუთხეში ააყუდა, საევაზნეც მოიხსნა.

— კალმახს დავახვედრებთო! — ახმადამ მობოშებული ჩექმები უხალისოდ გაიძრო, ქუსლამდე ჩატანილი წინდები ასჭიმა და კერიასთან მიგდებულ სატვირთო მანქანის გაცვეთილ საბურავზე გადაწვა.

ძაღლები ახლაღა მოსუნსულდნენ. კარავში ერთი კი შეიხედეს, მაგრამ შესვლა არც უფიქრიათ, — ისევ ქანქანით მოედვნენ ლელიანს.

საძაგელს მთელი სხეული სტკიოდა; სამი ღამის უძილოს, მგზავრობით მოღლილს, ნადირობაც ფეხებზე ეკიდა და ილტოს ხეობით ტკბობაც, მაგრამ რა ექნა, როცა ბედი არა სწყალობდა: მეზობელ მეფუტკრეს ბიჭი გამოეგზავნა, დათვებმა სკები გადააბრუნეს, თაფლი შეგვითქვლიფეს და თუ არ ამოგვზედავთ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენო.

ბალღი პირველად მასთან მივიდა, მამის დანაბარები გადასცა და პასუხისთვის არც დაუცდია, ისე მოკურცხლა ახმადასთან.

ასე, ერთ საათში ბეში და ახმადაც გამოჩნდნენ. ძაღლი არა მყავსო, ყასიდად იუარა, თანაც, — დაღლილიცა ვარო; მაინც გამოჰყვა.

ახლა ზის და სახეზე ხელაფარებული თვლემს.

— საძაგელო, — მუხლზე ხელი გაჰკრა ბეშიმ.

— რა იყო? — უხალისოდ ახედა.

— იწვიმებს? — კარვის კალთა ისე გადასწია, რომ საძაგელს გაეხედა გარეთ.

— უკვე წვიმს, — გულგრილად გააპურჭყა. ამ დროს მოზრდილ ლოდს წვიმის მსხვილი წვეთი დაეცა.

— მაგრად გავიზუნლებით! — თავი დანანებით გააქნია.

ახმადას გვერდი ეცვალა, ნახევარმთვარესავით მორკალულიყო საბურავზე და ფშვინავდა.

— კაკლიანელებიც ამოვლენ? — ბეშიმ კარგა მოზრდილი ფიჩხის გუდურა მიითრია.

— რა ვიცი, ამათი — შეუღრინა საძაგელმა.

ბეშიმ საკვამური გადასწია. ფიჩხი ხმელი იყო, მაგრამ ცეცხლი არცთუ მაშინვე მოედო. კარავში ბოლი დადგა.

კვლავ გამოერკვია მილ-ბურანიდან საძაგელი, ამღვრეული თვალებით გადახედა ბეშის, მერე მხრჩოლავ ფიჩხს, შინელი ქვეშ გაიგო და ის იყო, წამოსაწოლად მოემზადა, რომ გარედან ხმაური შემოესმათ.

მეფუტკრე და მისი ვაჟი იყვნენ, ნახევრად სველები. მეფუტკრეს ბადე მხრებზე გადაეგდო, ქურთუკი გაეხადა და გაღეღილი მოაჭყაპუნებდა წყლით სავსე ჩექმებს.

ბალღს მამის თოფი ცალ ხელში ეჭირა, მეორეთი მაჯის სიმსხო კალმახით სავსე გოდორყურას მოათრევდა.

— დღეს ეს ვიკმაროთ, ბიჭებო, ხვალ კი, ღვთის შეწევნით, ნანადირევიც გაგვიჩნდება, — თითქოს მოიბოდიშა მასპინძელმა. მაღალი იყო, დიდი თავი და წვრილი, გრძელი მკლავები ჰქონდა. — კინაღამ შეგვჭამა მაგ გამჩენმაღლმა, საგაწვებოდ დაკრული სკუბი გადამიბრუნა; ნაკვალევით, კაცის სიმაღლისა მაინც იქნება.

— ხვალ ჩვენ გადავაბრუნებთ, — გაბუჟებული ფეხი გაშალა საძაგელმა.

— ბალღო! ჩაიტა სანაპიროზე და გამოშიგნე, — გაცრეცილ ბიჭს თევზზე მიანიშნა მეფუტკრემ.

მან ტანსაცმელი გაეხადა, ცეცხლის პირას მიეფინა და ახლა თვით თბობდა მამასავით გრძელ, გამხდარ კანჭებს.

საძაგელს ებრალებოდა ეს ბალღი ლოთი მამის და კანჩხლი დედინაცვლის ხელში, ებრალებოდა, მაგრამ თითქოს შურდა მისი — ასე დაუზარელი და სიცოცხლით სავსე რომ იყო. „ამ ხასიათის ბალღს კაი ოჯახი კაი კაცად აქცევდა“, — გაიფიქრა და უნებურად წინ მჯდომ ყინწა მეფუტკრეს შეხედა.

— ჩავალ, მივეხმარები! — ზურგჩანთიდან დანა ამოიღო.

— გაირყვნება, — მასპინძელი არყის ჩამოსხმით იყო გართული.

მაინც ჩავიდა სანაპიროზე.

ბიჭს თევზი ბრტყელ ქვაზე შემოეწყო, კბილებში პაპიროსი გაეჩარა და უკვე გამოშიგნული კალმახის ლაყუჩებს ჩაჰკირკიტებდა.

— მოიდა მამაშენი! — უკანალზე ფეხი ამოსდო საძაგელმა.

ბიჭმა შეჰღიმა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ნამწვავი წყალს გაატანა.

— ვერ გაგიგებს? — საძაგელს გაეღიმა.

— თვითონ ხომ ეწევა?

— მერე?

— რა მერე, სუნს ვერა გრძნობს.

გამოშიგნულ-გასუფთავებულ თევზს საძაგელმა წყალი გაავლო და გამურულ ქვაბში ჩაყარა. თუმცა ქვაბი კარგა მოზრდილი იყო, კალმახის ბოლოები მაინც ვერ მოთავსდა შიგ.

— აქ მომეცი, — ბალღმა ქვაბი გამოართვა, თევზი ისევ ამოყარა და თვითონ ჩააწყო.

— მერამდენე კლასში ხარ?

— არცმერამდენეში.

— ???

— ინტერნატში კბენარი დამეხვია და გამოვიქეცი.

ქვაბი კავზე დაჰკიდეს, მარილი ჩააყარეს და მოხარშვამდე, წყნარი მუსაიფი გააბეს.

მეფუტკრემ ახალნაყიდი თოფი მოუწონა საძაგელს.

— არა ვარგა, — ბოროტად გამოსცრა კბილებში ბეშიმ, — შეიძლება გიმტყუნოს, პატრონა გაგიჭედოს.

— ხელმეორედ შემოვაყენებ, — გულგრილად უპასუხა საძაგელმა.

— ძაღლობა ამ თოფისთვის სროკს გაგტენის, — ახმადა გაცვეთილ საბურავს, რატომღაც, ვერ შელეოდა, ახლაც ზედ იჯდა და კრიალა იარაღს ხელში ატრიალებდა.

— თვითონ ვერტმფრენებით და ავტომატებით ნადირობენ...

— ეჰ, ძმაო, ჩვენ კი აღრიცხვაზე ვართ აყვანილნი და...

— ვერაფერს დამიჭერენ ხელში...

— მეც ეგრე ვფიქრობდი, — ჩაეცინა ახმადას. — მაგრამ პაპაჩემის მოკლული ფსიტის რქები და გაყინული ხორციც კი ექსპერტიზაზე ჩამატანეს...

ბალღმა მოხარშული თევზი უკვე ჩამოხსნა, წყალი გადაწურა და უკვე შეგრილებული, მუხის მონაჭერზე წამოყარა,

იქვე ჩაცუცქდნენ, არყიანი მომცრო ხელადა გვერდით შემოიდგეს.

საძაგელს არ უნდოდა დალევა, მართლა არ უნდოდა, მაგრამ მაინც შეიტყუა სადღეგრძელოებმა, არა, კი არ შეიტყუა, უფრო აიძულა, და დალია... სამი ღამის უძილომ და მოქანცულმა.

ორნახადი ორიოდ საათში ჩამოწრუპეს, მასპინძელი იქვე, ცეცხლის პირას მიეგდო, თავქვეშ თავისივე ქურთუკი ამოიდო და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა; ბეში სამილე ტომარაში ჩაძვრა, ახმადა ნარზე გადაწვა და შინელი გადაიფარა.

საძაგელის მოქანცულ სხეულს კი ორნახადმა ზომაზე მეტად დარია ხელი, შუაღამემდე ვერაფრით მოისვენა, ვერ დაიძინა: მთვარეულივით დაბორიალებდა სკებშუა, სისხლმოჭარბებულს ცის ნამი თითქოს აფხიზლებდა... მეფუტკრის ბალღიც მას დასდევდა უკან, არც მას ეძინა — კოცონს და სკებს დარაჯობდა.

არაყმა სითბოსთან ერთად დატოვა მისი სხეული.

შეციებული ნესტიან ქვეშაგებზე მიწვა და ის იყო, ჩასთვლიმა, რომ ყეფაგნიასმა გამოაღვიძა, თითქოს იმავდროულად რაღაც, გაფიჩხებული, სველი და ბალნიანი დაეცა მკერდზე, შეჰყვირა და წამოხტა. მიაყურადა და ხმებიც მალევე შეიცნო: კაკლიანელები იყვნენ, შეჰგვიანებოდათ, ხმაურით და მაშხალებით მოვიდნენ. მათი ძაღლები ბეშის ძუკნას აუძლვნენ. ახმადას მაღალკანჭა მწევარმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და დაირივნენ. ბიჭებმა ძაღლები დააშოშმინეს და კარავში შემოვიდნენ, წვიმის და ტყის სურნელი შემოიყოლეს. მეფუტკრე მაშინვე ადგა და ჩანავლულ კოცონს ფიჩხი დააყარა, კარავი ალმა გაანათა. ახლაღა შენიშნა საძაგელმა თავის საწოლთან გართხმული გაფშეკილი მოზრდილი მაჩვი, — კაკლიანელებს მოეკლათ გზაში. გაღიზიანებულმა ფეხი გაჰკრა და დაძინებას შეეცადა.

მასპინძელმა ათლიტრიან არყის ბოცას ერთი ხელადა მოაკლო.

კარავში ხორხოცი და გნიასი იდგა, გამთენიისასღა ჩაეძინათ მეფუტკრეს და კაკლიანელებს. სამი დღის მგზავრობით მოქანცულ საძაგელს კი აღარც გაჰკარებია ძილი.

გამომთვრალ ბანაკს ერთი საათიც არ მოუსვენია, მზე ამოიწვერა თუ არა, აიშალნენ, სამ-სამი სირჩა არაყი კიდევ გადაჰკრეს და გაუდგნენ გზას.

საძაგელი, ქოშინით, სულ ბოლო მიუყვებოდა აღმართს, გულ-მუცელი ისე ეწვოდა, თითქოს ნაღვერდალი გადაეყლაპოს.

როგორც იქნა, აათავა საცალფეხო ბილიკი. მთის წვერზე უკვე ელოდნენ.

სული მოითქვეს და დაიყვნენ.

ძაღლებმა კვალს მიაგნეს და გასხლტნენ.

პირველი თოფი შუადღეს გავარდა.

ამ დროს საძაგელი კლდის ნაშალზე იჯდა, შემოყენებული იარაღი მუხლებზე ჩამოედო და გულგრილად გასცქეროდა მუქ ზოლად დაგრაგნილ ხეობას.

„მიაგნეს", — თვითონაც წამოდგა, თავქვე დაეშვა და დეკიანს შეერია. არცთუ ტანმორჩილს, მთის მცენარეები მკერდამდე სცემდა. მდინარემდე ჩავიდა, გამომშრალი, ალმურმოდებული ყელი გაისველა და ის იყო, წასვლაც დააპირა, რომ ოციოდ მეტრზე მისკენ მზირალი მხეცი შენიშნა; უეცარმა ელდამ თხემითტერფამდე გაჰბურძგლა, ჭირის ოფლმა დაუცვარა შუბლი და ხელისგულები.

„თუ დავაცილე, მიმიგდებს, — ლამის მუხლი მოეჭრა ამის გაფიქრებაზე, — მართლა რამხელაა ეს უპატრონო!"

დათვი ბურდღუნით და უჩვეულო ღრენით დაიძრა მისკენ.

„რისთვის ჩამოვედი დეკიანში, რა დროს წყალი იყო", — აქამდე არც იცოდა, ნადირი აგრერიგად თუ დააფეთებდა!

„ან გულში, ან ყიაში, ან გულში, ან ყიაში..." — რეკდა უძილო, მოქანცული მონადირის გონი. თოფმომარჯვებულს ხელი უთრთოდა, პირველი გასროლა სა-

დღაც, კლდეს შეასკდა, მისი გამოძახილი ხეობას შორს გადასწვდა!

საძაგელმა ტუჩზე მალუმად იკბინა, გეზშეუცვლელ მხეცს შეხედა და ახლა ჩაჩოქილი შეეცადა, მისი მკერდი ამოეღო მიზანში. ვეღარ მოასწრო, ორჯერ ზედიზედ მაინც ესროლა.

არც ახლა შეჩერებულა შემზარავი ტყიური.

თითქმის თავზე წამოადგა ჩაჩოქილს. ბიჭმა იარაღი შორს მოისროლა და იკადრა გაქცევა. გავეშებული მხეცი ღრიალით მისდევდა.

საძაგელი სერზე გაურბოდა მდევარს, უჭირდა სირბილი, მაგრამ მხეცის ქშენა აიძულებდა უკანასკნელი ძალა მოეკრიბა და გაჰქცეოდა კვალში ჩამდგარ სიკვდილს.

ნათქვამია, გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწევაო, სწორედ ასე დაემართა დამფრთხალ დევნილს, როცა ნაშალზე წაიფორთხიალა და ნაღრძობი ფეხი აითრია... ტკივილისაგან დაღრეჯილი, თავჩარგული, მაინც სწრაფად მიხტოდა.

უეცრად შედგა, შეშფოთებით და სასოწარკვეთით ახედა გადმოყუდებულ პიტალო კლდეს, მერე მიიხედა, აცახცახებული აეკრა ბუნებრივ ზღუდეს — თურმე გასაქცევიც აღარსაით ჰქონდა, ხუთიოდე ნაბიჯზე კი ყალყზე შემდგარი ტყიური იდგა...

მხეცმა ამაზრზენად დაიღრიალა და დაბჩენილი ხახიდან ჟანგმოდებულ კბილებზე ჩამომდინარი ცხელი ცოფი მონადირეს შეანთხია...

საძაგელისთვის შიში და ძრწოლა უკვე სადღაც გამქრალიყო; თვალანთებული, თითქოს სიამოვნებითაც იღებდა მხეცის გამოწვევას. აღარც მტრის უშველებელი, ბანჯგვლიანი სხეული აკრთობდა აგრერიგად, რადგან სიცოცხლისათვის უთანასწორო ბრძოლა; მოდგმით ჩვეული იყო! ან უთანასწორობა რა მოსატანია, როცა თვითონაც წამიერად გაზრდილიყო, მხრებიდან გადაყრილ დაღლილობას და შიშს დევგმირად ექცია იგი.

დათვის მოქნეულ ტორს და შემზარავ ღრიალს ისიც არანაკლებ შემზარავად გამოეპასუხა და პაპისეული ხანჯლით მხეცის ხორხს მისწვდა.

ტყიურის ჭანგებით ჩამოფხრეწილი ხაკის მოსასხამი ერთმანეთში არეული ნადირისა და კაცის სისხლით შეიღება. დათვის გადაჭრილი ხორხიდან ამომდინარ ხავილს სულის მოსაქცევი, სწრაფი ქშენა უფრო შესაზარს ხდიდა.

მთელი არსებით იბრძოდნენ კაცი და მხეცი სიკვდილ-სიცოცხლისათვის!

დათვის ტორებში მოქცეულ მონადირეს გადარჩენის უძლები სურვილი წამითაც არ სტოვებდა — საოცარი თვითდაჯერებით ატრიალებდა მტკიცე ფოლადის წვერს მხეცის სასიცოცხლო არტერიასთან.

დათვმა უკვე ჩაჩოქილი მონადირე ქვეშ მოიგდო. სწრაფად გადაეფარა მთელი ტანით და ჩაბუბნა...

სწორედ ამ დროს რამდენიმე თოფი ერთდროულად გავარდა, მცირე ხნის შემდეგ კვლავ გაისმა სროლის ხმა — თითქმის საძაგელის ყურისძირთან!

ელდანაკრავი ტყიური უკანა თათებზე წამოიმართა და სასიკვდილოდ აძაგრული, ზურგზე გადავარდა. მომზღვლეულმა ბექობმა კეფაახდილი მხეცი ხევში ჩაიტანა, მის სისხლიან კვალს აგორებული ქვა-ღორღიც მიჰყვა.

— ბედზე მოვუსწარით, — დაგლეჯილ სხეულზე სხვათა ხელის შეხება იგრძნო ძირს დაცემულმა, — ცოტაც და მიახრჩობდა.

თვალი შეავლო გარშემო მოფუსფუსეთ, დამფრთხალ სახეებს და გონწართმეული მათს მკლავებზე გადაეკიდა.

●

ავტობუსიდან ძლივს გამოაღწია, ყურში უსიამოდ მოხვდა მძღოლის მიერ აჩრიგინებული ზარი, ერთი წამით თავიც კი მიაბრუნა, ფული მოსინჯა, მერე ხელი ჩაიქნია — თვითონაც ქუჩაში აჩქარებით მოსიარულეთ შეუერთდა. უკანასკნელ სიგარეტს მოუკიდა, კოლოფი მოჭმუჭნა და სანაგვეში ისროლა.

ქუჩა გადაჭრა და სკვერში ჩამოჯდა — შადრევნის პირდაპირ. ქალაქში სიცხის ბუღი ტრიალებდა და ბევრი შეჰფარვოდა მარადმწვანე ხეთა ჩრდილს, სულის მოსაქცევად.

მზერა ცის დასალიერს მიაპყრო და ფიქრებში ჩაიძირა.

დაბურული ხეივნიდან სამი ბიჭი გამოვიდა. მაღალი, გაზეთილმაისურიანი და საოცრად ფერმკრთალი ბიჭი მას მიუახლოვდა.

— მომაწევინე...

— არა მაქვს, — ნამწვავი ძირს დააგდო, ქუსლით ასფალტს მიასრისა ფიქრისაგან გამორკვეულმა საძაგელმა.

— კარგად მოჩხრიკე, უნდა გქონდეს, — პერანგზე სწვდა თავს წამომდგარი, ის ორნიც მისკენ დაიძრნენ.

წინ მდგომის გაცრეცილ, სირსველიან სახეს, ლაქით გადაგლესილ თმას შეხედა და გაიღიმა.

— შენს ღმერთს მიხედე, ძმაო, — ოდნავ გასაგონად გაიღო ხმა.

— ჯიბე გადმოაბრუნე, ბოზის შვილო! — კვლავ მისწვდა.

საძაგელმა მთელი ძალით ამოჰკრა ნიკაპში. ბიჭი შეხტა და თანამოძმეთა ფერხთით დაეცა. ის ორნი მაშინვე ეცნენ, ერთდროულად ჩაეხვივნენ, სწრაფადვე მოსცილდნენ, წაქცეულ სანთლისსახიანს მხრებში შეუდგნენ და უკან მოუხედავად გადაირბინეს ყვავილნარი.

საძაგელმა გულის კოვზთან რაღაც სიმწვავე შეიგრძნო, ისე თითქოს შანთით დაედაღოთ.

გაკვირვებულმა დაიხედა:

მოთხვრილი პერანგიდან სისხლი ასფალტზე წვეთავდა, თავადაც თითქოს წვეთებს ჩაჰყვა — უნებურად ჩაიჩოქა, ხელი გადაუსვა შეგუბებულ სისხლს — ტანში გასცრა. თავიდან თითქოს ვერც შეამჩნია, თუმცა, კი შეამჩნია, მაგრამ არაფრად ჩააგდო — ცის ნამად მოეჩვენა, ახლა კი დარწმუნდა, ეს წვიმა კი არა, მისი სისხლი იყო; უძლური თითებით ჭრილობა დაფარა, უკვე ლიბრაკრული მზერა გარშემო მოატარა — ბევრი ვეღარაფერი გაარჩია, უნდოდა, ვისთვისმე საშველად მოეხმო, — კრინტიც ვერ დასძრა, ვინ იცის, იქნებ შერცხვა კიდეც.

წამოდგომას შეეცადა — ვერ შეძლო: ულალატო, ჭიუხებმოვლილმა მუხლებმა უმტყუნეს, ცხვირწინ ხახადაბჩენილი მხეცი აესვეტა, სახე მხეცისა ჰქონდა, ტანი — კაცის, ჩია და გაძვალტყავებული.

დედის ლანდიც გაკრთა. თმაგაწეწილი, სახეჩამოკაწრული დედის ხატება ძალიან, ძალიან შეებრალა, ისე შეებრალა. კვლავ სცადა წამოდგომა, თითქოს გაიმართა კიდეც, ნაბიჯიც წადგა..

თავში ყოვლის წამლეკავი გრიგალი ათარეშდა და გამოზომვით, სულ სათითაოდ შეუდგა ბალანზე უწვრილესი სიცოცხლის სიმების გლეჯას.

— უბრალოზე გამაფუჭეს — მიხვდა, რომ კვდებოდა. — ძაღლის თესლები!!! — თავისივე სისხლზე ფეხი დაუცდა, დაცემა არც უგრძვნია.

# ერეკლე საღლიანი



●

არა სჩნდეს რვალი შენს ნათელ კალთას,
სინათლე არა წამერთოს თვალთა,
საწყალობელ ვარ, მოწყალევ, დღესა
რომელსა არა გზედავდე, გესავ.
ვამბობ, მამანი ამბობდნენ ვითა,
და-ცა-ვიზამთრო მე მაღლის ქმნითა,
ვცდილობ, ჩემადმცე ვით ბჟვრი ცდილა,
ვიქცე სიკეთედ სიკეთის წილად.
არა სჩნდეს რვალი...

●

არმური და წვიმის თქეში
უკვე ველარ თვალე,
როგორც სევდა, სიჩუმეში
ახამხამებ თვალებს.
საკუთარ თავს გარე უვლი,
აწურვილი მხრებით,
შენს სუნთქვაში დალეული
ქვავდები და ქრები.
ნათლის დედის ნათელ ღიმილს
ელოდები ციდან,
„ზეს ჭრიან“ და აღარ ღვივის,
ნაფოტებად ცვივა.
შენ რას მამცნობ, ჩემო ერთო,
კვლავ რწმენას თუ მმატებ,
პირველ თოვლზე უფრო თეთრო,
ცრემლზე უფრო მჩატევ.
მამცნე, „დაღმა ვით დავეშვი“,
სახეს ვით ეჭვრეტ მღიმარს,
მამცნე, სულო, შენს თვალებში,
ბინდი როგორ მტკივა.
მამცნე, დადნი სანთელივით,
გაქრეს ქრობის შიში,
შენ ხომ ქარით გათელილი
ბალახიდან მიშე;
შენ ხომ ადრე შექმნილ ხატებს
ჩემში უხმოდ რგავდი,
დღეს შენს ფიქრში დაფარფატებს
უჩვეულო დარდი.
დღეს კვლავ გიმძიმს, მაგრამ მღერი,
ესეც შენი გარჯა,
დასთმე სიტყვა, დასთმე ფერი,
დუმილი კი დაგრჩა.
არმური და წვიმის თქეში,
უკვე ველარ თვალე,
როგორც სევდა, სიჩუმეში
ახამხამებ თვალებს

„მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული".

ნ. ბარათაშვილი

რა სიხარული ხარ შენ და რა სვე,
შენი ზეობით თვით შენ ხარ სავსე.
მიკვირს, თუ რისთვის დღეს მჭრელი
მზე რად,
თვალს რად არიდებს შენს ნათელ
მზერას.
შენ მყუდროებას ალვიძებ ხშირად
და სულში წვეთავ ღვთაებრივ სხივად,
სიმწრით გპოვე და სიცოცხლედ გსახე,
შენ გაქვს უმანკო ქალ-თეთრის სახე.
მშობლიური ხარ სიკვდილზე მეტად,
ყველა ჩვენგანის შენ გქვია „ნეტავ".
მარტომ თუ უწყი, ხარ ვისი გორის,
მახლობელიც ხარ, ხარ ძალზე შორიც.
რა სიხარული ხარ შენ და რა სვე,
შენი ზეობით თვით შენ ხარ სავსე.

## ციკლიდან „განსაცდელის ჟამს"

ფიქრი დავით აღმაშენებლის „გალობანი სინა-
ნულისანის" წაკითხვის შემდეგ

შენ საქართველო ფეხს გადგამს გულზე,
შენს ტანჯულ სახეს ჩვენც ტანჯვით
ვუმზერთ,
გვანთხევს სიბნელეს ურჩხული ხაზით,
კვლავ მწუხარე ვართ ჩვენ მისი ნაზვით.
დავით! განქარდა დიდება ძველი,
რანით, ჰერეთით, სვანეთით, კახით
აღარ მიილტვის დღეს ჩვენგან მტერი,
შუბთა კვეთებით და ხმალთა ჯახით.
სიცარიელე თავად შლის საყრდენს,
ხან თაფლად წვეთავს, ხან გვავსებს
მკვახით,
ხმალთა მჟღერავი ჩუხჩნი რად
გაჰქრნენ?
რად დაგვდევს ისევ სიკვდილი მახით?
უხსენებელი ზედ სულზე გვაზის,
დაშრეტილ თვალით და სახით მჭახით,
შენ ხარ ვენახი, ხარ ცრემლი ვაზის,
ანათებ თეთრი მყინვარის სახით.
დედო ზარივით მამულზე ჰგოდებ,
უპოვარით და უარგნო გლახით,
ეჯაჯგურები ვეება ლოდებს
და ცოდვებს აფრთხობ ღვთისმშობლის
სახვით.
თუ უბედობა კვალდაკვალ გვდევდა,
კვლავ ისევ ვრჩებით ერთურთის
ჭრახვით,
ო, დაკარგული სამშობლოს სევდა
დადის დღეს შენი აჩრდილის სახით.
ჩვენს სურვილებში ყინულს გაღლევა,
ვიბანთ ჭრილობას ღვინით და რახით,
გვჯერა, ყოველი ავსულის ზრახვა
უნდა დასრულდეს ავსულის კრახით.

მსურს, მაგრამ მაინც ვერ ვხედავ ღამით
და მოწყენილი დავდივარ ამით.
გაშენო? უნდა ცხოვრება გავცე,
გაგაქრო? მინდა სულ ერთი წამი.
შენ ჩემი ფიქრის სილაღე ხარ და
ხეზე შერჩენილ ფოთოლის ჩქამი,
მიწა ხარ, მიწად მიიქცე უნდა,
ისიც დაძლება ძვალ-ხორცის ჭამით.

. . . . . . . . .

მსურს, მაგრამ მაინც ვერ გხედავ ღამით.

●

სავსე ვარ შენით, სიცოცხლე მინდა,
მინდა შენს ხსოვნას შემოვრჩე წმინდად,
გავყვე მორევში ცხოვრების ტალღებს
და შენს სუნთქვაში სითეთრედ გავლღვე·
რომც აღარ ვღირდე, არ ვღირდე ჩირად,
ლოცვებში მაინც მაცოცხლე ხშირად,
ის მეაბჯრე ვარ, შენს გამო ვინაც,
კვლავ ალგეთის მგლის გვარად რომ
გმინავს.
. . . . . . . .
სავსე ვარ შენით, სიცოცხლე მინდა.

●

„რა ხარ ასეთი".
(წერილიდან)

თვით აღარ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ,
არ ვიცი, ბეწვის ხიდზე რად ვდგავარ,
ჩემი წუხილი ჩემს ყოველ ნაძერწს
მისხალ სიცოცხლის სიმძიმედ აწევს.
რაც ადრე ვიყავ, კვლავ ის ვარ თითქმის,
ვიცი, სათქმელი სიჩუმით ითქმის,
კვლავ არვის ვეძებ და არვის ვუხმობ,
საკუთარ ჩრდილსაც ვშორდები უხმოდ.
. . . . . . . .
თვით აღარ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ.

●

თემურ ბაბლუანი

ურდული ადევთ დარბაზებს,
ბილწთ რარიგ დავმოყვრებივართ,
მიწა გვაკლია, არ გვაძევს,
თორო ნამდვილად მკვდრები ვართ.
ლოკავენ ცეცხლის ენები
სავალ ბილიკებს იწროსა,
სადაც რომ ჩავესვენებით,
იმ მიწამ უნდა გვიცნოსა.



## გოდერძი გოდერძიშვილი

### და ველოდებით...

უსიტყვოდ ვზივართ მოსაცდელში,
არ არის ფრენა,
გადაქანცული ვართ მგზავრები
ლოდინით
ყველა
და
ველოდებით უფლის ხატებას,
ლაჟვარდ სივრცეში
ჩვენს ატატებას.
მიფრინავს წლები,
ვდუმვართ და
ვდუმვართ,
შუბლი შეჰკვრია
მასპინძელს,
სტუმარს...
არც ზარ-ზეიმით,
არცა გოდებით,
უსიტყვოდ ვზივართ
და ველოდებით.

### ზაფხულის ღამე

სად გაქრა უშიშარი ბიჭი,
ალბათ მომტირის და მეძებს,
ჭრიჭინა გაემიჯნა ჭრიჭინს,
ფოთოლი არ ირხევა ხეზე.
რად მამა-ზეციერი გამიწყრა
(ზურგი შევაქციე, ვიცი),
გული ციხესავით ჩაკირწყლა,
სევდა მიმჯობინა სიცილს.
ზაფხულის ღამეა და
ისვენებს კაცთა მოდგმა,
ზაფხულის ღამეა და
ცივა,
სული სანთელივით
მთლად ჩამოდნა
და
ჩამონალვენთები
მტკივა.
სად გაქრა უშიშარი ბიჭი,
ალბათ მომტირის და
მეძებს,
ჭრიჭინა
გაემიჯნა
ჭრიჭინს,
ფოთოლი
არ ირხევა
ხეზე...

## უცნაურია

უცნაურია...
რით გადარჩი ფათერაკს ამდენს?
ალბათ იმით, რომ ბედი შენი
არავის ანდე;
ფრთის ქვეშ დამალე
ბავშვობაში ღვთისგან ჩადგმული
და ყრუ კედლებში ააშენე
სულის სადგური;
არ შეეპუე დამცირებებს,
ჩაგვრებს, სირცხვილებს,
საუნჯე შენი
გაჭირვებით გადაირჩინე.
ახლა?
ო, ახლა,
დაგელალა როცა ნერვები,
როცა ყოველდღე,
ყოველ წამში
დნები, ბერდები,
ბედნიერი ხარ —
საფლავამდე მიიტან იმას,
რის გადარეცხვაც აღარ ძალუძს
ქარსა და წვიმას.

## ორპირს

მთვარე ანთია —
შემოდგომის დამის ფარანი,
ადამის მოდგმას
სძინავს უკვე კარგა ხანია,
შენთან ტრიალებს ძალა ღვთისა —
მეტი არავინ,
გარემოს სხვისთვის
ამ წუთებში აღარ სცალია.
ბრძოლის ველიდან
გასაქცევად არ ხარ შობილი,
გადაქანცული მტკიცედ მისდევ
უვალ ბილიკებს,
თუ არ გელირსა ტკბილი სიტყვა,
თბილი ლოგინი,
ვილაც ამისთვის
დაგცინებს და გაგაქილიკებს.
ასე, ჯახირში
მიხვალ ალბათ კუბოს კარამდე,
ვინ იცის, საით,
სად მოგიწევს წაფორთხილება,
მანამდე ღმერთის— შენი წილი
ძალა გფარავდეს,
მერე შენც ალბათ
ტკბილი ძილით მიგეძინება.

## თუ დავეცემი

თუ დავეცემი ამ ბრძოლაში —
მხოლოდ კაცურად,
ჩავქრები —
როგორც დიდი ჭაღის
მცირე ნათურა.
მერე არ ვიცი, რა იქნება,
მაგრამ მანამდე,
ასიათასჯერ —
ჩემი ტყვია
უნდა გავარდეს.
ალბათ მემკვიდრე გააგრძელებს
სატევრის ქნევას,
მე არ მოვკვდები,
შვილი ჩემი — იგივე მე ვარ,
რაც შეეხება
მტერს, მუხანათს,
სუსტია ერთობ,
მოგვმადლე ძალა
გამარჯვების,
მაღალო ღმერთო!

ვლადიმირ ნაბოკოვი

# ლოლიტა

## რომანი

## მეორე ნაწილი

სწორედ მაშინ, 1947 წლის აგვისტოში, დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი მოგზაურობა შეერთებულ შტატებში. ყოველგვარ თავშესაფრებს მალე ვამჯობინე ეგრეთ წოდებული „მოტორკორტები“, ანუ „მოტელები“. ეს სუფთა, კოხტა, მყუდრო სავანეები შედგებოდა ცალკეული პატარა სახლებისა ან ერთ ჭერქვეშ გაერთიანებული ნომრებისგან და იდეალურად ხელსაყრელი იყო ძილის, კინკლაობის, შერიგებისა და ხარბი, უკანონო სიყვარულისთვის. თავდაპირველად, უხიფათობის უზრუნველსაყოფად, ხალისით ვიხდიდი ორმაგი ნომრის ორივე ნახევრის საფასურს; ყოველ ოთახში ორადგილიანი საწოლი იდგა. მაოცებს, რა სახის კვარტეტებისთვის იყო განკუთვნილი ამგვარი ჩანაფიქრი; განმარტოების მხოლოდ ძალზე ფარისევლური პაროდია თუ მიიღწეოდა იმით, რომ ტიხარი (რომელიც ჭერამდე არ აღწევდა) ნომერს მიჯნავდა ორ ურთიერთდაკავშირებულ, სიყვარულისთვის გამიზნულ ბუდედ. ამ კეთილსინდისიერი ერთობლიობიდან გამომდინარე უჩვეულო შესაძლებლობებმა თანდათან გამათამამა (შეიძლებოდა, მაგალითად, წარმომედგინა ორი ახალგაზრდა წყვილი, მხიარულად რომ უცვლიდა ერთმანეთს პარტნიორებს. შესაძლოა, რომელიმე ბავშვი აქ თავს იმძინარებდა, რათა ფარულად ყური მიეგდო ოდესლაც მისი ჩასახვის თანმხლები ბგერითი ეფექტებისთვის). ამიტომ არჩეინად ვქირაობდი ერთოთახიან კაბინას ერთი ან ორი საწოლით; სამოთხის ამ სენაკში ყვითელი ფარდები ბოლომდე იყო ჩამოშვებული, რითაც მზისა და ვენეციის შთაბეჭდილება იქმნებოდა, თუმცა ფანჯრის მიღმა მხოლოდ პენსილვანია იყო და წვიმდა.

ვნახეთ ვეებერთელა, შატობრიანულ ხეებქვეშ გაშენებული კოტეჯები; ეს ქვის, აგურის, ალიზის, მობათქაშებული სახლები განლაგებული იყო „ჩრდილოვან“, „ვრცელ“, „დაგეგმარებულ“ (ამერი-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7, 8, 9, 10, 11.

კის საავტომობილო ასოციაციის მიერ გამოცემული მეგზურის მიხედვით) ნაკვეთებზე. გვხვდებოდა კორძიანი ფიჭვისგან ნაგები ქოხები, რომელთა კრიალა, მუქი ოქროსფერი კოჭები ლოლიტას შემწვარი ქათმის კანს აგონებდა. გვძაგდა შეთეთრებული ფიცრებისგან აშენებული უბრალო კაბინები, რომლებიც სიბინძურის ოდნავ საგრძნობი სუნით ან სხვაგვარი პირქუში, მორცხვი სიმყრალით იყვნენ გაჟღენთილნი და „მარჯვე საწოლების“ გარდა, ვერაფრით დაიკვეხნიდნენ. ამგვარი სადგომების კუშტი დიასახლისები ყოველთვის მზად იყვნენ იმისთვის, რომ მათ ნაბოძვარს („....შემიძლია, შემოგთავაზოთ...“) მგზავრები შორს დაიჭერდნენ.

გავეცანით — (ეს ძალზე სასეირო თამაში იყო) — სასტუმროების თითქოსდა მაცდუნებელ, ფართოდ გავრცელებულ სახელწოდებებს. ზოგჯერ რეკლამა საგანგებო სატყუარებს იყენებდა. მაგალითად: „ვეპატიჟებით ბავშვებს“, „გვიყვარს კატები“ (შენ გეპატიჟებიან, შენ უყვარხართ!). საბაზანოები უმთავრესად კაფელის შხაპებით იყო აღჭურვილი. მათი უსასრულოდ მრავალფეროვანი ნაკადები ერთი (ნამდვილად არა ლაოდიკიური ხასიათის) თავისებურებით გამოირჩეოდა: ხან ქაფქაფა მდუღარე წყლით გვფუფქავდა, ხან კი ყინულოვანი სიცივით გვიხეთქავდა გულს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი (ცივი თუ ცხელი) წყლის ონკანს გადაატრიალებდა იმ წუთს გვერდით საბაზანოში მყოფი მობინავე, რომელიც ჩვენ მიერ გულმოდგინედ შედგენილ ნაზავს აუცილებელ ელემენტს აკლებდა. ზოგიერთი მოტელის საბაზანოების კედლებზე, უნიტაზებთან (რომელთა უკანა ბაკებზე არაჰიგიენურად ეყარა ხოლმე სუფთა პირსახოცები) მიწებებული ინსტრუქციები კლიენტებს მოუწოდებდა, არ ჩაეყარათ მათში ნაგავი, ლუდის თუნუქელები, რძის ჩასასხმელად განკუთვნილი მუყაოს ჭურჭელი, მუცელს მოწყვეტილი ნაყოფი და ასე შემდეგ. სხვა მოტელებში გაკრული იყო შემინული განცხადებები, მაგალითად: „გართობის ადგილობრივი სახეობები: ცხენოსნობა. მთავარ ქუჩაზე ხშირად მოჰკრავთ თვალს მთვარიან ღამით რომანტიკული სეირნობიდან დაბრუნებულ მხედრებს...“ „...რომლებიც დილის სამ საათზე ძილს გიფრთხობენ“, გამქირდავად დასძენდა ხოლმე არარომანტიკული ლოლიტა.

გავეცანით აგრეთვე მოტელების სხვადასხვა ჯურის მეპატრონეებს — გამოსწორებულ ბოროტმოქმედებს, უიღბლო საქმოსნებს, ნახევრად კეთილშობილი წარმოშობის ქალბატონებსა და საროსკიპოების ყოფილ მფლობელებს. ზოგჯერ, აუტანლად ცხელსა და ნოტიო ღამეში გაბმით, გულშემზარავად და ავბედითად გაჰყვიროდნენ მატარებლები, რომელთა განწირულ ხმაში სასოწარკვეთა და ძალმოსილება ურთიერთს ერწყმოდა.

ვერიდებოდით კერძო სახლებში მოწყობილ ეგრეთ წოდებულ „ტურისტების საბინადროებს“ (რომლებიც დამკრძალავ სალონებს წააგავდა). ისინი უაღრესად მეშჩანური გემოვნებით იყო მორთული და ცალკე საბაზანოები არ ჰქონდა. დამთრგუნველ თეთრ-მოვარდისფრო ოთახებში იდგა პრეტენზიული სატუალეტო მაგიდები, კედლები კი ბინის პატრონთა შვილების ზრდა-განვითარების ამსახველი სურათებით იყო შემკული. დროდადრო ხათრს ვუწევდი ფუფუნებისადმი ლოლიტას ლტოლვას და „ნამდვილ“ სასტუმროში ვქირაობდი ნომერს. გოგონა მეგზურში ირჩევდა (სანამ იდუმალ, მყუდრო თემშარაზე შეჩერებულ, ბნელ ავტომობილში ვეფერებოდი) ამა თუ იმ აღფრთოვანებით რეკომენდებულ ტბისპირა „ციხე-დარბაზს“; რეკლამა მრავალ სასწაულს გვპირდებოდა (რომელთაც რამდენადმე აზვიადებდა მეგზურზე მინათებული ელექტროფარნის სხივი), მაგალითად — კონგენიალურ საზოგადოებას, ნებისმიერ დროს გამზადებულ საჭმელებს, ღამით მოწყობილ პიკნიკებს. ამასთან დაკავშირებით წარმომიდგებოდა ხოლმე მაისურიანი გიმნაზისტის კოცონის სიმხურვალისგან გავარვარებული ლოყა, რომელიც ლოლიტას ლოყასთან იყო შეწებებული (მაშინ,

როდესაც საწყალი პროფესორი ჰუმბერტი მხოლოდ საკუთარ გაძვალტყავებულ მუხლებს ეხვეოდა და ნესტიან გაზონზე ბუასილს იცივებდა). ლოლიტას იზიდავდა კოლონიური სტილის სასტუმროებიც, რომლებიც „ელეგანტურ ატმოსფეროსა“ და მთლიანი ფანჯრების გარდა, გვპირდებოდნენ „უგემრიელესი ხორაგის განუსაზღვრელ რაოდენობას“. მამისეული კოპწია სასტუმროს შესახებ სანუკვარი მოგონებები ზოგჯერ მაიმულებდა, მსგავსი რამ მეძებნა უცნაურ ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვმოგზაურობდით. სინამდვილემ მალე გამიცრუა იმედები, მაგრამ ლოლიტა კვლავ საკვების მიმზიდველი რეკლამების კვალს მიჰყვებოდა, მე კი მხოლოდ ფინანსურ კმაყოფილებას როდი ვპოულობდი ისეთ გზისპირა ფირნიშებში, როგორიც იყო, მაგალითად, სასტუმრო „ტყის ოცნება!“ თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვებთან ურთიერთობით მიღებული უფასო სიამოვნება! მეორე მხრივ, მაჟრჟოლებს შუა-დასავლეთის ერთი შტატის ვ.თომდა „უმაღლესი რანგის“ კურორტის გახსენებისას. გამოცხადებული იყო, რომ სასტუმრო ნებას რთავდა ღამღამობით „იერიშების მიტანას მაცივარზე“, ამასთან, რასისტული ყაიდის დირექცია (რომელსაც ჩემი აქცენტი ეუცხოვა) გადაჭრით მოითხოვდა, მეცნობებინა ჩემი განსვენებული ცოლისა და განსვენებული დედის ქალიშვილობის გვარები. ამ სასტუმროში გატარებული ორი დღის საფასურად ორას ოცდაოთხი დოლარი გამომართვეს! ხომ გახსოვს, ხომ გახსოვს, მირანდა (ციტატაა ცნობილი ელეგიიდან), ის მეორე „ულტრაბრწყინვალე“ ბუნაგი, სადაც დილაობით უფასო ყავასა და ყინულოვან წყალს გვთავაზობდნენ, მაგრამ არ ღებულობდნენ თექვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს (და, რა თქმა უნდა, არავითარ ლოლიტებს).

შედარებით სადა მოტელებში დაბინავებისას ლოლიტა მყისვე რთავდა ელექტროვენტილატორის ზუზუნა პროპელერს ან მაიძულებდა, რადიოლაში ოცდახუთცენტიანი ჩამეგდო, ან კიდევ პროსპექტების კითხვას იწყებდა. გოგონა წუწუნებდა, რომ მთის ბილიკზე ცხენით სეირნობისა და თბილი მინერალური წყლით გავსებულ ადგილობრივ აუზში ცურვის ნებას არ ვაძლევდი. ჩვეულებისამებრ მოწყენილი და აუტანლად მიმზიდველი ლოლიტა უმთავრესად უსაქმოდ დაყიალებდა და იშხლართებოდა მეწამულ სავარძელში, ბაღის მწვანე შეზლონგში ან ზოლიანი ტილოს საგემბანო სკამზე, რომელსაც ფეხების დასადგმელად განკუთვნილი ასეთივე საყრდენი და ბალდახინი ჰქონდა; ზოგჯერ სარწეველაში ქანაობდა ან ჯდებოდა ბაღის ნებისმიერ სკამზე, ტერასაზე, დიდი ქოლგის ქვეშ რომ იდგა. საათობით ვეფერებოდი, ვემუქრებოდი და ათას რასმე ვუქადდი, სანამ დავიყოლიებდი, ხუთდოლარიან ნომერში რამდენიმე წამით ჩემთვის გაემეტებინა მზით გაჯერებული თავისი ნორჩი სიტურფე, შემდეგ კი უფლებას ვაძლევდი, მოემოქმედა ყოველივე, რასაც ის ჩემს უბადრუკ ნეტარებას ამჯობინებდა.

ლოლიტაში შერწყმული იყო გულმართლობა და ცბიერება, გრაცია და ვულგარულობა, რუხი უგუნებობა და ვარდისფერი სიმკვირცხლე. ზოგჯერ ის აუტანლად იქცეოდა — არ მოველოდი უნიათო მოწყენილობისა ან წინასწარ განზრახული ბუზღუნის შეტევებს, როდესაც მთლად მოთენთილი, გათანგული, თვალებამღვრეული გოგონა უმიზნოდ, უსაგნოდ იმანჭებოდა და ბიჭურ, ცინიკურ-ოინბაზურ თვითდამკვიდრებას ესწრაფვოდა. მისი შინაგანი იერსახე მეტისმეტად შაბლონური იყო: ჯაზის ტკბილი, მძაფრი კაკოფონია, ფოლკლორული კადრილები, შოკოლადმოსხმული ნაყინი, მუსიკალური კინოკომედია, კინოჟურნალები და ასე შემდეგ, — აი ლოლიტას გატაცებათა ნუსხის ყველაზე თვალსაჩინო პუნქტები. ღმერთმა უწყის, რამდენი აბაზიანი შევაჭამე რესტორნებში დადგმულ მუსიკალურ ავტომატებს! კარგად მახსოვს მისდამი მიძღვნილი ამ სერენადების უჩინარი შემსრულებლების დუღღუნა ხმები, ყური განურჩეველი იყო

ყველა ამ სამის, ჯოს, ედის, ტონის, პეგის, გაის, რექსის მოდური რომანსების მიმართ, ენა კი ვერ განასხვავებდა ლოლიტას მიერ შთანთქმული ტკბილეულის ამა თუ იმ სახეობას. მიამიტ გოგონას სჯეროდა ყველა იმ განცხადებისა და რჩევისა, რომლებიც მის საყვარელ „ეკრანის სამყაროსა“ და „კინოსიყვარულის მირაჟში“ ქვეყნდებოდა: „ჩვენი ახმი ახმობს მუწუკებს“, „გოგონებო, თუ პერანგის ბოლოები შარვალში არა გაქვთ ჩატანებული, დაფიქრდით ამაზე— ჯილი ამბობს, ეს მოდა მოძველდაო!“ თუ გზისპირა დუქნის აბრაზე ეწერა: „იყიდეთ ჩვენთან საჩუქრები!“ — მაშინ უბრალოდ ვალდებულნი ვიყავით, შევსულიყავით და გვეყიდა ინდიელთა ყოველგვარი სულელური ნაკეთობანი, სპილენძის სამშვენისები, კაქტუსის ყინულკარამელები. ლოლიტა მონუსხა ფრაზის „ნობათები, საჩუქრები“ — ქორეულმა რიტმმა. თუ რომელიმე კაფე ყინულოვან სასმელს გვთავაზობდა, გოგონა ანგარიშმიუცემლად ეხმიანებოდა მიწვევას, თუმცა ყველა სასმელი ყველგან ყინულოვანი იყო. რეკლამები მას მიმართავდნენ, სწორედ ის გახლდათ იდეალური მომხმარებელი და ყოველი საძაგელი პლაკატის სუბიექტი და ობიექტი. წარუმატებლად ცდილობდა, მხოლოდ იქ ესადილა, სადაც გასტრონომიული მეგზურის ავტორის, ვიღაც დუნკან ჰაინსის სული წმიდა გარდამოხდა კეკლუცად მოხატულ ქაღალდის ხელსაწმენდებზე და ხაჭოთი შემკულ სალათებზე.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყენებდით ფულადი ქრთამების სისტემას, რომელმაც მოგვიანებით ასე დამღუპველად იმოქმედა ჩემს ნერვებსა და მის ზნეობაზე. მცირეწლოვანი მხევლის მოსათვინიერებლად იმ დროს სხვა ხერხებს მივმართავდი. რამდენიმე წლის წინ მან ვერმონტში წვიმიანი ზაფხული გაატარა მისს ფალენის გამაბეზრებელი მეთვალყურეობით. ისინი ცხოვრობდნენ სოფლის ნახევრად დანგრეულ სახლში, რომელიც მუხასავით დაკოჟრილ ჯონათან ჰეიზს, გვარის ფუძემდებელს, აეშენებინა ოდესღაც. სახლი ჯერ კიდევ იდგა ასისთავა ბალახით დაფარულ მინდორში, უსიერი ტყის პირას, მუდამ გადარეცხილი გზის ბოლოში, უახლოესი სოფლიდან ოცი მილის მანძილზე. ლოლიტამ კარგად დაიმახსოვრა ეს გაცრეცილი შენობა, მარტოობა, ჭაობად ქცეული ძველი საძოვარი, მუდმივი ქარი, მთელი ეს ხინოტივისგან დაბუხული, მიყრუებული ადგილი; სიძულვილს ის ამერიკელი ბავშვებისთვის ჩვეული განსაკუთრებული გრიმასით გამოხატავდა — გაწელილი პირიდან ნახევრად გამოყოფილი, შესქელებული ენით. ვემუქრებოდი, რომ იქ დავსახლდებოდით და მრავალი თვის ან მრავალი წლის განმავლობაში ფრანგული და ლათინური ენების შესწავლით დავსჯიდი, თუკი „აწინდელ პოზიციას“ არ შეიცვლიდა. ო, შარლოტა, უკვე მესმოდა შენი!

გულუბრყვილო გოგონა ყვიროდა, არაო, და აუტანელი შიშით შეპყრობილი, იმ ხელზე მეჭიდებოდა, რომლითაც საჭის მოტრიალებას ვაპირებდი ბნელი და მიყრუებული ადგილისკენ გასამგზავრებლად. ამასთან, რაც უფრო მეტად მივიწევდით დასავლეთისკენ, მით უფრო მეტ აბსტრაქტულობას იძენდა ეს მუქარა. იძულებული გავხდი, ზემოქმედების ახალი მეთოდებისთვის მიმემართა.

სირცხვილითა და ღრმა ოხვრით ვიხსენებ ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, გამასწორებელი დაწესებულების ჩემ მიერ გაცოცხლებულ აჩრდილს. ჩვენი თანაცხოვრების დასაწყისშივე ჭკუა მეყო იმის გასათვალისწინებლად, რომ ლოლიტას დახმარება მჭირდებოდა ჩვენი ურთიერთობის საიდუმლოდ შესანახად; ეს დახმარება მის მეორე „მე“-დ უნდა ქცეულიყო, ჩემ წინააღმდეგ ყოველგვარი ამხედრებისა და ყოველგვარი სხვა თავშესაქცევის მიუხედავად.

„მოდი აქ და აკოცე მამიკოს“, ვეუბნებოდი ხოლმე გოგონას. „გეყოფა ჭირვეულობა! თავის დროზე, როდესაც შენთვის ჯერ კიდევ მამაკაცის იდეალს წარმოვადგენდი (მკითხველი შეამჩნევს, რომ ლოლიტას ენას ვბაძავდი), გაგიჟებით გიყვარდა ძიგძიგისა და სლუკსლუკის

უპირველესი სპეციალისტის ფირფიტები, იმისა, შენი ჯუფთი ყმაწვილები რომ აღმერთებენ (ლოლიტა: „ჩემი ვინ? ადამიანურად ილაპარაკე“): თქვენს ამ კერპს იდუმალ ჰუმბერტს ამსგავსებდი. ახლა კი, უბრალოდ, ბებერი მამიკო ვარ, საარაკო მამა, რომელსაც საარაკო ქალიშვილი ჰყავს“.

„ჩემო ძვირფასო დოლორეს! მინდა, დაგიცვა ყველა იმ საფრთხისგან, პატარა გოგონებს რომ ელით ნახშირის საწყობებსა და მიყრუებულ შესახვევებში, აგრეთვე (ეს კარგად იცი, ჩემო მშვენიერო) — ლურჯი კენკრით სავსე ტყეში, წელიწადის ულურჯეს დროს. რაც უნდა მოხდეს, შენს მეურვედ დავრჩები, და თუ კარგად მოიქცევი, ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში სასამართლო დააკანონებს ჩემს მეურვეობას. მაგრამ, დოლორეს ჰეიზ, დავივიწყოთ ეგრეთ წოდებული სასამართლო ტერმინოლოგია, რომელსაც მიაჩნია, რომ რაციონალურია განსაზღვრა: „გარყვნილი, ავხორცული სქესობრივი კავშირი“. დანაშაულებრივი სექსუალური ფსიქოპათი როდი ვარ, უზნეო საქციელს რომ კადრულობს ბავშვების მიმართ. **ბარყვნით** ჩარლი ჰოლმსი იყო გართული, მე კი **ვზრუნავ** ნორჩ ამონაყარზე, რომელიც საგანგებო მოვლა-პატრონობას საჭიროებს: ყურადღება მიაქციე ფაქიზ განსხვავებას ორივე ტერმინს შორის. შენი მამიკო ვარ, ლო. შეხე, აქ სამეცნიერო წიგნი მაქვს გოგონების შესახებ. შეხე, ჩემო პატარავ, რა წერია ამ წიგნში: „ნორმალური გოგონა“ — ნორმალური,, დაიმახსოვრე, — „ნორმალური გოგონა, ჩვეულებრივ, ყოველ ღონეს ხმარობს, მამის მოწონება რომ დაიმსახუროს. ის მამაში ხედავს სანუკვარი, უჩინარი სატრფოს წინამორბედს“ („უჩინარი“ მოსწრებული სიტყვაა, პოლონიუსის აჩრდილს ვფიცავ!). „ბრძენი დედა (შენი საბრალო დედა უეჭველად დაბრძენდებოდა, ცოცხალი რომ დარჩენილიყო) ხელს უწყობს მამისა და ქალიშვილის ურთიერთობას, რადგან ესმის (მაპატიე უხამსი კილო), რომ მიჯნურობისა და გათხოვების შესახებ ოცნებას გოგონა მამასთან ურთიერთობაზე აფუძნებს. მაგრამ რას გულისხმობს ეს თამამი წიგნი სიტყვაში „ურთიერთობა“, როგორ „ურთიერთობას“ გვთავაზობს ის? კვლავ ჰომყავს ციტატა: „სიცილიელთა შორის მამებისა და ქალიშვილების სქესობრივა კავშირი ბუნებრივი რამაა და ასეთ ქალიშვილს სულაც არ კიცხავს მისი სოციალური გარემო“. სიცილიელებს დიდ პატივს ვცემ. ისინი შესანიშნავი მუსიკოსები, შესანიშნავი, უპატიოსნესი ადამიანები არიან, ლოლიტა, და — შესანიშნავი მიჯნურები. მაგრამ უმჯობესია, გადახვევებს თავი ავარიდოთ. ამას წინათ მე და შენ გაზეთში წავიკითხეთ სულელური სტატია ზნეობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ: ბოროტმოქმედმა აღიარა, რომ დაარღვია მანის მიერ გატარებული კანონი და ცხრა წლის მშვენიერი გოგონა შტატიდან შტატში გადაიყვანა უზნეო მიზნით, — არ ვიცი, რას გულისხმობდა ამაში, დოლორეს, ჩემო სულიკო! შენ ცხრა წლისა კი არა ხარ, არამედ — ცამეტისა, და არ გირჩევ, პაწაწინა თეთრკანიან მხევლად წარმოიდგინო თავი. გარდა ამისა, ვერ მოვიწონებ ამ „მანის აქტს“, ის ხომ უხეირო კალამბურად აღიქმება, თუ კონგრესის პატივცემული წევრის გვარს ეპითეტად (მამაკაცური) მივიჩნევთ. ასე იძიებენ ხოლმე შურს სემანტიკის ღმერთები მეშჩანებზე, რომელთაც შარვლები მაგრად აქვთ შეკრული. მამაშენი ვარ, და ადამიანურად გელაპარაკები, და მიყვარხარ“.

„ბოლოს, მოდი, ვნახოთ, რა მოხდება, თუ შენ (ვისაც ბრალად დაედება წესიერი სასტუმროს ჭერქვეშ მოზრდილი ადამიანის ცდუნება), პოლიციაში იჩივლებ, მომიტაცეს და გამაუპატიურესო. ვთქვათ, დაგიჯერეს. მცირეწლოვანი, რომელმაც სრულწლოვან ადამიანს თავისი ფიზიკური შეცნობის უფლება მისცა, მსხვერპლს ბრალად დასდებს „ფორმალურ გაუპატიურებას“ ან „მეორე ხარისხის სოდომის ცოდვას“. შეთო-

დისდა მიხედვით; ამისთვის მაქსიმალური სასჯელია პატიმრობის ათი წელი. ვთქვათ, ციხეში ჩამსვეს. კეთილი. ციხეში ვიქნები 1957 წლამდე. მაგრამ პატარა ობოლს რაღა დაემართება? ო, რა თქმა უნდა, შენი მდგომარეობა ჩემსაზე უკეთესი იქნება. შენს პატრონობას იკისრებს საზოგადოებრივი მეურვეობის დეპარტამენტი — რაც, უეჭველია, საკმაოდ უხალისოდ ჟღერს. მისს ფალენის მსგავსი, მაგრამ ნაკლებად ღმობიერი და არამსმელი ქალი (შესანიშნავი, მკაცრი ზედამხედველი) წაგართმევს ტუჩების შესაღებ ფანქარსა და ტანისამოსს. არავითარი გართობა! გსმენია თუ არა რაიმე კანონებზე, მიტოვებული, გამოუსწორებელი და ბრალეული ბავშვების შესახებ, რომელთაც მეურვეობას უწევენ? სანამ მე გისოსებს მიღმა დავიტანჯები, შენ — ბედნიერ, მიტოვებულ და ასე შემდეგ ბავშვს, შეგთავაზებენ, აირჩიო ერთ-ერთი ისეთი სამყოფელი, როგორიცაა: დისციპლინური სკოლა, გამასწორებელი დაწესებულება, უპატრონო მოზარდთა თავშესაფარი ან ერთ-ერთი საუკეთესო თავშესაფარი არასრულწლოვან ზნეობადამრღვევთათვის, სადაც გოგონები ყოველგვარ ტანისამოსს ქსოვენ და ჰიმნებს მღერიან, ხოლო კვირა დღეებში მძალე ქონში შემწვარ ოლადებს მიირთმევენ. სწორედ იქ მოხვდები, ლოლიტა. ჩემი ლოლიტა, ეს ლოლიტა მიატოვებს თავის კატულუსს, რათა სხვა, შერეკილ მოზარდებთან ერთად იცხოვროს. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ჩვენ დაგვიჭერენ, ანალიზსა და ინტერნირებას ვერ ასცდები, ჩემო ფისუნია, ეს არის და ეს. ჩემი ლოლიტა (აქ მო, გარუჯულო ვარდო), ოცდაცხრამეტ სხვა დოყლაპიასთან ერთად იცხოვრებს ჭუჭყიან დორტუარში (არა, გეთაყვა, მაცალე...), მახინჯი დედაბრების ზედამხედველობით. აი მდგომარეობა, აი არჩევანი. ხომ არ ფიქრობ, რომ ამგვარ ვითარებაში დოლორეს ჰეიზი თავისი ბებერი მამიკოს ერთგული უნდა დარჩეს?"

ამას ვუჩიჩინებდი და წარმატებით ვაშინებდი ლოლიტას, რომელიც თავხედური სიმკვირცხლისა და გონებამახვილობის უეცარი გამოვლინებების მიუხედავად, სრულიადაც არ იყო იმგვარი ნიჭიერი მოზარდი, როგორც მისი აღმზრდელების მიერ შემუშავებული „გონებრივი კოეფიციენტიდან" გამოსჭვიოდა. შევუთანხმდი, რომ იდუმალი ბრალი ერთნაირად უნდა გაგვეზიარებინა, მაგრამ გაცილებით ძნელი იყო მისი კეთილგანწყობილების შენარჩუნება. მოგზაურობის მთელი წლის განმავლობაში ყოველ დილით ვიგონებდი რაიმე სატყუარას — დროსა და სივრცეში გამოკვეთილ მიზანს. ლოლიტა მის მოლოდინში ატარებდა დაღამებამდე დარჩენილ დროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მისი დღის ჩონჩხს არ გააჩნდა ფორმის მიმნიჭებელი, მყარი დანიშნულება, ის იშლებოდა და ინგრეოდა. შემეძლო, ნებისმიერი მიზანი დამესახა — შუქურა ვირჯინიაში, კაფედ გადაკეთებული მღვიმე — არკანზასში, რევოლვერებისა და ვიოლინოების კოლექცია ოკლაჰომაში, ლურდის გამოქვაბულის ზუსტი ორეული ლუიზიანაში, კოლორადოს მუზეუმში შეკრებილი (მემადნეობის აყვავების დროინდელი) ფოტოსურათები — სულ ერთია, რა იქნებოდა. ამ მიზანს უძრავი ვარსკვლავივით უნდა ეკიაფა ჩვენ წინ. ხშირად წინასწარ ვხვდებოდი, რომ მიზნის მიღწევისას ლოლიტას სახეზე მხოლოდ მოჩვენებით ზიზღს ამოვიკითხავდი.

შეერთებული შტატების გეოგრაფიის მეშვეობით საათობით ვცდილობდი, ლოლიტასთვის სავსე ცხოვრების ილუზია შემექმნა და არაჩვეულებრივი სიამოვნების მოლოდინი ჩამესახა. არასოდეს მინახავს ისეთი გლუვი, დამყოლი გზები, როგორიც ჩვენ წინაშე სხივებივით გადაიშალა ორმოცდარვა შტატის ნაკუწებისგან შეკერილ ჭრელ საბანზე. ხარბად ვნთქავდით მათ. მდუმარედ, აღტაცებით მივსრიალებდით ამ შავ, სამეჯლისო, ელვარე გზატკეცილებზე. ლოლიტა არა მარტო გულგრილი იყო ბუნების მიმართ, არამედ აღშფოთებით მე-

დავებრდა კიდეც, რადგანაც მის ყურადღებას ვამახვილებდი ლანდშაფტის ამა თუ იმ მომხიბვლელ დეტალზე; ვალიარებ, რომ ეს დეტალები სათანადოდ დავაფასე მხოლოდ ჩვენი ულირსი გზის თანმდევი უჭკნობი სილამაზის ხანგრძლივი აღქმის შემდგომ. თავდაპირველად, მხატვრული წარმოდგენების უცნაური შეხამების წყალობით, ჩრდილოეთი ამერიკის დაბლობის სანახებმა რაღაც ნაცნობი მომაგონა. გაოცების ღიმილით გავიხსენე, რომ ეს იყო ოდესღაც ამერიკიდან ევროპის შუა ნაწილში შემოტანილი ფერადი მუშამბები, რომლებიც ბავშვთა ოთახების პირსაბანებს ამშვენებდა. საღამოობით ძილმორეულ ყრმას ისინი ხიბლავდნენ მათზე აღბეჭდილი სოფლური მწვანე ხედებით — მქრქალი, ხუჭუჭა კორომით, ბეღლით, ჯოგით, ნაკადულით, ბუნდოვნად აყვავებული ხეხილის ბაღების მღვრიე სითეთრით და, ალბათ, კიდევ, ქვებისგან ნაგები ღობით ან გუაშით მიხატული სერებით. ამასთან, ბავშვობისას ნანახი ელემენტარული არკადიების პირველსახეები მით უფრო უცნაური მეჩვენებოდა, რაც უფრო საფუძვლიანად ვეცნობოდი. დამუშავებული ველის პაწაწინა სახურავებს მიღმა იბნიდებოდა უსარგებლო სილამაზე, იქ, სადაც პლატინისფერ ბურუსში მზე იწურებოდა და გაფცქვნილი ატმისფერი შუქი კამკამებდა ბრტყელი, მოლურჯო ღრუბლის კიდეზე, რომელიც შორეულ რომანტიკულ ნისლს ერწყმოდა. ზოგჯერ ჰორიზონტზე შორიშორ დარგული ხეების რიგი მოჩანდა ან თაკარა შუადღე ციალებდა სამყურა ბალახით მოფენილ მინდორზე და კლოდ-ლორენისეული ღრუბლები გარემორტყმული იყო მაღლა შორეული, ძალზე ნისლიანი ლაჟვარდით, ამასთან, ბუნდოვან მცხრალ ფონზე მკაფიოდ შეიმჩნეოდა მხოლოდ ქულა ღრუბლები. ხანდახან შორს ელგრეკოსეული, პირქუში ზეცა მელნისფერ მეხებს გვიქადდა და თვალს ვაყოლებდით ფერმერს, რომელსაც მუმიის მსგავსი კეფა ჰქონდა. მის ზურგს უკან, მჭაზე მწვანე ფერის სიმინდის ზოლებს შორის, ვერცხლისწყალივით ბრწყინავდა წყლის ზოლები და ყოველივე ეს მარაოსავით იშლებოდა სადღაც კანზასში.

აქა-იქ, ფართო ველებზე, ვეებერთელა ხეები გვიახლოვდებოდა, რათა შემდეგ პირმოთნე გუნდებად თავი მოეყარათ გზატკეცილთან და ჰუმანიტარული ჩრდილის ნაფლეთებით დაეჩრდილათ საპიკნიკო მაგიდები. ეს უკანასკნელნი ჩადგმული იყო მზის ათინათებით, მუყაოს დაჭმუჭნილი ჭიქებით, ხის ფრთიანებითა და ნაყინის გადაგდებული ჩხირებით აჭრელებულ მურა ნიადაგში. ჩემი ლოლიტა, რომელსაც ზიზღის გრძნობა არ სჩვევოდა, ხალისით სარგებლობდა გზისპირა საპირფარეშოებით. გოგონას ხიბლავდა მათი წარწერები: „ვაჟებიქალიშვილები", „მამაკაცები-ქალები", ან „ადამი და ევაც" კი. ლოლიტას იქ ყოფნის განმავლობაში პოეტურ სიზმარში ვიძირებოდი და ვუჭვრეტდი კეთილსინდისიერად შეფერადებულ ბენზინის მოწყობილობებს, რომლებიც ნათლად იკვეთებოდა საუცხოო მწვანე მუხნარის ფონზე, ან ვუთვალთვალებდი ნაჭრევებით დასერილ მოუთვინიერებელ ბექობს, რომელიც აგრიკულტურის უსიერ ტევრს გაურბოდა და ზევით მიიწევდა.

ღამღამობით ათასფერი ნათურებით აბრჭყვიალებული საბარგო მანქანები ვეება, შემზარავი საშობაო ნაძვის ხეებივით ამოიზრდებოდნენ ხოლმე წყვდიადიდან და ჩვენს პატარა „სედანს" გრუხუნით ჩაუქროლებდნენ. მეორე დილას კვლავ ლღვებოდა ნაკლებდასახლებული ცის გვალვისგან გახუნებული ლაჟვარდი და ლოლიტა გამაგრილებელ სასმელს ითხოვდა. ის ენერგიულად წუწნიდა ჩალის ღერს. შემდეგ ვბრუნდებოდით მანქანაში, სადაც ჯოჯოხეთურად ცხელოდა; გზა ბზინავდა; შორეული, ჩვენკენ მომავალი ავტომობილი თავისსავე ჰაეროვან ანარეკლში ელვარებდა, მირაჟივით იცვლიდა მოხაზულობას, მომჟღელებულ კვადრატულ, ფართოშუბლიან ფორმას იღებდა და

გვალვის განსხივებაში ფარფარებდა. როდესაც დასავლეთით გადავინაცვლეთ, ველზე აბზინდის, „სეიჯბრაშის“ (გარაჟისტის თქმით) კონები გამოჩნდა; ჩავუქროლეთ ღვიის ნალვენთებით აჭრელებულ წითელ ყორღანებსა და ხორცისფერ მთაგრეხილს, რომელსაც უფრო მოშორებით ცისფერი დაჰკრავდა, შემდეგ კი ენით აუწერელი შეფერილობისა იყო; და აი, უდაბნომ თანაბარი და ძალუმი ქარი შეგვაგება, ქვიშა შემოგვაყარა, დაგვახვედრა კვრინჩხის ყომრალი ბუჩქები და ქაღალდის ნაგლეჯები, რომლებიც გზატკეცილის გასწვრივ ქარისგან გატანჯულ უფერულ ეკლიან ღეროებში გაბნეულ მკრთალ ყვავილებს წააგავდა. აქა-იქ გვხვდებოდნენ უცნაურ მდგომარეობაში გახევებული (მარცხნივ გაწეული კუდი, მარჯვენივ გადახრილი თეთრი წამწამები) მიამიტი ძროხები, რომლებიც არ იცავდნენ საგზაო მოძრაობის არც ერთ წესს.

ადვოკატი მირჩევს, მკაფიოდ და უშუალოდ აღვწერო ჩვენი მარშრუტი და ახლა, მგონი, გვერდს ვერ ავუვლი ამ მომაბეზრებელ საქმეს. უხეშად რომ ვთქვათ, იმ გადარეული წლის განმავლობაში (1947 წლის აგვისტოდან 1948 წლის აგვისტომდე) ჩვენი გზა დაიწყო ახალი ინგლისის სხვადასხვაგვარი ხვეულებითა და კლაკნილებით; შემდეგ სამხრეთით, ოკეანისკენ აიღო გეზი; უკან დაბრუნებისას ღრმად ჩაყურყუმელავდა იმაში, რასაც „დიქსილენდი“* ჰქვია; თავი აარიდა ფლორიდას (რადგან იმ დროს იქ იყვნენ ჯონი და ჯოანა ფარლო); დასავლეთისკენ გაუხვია; ზიგზაგებით გაიარა ბამბისა და სიმინდის ზონები (ვშიშობ, ძვირფასო კლერენს, რომ ჩემი თხრობა არც ისე მწყობრია, მაგრამ მაშინ არაფერი ჩამიწერია, ახლა კი მეხსიერების შესამოწმებლად მხოლოდ საშინლად დაფლეთილი სამტომიანი მეგზურიღა შემრჩა — ჩემი ტანჯული წარსულის ჭეშმარიტი სიმბოლო); გადაიარა კლდოვანი მთების ორი უღელტეხილი; იტრიალა სამხრეთის უდაბნოებში, სადაც გადავიზამთრეთ; მიადგა წყნარ ოკეანეს; ჩრდილოეთისკენ მიბრუნდა და ტყის პირას აყვავებული კალიფორნიული მურტის ბაც იასამნისფერ ღინღლში გაეხვია; თითქმის მიაღწია კანადის საზღვარს; შემდეგ კვლავ აღმოსავლეთისკენ გაემართა; გაიარა სპილენძ-მწვანით დასერილი მლაშობები, ხორბლის ყანები, და არაჩვეულებრივად განვითარებული მიწათმოქმედების ზონა (აქ, ლოლიტას წრიპინის მიუხედავად, შორიდან მოუარა გოგონას მშობლიურ ქალაქს, რომელიც მესიმინდეობის, ქვანახშირის რეწვისა და მეღორეობის რაიონში მდებარეობდა); ბოლოს კვლავ აღმოსავლეთს შეაფარა თავი და პუნქტირი საუნივერსიტეტო ქალაქში, ბერდსლეიში დასრულა.

2.

შემდეგი ფურცლების გადათვალიერებისას მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს ზემოთ მითითებული საერთო მარშრუტი, მისი მრავალრიცხოვანი გადახვევები, ტურისტული ჩიხები, განმეორებული წრიული გზები და რთული ტეხილები; საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი მოგზაურობა გასართობი გასეირნება როდი იყო: ამ კლაკნილი, ვიწრო ტელეოლოგიური განტოტების ერთადერთ გამართლებას წარმოადგენდა ჩემი თანამგზავრის კეთილგანწყობილების შენარჩუნება კოცნიდან კოცნამდე.

ვფურცლავ გაქუცულ მეგზურს და ბუნდოვნად წარმომიდგება სამხრეთის ერთ შტატში გაშენებული მაგნოლიების პარკი, რომელიც ოთხი დოლარი დამიჯდა და რომელიც, განცხადების მიხედვით, სამი მიზეზით უნდა დამეთვალიერებინა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჯონ ჰოლსუორთიმ (მდარე, დიდი ხნის წინ გაქვავებულმა მწერალმა) აღიარა, ეს მსოფლიოში ულამაზესი პარკიაო; მეორეც — იმიტომ, რომ ბედეკერმა 1900 წელს მას ვარსკვლავი დაუსვა; და მესა-

* სამხრეთის შტატების უხამსი სახელწოდება (ავტორის შენიშვნა).

მეც — იმიტომ, რომ ...ო მკითხველო, ო ჩემო მკითხველო, გამოიცანი!.. იმიტომ, რომ მოწონებით აღვსილი, გულაჩვილებული ბავშვები (ეშმაკმა დალახვროს, იქნებ ჩემი ლოლიტაც ბავშვი იყო?) აქ ტკბებოდნენ მადლიანი სილამაზით, რომელიც უთუოდ გავლენას მოახდენდა მათ შემდგომ ცხოვრებაზე. „ჩემსაზე — არა, მწყრალად შენიშნა ლოლიტამ, მერხზე ჩამოჯდა და ორი გაზეთის საკვირაო დამატებები მუხლებზე დაიწყო.

კვლავ განვვლეთ ამერიკული გზისპირა რესტორნების მ...ლი გამა, დაწყებული მდაბიური „ჭამე!“-თი და ირმის თავით (მახსენდება მისის თვალის შიდა კუთხესთან ჩამოღვენთილი გრძელი ცრემლის მუქი კვალი), თითქოსდა „იუმორისტული“ ღია ბარათებით, რომლებზეც გერმანული „საკურორტო“ ტიპის უკანალები იყო გამოსახული, სარზე ჩამოცმული, განაღდებული ანგარიშის ფურცლებით, პაწაწინა მაშველი რგოლების ფორმის ყინულკარამელებით, გასაყიდი მუქმინიანი სათვალეებით, ნაყინის სხვადასხვაგვარი სახეობების ზეციურ-სარეკლამო ზმანებებით, მინის ზუფით დაფარული შოკოლადის ტორტის ნახევრითა და რამდენიმე აუტანლად გამოცდილი ბუზით, სწრაფად და სხვადასხვა მიმართულებით რომ დაცოცავდნენ ამაზრზენ დახლზე დაყრილი შაქრის მწებვარე ნაფხვენებზე; უმაღლესი თანრიგის სუსტად განათებული კაბარეებით, სადაც უბადრუკი სუფრები ეფარა და ტლანქი ოფიციანტები (ყოფილი კატორღელები ან დამატებით მომუშავე სტუდენტები) გვემსახურებოდნენ; აგრეთვე — კინომსახიობი ქალის მზემოკიდებული ზურგით, მისი სატრფოს ფაჩენიერი წარბებითა და საქსოფონიანი პეწენიკებისგან შედგენილი ორკესტრით.

მრავალი ღირსშესანიშნაობა (რა ზორბა სიტყვაა!) დავათვალიერეთ: ეს იყო, მაგალითად, მსოფლიოში უდიდესი სტალაგმიტი, რომელიც იმ სახელგანთქმულ მღვიმეში ამოზრდილიყო, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთის სამი შტატი ურთიერთთან გეოგრაფიულ შეხვედრას ზეიმობდა (დათვალიერების საფასური ასაკის მიხედვით იყო დადგენილი: მამაკაცები ერთ დოლარს იხდიდნენ, ოდნავ შელერილი გოგონები კი — სამოც ცენტს); ბლუ-ლიქსის ბატალიის სამახსოვროდ აღმართული გრანიტის ობელისკი და მეზობელ მუზეუმში დაცული ძველისძველი ძვლები და ინდიელთა ქოთნები (ლოლიტას აქ მხოლოდ ორშაურიანი გადაახდევინეს); შემდგომ — თანამედროვე ტიპის ქოხი, რომელსაც იმ ძველებურ ქოხად მოჰქონდა თავი, ლინკოლნი რომ დაიბადა; კლდე, რომელზეც მიმაგრებული იყო ლითონის დაფა ლექსის — „ხეები“ — ავტორის სამახსოვროდ (აქ ჩრდილოეთ კაროლინაში შევუხვიეთ და „ალვების ველისკენ“ გავეშურეთ. იქით მიმავალ გზას ჩემი კეთილი, მომთმენი, ჩვეულებრივ ეგზომ უწყინარი მეგზური მრისხანედ უწოდებდა „ძალზე ვიწროსა და მოუვლელს“, რასაც მეც მოვაწერდი ხელს, თუმცა პოეტ კილმერის თაყვანისმცემელი არ გახლავართ); ჯორჯიის შტატში დავიქირავეთ მოტორიანი ნავი, რომელსაც მართავდა ხანდაზმული, მაგრამ ჯერ კიდევ გულისამრევად ლამაზი რუსი თეთრგვარდიელი (მასზე თქვეს, ბარონიაო — და ჩემს სულელ პატარა გოგონას მყისვე დაენამა ხელისგულები). ამ კაცს კალიფორნიაში ენახა თავაზიანი მაქსიმოვიჩი და მისი ვალერია. ნავიდან თვალი შევავლეთ კუნძულზე გაშენებულ, ჩვენთვის მიუწვდომელ „მილიონერების კოლონიას“, რომელსაც შტატის ნაპირს ცოტაოდენი მანძილი აშორებდა; მისისიპის მუზეუმში დავათვალიერეთ ევროპის სასტუმროთა ამსახველი ღია ბარათების კოლექცია. სიამაყის ცხელმა ალმურმა ამკრა, როდესაც მამისეული „მირანის“ ფერადი ფოტოსურათი მოვძებნე და კვლავ ვიხილე მისი სარკმლების ზოლიანი საჩიხები და რეტუშირებული პალმების თავზე აღმართული მოფრიალე ალამი. „მერედა რა?“ დაუდევრად შენიშნა ლოლიტამ, რომელმაც ალმაცერი მზერა სტყორცნა ძვირად ღირებული მან-

ქანის ბრინჯაოსფრად გარუჯულ პატრონს, ჩვენს კვალდაკვალ რომ ესტუმრა ამ „აზირებათა მუზეუმს“; ვნახეთ მებამბეობის ეპოქის რელიქვიები; ვიხეტიალეთ არკანზასის ტყეში, სადაც ლოლიტას მხარზე მოვარდისფრო-ლილისფერი ნაბურცი (კოღოს თუ ბუზის ნამუშევარი) შევამჩნიე და ცერების გრძელი ფრჩხილები დავაჭირე საუცხოო, გამჭვირვალე შხამის გამოსადენად, შემდეგ კი დიდხანს ვწუწნე, სანამ გული არ ვიჯერე ჩემი სატრფოს სურნელოვანი სისხლით; ვიყავით ახალი ორლეანის ბურბონის ქუჩაზე, სადაც (მეგზურის სიტყვით) პატარა ზანგი ბიჭუნები ხშირად ცეკვავენ ჩეჩოტკას რამდენიმე პენის საფასურად (რა კარგია!), მაშინ, როდესაც მრავალრიცხოვანი ღამის დუქნები მუშტრებითაა გაჭედილი (დახე ამ ცელქებს!); მოვისმინეთ სასაზღვრო ფოლკლორის ნიმუშები; დავათვალიერეთ სამოქალაქო ომის დროინდელი კარ-მიდამოები რკინის აივნებითა და ხელით ნაკეთები კიბეებით. ფერად ფილმებში სწორედ ამგვარ კიბეზე ჩამორბის ხოლმე კოპწია მსახიობი ქალი (რომელსაც მზემოკიდებული მხრები აქვს), თან ორივე ხელით ძალზე მოხდენილად უჭირავს არშიებიანი კაბის წინა კალთა (კიბის თავზე მდგარი ერთგული შავკანიანი მოახლე კი, ჩვეულებრივ, თავს აქეთ-იქით აქნევს); მოვინახულეთ მენინგერის ინსტიტუტი, ფსიქიატრიული კლინიკა (ამ უკანასკნელს მხოლოდ ჩვენი სიმამაცის გამოსაცდელად ვეწვიეთ). დავტკბით თიხიანი მიწის ნაკვეთზე ალბეჭდილი ეროზიის განსაცვიფრებელი ნაყშით, რომლის გარშემო, იუკის სუფთა, თითქოს ცვილისგან გამოძერწილ ყვავილებში, საზიზღრად ფუთფუთებდა თეთრი ჩრჩილი; არ გამოვტოვეთ „ინდეპენდენს მისური“, სადაც უწინ ორეგონის გზა იწყებოდა, აგრეთვე — აბილინი (კანზასში), სადაც კოვბოების შეჯიბრებები იმართება ხოლმე „ველური ბილის“ ეგიდით. და — მთები. შორეული მთები. მაზლობელი მთები. კვლავ მთები: მოლურჯო მზეთუნახავები, რომლებიც ან მიუწვდომელნი იყვნენ, ან ერთიმეორის მიყოლებით გარდაიქმნებოდნენ დასახლებულ ბორცვებად; აღმოსავლეთის შტატების უილბლო (ალპებთან შედარებით), მომცრო სიმაღლის მთები; დასავლეთის ბუმბერაზები, რომლებიც ცასა და გულს გმირავდნენ: თოვლიანი ძარღვებით დასერილი მათი რუხი, უდრეკი მწვერვალები უეცრად გამოჩნდებოდა ხოლმე გზატკეცილის მოსახვევიდან; ტყით შემოსილ გოლიათებს ეხურათ მიჯრით მიწყობილი ნაძვების კრამიტი, რომელსაც აქა-იქ მკრთალი მონაცრისფრო ვერხვნარი შერეოდა; ვარდისფერი და ლილისფერი მთიანი ფორმაციები, ფარაონების მსგავსი, ფალოსისმაგვარი, „მეტისმეტად ადამისდროინდელი“ (სკეპტიკურად განწყობილი ლოლიტას თქმით) მთები. შავი ლავის სოპკები; აპრილში მთების ქედები, პატარა სპილოების მსგავსად, ლბილი ბალნით იყო შემოსილი; სექტემბერში კი დარბაისლურად ფეხმორთხმულ მთებს ყვითელი ხავერდის ნაოჭებქვეშ მოექცათ ტლანქი ეგვიპტური ნაკვთები; მოთეთრო, გამოხუნებული, მუხების მრგვალი მწვანე ხალებით დაწინწკლული მთები, უკანასკნელი ხასხასა წითური ფერის მთა, რომლის ფერხთით იონჯის ფაფუკი ლურჯი ხალიჩა ეფინა.

კიდევ ბევრი ღირსშესანიშნაობა დავათვალიერეთ: აისბერგის მცირე ტბა. სადღაც, კოლორადოში: ასფალტის გასწვრივ მიყრილი ნამქერი და კანფეტებივით მიმობნეული ალპური ყვავილები, და მთის თოვლიანი კალთა, რომელზეც ლომ ჩამოსრიალება სცადა, და აწრიპინდა, და ვიღაც ბიჭებმა გუნდები დააყარეს, და თვითონაც ესროლა ვერცხლისფერი თოვლის იმგვარივე მონეტები. დამწვარი ვერხვების ჩონჩხები, წვეტიანი ლურჯი ყვავილები. თვალწარმტაცი გზის სხვადასხვაგვარი ატრაქციონები მთებში — ასობით მშვენიერი მთიანი გზა, ათასობით „დათვის ყურე“, „მორაკრაკე ნაკადული“, „ფერადოვანი კანიონი“; ტეხასი: გვალვისგან

დახრუკული დაბლობი, „ბროლის დარბაზი“ მსოფლიოს ყველაზე გრძელ მღვიმეში, სადაც თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს უფასოდ უშვებდნენ (ლოლიტას გამო, უკვე ჯიბეზე უნდა გამეკრა ხელი!). სტატუეტების კოლექცია, რომელიც ადგილობრივ მოქანდაკე ქალს ქალაქისთვის გადაეცა: დაკეტილია ორშაბათობით — საშინელი ორშაბათი, მტვერი, ქარი, გვალვა. „უმანკო ჩასახების“ პარკი მექსიკის საზღვარზე განლაგებულ ქალაქში (საზღვრის გადალახვა ვერ გავბედე); კოლიბრისმაგვარი ციცქნა მებინდია არსებები, რომლებიც ბაღებში პაწაწა ხორთუმებით აწამებდნენ გაურკვეველი ყვავილების გვრიგვინებს. შექსპირი — ახალი მექსიკის უკაცრიელი ქალაქი, სადაც სამოცდაათი წლის წინ ჩამოახრჩეს (ყოველგვარი ხატოვანი დეტალებით) ბანდიტი „რუსი ბილი“, მეთევზეობის სადგური. ციცაბო კლდეში გამოკვეთილი ბინები, ფიჭებს რომ ჰგავდნენ; ფლორენციელი ბეატრიჩეს თანამედროვე ინდიელი გოგონას მუმია; ანგარიშით მეოცე „ჯოჯოხეთური კანიონი“; სამოთხის მორიგი ორმოცდამეათე (ჩვენი მეგზურის მიხედვით, რომლის ყდა ამ დროისთვის სადღაც გაქრა) კარიბჭე. სიესტა ნაძვებქვეშ. ტკიპა ჩემს საზარდულზე. ყოველთვის ერთი და იგივე, აჭიმებიან შარვლებში ჩაცმული, შლაპიანი სამი ბერიკაცი, რომლებიც ქალაქის შადრევანთან მერხზე ნებივრობდნენ ხოლმე; მთის ულელტეხილზე მოაჯირთან მდგარმა ვიხილე ცისფერი დანისლული უფსკრული. ჩვენკენ ზურგშექცეული ოჯახი ხედით ტკბებოდა (ხოლო ლოლიტა მგზნებარედ, აღფრთოვანებით, უცნაურად, გიჟურად, დაძაბულად, სასოებით, უსასოოდ ჩურჩულებდა: „შეხე, ეს მაკ კრისტალია თავისი ოჯახით. თუ შეიძლება, გეხვეწები, დაველაპარაკოთ — დაველაპარაკოთ, მკითხველო!—თუ შეიძლება, ყველაფერს შეგისრულებ, რაც გინდა ოჰ, თუ შეიძლება...“); ინდიელთა რიტუალური ცეკვები, წმინდა კომერციული ხასიათისა. ART, ინგლისური სიტყვა „ხელოვნება“ არ გეგონოთ, ესაა „ამერიკული რეფრიჟერატორების ტრანზიტული“ ფირმა. თვალსაჩინო არიზონა, ინდიელთა ახალშენები, ადგილობრივი იეროგლიფები, ოცდაათი მილიონი წლის წინ, ჩემი ბავშვობისას ქვიშიან ხეობაში აღბეჭდილი დინოზავრის ნაკვალევი. ტანხმელ, ახმახ, ფერმკრთალ ჭაბუკს ხვანჩი უხტოდა. ის თვალებით ჭამდა ლოლიტას ნარინჯისფერ-მოყავისფრო მუცელს, რომელიც გოგონას ლიფსა და ტრუსებს შორის მოუჩანდა (და რომელსაც ხუთი წუთის შემდეგ ვაკოცე, ჩემო საბრალო მეგობარო). ზამთარი უდაბნოში, გაზაფხული მთისწინეთში, ნუშის ყვავილობა. რინო — ნევადის ძალზე ულიმღამო ქალაქი „კოსმოპოლიტური და კარგად განვითარებული ღამეული ცხოვრებით“ (მეგზური). ღვინის ქარხანა კალიფორნიაში, კასრის ფორმის მქონე ეკლესიით. სიკვდილის ველი. სკოტის ციხე-დარბაზი. ხელოვნების საეჭვო ქმნილებები, რომელთაც ვილაც როჯერსი მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდა. ლამაზი კინომსახიობი ქალების უგვანი ვილები. ინგლისელი მწერლის რ. ლ. სტივენსონის ტერფის ანაბეჭდი ჩამქრალ ვულკანზე. „დოლორესის მისია“: რომანის სათაურად გამოდგებოდა. ოკეანის მოქცევის მიერ ქვიშაქვაში გამოკვეთილი კუწუბები. „რუსული კლდეკარის“ პარკში საშინელი ეპილეფსიური შეტევის გამო მიწაზე აფართხალებული კაცი. ლურჯი, ლურჯი „კრატერის ტბა“. აიდაჰოს შტატის მეთევზეობის სადგური და იქაური საკატორღო საპყრობილე. პირქუში „იელოსტოუნის პარკი“ და მისი ფერადოვანი ცხელი წყლები, პაწია ჰეიზერები, მობუყბუყე ჭრელი ტალახი (ჩემი ვნების სიმბოლოები). ანტილოპების ჯოგი ნაკრძალში. ჩვენი მეასე მღვიმე, სადაც მოზრდილებს თითო დოლარს ახდევინებდნენ, ლოლიტას კი ათი შაური გამოართვეს. ფრანგი მარკიზის მიერ დაკოტაში აშენებული ციხე-დარბაზი. სიმინდის სასახლე სამხრეთ დაკოტაში. მაღლა, გრანიტის

მწვერვალში გამოკვეთილი პრეზიდენტების ვეება თავები, გზისპირა პლაკატები საპარსი კრემის სარეკლამო ლექსებით. ინდიანის ზოოლოგიური პარკი, სადაც მაიმუნების მრავალრიცხოვანი კამპანია დასახლებულიყო ქრისტეფორე კოლუმბის საფლაგმანო კარაველის ბეტონისგან ჩამოსხმულ კონსტრუქციაზე. ტბის ქვიშიანი, ერთფეროვანი ნაპირის გასწვრივ განლაგებული რესტორნების ფანჯრებზე აკრული მილიარდობით მკვდარი (და თევზის სუნით აშმორებული) ეფემერიდა. ლოდებზე ჩამომსხდარი მსუქანი თოლიები (ისინი დავინახე ბორნიდან „სიტი ოფ შებოიგან“, რომლის მურა, ბანჯგვლიანი კვამლი რკალად იხრებოდა ტბის ცისფერ ზედაპირზე არეკლილი ამავე კვამლის მწვანე ორეულზე). მყრალი მოტელი, რომლის ვენტილატორის საჭირხნი მილი ქალაქის კანალიზაციის ქვეშ გადიოდა. ლინკოლნის ძირითადად ფალსიფიცირებული სახლი, შესაბამისი პერიოდის სამაგიდო წიგნებითა და ავეჯით, რომლებსაც რიგითი დამთვალიერებლები მოწიწებით მიიჩნევდნენ პრეზიდენტის პირად ქონებად.

ხშირად ვკინკლაობდით. ყველაზე გააფთრებით ვჩხუბეთ ვირგინიის „აჟურულ კოტეჯებში“; ლითლ როკის „საპარკო გამზირზე“, სკოლის მახლობლად; „მილნერის უღელტეხილზე“, 10.759 ფუტის სიმაღლეზე, კოლორადოში; ქალაქ ფენიქსის მეშვიდე ქუჩისა და ცენტრალური გამზირის კუთხეში; ლოს ანჟელესის მესამე ქუჩაზე (იმის გამო, რომ რომელიღაც კინოგადაღებაზე დასწრება ვერ მოვახერხეთ); იუტას შტატის მოტელში „ალვის ჩრდილი“, სადაც ექვსი ნორჩი ალვის ხე ლოლიტაზე მაღალი როდი იყო. აქ მან უეცრად მკითხა, როდემდე ვაპირებდი ჩახუთულ ოთახებში სისაძაგლეების ჩადენას და რატომ არ მივდევდით ნორმალური ადამიანების ცხოვრების წესებს; ჩრდილოეთის პროსპექტზე ბერქსში (ორეგონის შტატში), „ვაშინგტონის დასავლეთი ქუჩის“ კუთხეში, გასტრონომიული მაღაზიის პირდაპირ; „მზიური ველის“ რომელიღაც ქალაქში (აიდაჰოს შტატში), სასტუმროს წინ, რომელსაც თეთრ-მოვარდისფრო და წითელი აგურის მონაცვლეობა სასიამოვნო იერს ანიჭებდა და რომლის პირდაპირ ალვის ხის ჩრდილი ირხეოდა ომში დაღუპულ ადგილობრივ მცხოვრებთა სამახსოვრო დაფაზე; აბზინდით დაფარულ უკაცრიელ ადგილზე პაინდლსა და ფარსონს შორის; სადღაც ნებრასკაში მთავარ ქუჩაზე (1889 წელს დაარსებული ეროვნული ბანკის მახლობლად), საიდანაც მოჩანდა რკინიგზის გადასასვლელი და სილოსის თეთრი, თითქოს საორღანო მილები; და მაკ ევენის ქუჩაზე, უიტონის გამზირის კუთხეში, მიჩიგანის იმ ქალაქში, რომელსაც მისი, იმ კაცის სახელი ჰქვია.

გავეცანით უცნაურ გზისპირა ადამიანებს, „ჰიტჩჰაიკერებს“ (ანუ, მეცნიერულად, „ჰომო პოლექსს“) და მათ სახეობებსა და სახესხვაობებს: ახალთახალ ტანისამოსში ჩაცმულ მორიდებულ ჯარისკაცს, რომელიც მშვიდად იდგა და დარწმუნებული იყო ხაკისფერი ფორმის საგზაო უპირატესობაში; მოსწავლეს, ორი კვარტლის გავლა რომ სურდა; მკვლელს, რომელიც ორი ათასი მილის გავლას ესწრაფვოდა; იდუმალ, მგრძნობიარე, ხანდაზმულ ბატონს, რომელსაც ხელში ახალი ჩემოდანი ეჭირა და მოკლედ შეკრეჭილი ულვაში ჰქონდა. ოპტიმისტურად განწყობილ სამ მექსიკელს; სტუდენტს, რომელიც ერთნაირად ამაყობდა არდადეგების განმავლობაში მძიმე შრომის ნაკვალევითა და მაისურზე ამოქარგული სახელგანთქმული უნივერსიტეტის სახელწოდებით; საბოლოოდ გაფუჭებულ მანქანაში მჯდომ სასოწარკვეთილ მანდილოსანს; თაღლით ჭაბუკებს, რომელთაც ფერმკრთალი, დახვეწილი სახეები და მბზინვარე თმა ჰქონდათ. ჭყეტელა ტანისამოსში ჩაცმული ეს არამზადები თვალებს აცეცებდნენ და ენერგიულად (თითქმის პრიაპოსის მსგავსად) იშვერდნენ დაჭაბულ ცერს მარტოხელა ქალის ან უჭკუელო

ზნეობრივი სიმახინჯით გაწამებული კომივოიაჟორის საცდუნებლად.

„ოჰ, აუცილებლად ჩავსვათ!“, ხშირად მევედრებოდა ლოლიტა. გოგონა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოძრაობით ურთიერთს მიუსვ-მოუსვამდა ხოლმე მუხლებს, როდესაც „ჰომო პოლექსის“ განსაკუთრებით ამაზრზენი ეგზემპლარი გვხვდებოდა. ეს იყო ჩემი ასაკის, ჩემსავით მხარბეჭიანი მამაკაცი (ალბათ, უმუშევარი მსახიობი), რომელიც უკან-უკან იწევდა ჩვენი მანქანის წინ და მისი გასილაქების სურვილს აღმიძრავდა.

ლოლიტასთან, პატარა, განაბულ ლოლიტასთან ძალზე ფხიზლად ყოფნა მიხდებოდა. ყოველდღიური სასიყვარულო ვარჯიშის შედეგად გოგონა იბნიდებოდა და (ბავშვური გარეგნობის მიუხედავად) ასხივებდა აუწერელ, ნაზ ნათებას, რომელიც ავხორცული ჟინით ათრთოლებდა გარაჟისტებს, სასტუმროს დამტარებლებს, ტურისტებს, საუცხოო მანქანების თავხედ მფლობელებს და ლურჯად შეღებილი წყლით ავსილ აუზებთან მჯდომ ტერაკოტისფერ იდიოტებს. ყოველივე ამით ვტკბებოდი, მაგრამ ვეჭვიანობდი კიდეც. პატარა ლოლიტამ კარგად იცოდა ამ მხურვალე შარავანდედის ძალა. ხშირად შემიმჩნევია, როგორ სტყორცნიდა ალმაცერ მზერას ამა თუ იმ აშიკს. ასეთი იყო, მაგალითად, საავტომობილო ზეთის ჩამსხმელი ვაჟი, მოოქროსფრო-ყავისფერ, იდაყვამდე გაშიშვლებულ ხელზე სამაჯურიანი საათი რომ ეკეთა. ლოლიტას მარტო დატოვებისთანავე (მისთვის საწუწნავი კანფეტის ყიდვა განვიზრახე), გოგონა და ლამაზი მექანიკოსი თავდავიწყებით აჭიკჭიკდნენ, თითქოს სასიყვარულო დუეტს მღეროდნენ.

ზოგჯერ, დილის განსაკუთრებით მგზნებარე მოღვაწეობის შემდეგ, საწოლში სულს ვითქვამდი და ლმობიერად (გულამსუყებული, შემწყნარებელი ჰუმი!) ნებას ვრთავდი, ბაღში გასულიყო და ვარდების მზერით დამტკბარიყო ან მოტელში ჩვენს მეზობლად მცხოვრები, შეუხედავი პატარა მერისა და მისი რვა წლის ძამიკოს თანხლებით, საბავშვო ბიბლიოთეკაში წასულიყო. ლოლიტა დათქმულ დროზე ერთი საათით გვიან ბრუნდებოდა: ფეხშიშველი მერი სადღაც უკან მოლასლასებდა, ხოლო ძამიკოს ენაცვლებოდა ორი აწოწილი, ოქროსფერთმიანი გაიძვერა, რომლებიც კუნთებისა და ჰონორეისგან შედგებოდნენ. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რას ვპასუხობდი ნებიერ გოგონას, როდესაც ის — ვაღიარებ, საკმაოდ გაუბედავად — მეკითხებოდა, კარლთან და ფრედთან ერთად გორგოლაჭებიანი ციგურებით სრიალის ნებას თუ დამრთავო.

მახსოვს, ერთ მტვერიან, ქარიან დღეს პირველად მივეცი ამის უფლება. მან ულმობლად მომიგო, რომ ვერაფერ სიამოვნებას ნახავდა, თუკი წავყვებოდი — მის მიერ შერჩეულ დროს რინგი საგანგებოდ ეთმობოდა ახალგაზრდებს. ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ კომპრომისი შევიმუშავეთ: მე მანქანაში დავრჩი, სხვა (ცარიელ) მანქანებს შორის, რომლებიც საციგურაო მოედნის გარშემო დაეყენებინათ; ვხედავდი, როგორ დაუსრულებლად სრიალებდა ორმოცდაათამდე მოზარდი (ბევრი მათგანი — წყვილ-წყვილად) ავტომატური მუსიკის თანხლებით. ხის ფოთლები ქარში ვერცხლისფრად ელვარებდა. ჩემს დოლის (ისევე, როგორც სხვა გოგონებს) კოვბოური ლურჯი შარვალი და თეთრი ჩექმები ეცვა. ვუსმენდი მოციგურავეების თანაბარ ჟრიამულს და თვალყურს ვადევნებდი მათ ტრიალს — და უეცრად ის ველარ დავინახე. როდესაც გოგონას კვლავ მოვკარი თვალი, მას ახლდა სამი კოხტაპრუწა ვაჟი, რომელთა მასლაათს რამდენიმე წუთის წინ მალულად მივაყურადე: ისინი რინგის მახლობლად იდგნენ და ქირდავდნენ გრძელკანჭიან ლამაზ პაწია გოგონას, რომელსაც შარვლის ნაცვლად წითელი ტრუსები ჩაეცვა.

არიზონიდან კალიფორნიაში მიმავალ ავტომობილისტს ეკითხებიან, ხომ არ შეაქვს ხილი ან მცენარეული პროდუქ-

ტები. მახსოვს, ინსპექტორი ისე დაჟინებით ჩაგვაშტერდა, რომ მტკივანი გული შემეკუმშა. თაფლი ხომ არ მიგაქვთო, გვკითხა მან და თაფლივით დამატკბობელ, ჩერჩეტ ლოლიტას სიცილი წასკდა.

ჩემი ოპტიკური ნერვის გასწვრივ აქამდე ლიცლიცებს ცხენზე ამხედრებული ლოლიტას ხატება — ეს იყო ერთი რგოლი სასაპალნე ბილიკებზე ფასიანი შემოვლის ჯაჭვში: ლოლიტა მიჩაქჩაქებდა ხნიერ მხედარ ქალსა და რანჩოს წითელკისერა მეპატრონეს შორის. ამ უკანასკნელს მივდევდი და ჭყეტელა პერანგით შემოსილ მის ტორსს ზიზღით ვუთვალთვალებდი; ასე უთვალთვალებს ხოლმე ავტომობილისტი სატვირთო მანქანას, რომელიც მის წინ ტაატით მიჰყვება აღმართს. სხვა დროს კი, სათხილამურო კურორტზე, ვუჭვრეტდი ამწევ სკამზე მჯდომ ღვთაებრივ, ლაღ გოგონას, რომელიც სულ უფრო მაღლა, მოკაშკაშე მწვერვალებისკენ მიფრინავდა — იქ მას ელოდებოდნენ მოცინარი, წელამდე შიშველი ათლეტები.

ყოველ ქალაქში ევროპული თავაზიანობით ვაგროვებდი ცნობებს ცურვისთვის განკუთვნილი საჯარო აუზების, მუზეუმების, ადგილობრივი სკოლებისა და უახლოეს სკოლაში ბავშვების რაოდენობის შესახებ; სასკოლო ავტობუსის გამგზავრებისას ღიმილითა და სახის ოდნავი ტოკვით (ეს ნერვული თრთოლა მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე, როდესაც უსულგულო ლოლიტამ მანჭვით მომბაძა) ვაჩერებდი მანქანას სტრატეგიულ პუნქტთან. ლტოლვილი გიმნაზისტი გოგონა გვერდით მეჯდა. ვაკვირდებოდი მარად მიმზიდველ სურათს — სკოლიდან გოგონების გამოსვლას. დაუდგრომელ ლოლიტას მალე მობეზრდა ეს შეჩერებები. როგორც ბავშვებს სჩვევიათ, ის არ განიცდიდა არავითარ თანაგრძნობას სხვისი სურვილების მიმართ. ერთხელ, როდესაც ჩემს მაზლობლად მზით გასხივოსნებული ლურჯთვალა, შავტუხა (ლურჯტრუსებიანი) გოგონები, უხაზლო მწვანე ქურთუკებში ჩაცმული წითური პატარა ლამაზმანები და ბამბის ქსოვილის გამოხუნებულ შარვლებში გამოკვართული ქერათმიანი მზეთუნახავები მიდი-მოდიოდნენ, ლოლიტას ვთხოვე, მომფერებოდა, მან კი უშვერად გამომლანძღა.

ლოლიტას კაპრიზებსაც ვასრულებდი და ყოველთვის, ყველგან ვთანხმდებოდი, რომ მას სხვა გოგონებთან ერთად ებანავა. მოლაპლაპე აუზები ძალზე უყვარდა და მარჯვედ ყვინთავდა. მე კი მოკრძალებული ბანაობის შემდეგ კომფორტულ ხალათს ვიცვამდი და ნაშუადღევის ოთხ საათზე ჭრელ ჩრდილს ვაფარებდი თავს. იქვე ფიქტიური წიგნი ან კანფეტები მედო და ვნეტარებდი. ჯირკვლებს იდუმალი ცეცხლი მიდაგავდა, როდესაც ვხედავდი ატლასის ვიწრო ტრუსებსა და ნაოჭასხმულ ლიფში ჩაცმულ ლოლიტას. გიჟმაჟ გოგონას გარუჯულ სხეულზე წყლის წვეთები ასხდა. არდადეგების რეკლამასავით მხიარული იყო. თორმეტი წლის სატრფო! მიკვირდა და თავს ვიწონებდი იმით, რომ ის ჩემი იყო, ჩემი, ჩემი. სინაზით ვიხსენებდი გარეული მტრედების ღუღუნის თანხლებით ახლახან ჩატარებულ შუადღის სეანსსა და საღამოს მის განმეორებაზე ვოცნებობდი. მზის ბასრ სხივებში თვალებს ვჭუტავდი და ჩემს ლოლიტას ვადარებდი სხვა ნიმფეტებს, რომლებიც მქისე შემთხვევას მის გარშემო შეეგროვებინა ჩემი ანთოლოგიური ტკბობისა და შეფასებისთვის; ამჟამად, ავადმყოფ გულზე ხელის დადებით უნდა ვაღიარო, რომ არც ერთმა მათგანმა არ აღმიძრა უფრო მძაფრი გულისთქმა, ვიდრე ლოლიტამ, თუ არ ჩავთვლით ორ-სამ შემთხვევას (რომელსაც ხელი შეუწყო განსაკუთრებულმა განათებამ და ჰაერში გაბნეული სურნელის საგანგებო შეზავებამ). ერთხელ ეს იყო (უიმედო შემთხვევა) სქელყბიანი ესპანელი არისტოკრატის ფერმკრთალი ქალიშვილი, მეორედ კი — მაგრამ უკვე ვბოდავ.

რა თქმა უნდა, გამუდმებით ვფრთხი-

ლობდი; გამჭრიახი, უნდობელი გონება მქონდა და კარგად მესმოდა ამ თვალისმომჭრელი თამაშების საშიშროება. საკმარისი იყო, ზურგი შემექცია (მაგალითად, რამდენიმე ნაბიჯი გამევლო, რათა მენახა, მიალაგეს თუ არა ჩვენი ქოხი) — და დაბრუნებისას უეცარ ცვლილებას ვაწყდებოდი: აუზის ქვიან კიდეზე გაშხლართულ ლოლიტას თვალები მიბნედოდა, გრძელთითა ფეხებს წყალში ჰყოფდა და ჭყუმპალაობდა. აქეთ-იქით კი წამოწოლილიყვნენ შავთმიანი ჭაბუკები, რომელთაც მისი ქერა მშვენება და მუცლის ბალღურ ნაკეცებში მოკიაფე ვერცხლისწყალი უეჭველად გათანგავდა — ო, ბოდლერო! — მრავალი ღამის განმავლობაში განმეორებული ზმანებებით...

ვცადე, ჩოგბურთში გამეწვრთნა ლოლიტა, რათა მეტი საერთო გასართობი გვქონოდა; ამასთან, თუმცა თავის დროზე მშვენივრად ვთამაშობდი, ხაძაგელი მასწავლებელი აღმოვჩნდი; ამიტომ კალიფორნიაში ვითხოვე, რომ მისთვის რამდენიმე ძვირად ღირებული გაკვეთილი ჩაეტარებინა სახელგანთქმულ ყოფილ ჩემპიონს, აყლაყუდა, სახედანაოჭებულ მოხუცს, რომელსაც ბურთის მდევნელი ბიჭუნების მთელი ჰარამხანა ჰყავდა. ეს ბეხრეკი ბერიკაცი თამაშის გასაგრძელებლად ზოგჯერ კაქტუსის ყვავილივით წმინდა დარტყმით პასუხობდა მოწაფეს. ბურთი მიქროდა და სიოვით წკრიალებდა. სათუთი სიზუსტისა და უდრეკი ძლევამოსილების ეს ნაერთი მაგონებდა, რომ კანში, ოცდაათი წლის წინ, მან ჩემ თვალწინ გაացამტვერა დიდი გობერი... მასთან სწავლის დაწყებამდე ვფიქრობდი, რომ ლოლიტა ვერასოდეს დაეუფლებოდა ამ თამაშს. ამა თუ იმ სასტუმროს მოედანზე ვავარჯიშებდი ჩემს უნიჭო გოგონას — და შორეული დღეები წარმომიდგებოდა: ძალუმი ხორშაკით, მტვერ-კორიანტელით, უჩვეული დაღლილობას ნისლით გაბრუებული, ზედიზედ ვტყორცნიდი ბურთს მხიარულ, უმანკო, კოხტა ანაბელას (მოციმციმე სამაჯური, დაპლისული ქვედატანი, შუბლზე გაკრული შავი ხავერდის ლენტი). ჩემი თითოეული სიტყვა, ყოველი დაჟინებული რჩევა კიდევ უფრო ამწვავებდა ლოლიტას პირქუშ ღვარძლს. უცნაურია, მაგრამ ჩვენს ვარჯიშებს ის ამჯობინებდა (ყოველ შემთხვევაში, კალიფორნიაში ჩამოსვლამდე) უმიზნო ტყაპატყუპს (და ბურთების უსასრულო ძებნას) დალეულ, სუსტ, მაგრამ საოცრად სანდომიან — დაუხვეწელ ანგელოზის სტილის — თანატოლ გოგონასთან. თვალყურს ვადევნებდი მათ. ზოგჯერ უცხო გოგონასთან დასახმარებლად მივდიოდი, მუშკის ოდნავ საგრძნობ სურნელს ვისუნთქავდი, მის შიშველ ხელს ან ძვლიან მაჯას ვეხებოდი და ხელისგულით აქეთ-იქით გადავაადგილებდი გოგონას გრილ ფეხს, რათა მარცხნიდან უფრო მარჯვედ დაერტყა ბურთი. ამ დროს ლო წინ იხრებოდა (მზისფერი თმა სახეზე სცემდა) და ჩოგანს ხეიბრის ხელჯოხივით არჭობდა მიწაში, თან ზიზღის გამოსახატავად საშინლად ყვიროდა, რაც ჩემი ჩარევით იყო გამოწვეული. თავს ვანებებდი მათ და მოშორებით ვჯდებოდი. ყელზე აბრეშუმის შარფი მქონდა შემოხვეული. გოგონებს ვაკვირდებოდი და მათ მიხვრა-მოხვრას ვადარებდი. ეს, მგონი, სამხრეთ არიზონაში იყო, ზანტი ზამთრის თბილ დღეებში. ტლანქი პატარა ლოლიტა ჩოგანს ბურთს აცდენდა, ჩხუბობდა, ზოგჯერ პრიმიტიული დარტყმით ბურთს ბადეში ახვედრებდა და უიმედოდ მაღლა აღმართავდა ხოლმე ჩოგანს (ამ დროს სველი, ნორჩი ღინღლით დაფარულ იღლიას აჩენდა). მისი კიდევ უფრო მოუხეშავი და არანაკლებ მშვენიერი პარტნიორი კი გულმოდგინედ დარბოდა და ყოველთვის აცდენდა ბურთს ჩოგანს; მაგრამ ორივენი შესანიშნავად ერთობოდნენ და მკაფიო, წკრიალა ხმებით განუწყვეტლივ აღრიცხავდნენ ამ უაზრო თამაშის ანგარიშს.

მახსოვს, ერთხელ შევთავაზე, ცივ

სასმელს მოვიტანთ-მეთქი. ხრეშმოყრილ ბილიკზე ავედი და ორი მაღალი ჭიქით ჩამოვიტანე ანანასის წვენი გაზიანი წყლითა და ქარვისფერი ყინულით. უეცრად გული კინაღამ შემიღონდა და ადგილზე გავშეშდი: მოედანზე გოგონები აღარ ჩანდნენ. დავიხარე, რათა ჭიქები მერხზე დამედგა — და რატომღაც სუსხიანი სიცხადით წარმომიდგა მოკლული შარლოტას სახე. მივიხედ-მოვიხედე და მომეჩვენა, რომ შუქ-ჩრდილით დაწინწკლული ბაღის ბილიკზე დავლანდე თეთრტრუსებიანი ლოლიტა, რომელსაც მაღალი კაცი მიჰყვებოდა და ორი ჩოგანი ეჭირა. მათკენ გავექანე, მაგრამ როდესაც ბუჩქნარში ლაწალუწი ავტეხე, თვალთახედვის ვარიანტულ არეში (ისე, თითქოს სიცოცხლის ხაზი დროდადრო ორმაგდებოდა) დავინახე გრძელტოტებიან შარვალში ჩაცმული ლოლიტა და მისი ტრუსებიანი მეგობარი. გოგონები ღვარძლით დაფარულ ველობზე დადიოდნენ, ჩოგნებს ბუჩქებს ურტყამდნენ და უთავბოლოდ ეძებდნენ უკანასკნელ დაკარგულ ბურთს.

ამ ნათელი წვრილმანების გახსენების შემწეობით მწადია, დავუმტკიცო მოსამართლეებს, რომ ყოველ ღონეს ვხმარობდი, რათა ლოლიტასთვის არავითარი სიამოვნება არ მომეკლო. რარიგ ეტკბებოდი, როდესაც ეს ბალღი მეორე ბალღს თავის ერთ-ერთ მიღწევას (მაგალითად, სახტუნელას ხმარების განსაკუთრებულ ხერხს) აჩვენებდა. უმცროს ნიმფეტს — ფერმკრთალ, თითქმის გამჭვირვალე, თეთრბეჭებიან მოხდენილ გოგონას ზურგს უკან მარჯვენა ხელით მარცხენა ხელის მტევანი ეჭირა. ის განცვიფრებით უმზერდა — და ამ სამოთხეში, აყვავებულ ხეებქვეშ ხრეშზე დაფენილი ფარშავანგისებრი ათინათებიც ასევე უჭვრეტდნენ — როგორ ხტუნავდა ჩემი დაჭორფლილი, ვულგარული ჭინკა. ასე ხტუნავდა უამრავი სხვა, მომხიბვლელი გოგონა ძველი ევროპის მზით აჭრელებულ, კარგად მორწყულ ტროტუარებსა და პარაპეტებზე, რომელთაც სიგრილის სურნელი ასდიოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ლოლიტა უბრუნებდა სახტუნელას თავის ესპანელ მეგობარს და ახლა თვითონ უცქერდა და აკვირდებოდა, თუ როგორ შეითვისა ამ უკანასკნელმა ნაჩვენები გაკვეთილი. ამ დროს ის შუბლზე ჩამოცვენილ თმას ისწორებდა, ხელებს გულზე იკრეფდა და ერთი ფეხის თითებს მეორის ზურგს აბჯენდა, ან კიდევ მსუბუქად იყრიდა დოინჯს თავის ჯერ კიდევ ბიჭურ თეძოებზე, მოტელში ვბრუნდებოდი და ვამოწმებდი, დაალაგეს თუ არა წყეულმა მოახლეებმა ჩვენი კოტეჯი; როდესაც ამაში ვრწმუნდებოდი, დამშვიდობების ნიშნად, თავს თავაზიანად ვუკრავდი მოკრძალებულ შავთმიან გოგონას — ჩემი პრინცესას სეფექალს — და მამობრივი ჟესტით თითებს ღრმად ვაცურებდი ლოლიტას კულულებში, შემდეგ ნაზად, მაგრამ მტკიცედ ვავლებდი ხელს კისერზე და გაკერპებული ბავშვი ჩვენს მყუდრო სახლში მიმყავდა, რათა სადილის წინ სწრაფად მივცემოდით სიყვარულს.

„ვისმა კატამ დაგკაწრათ ასე, თქვე საწყალო?“, წამოიძახა მწიფე, ჩათქვირულმა, ლამაზმა ქალმა (იმ ტიპს განეკუთვნებოდა, ყოველთვის რომ მძაგდა, მაგრამ სწორედ ასეთებს განსაკუთრებით მოვწონდი) „დიდი სახლის“ ტაბლდოტთან სადილობისას (რის შემდეგაც ლოლიტას საყვარელი ცეკვები უნდა დაწყებულიყო). აი, რატომ ვერიდებოდი ადამიანებს, მაშინ, როდესაც ლოლიტა ყოველნაირად ცდილობდა, თავის ორბიტაზე მიეზიდა პოტენციური მოწმეების მაქსიმალური რაოდენობა.

ის, ხატოვნად რომ ვთქვათ, კუდს აქიცინებდა — და არა მარტო კუდს, არამედ მთელ თავის პატარა გავასაც (ძუკნების მსგავსად) — როდესაც ესა თუ ის გალრეჯილი უცნობი თამამ საუბარს გვიწყებდა (ჩვენი მანქანების სანომრო ნიშნების შედარების საფუძველზე): „შორს

გაგიწევიათ!“ ზოგჯერ ცნობისმოყვარე მშობლებს სურდათ, რაიმეში გამოეტყუხათ გოგონა და, თავიანთ შვილებთან ერთად, კინოში წასვლას სთავაზობდნენ, მაგრამ ლოლიტას ნაცვლად მათ ყოველთვის უარით ვისტუმრებდი. რამდენჯერმე კინაღამ მახეში გავებით. ჩვენს ქარვასლებში, რა თქმა უნდა, მოსვენებას არ მაძლევდა კლოზეტების ჩქრიალი; მიუხედავად ამისა, ვერ წარმომედგინა, რაოდენ სიფრიფანა იყო ეს ვაფლისებრი ტიხრები „შეერთებული“ ტიპის მოტელებში: ერთ საღამოს ნეტარებით აღსავსე ჩემი ოხვრის მომდევნო პაუზა ისე გარკვევით შეავსო მამაკაცის ხველებამ, თითქოს მე ჩამეწმინდოს ყელი; მეორე დილას, როდესაც რძის ბარში ყავას ვსვამდი (ლოლიტას გვიანობამდე ეძინა ხოლმე და უხაროდა, როდესაც ცხელი ყავით სავსე სურას საწოლში მივართმევდი), ჩემმა წელანდელმა მეზობელმა (ბებერმა ტუტუცმა, რომელსაც გრძელ ზნეობრივ ცხვირზე პენსნე ეკეთა, სალილეში კი პროფესიულად საკავშირო ნიშნი ჰქონდა მიბნეული) არხეინად ჩამითრია საუბარში; დაინტერესდა ჩემს „ოჯახობასაც“ ისევე ხომ არ ეზარებოდა ადრე ადგომა, როგორც მისას (როდესაც შინ, ფერმაში არ იმყოფებოდა). და რომ არა საშინელი ხიფათის წინათგრძნობა, უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებდა მისი თხელტუჩა, აქერცლილი სახის უცნაური, განცვიფრების გამომხატველი გამომეტყველება, როდესაც მაღალი ტაბურეტიდან ჩამოვძვერი და ლაკონიურად მივუგე, მადლობა ღმერთს, ქვრივი ვარ-მეთქი.

რარიგ მსიამოვნებდა ლოლიტასთვის ყავის მიტანა. მის დალევას ხომ აუცილებლად წინ უძღოდა გოგონას მიერ დილის მოვალეობის შესრულება! როგორი გულისხმიერი მეგობარი, როგორი მოსიყვარულე მამა, როგორი დაკვირვებული პედიატრი ვიყავი, როდესაც ჩემი თითქმის შავგვრემანი ბავშვის ფიზიკურ მოთხოვნილებებს ვემსახურებოდი! ბუნებას მხოლოდ ერთს რასმე ვსაყვედურობდი — იმას, რომ არ ძალმიძდა, სურვილისამებრ, უკუღმა ამომეტრიალებინა ლოლიტა და ხარბი ბაგეებით დავცხრომოდი მის ნორჩ პაწაწინა საშვილეს, უცნობ გულს, სადაფისებრ ღვიძლს, ზღვის ყურძნისმაგვარ ფილტვებსა და ორ მოხდენილ თირკმელს!

ზოგჯერ, როდესაც ძალზე ცხელოდა, კოტეჯის მწებვარე დახუთულ ჰაერში ჩემს მასიურ სიშიშვლეს ტყავის სავარძელი აგრილებდა. ლოლიტა მუხლებზე მეჯდა. ის ჩვეულებრივი ბავშვივით იქექებოდა ცხვირში და გაზეთის თავშესაქცევი დამატებით ერთობოდა. ჩემი ნეტარების გამოვლინებების მიმართ გოგონა ისევე უგრძნობელი იყო, თითქოს შემთხვევით საგანზე დამჯდარიყოს — მაგალითად, ფეხსაცმელზე, თოჯინაზე ან ჩოგნის სახელურზე — და მას მხოლოდ სიზარმაცის გამო არ იცილებდა. იუმორისტის განკუთვნილ ფურცელზე ის თვალს ადევნებდა საყვარელი პერსონაჟების თავგადასავალს (მათ შორის იყო მოხდენილად დახატული თეთრწინდებიანი, ლაწვმაღალი და მოუქნელი ფეთხუმი გოგონა, რომელთანაც სიამოვნებით მივეცემოდი განცხრომას). უყვარდა ფატალურ საავტომობილო ავარიათა ფოტოსურათებზე დაკვირვება; არასოდეს ეპარებოდა ეჭვი შიშველი ლამაზმანების სარეკლამო სურათების ადგილსა, დროსა და გარემოებებში; გასაოცრად იტაცებდა პროვინციელი პატარძლების ფოტოები — (ზოგიერთი მათგანი მთლიანად საქორწინო სამოსელში იყო გამოწყობილი, ხელში თაიგული ეჭირა და ცხვირზე სათვალე ეკეთა).

ბუზი აჯდებოდა და ჭიპის მიდამოებში დასეირნობდა ან სათუთ, მკრთალ კერტებს იკვლევდა. ლოლიტა ცდილობდა, პეშვით დაეჭირა ის (შარლოტასეული ხერხი), შემდეგ კი კითხულობდა განყოფილებას „ვნახოთ, რამდენად საზრიანი ხართ“.

„ვნახოთ, რამდენად საზრიანი ხართ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ზნეობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა რაოდენობა მოიკლებს, თუ გოგონები დაიცავენ ქცევის ზოგიერთ წესს: არ ითამაშებენ საზოგადოებრივი საპირფარეშოების მახლობლად; არ გამოართმევენ ტკბილეულს უცხო პირებს და არ დათანხმდებიან მანქანით გასეირნებაზე, ჩაიწერენ იმ მანქანის ნომერს, რომელშიც ჩასხდებიან...“

„...და ტკბილეულის საქარხნო მარკას“ ვუკარნახე მე.

მან ლოყა მოაცილა ჩემს მიახლოებულ ლოყას და განაგრძო — (ეს ჩემო მკითხველო, შედარებით მშვიდობიანი დღე იყო!)

„თუ ფანქარი არა გაქვს, მაგრამ უკვე იცი კითხვა“, —

„ჩვენ, — ჩავურთე ხუმრობით, „შუა საუკუნეების ზღვაოსნებმა, ამ ბოთლში ჩავდეთ...“

„თუ, — გაიმეორა მან, — ფანქარი არა გაქვს, მაგრამ უკვე იცი წერა-კითხვა, — აი, რისი თქმა სურს მას, ახლა ხომ გესმის, ყეყეჩო, — მაშინ გზისპირა მიწაზე ნომრის დაჩხაპნა სცადე...“

„...შენი პაწია ჭანგებით, ლოლიტა“,

გაგრძელება იქნება

თარგმნა **თამარ ლომიძე**

ლადო ავალიანი

# როზენკრანციდან ჰამლეტამდე

ალბათ, ერთ ათეულს მაინც მიაღწევს ამ საუკუნეში იმათი რიცხვი, ვის წინაშეც, მთელ ერთან ერთად, მორალურად ვალდებულნი ვართ, ვთქვათ ჩვენ-ჩვენი სიტყვა და საზოგადოებას დროდადრო შევახსენოთ მათი საქციელი, მათი ღვაწლი, მათი მაგალითი, ნიჭი და მამულიშვილობა.

აქამდე გაკვირვებული ვრჩები და ვერაფრით ამიხსნია, რა მემართებოდა, როდესაც უშანგი ჩხეიძესთან შესახვედრად ვემზადებოდი (როცა ის შინ „ნებაყოფლობით" ტყვეობაში იმყოფებოდა). განცდას, რაც მაშინ მეუფლებოდა, ალბათ, მხოლოდ ის კაცი მიმიხვდებოდა, რომელიც მექაში მიემგზავრებოდა. ეს არც ლამაზი სიტყვებია და არც რაიმე გადაჭარბება. და მე ვფიქრობ, ვფიქრობ კი არა, ეს ნამდვილად ასეა, ყოველივე ამის საიდუმლო და გასაღები იდო მხოლოდ მის პიროვნებაში. უშანგი ჩხეიძე, ჩემი აღქმით და დაკვირვებით, იყო იშვიათი გამონაკლისი; მე ამ დროს ვიცნობდი თითქმის ყველა გამოჩენილ პიროვნებას კულტურის სარბიელზე. საგულისხმოა ის ამბავი, რომ უშანგი ჩხეიძემ სხვების ჩაურევლად მიაგნო თავის სტიქიას. თვითნაბადმა ნიჭმა ის უყოყმანოდ მიიყვანა თეატრში და არა სხვაგან. ეს არჩევანი მას სწორედ ღვთისაგან ბოძებულმა ნიჭმა გააკეთებინა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად ის მხოლოდ იმიტომ შეიძლება ჩაითვალოს, რომ სწორედ ოციანი წლების დასაწყისში საქართველოში დაბრუნდა კოტე მარჯანიშვილი, რუსეთის თეატრებში ხანგრძლივად ნამოღვაწარი, გამოცდილი და დაბრძენებული ხელოვანი. სიტყვა „დაბრუნდა" შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს. მარჯანიშვილს განზრახული არა ჰქონია საქართველოში დარჩენა და მოღვაწეობა. ის მხოლოდ ესტუმრა თავის სამშობლოს, ალბათ, ეგზომ მონატრებულს და... მოხდა ისე, რომ სამუდამოდ დარჩა აქ, თავის სამშობლოში.

საყოველთაოდ ცნობილია და აღარ გავიმეორებ, თუ რა სავალალო სურათი გადაიშალა მაშინ მარჯანიშვილის თვალწინ. ქართული თეატრი დახურვის პირასაა. მშველელი არ ჩანს და ასეთ ვითარებაში მაშინდელ თეატრალურ მოღვაწეებს (მათ შორის — ალ. წუწუნავასა და აკ. ფალავასაც კი) სრულიად კანონზომიერადაც მიაჩნიათ, რომ ქართული დრამის თეატრმა გარკვეული დროით შეწყვიტოს არსებობა, დაიხუროს.

მარჯანიშვილს ნაჩქარევად ეჩვენება ასეთი გადაწყვეტილება. თუ ასეა, მაშინ მას სთავაზობენ — დადგას ერთი სპექტაკლი და ისიც უმალ თანხმდება ამ წინადადებაზე. მარჯანიშვილი დასადგმელად ირჩევს, როგორც იცით, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს". პრემიერა გაიმართა 1922 წლის 25 ნოემბერს. ამ სპექტაკლის მოულოდნელმა ტრიუმფმა გადაწყვიტა ქართული დრამის თეატრის (შემდგომში რუსთაველის სახელობისა) ბედიც, მომავალიც და განსაზღვრა მარჯანიშვილის ადგილიც ქართული თეატრალური კულტურის ისტორიაში. ის დარჩა საქართველოში. ეს გარემოება რომ არა, მარჯანიშვილი, რომ არა, უშანგი ჩხეიძე, მიუხედავად თავისი დიდი ტალანტისა, აღმოუჩენელი დარჩებ-

ოდა, ყოველ შემთხვევაში ქართული აქტიორული ხელოვნების მწვერვალს არ ეკუთვნოდა მისი სახელი.

ახლა მინდა გავიხსენო, თუ სად, რა გარემოებაში ვიხილე პირველად უშანგი ჩხეიძე.

მე ზესტაფონელი ვარ. იქ, დედულეთში დავიბადე, პაპაჩემის — გიგო თუთბერიძის ოჯახში. გიგო თუთბერიძე იყო იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში ცნობილი მევენახე და მეღვინე, რომელსაც ღვინის დაყენებაში მიღებული ჰქონდა (1910 წელს) იტალიისა და საფრანგეთის მედლები და ორდენი. პაპაჩემს — გიგოს, ორსართულიანი თლილი ქვით ნაშენი საცხოვრებელი სახლი ედგა ზესტაფონში, აკაკი წერეთლის ქუჩაზე, ვენახები კი შორაპანში. ზაფხულობით ბებოს, თითქმის ყოველ ორშაბათს, ორი-სამი დღით მივყავდი შორაპნის მამულში. მივდიოდით მეტწილად ფეხით. გავივლიდით მთელ ზესტაფონს, რომელიც ერთი ძირითადი ქუჩის — „პროსპექტისაგან" შედგებოდა, და მივადგებოდით ეგრეთ წოდებულ თეთრ ხიდს მდინარე ყვირილაზე. თეთრი ხიდით გავიდოდით წყალგაღმა და შევუყვებოდით მჭედლების უბანს, სადაც ისმოდა გაუთავებელი ჩახაჩუხი და კაკუნი. მჭედლების უბნის ბოლოს იწყებოდა ერთსართულიანი იმერული ოდა-სახლების გრძელი რიგი დიდი ეზოებით. ამ ეზოებში ერთი მაინც, ჩემი დაკვირვებით, ყველაზე ლამაზი და გამორჩეული იყო. გზატკეცილის მხრიდან ეზოს გასდევდა ალაგ-ალაგ ჩაშავებული და დახავსებული ყორის ღობე, ყორის ღობის გასწვრივ კი ასე, ერთმანეთისაგან ხუთიოდე მეტრის დაშორებით უკვე ხეებად წამოზრდილი, ალაგ-ალაგ კი დიდ ბუჩქად მდგარი ბროწეულები ჩამწკრივებულიყვნენ. როდესაც ბროწეულები ყვაოდნენ, უკეთესი სანახავი, ალბათ, არაფერი იყო მთელ იმ არემარეზე; სხვათა შორის, ბატონ უშანგის უმცროსი და, საქართველოს სახალხო არტისტი — ნინიკო ჩხეიძე ცოტა სხვაგვარად აღწერს მამაპაპეულ კარ-მიდამოს, მაგრამ რატომღაც მე ასეთი მახსოვს იქაურობა; და ერთხელ, როცა ამ ბროწეულებიანი ეზოსთვის უნდა ჩაგვევლო, ბებომ შემაჩერა და მითხრა — იმ კაცს ხედავ, ეზოში რომ წამოწოლილაო? სახლიდან ცოტა მოშორებით, ოდნავ დაფერდებულ, დაბალი ბალახით გადამწვანებულ ეზოში, იმ ხის ძირას, სადაც მეტი ჩრდილი იყო, ყვითელ ჭილოფზე იწვა ჭაბუკი; ის მხართეძოზე გადაწოლილიყო მუთაქას ეყრდნობოდა, ცალ ხელზე თავი დაებჯინა, მეორეში კი წიგნი ეჭირა და კითხულობდა.

— მაგ არის ის არტისტი — უშანგი ჩხეიძე, რომელსაც აქ ბოლო დროს ასე აქებენ, — მითხრა ბებომ.

მას მერე ბევრჯერ ჩაგვივლია ამ ეზოსათვის, მარტოც, ბებოსთან ერთადაც, მაგრამ აღარც ჭილოფი და აღარც არავინ ეზოში წამოწოლილი აღარ მინახავს, იმ ზაფხულში ის იყო უშანგი ჩხეიძის ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი ხილვა. მაგრამ ცოტა მოგვიანებით, როდესაც მშობლებთან თბილისში დავიდეთ ბინა მე და ჩემმა ძმამ აპოლონმა, ჩვენ მოგვეცა ბედნიერება, უკვე სცენაზე გვეხილა ის სასწაული, რომელსაც ერქვა უშანგი ჩხეიძე.

ოციან წლებში, ალბათ, არ არსებობდა ისეთი, ცოტად თუ ბევრად ინტელიგენტური ოჯახი, სადაც არ ჰქონდათ შეძენილი ოპერისა და რუსთაველის თეატრის აბონემენტები. იმდენად დიდი იყო თეატრისადმი ინტერესი და ისე ძნელი იყო სალაროში ბილეთის შეძენა, რომ ერთადერთ გზად სპექტაკლზე მოხვედრისა რჩებოდა აბონემენტი. აბონემენტით, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სარგებლობდნენ მშობლები (ოჯახის ყველა წევრისთვის აბონემენტის შეძენა, კერძოდ, ჩვენი ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობას აღემატებოდა), მაგრამ დროდადრო, ჩვენ, მოზარდებსაც გაგვიღიმებდა ხოლმე ბედი, და მაშინ ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ოჯახში როგორც სხვებთან, ისე ჩვენთან, ხშირად იყო ლაპარაკი თეატრების თავბრუდამხვევ წარმატებებსა და შემსრულებლებზე. წამდაუწუმ ისმოდა სახელები სახელოვანი მოღვაწეებისა — სარაჯიშვილი, ინაშვილი, საგასტროლოდ მოწვეულებისა — შიგაი, პეჩკოვსკი; დრამის მსახიობებისა — გიორგი დავითაშვილი, იმედაშვილი, ვერიკო, თამარ ჭავჭავაძე... და, ბუნებრივია, უშანგი. ამ სახელებით, ამ თეატრალური ციებცხელებით ჩვენც ვიყავით მონუსხული და შეყრობილი.

ერთ დღეს ბედმა და მშობლებმა მე და ჩემს ძმას ერთად გაგვიღიმეს. ოჯახში გადაწყდა, რომ ამჯერად აბონემენტით ჩვენ ვისარგებლებდით და რუსთაველის თეატრში დავესწრებოდით გრიგოლ რობაქიძის „ლამარას".

ის საზეიმო განწყობილება, რაც მაშინ ჩვენს თეატრებში სუფევდა, მე აღწერილი მაქვს ერთ წერილში, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს ეძღვნება, და აქ აღარ გავიმეორებ.

...იხსნება ფარდა. დეკორაციულ მთის ფერდობს ყიჟილ-ხივილით შემოესევიან ხევსურულ ტანსაცმელში გამოწყობილი ყმაწვილები.

ერთი მათგანი წამოიწყებს — „ა, იმ მთაზედა..." და ხელს იშვერს შორი მწვერვალისაკენ.

მცირე ხანს ლაღობენ ყმაწვილები, ლექსის სტროფონებს ერთმანეთს პირიდან სტაცებენ და მერე ისევ ყიჟილ-ხივილით გარბიან, ფერდობის სიღრმეში უჩინარდებიან. მათ მაგივრად სცენაზე შემოდის ამაყი, გოროზი ხევსური ვაჟკაცი. მისი მოძრაობა, გამომეტყველება უმალ ნუსხავს მთელ დარბაზს. შემდეგ სცენაზე უეცრად ისადგურებს სამარისებური, რაღაც მოულოდნელი, დამუხტული, აბსოლუტური სიჩუმე...

ვაჟკაცი, რომელსაც მაყურებლისაკენ მიუ-

პყრია ამაყი მზერა, თორღვაი გახლავთ. მას ანსახიერებს უშანგი ჩხეიძე. რა თქმა უნდა, გამოჩენის უმალ უშანგი ყველამ იცნო და კიდევ უფრო გაინაბა. მისი გამჭოლი მზერა, რაღაც უცნაურად გნუსხავს და მთელი არსებით გიპყრობს. ეს არის სრულიად ბუნებრივი შეგრძნება. უშანგის გამოჩენა სცენაზე მაყურებლისთვის ყოველთვის გავს იმ მავთულისთვის ხელის წავლებას, რომელშიაც დენი გადის...

წუთიც და, სცენის სიღრმიდან ამოდის დინჯი, მაგრამ ენერგიული ნაბიჯით, ხალისიანი, კეთილი ღიმილით სახედამშვენებული ჭაბუკი. ეს მინდიაა — გიორგი დავითაშვილის შესრულებით. მინდია-დავითაშვილი თორღვაის ზურგს უკან ჩერდება, ხელს ბეჭზე დაჰკრავს და ეტყვის — „გამარჯვება, თორღვაი“. ამ სიტყვებზე გარინდებულ თორღვაის მხოლოდ ყბის კუნთები შეუტოკდება, თითქოს კბილს კბილი ძალუმად დააჭირაო, და კბილებში გამოსცრის რაღაც ავისმომასწავებლად — „— მინდიაუ, მე თორღვაი მქვიან!“ — ეს არის ნათქვამი რაღაც უკმაყოფილების და მკაცრი გაფრთხილების კილოთი. და როცა თორღვაი ამ სიტყვებს წარმოთქვამს, თან მისი მკლავი შესაბამისად მოძრაობს მარჯვნიდან მარცხნისაკენ და ბოლოს ამ ნელა მოძრავი მარჯვენის ხელისგული უეცრად დაეცემა და ჩაბღუჯავს ხმლის ვადას. ამის ხილვამ და ნათქვამის კილომ შეუძლებელია ტანში ჟრუანტელად არ დაგიაროთ, რადგან თქვენ უკვე დავიწყებული გაქვთ, რომ სცენაზე სპექტაკლს უყურებთ... უშანგი ჩხეიძის უდიდესი აქტიორული ძალა სწორედ იმაშიაც მდგომარეობდა, რომ გამოჩენის უმალ ის გავიწყებდათ სცენის ჩარჩოს და, რაც სცენაზე ხდებოდა, აღიქვამდით, როგორც მკაცრ სინამდვილეს.

ამ სპექტაკლში თორღვაი უშანგის შემდეგ, ჩემი აზრით წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა მურთაზ, აკაკი ვასაძის შესრულებით. კოტე მარჯანიშვილს, ოცდახუთი წლით გადახვეწილს და ახლა სამშობლოში კვლავ დაბრუნებულს, „ლამარას“ რეპეტიციაზე აკაკი ვასაძისათვის უჩვენებია ისეთი ნიუანსები, რომ ყველა განცვიფრებულა, საიდან იცის ამ კაცმა მთიელთა ყოფის და ქცევის ასეთი დეტალებიო. მართლაც, რა სახოვანი და რა დამაჯერებელი იყო კოტე მარჯანიშვილის მინიშნებით და ვასაძის უბადლო შესრულებით მთიელის ყოველი ნიუანსი მოძრაობასა და ქცევაში, ფეხმორთხმით დაჯდომაში, საუბრის დროს წვერზე ხელის ჩამოსმაში, როცა მურთაზი პასუხობს მოსაუბრეს — „კარგ უთქომ, ლამაზ უთქომ“.

დამაჯერებელი და მიმზიდველი იყო აკაკი ხორავა იროს როლში, როცა ის, გაბოროტებულა; რიგრიგობით მამარიკაის გარშემო მყოფთ აკვიატებული კითხვით — „რა უფრო ტკბილია?“, და ამ კითხვას იმეორებს ოთხჯერ თუ ხუთჯერ. და რაკი სასურველ პასუხს ვერავისგან ღებულობს, გაცოფებული ამოხდება — „სისხლ! სისხლ მაღრჩობს!“.

და ბოლოს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებულ ქისტებსა და ხევსურებს ლამარა შეარიგებს.

პიესა უაღრესად თანადროულად ჟღერს და, ალბათ, ვინმეს დღესაც აღეძვრება სურვილი მისი დადგმისა.

„ლამარას“ შემდეგ უშანგი ჩხეიძე მე და ჩემმა ძმამ ვიხილეთ, იმ დროისათვის მეტად გახმაურებულ, სანდრო ახმეტელის მიერ დადგმულ სპექტაკლ „რღვევაში“. ის აქაც თავდავიწყებით ასრულებდა რევოლუციურად განწყობილი მატროსების მეთაურის — გოდუნის როლს. ისეთივე მძაფრი ემოციური დამუხტვა ატმოსფეროსი, რევოლუციური პათოსის შესატყვისი სცენები... ბიჭი ხარ და, ნუ აღელდები, რაღაც ავის მომასწავებელი გრძნობით შეპყრობილი, შენდა უნებლიეთ ნუ ჩაავლებ სავარძლის სახელურებს ხელს და ნუ აიწურები, როცა გოდუნი კაპიტან ბერსენევის ოჯახში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდება თეთრგვარდიელ ოფიცერს — ფონ შტუბეს, ხელს მაუზერისაკენ წაიღებს...

უშანგისთან ერთად ამ სპექტაკლში აკაკი ხორავა, კაპიტან ბერსენევის როლში, დიდი არტისტული მომხიბლაობით გამოირჩეოდა. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო ხორავას საუკეთესო როლი, შესრულებული ჭეშმარიტი ოსტატობით და დიდი ზომიერების გრძნობით, მთლიანად დამორჩილებული დაბალ რეგისტრს.

„რღვევა“ იყო უკანასკნელი სპექტაკლი უშანგის მონაწილეობით, რომელიც ვნახეთ რუსთაველის თეატრში 1928 წლის გაზაფხულზე. სეზონის ბოლოს უშანგიმ დასტოვა რუსთაველის თეატრი. იმავე წლის შემოდგომაზე ქუთაისში მუშაობას შეუდგა ახალი თეატრალური დასი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.

დროა გავიხსენოთ კოტე მარჯანიშვილის ერთი ფრაზა, რომლისთვისაც თავის დროზე სხვების გადმოცემით მეც მომიკრავს ყური და მეხსიერებას აქამდე შემორჩა. კოტე მარჯანიშვილმა 1926 წლის აგვისტოში განაცხადა, მივდივარ რუსთაველის თეატრიდანო და წავიდა კიდევაც. მარჯანიშვილი თურმე დემონსტრაციულად სეირნობდა, რუსთაველის თეატრის გადმოღმა. პროსპექტზე და ნაცნობ-მეგობრების შეკითხვაზე — როდის ხსნი, კოტე, ახალ თეატრსო, პასუხობდა — იმ დღეს, რა დღესაც უშანგი წამოვა რუსთაველის თეატრიდანო.

უშანგის „წამოსვლა“ რუსთაველის თეატრიდან თითქმის ორ წელიწადს, ორ სეზონამდე გაგრძელდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, კოტე მარჯანიშვილს აუხდა ნატვრა.

შემდეგ რაც მოხდა, ეს არა მარტო თეატრალურმა საზოგადოებრიობამ, არამედ მთელმა საქართველომ იცის.

პირველი სეზონის გახსნიდან ერთი წლის შემდეგ მარჯანიშვილმა გასტროლებით ტრიუმფით მოიარა თბილისი, კიევი, მოსკოვი...

ვინ იფიქრებდა, რომ კონფლიქტი ორ დიდ ხელოვანს — მარჯანიშვილსა და ახმეტელს შორის ასეთ სასწაულებრივ ნაყოფს გამოიღებდა. გასტროლებზე ნაჩვენები იყო „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!", „ურიელ აკოსტა", „ჩენჩი", „ყვარყვარე თუთაბერი", „კაკალ გულში" და სხვა.

ჩემს სიცოცხლეში რაც კი სპექტაკლები მინახავს, „ურიელ აკოსტაზე" უფრო სრულყოფილის წარმოდგენაც კი პირადად ჩემთვის შეუძლებელია — რა რეჟისორული ინტერპრეტაცია, რა მიზანსცენები, მსახიობთა რა თანავარსკვლავედი და რა წიაღსვლები ცალკეულ შემსრულებელთა თამაშში, რა დეკორაციები, რა მუსიკა და ერთიმეორეზე უფრო გამაოგნებელი მოულოდნელობანი... კერძოდ, სპექტაკლის გვირგვინი — უშანგი, გაოცებდათ ემოციური დაძაბულობის რაღაც შეუცნობელი ძალით, გაოცებდათ უკიდურესი დახვეწილობით; მარტო ერთი, მოსასხამის მარაოსავით მოქნევა რად ღირდა; გაოცებდათ მონუსხველი ლაკონიზმით, როგორც მიმიკის, ისე ჟესტის, აგრეთვე, სცენაზე გადაადგილების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმკვეთრით და დამაჯერებლობით. ახლა ხმას აღარ იკითხავთ? სხვა ღირსებებთან ერთად უშანგის შესრულებაში ხმაც იდუმალებით მოსილი ელემენტი იყო. არ შეიძლებოდა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას კი არა, ბგერასაც კი არ აეფორიაქებინეთ. როგორც ოდნავ გაბზარული ლითონი ხმაში იძენს გამორჩეულ ჟღერადობას და ნიუანსს, ისე ჩაგესმოდა უშანგის ხმა, ჩაგესმოდა და გნუსხავდა; შეუძლებელი იყო არ დამორჩილებოდით, მის ნებას არ დაჰყოლოდით და არ განგეცადათ რაღაც უცნაურობამდე მისული ესთეტიკური სიამოვნება. ხშითაც კი ისე ძერწავდა დიდი მსახიობი იმ პიროვნების სულსა და მთელ მის არსებას, ვისაც ანსახიერებდა, რომ თავისუფლად შეგეძლოთ წარმოგედგინათ ის პიროვნება თვალდახუჭულსაც კი, რადგან ეს გარდასახვა უფრო სულს უტრიალებდა, ვიდრე გარეგნობას, თუმცა გარეგნობაც სრულ შესატყვისობაში იყო პიროვნების რაობასთან. ამ მხრივ პირდაპირ დაუჯერებელია მისი ფანტასტიკური ამპლიტუდის შესაძლებლობა, სიგრძე და განი — ურიელ აკოსტადან ყვარყვარე თუთაბერამდე, ჩენჩიდან ქვეყენაძემდე. გარდასახვის ასეთი უკიდეგანობა მე სხვა მსახიობისათვის არ შემიმჩნევია, ვინც კი მინახავს სცენაზე.

უშანგის აქტიორული ძალმოსილება, პირდაპირ დემონურობასთან წილნაყარი, კარგად ჩანს ქალბატონ თამარ ჭავჭავაძის ერთ მოგონებაში, სადაც ის წერს — „ჩენჩი" ვითამაშეთ ოცდათორმეტჯერ და მე ოცდამეთორმეტე სპექტაკლშიაც ისევე შემეშინდა, როგორც პირველში, როცა შევეფეთებოდი კიბის ძირას მიმალულ ფრანჩესკო ჩენჩიდ გარდასახულ უშანგი ჩხეიძის თვალებსო.

რა თქმა უნდა, ბევრ ჩემს თანამემამულესთან ერთად ბედის მადლიერი ვარ, რომ მეც მხვდა წილად უშანგი ჩხეიძის ხილვა სცენაზე და მისი წყალობით ვიცი, თუ ვინ არის, როგორია და ვის ჰქვია დიდი მსახიობი.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, თუმცა ძალიან გვიან, შემთხვევა მეძლევა პირადად გავიცნო და ვესაუბრო ქართული სცენის ამ ჯადოქარს.

1948 წლის ზაფხულია. სამსახურში მიბარებს ჩემი მეგობარი, პოეტი ანდრო თევზაძე, რომელიც იმხანად შალვა დადიანთან, თეატრალური საზოგადოების გამომცემლობაში დირექტორად მუშაობდა, და მთავაზობს უშანგი ჩხეიძის წიგნის — „კოტე მარჯანიშვილი — რეჟისორი და ხელმძღვანელი" გრაფიკულ გაფორმებას. მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, რატომ უნდა დაევალებინათ ჩემთვის წიგნის გრაფიკული გაფორმება? საქმე ის არის, რომ მე დამთავრებული მაქვს სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი და ვიყავი წიგნის შემკობის დიდოსტატის (და თეატრის დიდი ტრფიალისაც) ლადო გრიგოლიას მოწაფე. აკადემიაში შესვლა გადამაწყვეტინა არა მარტო იმან, რომ „ცოტ-ცოტას" მეც ვხატავდი, არამედ უფრო იმან, რომ ჩემი ოცნების სარბიელი უკვე მწერლობა იყო და, საერთოდ, გარემოსა, ხასიათებისა და პერსონაჟების დანახვაში და დახატვაში თვალს უფრო გამიმახვილებდა სამხატვრო აკადემიასთან სიახლოვე, ვიდრე ლექციების მოსმენა უნივერსიტეტსა ან სხვა უმაღლეს ჰუმანიტარულ სასწავლებელში. მე მგონია, არჩევანში არ მოვტყუებულვარ. აკადემიაში სწავლის პერიოდში (1934-40) ინტენსიურად ვმუშაობდი, ვაქვეყნებდი მოთხრობებს ჩვენს პერიოდულ პრესაში.

სიხარულით მივიღე ანდრო თევზაძის წინადადება. ჩემთვის აქ მთავარი, რა თქმა უნდა, წიგნის გაფორმება არ იყო. მეძლეოდა ფანტასტიკური შემთხვევა, გამეცნო ის მსახიობი, რომელიც ახალგაზრდობიდან მოყოლებული დღემდე რჩებოდა ჩემს სათაყვანებელ პიროვნებად. როგორც ძნელია, გვერდით ამოუყენო ვინმე ცოცხალთაგან გალაკტიონ ტაბიძეს, ასევე ძნელია გვერდით ამოყენება კი არა, შორიახლოს დაყენებაც კი უშანგი ჩხეიძესთან რომელიმე მისი თანამედროვისა.

გალაკტიონი ბედნიერია იმით, რაც გაუკეთებია პოეზიაში, ეს ყველაფერი დღესაც არსებობს და შეგვიძლია უშუალოდ ვეზიაროთ მის პოეტურ შედევრებს.

აღარაფერი, რაც შეუქმნია უშანგი ჩხეიძეს,

როგორც გენიალურ მსახიობს, აღარ არსებობს. ის ყველაფერი გაქრა, როგორც სიზმარი. დარჩა მხოლოდ ფოტოები; მსახიობი ამ მხრივ მწერალთან და მხატვართან შედარებით ჭეშმარიტად ტრაგიკული ფიგურაა; ზემოთ უკვე ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ნურავინ ეცდება თავის მოტყუებას — სიტყვით გადმოსცეს ის, რაც იყო სცენაზე უშანგი ჩხეიძე.

ვრეკავ ბინაზე უშანგი ჩხეიძესთან და ჩემთვის ჯერ პირადად უცნობ ქალბატონს, ვინც ყურმილი აიღო, მოვახსენებ, რა საქმის გამოც მსურს ბატონი უშანგის შეწუხება და... როდის შეიძლება მისი ნახვა. წუთიერი დუმილის შემდეგ (რაც ბატონ უშანგისთან მოთათბირებას დასჭირდა) იმ ქალბატონმა მითხრა — მობრძანდით, როცა გნებავთ, თუნდაც ახლავე.

მეც მაშინვე გავეშურე ყოფილ მოსკოვის ქუჩისაკენ, სადაც იმხანად ცხოვრობდა უშანგი ჩხეიძე ბიძაშვილთან — დავით ჩხეიძესთან ერთად.

კარს მიღებს და შინ მიწვევს ბატონ უშანგის და, ჯერ მისი სახელი არ ვიცი, არ ვიცნობ. ვდგავარ მოსაცდელში და მაინც არ მჯერა, რომ პირადად გავიცნობ ჩვენი საუკუნის უდიდეს მსახიობს, რომლის ურიელი, თორღვაი, გოდუნი, ყვარყვარე, კვეცენაძე თვალწინ ცოცხლად მიდგას. იღება ოთახის კარი და გამოდის მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი. რაღა თქმა უნდა, მაშინვე ვიცანი ბატონი უშანგი. ის ცოტა ზემოდან დამცქერის, თავშეკავებული, უცნობი სტუმრისათვის განკუთვნილი ღიმილით. საკვირველებაა, ცხოვრებაშიაც რარიგ გამორჩეული და თავისებურია, ახლა მისი რამდენიმე ნაბიჯის გადმოდგმაც კი შინ, ოთახში, უფრო მიმზიდველად მომეჩვენა, ვიდრე დიდი მსახიობები სცენაზე დადიან. დაბნეულმა, საკიდი რომ კედელზე ახლომახლო ვერ დავლანდე, არც ვაცივე, არც ვაცხელე; ხელში შემორჩენილი ჯოხი და ქუდი დაუდევრად კედლის კუთხეში მივყარე, ბატონ უშანგისკენ ნაბიჯი გადავდგი და... ძველებური წესისამებრ მკერდზე ვეამბორე. მან კი დახრილ თავზე საფეთქელთან მაკოცა.

ამ ამაღელვებელი შეხვედრის შემდეგ, მან ღია კარისაკენ მანიშნა ხელით და მეც შევედი ოთახში, სადაც დამხვდა ბატონი დავით ჩხეიძე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი და, ამავე დროს, მარჯანიშვილის უახლოესი მეგობარი. ბ-ნ დავითს ხელი თავაზიანად ჩამოვართვი; უშანგიმ მთხოვა, იქვე, სავარძელში დავმჯდარიყავი, თვითონ კი ტახტზე ჩამოჯდა და მითხრა — გისმენთ. მე სული უკვე მოთქმული მქონდა, ამიტომ სიტყვა დინჯად ნათქვამი გამომდიოდა. ბ-ნ უშანგის ვუთხარი: თეატრალური საზოგადოების გამომცემლობამ დამავალა თქვენი წიგნის გრაფიკული გაფორმება და იქნებ გაქვთ რაიმე წინასწარ გასათვალისწინებლად სათქმელი — როგორია თქვენი სურვილი წიგნის გაფორმებასთან დაკავშირებით-მეთქი. მან მითხრა — დიდი მადლობა, რომ ჩემს სურვილს ასეთ დიდ ანგარიშს უწევთ, მაგრამ ვხედავ, თქვენი სურვილია, წიგნი რაც შეიძლება კარგად გააფორმოთ და ეს ჩემთვის სრულიად საკმარისია. ისე, სხვათა შორის, თუ გაითვალისწინებთ... ვისურვებდი, წიგნის გარეგნულ იერში ხაზგასმული ყოფილიყო ცისფერი.

მე ვუთხარი, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, უსათუოდ გავითვალისწინებ თქვენს სურვილს-მეთქი.

ორივენი გავჩუმდით; ბატონმა უშანგიმ იფიქრა — სათქმელი აღარაფერი გვქონდა, ამიტომაც „აუდიენცია" დამთავრებულად ჩათვალა და წამოდგა. მეც მაშინვე ავდექი, თუმცა ასე ადვილად და მოულოდნელად არ ვაპირებდი მასთან გამომშვიდობებას, მაგრამ უმალ იმით ვინუგეშე თავი — წიგნს რომ გავაფორმებდი, ერთხელ კიდევ მოვახერხებდი მისი ჩვენების საბაბით მონახულებას და უფრო დინჯად გასაუბრებასაც.

ბატონი უშანგი გასასვლელისაკენ დაწინაურდა, მე კი საქაღალდე გავხსენი და ტახტზე დავდე ცალკე წიგნად გამოცემული ჩემი ნოველა „ყარიბი მგოსანი". იმ წამსვე წიგნი ხელში აიღო ბ-მა დავითმა, გადაფურცლა და მიძღვნით წარწერას რომ დახედა, უკვე კართან მისულ უშანგის უთხრა — უშანგი, ამ ყმაწვილს შენთვის წიგნი მოუძღვნია და მადლობას არ ეტყვი?

ბ-ნი უშანგი შემობრუნდა, დავითს წიგნი გამოართვა, მიძღვნითი წარწერის გადაკითხვის უმალ, გაოცებულმა შემომხედა და წამოიძახა — აჰ, ეს თქვენ ბრძანდებით ამ ნოველის ავტორი?! მე ხომ წაკითხული მაქვს ჟურნალში და მომწონს! რას ამბობთ, ზოგი ადგილი ხელმეორედაც კი გადავიკითხე... ტატო რომ ზერს ხვდება მთაწმინდის ფერდობზე, მათი საუბარი... ან კიდევ ქეიფის სცენა. აგერ, დავითიც მყავს მოწმედ, როგორც გითხარით, ნოველა ძალიან მომწონს! დაბრძანდით, ბატონო ლადო, მე თქვენ ასე ადვილად ვეღარ გაგიშვებთ... ხომ არსად გაგვიანდებათ?

თავს ერთდროულად უხერხულად და ბედნიერად ვგრძნობ, ისე ფანტასტიურად შეიცვალა მიღების ატმოსფერო. მერე-და, როგორ მომმართა ბატონმა უშანგიმ — ბატონო ლადო!

ბატონი უშანგიც აღელვებულია. თავის სიხარულს ვეღარ ფარავს... უცნობი მხატვარ-გრაფიკოსი ესტუმრა და... მწერალი კი შერჩა ხელში. ერთი წუთის შემდეგ, ტახტის ახლოს, პატარა, დაბალ მაგიდაზე გაჩნდა ღვინო, მომცრო თლილი ჭიქები, მომცრო თეფშები, მწვადი, ყველი, ხილი.

თუ წეღან „აუდიენცია" ათ წუთში დასრულდა, ახლა „გაგრძელებამ" თითქმის

ორ საათს გასტანა. მე, მართალია, მჭადი და ყველი მორცხვად გადავილე, ღვინოსაც არ ვეძალებოდი, მაგრამ სამაგიეროდ ჩემი შორეული შთაბეჭდილებების გამხელაში ვიჩენდი სითამამეს. ვუამბობდი ბ-ნ უშანგის, მისმა, ამა თუ იმ როლმა რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და რა მახსოვდა დღემდე. ის ერათუ თავშეკავებით იცინოდა კმაყოფილების ნიშნად, პირდაპირ ხარობდა, როცა მე ჩემეულ შეფასებას ვაძლევდი მის სცენურ ჯადოქრობას. ერთი ორჯე ბ-ნმა უშანგიმ თავი ვერ შეიკავა, არ ჩაერთო სიტყვა და არ დაედასტურებინა — ნამდვილად გინახავთო. მაგალითად, „ლამარაში“, მურთაზისა და თორღვაის შერკინების დრამატულ ეპიზოდთან დაკავშირებით ბატონმა უშანგიმ მე და ბ-ნ დავითს გვიამბო სიცილით — აკაკი ვასაძემ მითხრა: უშანგი, თუ ძმა ხარ, ერთი რამე უნდა გთხოვო და უარს ნუ მეტყვიო: — ხმალს რომ ვიშიშვლებთ და ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გავიწევთ, რა იქნება, მაშინ დამკრა, როცა ლამარას შეკივლებაზე მისკენ გავიხედავო. მე ვუთხარი — არაფერი არ იქნება იმის მეტი, რომ მე ლაჩარი გამოვალ, შემთხვევით ვისარგებლებ, აწით გაჯობებ და არა ვაჟკაცობით, პიესაში კი თორღვაი ნამდვილ ვაჟკაცად არის წარმოსახული-მეთქი. მიუხედავად ამისა, აკაკი იმდენად მიყვარდა, მის ოსტატობას, სცენურ კულტურას ვაფასებდი და ერთი ორჯერ ისე გავაკეთე, როგორც მთხოვა. მაგრამ მერე, არ ვიცი, რატომ, აკაკიმ მითხრა — ამას ნუღარ ვიზამთ... — რა გაეწყობა, მაჯობოს მურთაზს ვაჟკაცობაში თორღვაიმო.

სამწუხაროდ, ყველაფერი ვერ დავიხსომე, რაც იმ დღეს გულახდილ და გულითად საუბარში ითქვა.

ჩვენი მეორე შეხვედრიდან დაწყებული, ბატონ უშანგის ხშირად სძლევდა სურვილი, თავისი ლაბორატორიიდან რაიმე გაენდო ჩემთვის. ამ სურვილს წინ უსწრებდა ეჭვნარევი კითხვა — ბატონო ლადო, შესძლებს, თუ იცით?!

ეს კითხვა ანდრო თევზაძეზე საუბარს მოჰყვა. პოეტი ანდრო თევზაძე ხშირად დადიოდა უშანგისთან, რათა რაც შეიძლება მეტი შეეტყო მისი ცხოვრების შესახებ, რაკი განიზრახა მასზე მონოგრაფიის დაწერა. ანდრო თევზაძე, ჩანს, მთლიანად კმაყოფილდებოდა ბიოგრაფიული მომენტებით და ამ ბიოგრაფიიდან როგორღაც გამორიცხული ჩანდა შემოქმედებითი მხარე ხელოვანისა. ამან უთუოდ გააკვირვა და დააფიქრა ბატონი უშანგი და, ალბათ, ამიტომაც მომმართა იმ ეჭვნარევი კითხვით.

მე ელდა მეცა. აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა, როგორ „გადამერჩინა“ ბატონი უშანგიც და ანდროც.

ბატონი უშანგი პასუხს ელოდა და მეც იძულებული ვიყავი, მეპასუხა: — ბატონო უშანგი, წარმოვიდგინოთ საზეიმო სხდომა, რომელიც ეძღვნება თქვენს ცხოვრებასა და შემოქმედებას, ანდრო თევზაძის მონოგრაფია, ჩემი აზრით, იქნება შესავალი სიტყვა ამ საზეიმო სხდომაზე. მთავარ დანიშნულებას თევზაძის მონოგრაფიისა მე ამაში ვხედავ და, დარწმუნებული ვარ, ამ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვას უსათუოდ მოჰყვება სათანადო რეაქცია.

ანდრო თევზაძემ დაწერა მონოგრაფიული ნაშრომი ბატონ უშანგის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მისი ძირითადი მომენტების გათვალისწინებით. შემოქმედების გაანალიზების დროს ავტორი ძირითადად ეყრდნობა პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებსა და რეცენზიებს ცალკეულ სპექტაკლებზე, სადაც მისი ავტორები ცხელ კვალზე გადმოსცემენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

მე მგონია, რომ ამ ნაშრომით ბატონი უშანგი უფრო კმაყოფილი იყო, ვიდრე უკმაყოფილო, რადგან სხვა და უკეთესი ჯერჯერობით არაფერი მოიპოვებოდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ხომ ვართ უცნაური ერი? ესაა სამართალი?! გვყავდეს ამოდენა ხელოვანი, სცენის გიგანტი, გვყავდეს ამავე დროს ამდენი ხელოვნებათმცოდნე, გვყავდეს ამდენი თეატრმცოდნე და ასეთ ხელოვანზე დღემდე არ იყოს დაწერილი არც ერთი მონოგრაფია, ანდრო თევზაძის კეთილშობილურ ნაბიჯამდე ან თუნდაც მის მერე არ იყოს გადადგმული არც ერთი ნაბიჯი. არ იყოს დაწერილი არც ერთი ვრცელი თუ მოკლე მოგონება (მოგვიანებით ეს გააკეთა ბ-ნ უშანგის უმცროსმა დამ ქ-ნმა ნინაკო ჩხეიძემ). ახევე, არ მოგვეპოვება ბ-ნ უშანგის ნამოღვაწარის შეფასება, შეჯამება თუნდაც იმ სახით, რომ გამოცემული იყო ახე თუ ისე ღირებული წერილები და რეცენზიები, რაც გამოქვეყნებულა პერიოდულ პრესაში. არა! ყველაფერი რაღაც ვენდეტადაღებულივით გამოიყურება მის სიცოცხლეშიაც კი. წმინდა ქართული ხასიათის რაღაც უკუღმართი თვისების („თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება“. ვაჟა-ფშაველა) გარდა „ვეტოს“ თავის დროზე უთუოდ განაპირობებდა ავადსახსენებელი 36-37-38 წლები. ვინდა არ დაიჭირეს და მოსპეს ძალიან დიდიც თავის ხელობაში და სახელოვანიც, მაგრამ ორ მათგანს, დაჯერა, ჩემი ღრმა რწმენით, მაინც ვერ გაუბედეს. ესენი იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე და უშანგი ჩხეიძე. ახევე ვერ გაუბედეს ხელის ხლება კოტე მარჯანიშვილს, თუმცა მან გაბედა და კაბეთში, ერთ-ერთ წვეულებაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის სადღეგრძელო დალია. აქ მარტო გაუბედაობის ფაქტორი არ იყო. ეს იყო პოლიტიკაც. აქაო და, ყველას არ ვიჭერთ, თუნდაც „შემჩნეულებსო“. და თუ დასჭირდებოდათ თავის მართლება, დაგვისახელე-

ბდნენ თუნდაც ზემოთ ჩამოთვლილებს. კერძოდ, უშანგი ჩხეიძე ძალიან ახლოს იცნობდა 1924 წლის აჯანყების სულის ჩამდგმელთაგან არაერთს და ძალიან ადვილი იყო შარის მოდება, მაგრამ, ფაქტია, რომ ვერ მოსდეს, თუნდაც ზემოთ აღნიშნული მოსაზრებითაც.

სწორედ ჩემი ამ მეორედ წვევისას აეშალა როგორღაც ბატონ უშანგის „სადერდელი", ზოგი რამ გაეხსენებინა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან. ვინ იცის, იქნებ ფიქრობდა და სურდა, მეც დამეწერა მასზე რამე და ამ სურვილს განაპირობებდა მის მიერ წაკითხული ჩემი ნოველა „ყარიბი მგოსანი".

ამჯერად ბატონმა უშანგიმ გაიხსენა კარლო კალაძის პიესასთან („ხატიჯე") დაკავშირებული ამბები. იმ ზაფხულს, მარჯანიშვილმა რომ „ხატიჯეს" დადგმა გადაწყვიტა (და მთავარი გმირის — გულბაათის თამაში მე მხვდა წილად, ბახმაროზე ვისვენებდით. მე ძალიან გამიჭირდაო — თქვა ბატონმა უშანგიმ, — გულბაათის ცოცხლად წარმოდგენა, როგორ უნდა შევდგომოდი მის სცენიურ ხორცშესხმას, ხასიათის ძერწვასო. არ ვამხელდი, მაგრამ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი, ვერა და ვერ წარმოვიდგინე ეს მოხუცი აჭარელი სცენურად გაცოცხლებული და არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდიო. და, აი, ერთხელ დასასვენებელი სახლის წინ რომ ვიყავით ფერდობზე წამოწოლილი სამი თუ ოთხი მსახიობი, ჩვენთან ამოვიდა ერთი მოხუცი აჭარელი. მხრიდან ჩამოიღო ხურჯინი და გვითხრა — გინდათ თუ არა, ჩემი ყველი უნდა იყიდოთო. გაგვეცინა. სულგუნი გავხსენჯეთ, მოგვეწონა და ხურჯინის ნახევარი თვალი თითქმის გავუცალეთ. მოხუცი ძალიან კმაყოფილი გამოიყურებოდა. მერე ხურჯინი ისევ მხარზე გადაიკიდა და წავიდა. მე უნებლიეთ თვალი გავაყოლე. ჩემი ყურადღება იმან მიიქცია, რომ მოხუცი აჭარელი სიარულის დროს, თითქოს ჩაზუქნაო, მუხლებში ფეხებს შესამჩნევად ხრიდა, ამ ცოცხალმა დეტალმა — სიარულის დროს მუხლებში ჩაკეცვამ — გამიხსნა და დამანახვა გულბაათის ხასიათიო.

მართალია, ყოველთვის მქონდა სურვილი, შევხმიანებოდი, მივხვლოდა, გავხაუბრებოდი ბატონ უშანგის, მაგრამ იმასაც ვფიქრობდი, რომ ძვირფასი დრო დამეზოგა მისთვის, ვიცოდი, რომ ის ხშირად ავადმყოფობდა ან ხაქმიანობდა, ფიქრობდა, ცოტ-ცოტას კიდევაც წერდა და, ამავე დროს, იყო ბალხი და საკმაოდ ბევრიც, სხვა თუ არაფერი, ტელეფონით გასაუბრება რომ სურდა მასთან. ამას ყველაფერს ხომ დრო, განწყობილება სჭირდებოდა. ამიტომაც თავს უფლებას არ ვაძლევდი, ხშირად შევხმიანებოდი, „ბოროტად" გამომეყენებინა მისი ჩემდამი კეთილგანწყობილება, მით უმეტეს, რომ მწარედ მქონდა გამოცდილი ზოგიერთი ნაცნობის მიუხვედრელობა (თუ შეუგნებლობა არა), დილით რომ გესტუმრება და სალამომდე აღარ მოგეშვება, თითქოს მოცლილი იყო და ის უფასოდ გართობდეს.

ერთი სიტყვით, რამდენადაც შემეძლო, თავს ვიკავებდი. აგერ, 1951 წლის 14 ოქტომბრის ჩანაწერიც ამას ადასტურებს — ამ რამდენიმე დღის წინ, დიდი ხნის შემდეგ კვლავ ვინახულე ბატონი უშანგი. მე თვითონ გამიკვირდა, ამდენ ხანს მის უნახავად თავი როგორ შევიკავე. როგორც თავიდანვე მთხოვა, და გამაფრთხილა, წინასწარ ტელეფონით დავურეკე, მაშინვე მიცნო. საკვირველია, რომ სრულებითაც არ დავვიწყებივარ. უკანასკნელად მასთან ხომ 1949 წლის ოქტომბერსა თუ ნოემბერში ვიყავი. ახლაც დიდის მღელვარებით შევეგებე.

ბატონი უშანგი თითქმის ისეთივე მეჩვენა, როგორც მაშინ. ახლა, შეიძლება, ოდნავ გაფერმკრთალებული, იქნებ ცოტა გამხდარაკიდევაც. რაღა თქმა უნდა, ოთახში გამუდმებით, გარეთ გამოუსვლელად ყოფნა (თუმცა, როგორც მხმენია, ლამლამობით სახლის წინ ცოტა ხნით გამოდიოდა და სეირნობდაო), ოთახში გატარებული დღეები, წლები მის ჯანმრთელობაზე უთუოდ გარკვეულ დაღს აჩენს, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთია ბედის თუ ბედისწერის განაჩენი. ოთახში შესვლის უმალ ბატონმა უშანგიმ შემომთავაზა სავარძელი, თვითონ კი ტახტზე წამოწვა, თან მოიბოდიშა — ასე უფრო უკეთ ვგრძნობ თავსო. ცოტაოდნად მღელვარება რომ დავიცხრე, ვკითხე — როგორ ბრძანდებით, თუ მუშაობთ რამეზე-მეთქი. მან შემომჩივლა — ბედნიერი ვიქნებოდი, წერა მაინც რომ შემეძლოს, ერთ გლახა პიესას (მისი სიტყვებია) მეც დავწერდიო. ამ მხრივ „გიორგი სააკაძე" ჩემი პირველი ნაბიჯი და კალმის პირველი მოსინჯვა იყოო.

ბატონი უშანგი, როგორც მითხრა — უჩივის რაღაც სპაზმებს. ხელი მხარსა და ფერდზე მიიდო და გაიმეორა — ეს რომ არ მიშლიდესო. მე მეგონა, გულს უჩიოდა, მაგრამ მან ამიხსნა — სპაზმები... წერის საშუალებას არ მაძლევსო. არ შევიმჩნიე, მაგრამ ძალიან შევწუხდი.

უცქერი ამ დიდებულ ხელოვანს, რომლის იერს კიდევ შერჩენია მიპნოზირების ძალა და გიკვირს, ასე ბავშვივით სპეტაკი და გულწრფელი როგორ არის ეს ამოდენა ვაჟკაცი. მისი დინჯი საუბარი, გამოკვეთილი სიტყვა ზღერითურთ რაღაც გამაკეთილშობილებლად მოქმედებს მსმენელზე.

არ მინდოდა, დამელალა იგი ჩემი ამბების თხრობით, მაგრამ არ მომეშვა, სანამ არ შეიტყო, რას ვაკეთებ, რაზე ვმუშაობ. მე დავყევი მის ნებას და ვუამბე, რომ ვწერ რომანს ქართველ მეშახტეთა ცხოვრებაზე, (მაშინ როგორ გავბედავდი იმის გამხელას, რაც რომანის ჩანაფიქრის სიღრმეში იდო). ამასთან და-

კავშირებით ბატონმა უშანგიმ გაიხსენა თავისი ყოფნა და ნაცნობობა ჭიათურელ მაღაროელებთან. დედამისი, ქალბატონი ქრისტინე ხომ ჭიათურელი იყო; რაკი ჭიათურა ახსენა, ვალერიან შალიკაშვილიც არ დავიწყებია. ჭიათურა უფრო მისი წყალობით მახსოვს, შალიკაშვილის სცენაზე ხილვა იყო ჩემთვის პირველი ელდაო.

ვისაუბრეთ თითქმის საათ-ნახევარი ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე. უსმენ და განცვიფრებს მისი ალღო და აბსოლუტური გემოვნება. საუბარში ისიც თქვა, ვაპირებ, წავიკითხო ილია ჭავჭავაძის „გოსტაშაბიშვილიო“ ამ წაკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შემოქმედებაში ბევრი რამ ქვეცნობიერია და წინასწარ გაუთვალისწინებელიო. თავად კითხვის დროს იქმნება სათანადო განწყობილების წილი, რიტმი და კილოცო. მერე მოულოდნელად შემომჩივლა — რამდენჯერმე ვცადე ბარათაშვილის „მერანის“ წაკითხვა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ეს ოთახის კილოში წასაკითხი ლექსი არ არის, ალბათ, უნდა გადმოდგე მამადავითზე და იქიდან ამცნო ეს „მირბის, მიმაფრენს“ სამყაროსო. ბარათაშვილის სტრიქონები შორიდან ქუხილივით უნდა მოგესმოდესო...

მე, აქამდე რომ ველოდი შესაფერის მომენტს, ასე ვთქვათ, დრო ვიხელთე და ვუთხარი, სწორედ გუშინ მოვისმინე-მეთქი თქვენს მიერ სულის შემძვრელად წაკითხული „ჰამლეტის“ მონოლოგები — „რად არ მეშლება ეს სხეული...“ და „ყოფნა-არყოფნა“. თუ „მერანი“ ოთახში სათქმელი ლექსი არ არის, იქნებ ამის მერე მაინც ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარსა“ და „სული ბოროტის“ ეყოს ოთახის სივრცე-მეთქი.

ბატონმა უშანგიმ გაიღიმა და მითხრა: — ეგ ლექსები, რა თქმა უნდა, უფრო ინტიმური ელფერის მატარებელნი არიან და, ვინ იცის... ცდა ბედის მონახევრეაო.

ისევ გაჩნდა იმ დაბალ, მომცრო მაგიდაზე ღვინო, თლილი ჭიქები. ამის შემხედვარემ, ბატონ უშანგის ახლაც მორიდებით ვთხოვე, ნუ აწუხებთ შინაურებს-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა. ამჯერად ღვინოს მოჰყვა ცხელ-ცხელი ხაჭაპურები. გავსინჯე ხაჭაპური და ავწიე ჭიქა, სულითა და გულით შევსვი ბატონ უშანგის სადღეგრძელო — შინ ბრძანდებით და ზოგიერთებს ახლაც ეშინიათ თქვენი და, როცა სცენაზე გამოდიოდით, მაშინ რაღა უნდა დამართოდათ-მეთქი. შური გვჭამს და გვღრღნის, ჩვენთან არავინ ისე არ შეგეცოდება, როგორც ნიჭიერი კაცი-მეთქი!

მისმენდა ჩუმად, თუმც აშკარად ხევდამორეული.

ჩემს სადღეგრძელოს მოჰყვა მისი ერთი ალხარებასავით მოგონება, რომელიც არ შეიძლება ჩემგანაც არ იცოდეს საზოგადოებამ, რაკი ბატონმა უშანგიმ ინება, საჭიროდ ჩათვალა, ამის შესახებ მეც მცოდნოდა. არ ვიცი, იქნებ ჩემი გულისტკივილის დასადასტურებლად დასჭირდა იმისი გახსენება. ბატონი უშანგი ყვება: ჩემთვის მარჯანიშვილის თეატრში სპეციალურად ჩამოყალიბებულ სტუდიას უნდა ჩავდგომოდი სათავეში. ამან ძალიან გამახარა, გამამხნევა და მუშაობის ხალისი დამიბრუნა. წავედი წალვერში. სამი თვე იქ დავყავი. თავაუღებლად ვმუშაობდი. შევადგინე ვრცელი სამუშაო გეგმა. თბილისში საუცხოო გუნებაზე დაბრუნებულს იმედი გამიცრუვდა, მხარი არ ამიბეს...

გულდამძიმებული წამოვედი. რითღა უნდა მეცა ნუგეში, რითღა გამემხნევებინა ყოველივე ამის მომსწრე გენიალური ხელოვანი და დიდი მამულიშვილი.

უსიამოვნო კი არა, პირდაპირ თავზარდამცემი შემთხვევები მსმენია, რაც ბატონ უშანგის ცხოვრებაში გადაუტანია. თითქოს მარტო ის არ კმაროდა, რომ რაღაც ბედისწერამ, ვიღაცის ნებამ მას პატიმრობასავით მიუსაჯა შინ ყოფნა, თეატრს რომ საერთოდ არ გაკარებოდა და მის სახელს არ ეხმაურა (ვერც მარჯანიშვილს, ვერც ვერიკოს, ამის შესახებ, ჩანს, ბატონმა უშანგიმ ვერაფერი გაუმხილა და მისი მდგომარეობა „ავადმყოფობით“ სურდათ აეხსნათ). ვიღაცას ძალიან უშლიდა ეს „ხმაური“ და, რაკი მოხერხდა მისი დაყოლიება გაუჩინარებაზე, მის სიცოცხლესაც უკვე საშიშროება აღარ მოელოდა.

ერთხელ ჩემს შეკითხვაზე — რა იყო მიზეზი ბატონი უშანგის თითქმის შინაური პატიმრობისა, ნუთუ ამისი ამოცნობა, მიკვლევა, „ფრჩხილის“ გახსნა არ შეიძლება-მეთქი, ანდრო თევზაძემ ჯერ გულიანად გაიცინა, ჩანს, მოულოდნელად ისეთ სიმს შევეხე... მერე გაშტერებით მომაპყრო ეჭვნარევი მზერა, თითქოს სურდა შეეტყო — ხომ არ მცდისო და... წუთიერი დუმილის შემდეგ, დიდ საიდუმლოს რომ უმხელენ ხოლმე მოსაუბრეს, იმ კილოთი მითხრა — შენ რა გულთმისანივით ჩამკითხავ... სწორედ მაგ ამბის კვლევით ვარ ახლა დაკავებული და მგონია რაღაცას ვუახლოვდებიო.

არ ვიცი, რა ბედი ეწია „იმ ამბის“ კვლევას — რას მიუახლოვდა ანდრო თევზაძე. იქნებ მის ჩანაწერებში მართლაც დარჩა მიკვლევის რაიმე კვალი და ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო გამხელისა.

ავადმყოფობაო, გადაღლაო, რომ ირწმუნებიან, ეს მე მგონია, ნამდვილი მიზეზისგან გადახვევას და თვალის ახვევას უფრო ჰგავს, რადგან ასე უფრო ხელსაყრელია ზოგიერთებისათვის.

ქართული თეატრის ასი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდებით უნდა დაჯილდო-

ებულიყო დრამის თეატრის მსახიობი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამ წოდებას მიანიჭებდნენ უშანგი ჩხეიძეს და, მგონია, ზოგიერთები წინასწარ ულოცავდნენ კიდევაც, მაგრამ... იგი მიანიჭეს ოპერის თეატრის მსახიობს — სანდრო ინაშვილს. სანდრო ინაშვილი, ვანო სარაჯიშვილთან ერთად რომ მოვლენა იყო ქართულ საოპერო ხელოვნებაში, ამას არ სჭირდება მტკიცება, მაგრამ ამ შემთხვევაში არაფერ შუაში არ იყო ოპერის მომღერალი — შესრულდა ქართული დრამის თეატრის ასი წელი და არა ოპერის თეატრისა.

საზოგადოებაში, ცხადია, შეიქმნა უხერხული მდგომარეობა. თვითონ ბატონმა უშანგიმ კი ეს, რა თქმა უნდა, დამცირებად აღიქვა, რისი მოთმენაც ასე ძნელია.

1950 წლის ორ დეკემბერს გავიარე „მნათობის" რედაქციაში, სადაც ცხარე კამათის გაგრძელებას შევესწარი იმის თაობაზე, თუ ვის უფრო ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება. ერთი პიროვნების გარდა, ყველა იმ აზრისა იყო, რომ, რასაკვირველია, ის ეკუთვნოდა უშანგი ჩხეიძეს. მეც ამ აზრისა ვიყავი და ვთქვი ეს კიდევაც, როცა პირველად შევიტყვე ეს ამბავი. ჩემს ნათქვამს მოვაყოლე სადღაც გაგონილი თუ წაკითხული: არ ვიცი, გერმანიაში, თუ ავსტრიაში ყოფილა ერთი ბრწყინვალე შემსრულებელი მოცარტის ნაწარმოებებისა და მიღებული ჰქონია აუარებელი ჯილდო. ვიღაც ხელით შეხებია ანტრაქტის დროს ამ ჯილდოებით მკერდგადაჭედილ პიანისტს და უთქვამს მისთვის — ეს რამდენი მედალი დაგიმსახურებიათ მოცარტის ნაწარმოებთა შესრულებისათვის, მოცარტს კი, მგონია, ერთი ჯილდოც არა ჰქონია!

პიანისტს მშვიდად მიუგია იმ მუსიკისმოყვარულისათვის:

—მოცარტს ეს არც სჭირდებოდა.

მართლაც, რაში სჭირდებოდა უშანგის ღვთაებრივ ნიჭს მედალი იქნება თუ წოდება-მეთქი.

— ახლა მართლაც აღარ სჭირდება, — თქვა ერთ-ერთმა იქ მყოფმა.

— რატომ მაინცდამაინც „ახლა", — შევნიშნე მე გაკვირვებით.

—იმიტომ, რომ... არ გაგიგიათ? გარდაიცვალა... ამ საღამოს, ხუთ საათზე სამკურნალო კომბინატიდან უნდა გამოასვენონ...

მოულოდნელობისაგან მეტყველების უნარი დავკარგე. ყველანი ვიდექით უაზროდ გარინდებულები და დამწუხრებულები.

გამოუმშვიდობებლად გამოვბრუნდი უკან. დღის ორი საათი იყო. სამკურნალო კომბინატისაკენ გავეშურე. ნუ დაუჯერებ, თუ გინდა, რუსთაველს — „ცდების და ცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად". რას წარმოვიდგენდი, რას ვფიქრებდი!.. მე ვიცოდი, რომ ბატონი უშანგი თავს უკვე კარგად გრძნობდა და საავადმყოფოდან დღე-დღეზე შინ უნდა დაბრუნებულიყო. ვფიქრობდი — ერთ კვირას ვაცლი და მერე უსათუოდ შევეხმიანები, ვინახულებ, მისთვის გადადებულ, მიძღვნითი წარწერით დამშვენებულ ჩემს ახალ წიგნსაც („ახალი ჰორიზონტი" I ნაწილი), მივართმევ-მეთქი.

ვიარე აქეთ-იქით სამკურნალო კომბინატის ეზოში, კორპუსებს შორის და, ბოლოს, როგორც იყო პირველ სართულზე მივაგენი იმ ოთახს, სადაც ესვენა ბატონი უშანგის ცხედარი, რკინისჩარჩოიან, ბადით ამოკრულ საკაცეზე. პირველად თვალში გეცემოდათ კარისაკენ მოშვერილი ტუფლების ლანჩა და კოჭებთან მავთულით შეკრული ფეხები. ვიდრე დავინახავდი ამ ზეწარგადაფარებულ ცხედარს და შორ კუთხეში საცოდავად მიმჯდარ ბ-ნ დავით ჩხეიძეს, კიდევ არა მჯეროდა, რომ ეს ყველაფერი სასტიკი სინამდვილე იყო...

ამ პატარა ოთახში უკვე თავი მოეყარათ ბატონ უშანგის ახლო მეგობრებს და მსახიობებს. ჩემი მისვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა ქალბატონი ვერიკო. მიუახლოვდა საკაცეს. ზეწარი ცხედრის თავთან ოდნავ ასწია, დახედა. მერე ჩამოსწია და ყბებს ქვემოთ შემოუკეცა. გამოჩნდა ნაცნობი, ღვთაებრივი, მაგრამ გაფითრებული სახე. თვალში გეცემოდათ შავი, გრძელი წარბები. ეშხიან ელვარე თვალებს კი სამუდამოდ ჩამოფარებოდათ დიდრონი ქუთუთოები. ბაგეები უფრო მკაცრად მოკუმული ჩანდა, ვიდრე სიცოცხლეში ჰქონდა. მის სახეს, ნილაბივით უძრავს, გაფითრებულს, ეფინა რაღაც სხვაგვარი იერი. ეს არ იყო ჩვეულებრივი მიცვალებულის სახე, რომელიც დამორჩილებია ბუნების განაჩენს. ბ-ნ უშანგის სახეს სიკვდილის შემდეგაც შეენარჩუნებინა რაღაც დიდბუნებოვნების ბეჭედი, რომელიც უნებლიე გაკვირვებას და მოწიწებას იწვევდა...

ჩვეულებრივი ამბავი იყო ის, რომ პანაშვიდებზე მოდიოდა მთელი თბილისის და მთელი საქართველოს სხვადასხვა რაიონებისა და ქალაქების ინტელიგენცია; მწერალთა სასახლიდან დიდუბის პანთეონამდე მადლიერმა თანამემამულეებმა მანქანით კი არ წაასვენეს, ხელით ატარეს სცენის ამ დიდოსტატის ნეშტი.

როდესაც უშანგი ჩხეიძეზე ფიქრობ, შეუძლებელია, იქვე არ გაგახსენდეს კოტე მარჯანიშვილი და მისი ორი დიდი დამსახურება: ქართული თეატრის აღორძინება და უშანგი ჩხეიძის აღმოჩენა.

1928 წელს აკაკი ფალავა რუსთაველის თეატრის სცენაზე დგამს შექსპირის „ჰამლეტს" და ამ დადგმაში თავის ყოფილ სტუდიელს უშანგი ჩხეიძეს (რომელმაც ამ დროისათვის მარჯანიშვილის დადგმებში უკვე შეასრულა რამდენიმე ეპიზოდური როლი) აძლევს სათამაშოდ როზენკრანცის როლს. 1926 წელს კო-

ტე მარჯანიშვილი დგამს „ჰამლეტს“ და უშანგი ჩხეიძეს ანდობს ჰამლეტის როლის თამაშს. გაკვირვებულია უშანგი ჩხეიძე, გაკვირვებულია მთელი დასი და თეატრალური საზოგადოებრიობა, მაგრამ მარჯანიშვილმა იცის, რასაც აკეთებს. ის თურმე აგერ, ორი წელიწადია აკვირდება სცენაზე ამ ახალგაზრდა მსახიობს და ბოლოს მიდის იმ დასკვნამდე, რომ იპოვა... ჰამლეტის როლის შემსრულებელი.

„ჰამლეტის“ გენერალური რეპეტიცია შედგა 1925 წლის 12 ნოემბერს. ამ დღეს მაყურებლებმა ირწმუნეს, რომ უშანგი ჩხეიძის სახით ქართულ სცენას მოევლინა გენიალური მსახიობი. სპექტაკლის დამთავრებისთანავე, დილის სამ საათზე აკაკი ფაღავა, აფორიაქებული წარუშლელი შთაბეჭდილებებით წერს წერილს კოტე მარჯანიშვილს, სადაც, კერძოდ უშანგი ჩხეიძის შესახებ, ამბობს: „იგი რომ ნიჭიერი მსახიობი იყო, ახალგაზრდობის ყველა მეგობრები ვამბობდით მისი მოსვლის პირველი დღიდანვე, მაგრამ რომ ის ასეთი დიდი ინტუიციის პატრონი იყო, დღემდის არ ვიცოდი“-ო.

პატიოსანი ადამიანის და ხელოვანის ეს გულახდილობა უდავოდ ამშვენებს აკაკი ფაღავას პიროვნებას. ამის შემდეგ, თუ არ ვცდები, მგონია მას აღარც გამოუთქვამს სურვილი, რაიმე დაედგა სცენაზე.

დიდი, დიდი საქმეა, ღვთით ბოძებული ნიჭია აღმოჩენის ნიჭი. ამ თვისებით ბუნებამ უხვად დააჯილდოვა კოტე მარჯანიშვილი. უშანგის გარდა მისა აღმოჩენილია ქართული სცენის არა ერთი მშვენება და მათ შორის გიორგი შავგულიძე. მისივე აღმოჩენილია დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე, ავტორი „ყვარყვარე თუთაბერისა“. არც პირველ, არც მეორე შემთხვევაში მას მხარდამჭერნი არ ჰყოლია. პირიქით, სიცილად არ ეყოთ მისი მორიგი „ახირება“.

სტანისლავსკი ამბობს — „ნიჭიერი ადამიანის თვისებაა — აღმოაჩინოს ნიჭიერება მეორე ადამიანში“. ეს თვისებაა, როგორც ვთქვით, უხვად ჰქონდა მომადლებული კოტე მარჯანიშვილს, რისი წყალობითაც დღემდე, მისი სახელი ქართველის ცნობიერებაში შარავანდედით არის მოსილი.

ერთხელ ბატონმა ლადო გუდიაშვილმა გაიხსენა: საქართველოში სტუმრად იყო უცხოეთში დაბადებული და ამჟამად უცხოეთის მოქალაქე ერთი ჩვენი თანამემამულე. სუფრაზე, სადაც ვიღაცამ ახსენა „ჰამლეტის“ ახალი დადგმა, უცხოელ ქართველს ვკითხეთ — ხომ არ გაქვთ სურვილი ამ ახალი სპექტაკლის ნახვისა. აქ შესანიშნავად ასრულებს ჰამლეტის როლს ერთი ახალგაზრდა მსახიობი-მეთქი. გაეცინა, რას ლაპარაკობთ — გვითხრა. თითქმის ყველა ქვეყნის გამოჩენილი მსახიობის შესრულებით მაქვს „ჰამლეტი“ ნანახი და, თუ ღმერთი გწამთ, შთაბეჭდილებას ნუ გამიფუჭებთო. აქ „ჰამლეტი“ როგორ უნდა დაედგათ ან ამ როლს ისეთი ვინ უნდა თამაშობდეს, რომ ნახვად ღირდესო. არ მოვეშვით. ბოლოს დაჰყვა ჩვენს ნებას. წამოვიდა, ნახა და მის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. ხელებს შლიდა და გაიძახოდა — არაფერი ამისა მსგავსი ევროპაში არ მინახავს, უშანგი ჩხეიძე ყველა ევროპელ დიდ მსახიობს მირჩევნია ჰამლეტის როლშიო.

ეს ყველაფერი, რაც გავიხსენე, განზრახ არ დამიმძიმებია ჩემეული განაზრებებით იმ როლებისა, რომელთა ნახვის ბედნიერებაც მქონდა უშანგი ჩხეიძის შესრულებით. ამისი მთავარი მიზეზი მარტო ის არ არის, რომ არც დიპლომიან და არც უდიპლომო თეატრმცოდნედ არ ვთვლი თავს. სულ ერთია, ამას ბატონ უშანგიზე უკეთესად ჯერჯერობით ვერავინ ახერხებს. საბედნიეროდ, თვით ბატონმა უშანგიმ იზრუნა თავის მიერ ნათამაშევი როლების ახსნასა და ნაწილობრივ შეფასებაზეც. მით უმეტეს, ამ შეფასებაში არ არის არც თავბრუდახვევა და არც რაიმე გადამეტება. ბატონ უშანგის ამ მხრივ, ვფიქრობ, ყველაზე ეჭვიანიც კი უნდა ენდოს, უფრო მნიშვნელოვანი რაღა უნდა იყოს, როცა ხელოვანი თვითონ გახედებს თავისი სულის უძიროებაში.

თუ ბატონ უშანგის „აღმოჩენის“ იღბალი დაჰყვა, სამაგიეროდ, სხვაგვარ იღბალზე ამ წლებში ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ვერ მოხერხდა გასტროლები უცხოეთში, რომ ეს დიდი მსახიობი იქაც გაეცნოთ, ეღიარებინათ.

როგორ გვჭირდება დღეს ახალი ტალანტების აღმოჩენა. მით უმეტეს, რომ ახლაც შეინიშნება ზოგიერთში იმ მადლის ნაპერწკალი, რასაც შეუმჩნეველი ნიჭი ჰქვია. რას იზამ... ეს ნიჭიერებანი დღეს ისე კი არ გამოიყურებიან, როგორც თევზი წყალში, არამედ უფრო როგორც ლომი გალიაში. თეატრის მიზანი — აჩვენოს მაყურებელს გარდასახვის სასწაული, როგორადაც შეწყვეტილია. გარდასახვის სასწაულამდე მსახიობი ვეღარ მიდის. ის „კმაყოფილდება“ როლის გამომჟღავნებით, ამიტომაცაა ასე ბევრი ყვირილი სცენაზე და ასე ცოტა არტისტული მიგნებები და... ურტყანტელი.

როდის მოვა კიდევ კაცი აღმოჩენის ნიჭით, მსგავსი მარჯანიშვილისა, და როდის იხილავს ქართული საზოგადოება უშანგი ჩხეიძის მსგავს ჯადოქარს ქართულ სცენაზე?

ვინ მოვა, ვინ გაიმეორებს წვალ გზას როზენკრანციდან ჰამლეტამდე! ვის უმზადებს განგება ამ გზის გავლის ბედნიერებას!

## როსტომ ჩხეიძე

# შურისგება

## კარი მეორე

### თავი I

### მინდიას საწუხარი

ვაჟა-ფშაველას ეპიკურ ქმნილებებში უმწვავესად არის გამოკვეთილი შეურიგებელი წინააღმდეგობა სულის სწრაფვასა და დამთრგუნველ არტახებს შორის: ამ წინააღმდეგობაშია გახლართული მიტევებაც და შურისგებაც, მტრობაც და სიყვარულიც, მდაბალი ვნებებიც და ამაღლებული იდეალებიც. მწერლის მსოფლხედვისა და მხატვრული მრწამსის ტრაგიკული ხარჩული აქაა საძიებელი — ღვთაებრივ, ზნეობრივ მისწრაფებათა და ცხოვრების მდინარების დაშორიშორებაში.

ეს ყოველივე სიმბოლურ-იდეური თვალთახედვითაა გააზრებული და მისი ღრმა ტრაგიზმი კოსმიურ განცდებსა და ტკივილებს აშიშვლებს. ეს შიშველი ნერვია საგანგებოდ წარმოჩენილი თთარ ჩხეიძის მსჯელობებში, რომლის მიხედვითაც: ვაჟას პატრიოტიზმი, ეს მაღალი გრძნობა ღრმა აზრს, ანუ კაცთმოყვარეობის მარადიულ გრძნობას შესჯიდება და დამარცხებულა. ვაჟას ეპოსი სიცოცხლის დიდი სიყვარულით არის დაწყებული, სიყვარულით, თანაგრძნობით, სიბრალულით, ცოდვათა მიტევებით, რადგან სიცოცხლე ერთადერთი და განუმეორებელია წუთისოფელში. ვაჟა რომ დიდი ერის შვილი ყოფილიყო, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მისი ეპოსი; როგორ გადაეწყვეტა საკაცობრიო მისწრაფებანი და რა სადინარს გაჰყოლოდა დიდი თანაგრძნობისა და სიბრალულის ფიქრები. მაგრამ მისი ერი მძიმე კაბალაში ჩავარდნილიყო და თანაგრძნობის ნაცვლად თვითონაც ისევე უნდა გაემეტებინა მტერი, როგორც მას იმეტებდნენ, მათსავით, ულმობლად და დაუნდობლად უნდა მოქცეულიყო, ოღონდ უნდა ერწმუნა და კიდეც სწამდა, რომ ღვთაებრივ ნებას, ღვთაებრივ მოწოდებას აღასრულებდა.

გახსოვთ: მის გმირებს პირადი შურისგების დროსაც მხოლოდ საკუთარი ღირსება კი არა, უზენაესი სამართლიანობის დაცვა დაესახათ მიზნად, ღვთის სამართლისა თუ ადათის სამართლის აღმსრულებლებად მიაჩნდათ თავი და არა მკვლელებად; და მით უფრო მტკიცედ სწამდა ყველას, ვისაც მამულისა და სარწმუნოების გადასარჩენად მოემარჯვებინა მახვილი, ღვთიურ ვალს ვიხდითო.

მახვილი იმის მახვილია, სისხლი უნდა დასდინდეს და რაც უფრო მძიმე დროება დაუდგება ქვეყანას, იარაღიც განსაკუთრებული ულმობლობით ტრიალებს.

შურისგებას ითხოვს ყოველი გაფატრული მკერდი და შუბლი, შურისგებას ითხოვს ულვთოდ ნაწამები სხეულები და, სხვა გზა არ დაგრჩენია, შენც სისხლის მორევში უნდა შეაბიჯო: სიცოცხლე სიცოცხლის წილ და სისხლი სისხლის წილ და თვალი თვალის წილ და კბი-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 11.

ლი კბილის წილ და ხელი ხელის წილ და ფეხი ფეხის წილ და...

ეს ერთნაირი გარდუვალობაა როგორც მრავალრიცხოვან, ისე მცირერიცხოვან ერთათვის, ოღონდ დიდ ერებს ლამაზი საბურველის ჩამოფარების უფლება და საშუალებაც აქვთ სისხლიანი კალოს დასაფარავად: იოლად შეუძლიათ ისევე განსაჯონ წარსულიც და თანადროულობაც, როგორც, ვთქვათ, მხატვრული სურათები, ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური მოვლენები, ხოლო ჩვენთვის მხატვრული გააზრებანიც ლამის რეალობაა, არამცთუ თვითონ სინამდვილე, რაც მარადგახსნილ ჭრილობად მიჰყვდევს.

ამ გახსნილი ჭრილობიდან მოთქრიალე სისხლის შესაჩერებლად ვაჟა უკმარისად მიიჩნევს სიბრალულსა და თანაგრძნობას და მისი ეპოსიც ძალდაუტანებლად გვარწმუნებს, რომ შურისძიება და სისხლისღვრა მტკიცედ გადაჯდომია ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას, ვითარცა ერთი არსებითი ელემენტი, ოღონდ არამცდაარამც — როგორც საფუძველი მისი და მთლიანად განმსჭვალავი.

ეროვნული ცნობიერების საფუძველთა საფუძველი კაცთმოყვარეობა უნდა იყოს, თორემ სხვაგვარად ყოველი ხალხი სრული ზნეობრივი დაცემისა და არსებობის შეწყვეტისთვისაა განწირული; ეს იმდენად ბანალური ჭეშმარიტებაა, შეხსენებაც კი უხერხულია. მაგრამ კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის დაცვას ხმლის ხელში აღება რომ დასჭირდებია?..

და თუკი ასეა, როგორ უნდა შეუთავსდეს ერთმანეთს შურისგება და მიტევება, სიყვარული და სიძულვილი?

ოთარ ჩხეიძე ზეზვას სიტყვებს იხსენებს „ბახტრიონიდან“ — „სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა“, — რათა მისი იდეური აზრი გამოჰკვეთოს („...მგრძნობიარენიც, შებრალონიც რისხვად ესხმოდნენ ბახტრიონსა, ალავერდსა, ყოველ სიმაგრესა, მტერთა სიმაგრესა. ჰო, ასე ქცეულა სიკვდილი აუცილებლობადა, ღვთაებრივ მსჯავრად გამოცხადებულა“) და ამ დევიზის ფონზე დაუკვირდეს მინდიას მეტად მტკივნეულ ძიებას წუთისოფლის არსის შესაცნობად:

„და აქ შეჭიდებულა მინდიას ფიქრები, აქ დაწყებულა ტრაგედია მინდიასი, მაშ რაო — სიყვარული რო არის ღვთაებრივი, სიძულვილი რაღამ აქცია ღვთაებრივადა, სიბრალული რო არის ღვთაებრივი, ულმობლობა რაღამ დასახა ღვთაებრივადა, სიცოცხლე რო არის ღვთაებრივი, სიკვდილი რაღამ დასდო ღვთაებრივადა? — „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოთ რისადა?“ ზეზვავე ამბობს „ბახტრიონში“, ხოლო „გველის მჭამელში“ უფრო იკვეთება ეს აზრი, აქვე თავდება ტრაგედია საყოველთაო სიბრალულისა და სიყვარულისა: ჰო, ვკლავთ და მოვკლავთ, თვით ღმერთია ამის თავდებიო:

მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა
ჩვენსა დაარღვევს შვებასა,
ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა,
ან გვიშლის რჯულის ცნებასა.
მაშინ არც ღმერთი გვიცოდვებს
მტრისად შაქცევას ხელისას...

შედავება უკვე ძნელია, მხატვრული ლოგიკით, ულმობელი ლოგიკით მივიდა აღსასრულამდისა საყოველთაო თანაგრძნობისა და სიბრალულის აზრი. ამით მოთავდა ვაჟას ეპოსი...“

ერთბაშად უცნაური მოჩვენებათ, არა? უცნაურიც და ძნელად ასახსნელიც: სიძულვილის, ულმობლობის, მკვლელობის ღვთაებრივად აღქმა, ღვთიურ ბუნებისად გამოცხადება... თანაც: ეს მხატვრული გააზრება ამოტანილია იმ პიროვნების ეპოსიდან, მთელს სამყაროსთან ზიარების, ხის, ბალახის, ფრინველის, ცხოველის შებრალების რწმენას რომ ქადაგებდა და თვითონვე გახლდათ ამ უკიდეგანო სიყვარულისა და მიმტევებლობის ხორცშესხმული ნიმუში. ამ მხრივ, არამცთუ უახლოვდებოდა ქრისტიანულ მოძღვრებას, რეალურადაც განასახიერებდა მას, მაგრამ ეს რაღა იყო — ულმობლობისა და სიძულვილის ასეთნაირი აღქმა: ეს ხომ ყოვლად წარმოუდგენელია ორთოდოქსული ქრისტიანული რწმენისათვის?

იესო ქრისტე ჯერ კიდევ როდის და როგორი სიმტკიცით ამსხვრევდა და ასხვაფერებდა ადრინდელ შეხედულებას, რაც მტრის შეუბრალებლობასა და მისთვის სამაგიეროს მიზღვის აუცილებლობას ირწმუნებოდა:

„გესმა, რამეთუ თქმულ არს: თუალი თუალისა წილ და კბილ კბილისა წილ.

ხოლო მე გეტყვი თქუენ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოიცა. და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი“.

ანდა:

„გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი.

ხოლო მე გეტყვი თქუენ: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ“ (მათე, 5, 38-40, 43-44).

ასე გვერდიგვერდ უფრო თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი ქრისტიანული მოძღვრებისა და ვაჟას მხატვრული მრწამსის ძირეული განსხვავება და, რა გასაკვირია, ერთბაშად უცნაური რომ მოგვეჩვენოს.

ის, რაც დრომოჭმულად შერაცხა ქრისტემ

ადამიანის სულიერი სრულყოფის გზაზე, აქ კვლავ წამოტივტივებულა: თანაც ასე უშედავათოდ: და არც საყოველთაო სიყვარულისა და შებრალების განცდა დაუკარგავს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვაჟას თითქოს ევიწროება ქრისტიანული შეგონებანი, რალაც სხვას ეძიებს, რალაც სხვას ეწრაფვის — უფრო ამაღლებულს. ცხადია, არა, რადგან ქრისტიანულმა იდეალმა ისე სრულყოფილად გამოხატა ღვთაებრივთან ზიარების გზა და კანონები, რომ შეუძლებელია მისი გადასინჯვის ან თუნდ გაღრმავების სურვილმა შეგვიპყროს, თუ მართლა კაცობრიობის ბედი გვაფიქრებს. ოღონდ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ყოველ რელიგიურ მოძღვრებას თან დასდევს დოგმებში ჩაჭედვის საფრთხე, რაც გამოწვეულია მისი ეთიკური იდეალებისა და ცხოვრების ამქვეყნიური წესის დაშორიშორებით. აქ იბადება დაპირისპირება, ზოგჯერ უაღრესად მკვეთრიც, და ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოგვარდეს, თუ დოგმატურ მხარეს გადაჭარბებული მნიშვნელობა არ მიენიჭება და ხან გამართლდება მისი დარღვევა ყოფაში მომხდარი მოვლენების მიხედვით. გამართლდება გონებით და არა გულით: და ეს წინააღმდეგობა, მიუხედავად უკიდურესი სიმწვავისა, არაფრისდიდებით არ უნდა შეინიღბოს. აი, ეს წინააღმდეგობა იკვეთება ვაჟას ეპოსში უაღრესი სიმწვავით: ეს იწვევს სიძულვილისა და ულმობლობის ღვთაებრივ განცდად გამოცხადებას, თითქოს სიყვარული. და მიტევება იყოს.

რასაკვირველია, ასეთ დროს ზნეობა არ უნდა გაიქელოს, არ უნდა წახდეს და არც არსებობა წაახდინოს. მაშინ არავითარი გამართლება არ ექნება, მაგრამ როგორ გინდა ულმობლად მიუზღა სამაგიერო, დაღვარო სისხლი და თან ზნეობრივი მრწამსიც შეინარჩუნო...

ეჰ, აკი იმას ვწუხვართ: უკიდურესი
სიმწვავეო...
გულს ის გვიფლტრავს: მოუგვარებელიო...
რა ვუყოთ: ესაა ჩვენი წუთისოფელი.

ჰამლეტი რომ გახიდულა გზაჯვარედინზე და ვერ გაურკვევია, საით წასვლა ამჯობინოს, ვერ გადაუწყვეტია, რა შეჰფერის სულდიდ ქმნილებას, ეს განა მართლა ჰამლეტის განცდებია, — თვითონ შექსპირი დგას გზაჯვარედინზე და წასასვლელი ვერ უპოვნია, ჭეშმარიტების გზა დახშობილა და ვის რა ურჩიოს, როცა მჩაგრავ ბედის ნეშტრით გმირვაც გაუსაძლისია და მოზღვავებულ უბედურებასთან შებრძოლებაც თურმე სიცოცხლის მოსპობას ნიშნავს და სხვას არაფერს. და, აბა, ეს რა ნუგეშია ხორცშესხმული ადამიანისათვის.

ვაჟაც, თავის გმირებთან ერთად, ასევე გზაჯვარედინზე დგას.

წუთისოფლის შესაყარია ეს გზაჯვარედინი.
მის მიღმა თავდება წუთისოფელი.

იესო ქრისტეს შეგონებანი იმ მიღმურ სამყაროს გულისხმობს, ოღონდ ის ზნეობრივი წარმოდგენები — ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი — წუთისოფელში გადმოაქვს, როგორც იდეალის ნიმუში; გნებავთ, უფრო დავაზუსტოთ: ნიმუში იდეალთან მიახლოებული ყოფისა, სადაც ბოროტებანი, სულიერი უკეთურობანი აქა-იქ ჯერაც შემორჩენილა, მაგრამ დიდი დრო არ უწერია — და მხოლოდ სიკეთის ძალმოსილებით უნდა აღმოიფხვრას: როცა წინააღმდეგობას არ გაუწევ ბოროტებას და მარჯვენა ყვრიმალში გარტყმისთანავე მარცხენას მიუშვერ, როცა კვართის გახდას მოგინდომებენ და შენ მთელს სამოსელს დაუტოვებ, როცა შეიყვარებ მტრებს, ვითარცა საკუთარ თავს, აკურთხებ შენს დამწყევარს, დალოცავ, როცა გმძლავრობენ და გდევნიან, ამით მათ სულში აღვიძებ სიკეთის ნამცეცებს, რაც გაიზრდება, განმტკიცდება, მოანდომებს მათ მონანიებას და ჭეშმარიტ ადამიანად გადაქცევას.

სიავის წილ სიკეთე, სიძულვილის წილ სიყვარული კაცობრიობის ცხოვრებაში პირველად იესო ქრისტეს არ უქადაგებია. ეს ზნეობრივი იდეალი მახლობელი იყო კრიშნასთვისაც, ინდურ ღვთისმეტყველებაში, და ლაო-ძისთვისაც, ჩინურ სიბრძნისმეტყველებაში.

„შეიყვარეთ მოყვასი თქვენი, იყავით მოწყალე და სამართლიანი და ბოროტისათვის სიკეთე მიუზღეთ“, — მოძღვრავს კრიშნა ხალხს და „დაო დე ძინიც“ ამასვე შთააგონებს — „უფრო დიდი უბედურება არაფერია: გძულდეს მტერი შენი. მტრის სიძულვილი ვნებს დ ა ო ს“ („დაო“ საგანთა და მოვლენათა მსწრაფლწარმავალ დინებაში არსებული უცვლელი, მარადიული და განუყოფელი საწყისია, ის ჭეშმარიტი სიკეთე და მშვენიერება, რომლის შეცნობასაც — ანუ უზენაესთან ზიარებას — სულიერი ღწვა და გონებრივი ჩაღრმავება ესაჭიროება).

კონცეფციის თვალსაზრისით, ქრისტეს შეგონებანი კიდევ უფრო სრულყოფილია და ექსპრესიულიც, მაგრამ თავისთავად ეს იქნებ ბევრს არაფერს ნიშნავდეს, რადგან მთავარი ძარღვი სამივეგან ერთნაირია, მეტიც: საყოველთაო სიყვარულისა და მიტევების ქადაგება ქვაკუთხედია სამივე მოძღვრებისათვის. ქრისტიანობის განსაკუთრებულობა სხვაგანაა საძიებელი: თვითონ მაცხოვრის ტრაგიკულ ბედში.

ლაო ძი მშვიდად აღესრულა თავისი სიბრძნის წიგნის შექმნის შემდეგ. სამართლიანობის, სიკეთის დასაცავად იქნებ არც შეჰპუებოდა და არც შეეპუებოდა მოწამებრივ აღსასრულს; ბედისწერამ კი სხვაგვარად განარიგა და ლაო ძის ასეთი სიკვდილი აარიდა..

მაგრამ კრიშნა?

მასაც ხომ ტრაგიკული ხვედრი ერგო, თანაც

შემთხვევითი კი არა, სავსებით კანონზომიერი მისი ცხოვრების წესისა და ქადაგებათათვის (უკეთურთა მოქცევას რომ ისახავდა მიზნად) და შარავანდედით შემმოსველი მისი ამაღლებული სულისა.

ჩვენს ესეისტიკაშიც კარგადაა ცნობილი (ერეკლე ტატიშვილი) კრიშნას სილუეტიც, მისი მოძღვრების ძარღვიც და აღსასრულის სცენაც:

ბოროტი მეფის, კანზას მიერ მიგზავნილი მკვლელები რომ გამოჩნდებიან, კრიშნა ხის ქვეშ ლოცულობს. ამაოდ ემუდარება მისი მოწაფე სარავატი მოციქულს, მტერს თავი მოარიდეო. კრიშნა გატაცებულია ზეცასთან საუბრით და რა არის სიცოცხლე მისთვის, ვინც იგემებს ღმერთთან გაიგივებას, ვისაც სიყვარულის ფიალა ქვეყნის ზემოთ აღუმართნია?!. მოსულნი ანაზდად შეკრთებიან, მაგრამ მერე ლანძღვასა და ქვების სროლას დაუწყებენ... კრიშნა უმოძრაოა, ვით დუმილი.., მიუახლოვდებიან, ხელს სტაცებენ და ხეზე მიაკრავენ, თვითონ განზე გადგებიან და ისრებს დაუშენენ. პირველი ისარი რომ მოხვდება, კრიშნა წარმოთქვამს: „ვაზინტა, მზის შვილებმა გაიმარჯვეს". მეორედ: „ბრწყინვალებით შემოსილო დედაო, დაუმკვიდრე ჩემთან ერთად შენი ნათელი ყველას, ვინც მე შემიყვარა!" უკანასკნელი სიტყვა იყო „მაჰადევა" და კრიშნამ სული განუტევა...

კრიშნა ნებაყოფლობით ეწირება თავის რწმენას და მაგალითად რჩება მიმდევართათვის, — თუ როგორ უნდა შეეწირონ ზვარაკად სიკეთის დამკვიდრებას.

დიახ, მოწამებრივია კრიშნას აღსასრულიც და რასაც ქადაგებდა, მხოლოდ ბრძნული და ლამაზი საუბრები არ ყოფილა — საკუთარი ბედით დაადასტურა რწმენისათვის, სიკეთისათვის თავგანწირვის აუცილებლობა... არც ღვენა დაჰკლებია, მაგრამ მისი სულიერი ტანჯვა არ ყოფილა ისეთი უსაზღვრო, ეკლის გვირგვინი — ისეთი მჩხვლეტავი და ფიალა — ისეთი მწარე, რისი წარმოდგენაც იესოს ასერიგად ზარავდა და ღმერთს, მამას თვისას, ასე გულმხურვალედ ევედრებოდა: იქნებ ამაცილო ეს სატანჯველიო; და ჯვარზე გაკრული საყვედურსაც შეჰკადრებდა: რისთვის მიმატოვეო.

იესოს სულიერი ექსტაზიც, რასაკვირველია ღვთიური განცდებითაა აღვსილი, მაგრამ ტანჯვის განსაკუთრებულობაც არ აძლევს ნებას, კრიშნასავით, ლხენით შეეგებოს სიკვდილს.

მის აღსასრულს ჩამოცილებული აქვს გარეგნული ელვარება, ის საბურველი, რითაც შემოსილია კრიშნას დაცხრილვა ისრებით — და მძლავრი რეალისტური ნაკადის შემოჭრა მთელი სისავსითა და შთამბეჭდაობით გვაგრძნობინებს ჯვარცმის უკიდურეს სიმწვავეს.

კრიშნას ასეთი საზარლობანი თავს არ დასტეხია.

და ამით გამოირჩევა მაცხოვრის ტრაგიკული ბედი.

ეს, გნებავთ, ლირიკულ ჩანართად აღიქვით ძალაუნებურად რომ მოჰყვა სიტყვას.

ხოლო იდეალური ცხოვრება, ოცნებისმიერი სამყარო, როცა მაცხოვრის ზნეობრივმა კანონებმა ხორცი უნდა შეისხას, თავისთავად მოითხოვს იდეალურ გარემოს: როგორც აუცილებელ ასპარეზს.

მოითხოვს, მაგრამ დადგება კი ის დრო, როცა ამქვეყნად საყოველთაო სიყვარული, სიკეთე და მშვიდობა დაისადგურებს?

შესაძლოა, წუთისოფელში მართლა მოხდეს ასეთი რამ? მართლა ძოვდეს ერთად თხა და მგელი? მართლა გადასახვაფერდეს ადამიანის ბუნება?

თუ — ეს განუხორციელებელი იდეალია? მარტოდენ ოცნება და სხვა არაფერი?

კაცობრიობის ისტორიაზე დაკვირვება, მისი ბურუსით მოცული წარმოშობის ფესვების მოჩხრეკა და მისი მომავალი ბედის ასე თუ ისე განჭვრეტა გვარწმუნებს, რომ წუთისოფლის იდუმალი კანონები ვერ ჰგუობს ამ იდეალურ ცხოვრებას, მის თავისებურ წესრიგს და კეთილშობილური წარმოსახვანი ყოველთვის განუხორციელებელი იქნება.

ცხადია, იდეალი უნდა არსებობდეს, მისკენ ლტოლვაც არამცთუ დაბრკოლდეს, რაც შეიძლება მძაფრი უნდა იყოს, რადგან სულიერების შენარჩუნება მხოლოდ ამ გზით თუ მოხერხდება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს (არ ჩანს, რომ ნიშნავდეს) მოსალოდნელ მკვეთრ ცვლილებას ამქვეყნიური ყოფის კანონზომიერებაში.

ეს ხომ იმთავითვე განსაზღვრულია. და სიმბოლურ-ალეგორიული ენითაც მეტად ხატოვრად გამოხატული.

იდეალური ცხოვრების დადგომა, მისი მარადიულობა, ოღონდ განუხორციელებლობა, აბელის სახეს უკავშირდება და კიდეც ამიტომ დარჩენილა შორეულ, ბუნდოვან ხსოვნად და ამაო ოცნებად.

იდეალური ცხოვრების შორეული ხსოვნა ანტიკური სამყაროდანაც შემოგვრჩა შთამბეჭდავ სურათად, კაცობრიობის იმ — წუთისოფელზე ამაღლებული — დასაბამად, რომელსაც ბედისწერამ აგვაცდინა და ოცნებად სულ მისი დაბრუნება გვესახება. და ოვიდიუსიც როგორი ხინანულითა და ტრაგიკული განცდით იხსენებს ისტორიის ბურუსში ჩაძირულ ჟამს, უსისხლოს, უბოროტოს, სვებედნიერს: „ოქროს ხანა, პირველად დამდგარი ხანა, სადაც არ არსებობდა შურისგება; ხალხი თავისი ნებით, კანონის კარნახის გარეშე იცავდა ერთგულებას და უფლებას. არ არსებობდა სასჯელი და შიში, ბრინჯაოს დაფებზე არ ეწერა მუქარით აღსავსე სიტყვები და არც თავისი მსაჯულის დანახვა

აკრთობდა მავედრებელ ბრბოს" („მეტამორფოზები").

ბიბლიაში ამ სურათს აბელის სიმბოლური სახე გულისხმობს.

თავდაპირველი ჩანაფიქრით, ანუ ღვთიური განგებით თითქოს სწორედ აბელი უნდა ყოფილიყო კაცობრიობის განვითარების გეზის სათავე და სიმბოლური წინამძღოლი, ყოველ შემთხვევაში, მეორე გზის (მეტაფორულად კაენი რომ გამოხატავდა) თანაბრად მაინც უნდა გამოეყოლოდა ადამიანის ცხოვრებას.

გახსოვთ დაბადებიდან: რაც ადამმა და ევამ სამოთხე დაკარგეს და ღმერთმა ორივეს მიწა მიუჩინა საცხოვრებლად, ორი ვაჟი ეყოლათ — კაენი და აბელი. აბელი მეცხვარე იყო, კაენი — მიწის მუშაკი. გამოხდება ხანი და კაენი უფალს ძღვენს მიართმევს: მიწის ნაყოფს, ხოლო აბელი — თავისი ფარის ნათავარსა და რჩეულ პირუტყვს. უფალი მოხედავს აბელსა და მის ძღვენს, კაენსა და მის ძღვენს კი არა, რაც კაენს ძლიერ გაამწარებს (3, 23-24; 4, 1-5 და შემდგომ).

ღმერთმა გამოხატა თავისი არჩევანი — უპირატესობა მიანიჭა აბელს: სილაღესა და თავისუფლებას, ბუნებასთან სიახლოვეს, მომთაბარეობას, რაც გულისხმობდა კაცობრიობის ამ გზით განვითარების აუცილებლობას, აბელური ცივილიზაციის დაფუძნებას.

ასეთი იყო უფლის წადილი, მაგრამ იგი არ გახლდათ კაცობრიობის ბედის ძალდატანებით გადაწყვეტის მოსურნე. ამიტომ აღარ ერევა მოქმედების განვითარებაში (ისევე, როგორც ადამსა და ევას მიანიჭა ცხოვრებისა და არჩევანის თავისუფლება) და თავიანთი ბედის — საერთოდ, ადამიანის ბედის — გადაწყვეტას თვითონ ძმებს ანდობს, ოღონდ კაენს მაინც გააფრთხილებს, ცოდვას ნუ ჩაიდენო („რად გამწარდი? რად ჩაღუნე თავი? თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე").

მაგრამ კაენის ყური დახშულია უფლის შეგონების მიმართ. ასეთია მისი ბუნება: შურითა და ბოროტებით ავსილი — და საკუთარ თავს ვერაფრისდიდებით ვერ აჯობებს, ამ გრძნობებს ვერაფერი დათრგუნავს.

და როცა კაენმა ველად გაიტყუა აბელი — წრფელი, მიმნდობი, ალალი, ყველასი და ყველაფრის მოყვარული — და მუხანათურად მოკლა, აი, ეს ბიბლიური, ეპიზოდი წარმოგვიდგება კაცობრიობის ბედის გადამწყვეტ და სიმბოლურ აქტად: ამ სურათშია ჩაწნეხილი, მეტაფორულად შეკუმშული ადამიანის მომავალი — იგი სამუდამოდ ასცდა თავისი განვითარების ჭეშმარიტ გზას: უზანეს სილაღეს, თავისუფლებას, ბუნებასთან თანაზიარობას — ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა ძმობას; და მისი ცხოვრების მამოძრავებლად იქცა არა სიკეთე, არამედ ბოროტება. თუმც ადამსა და ევას კიდევ ეყოლებათ ვაჟი — შეთი და მარტოოდენ კაენი არ ჩამდგარა კაცობრიობის სათავეში ერთადერთ წინაპრად, მაგრამ შეთი არ ყოფილა განსაკუთრებული მადლით ცხებული, გამორჩეული პიროვნება, დიადი სიმბოლური სახე, იმგვარი შინაგანი ძალით ავსილი, რომ მას (ანუ მის შთამომავლობას) რაიმე რეალური ზეგავლენა მოეხდინა კაცობრიობის განვითარებაზე და როგორმე შეეკავებინა და გაეწონასწორებინა კაენისაგან დაძრული ცოდვა და სიძულვილი, კაცობრიობისათვის ჩამოერეცხა მის მიერ დაღვრილი პირველი სისხლი.

კაენური ცხოვრების გეზის რამდენადმე შემაკავებელი (თუმც ვერა მთლად გამაწონასწორებელი) — რათა სამყარო სრულიად არ გადაგვარდეს და არსებობაც არ დაასრულოს — ისევ აბელია, ულვთოდ გამეტებული აბელი, მისგან მონაბერი სიო. ნოემ და მისმა კიდობანმა (თ. 7-9) აბელური სულისკვეთებაც შემოინახეს, მისი ხსოვნაც არ გააქრეს, თუმცა ადამის შთამომავლობა საბედისწეროდ დასაზღვრულ გზას მაინც ვეღარ ასცდებოდა.

საბედისწეროდ: კაცობრიობამ იმიტომ ვერ განაგრძო აბელის გზა (აკი ეს მის არჩევანს იყო მინებებული), რომ იმთავითვე იგრძნო — აბელური ცივილიზაციის შექმნა მის სულიერ ძალებს ბევრად აღემატებოდა; მაგრამ მთლად უცხოც არ იყო, ერთხელ და სამუდამოდ რომ შეჰგუებოდა მის თავიდან მოცილებას. ამიტომაც გადარჩა აბელური საწყისი იმ იდეალად, იმ შორეულ ნათელად და მკაფიოდ გამოხატულ ელემენტებად, რაც სულდიდ და გონიერ ადამიანთათვის ცხოვრების ნამდვილ აზრად და შინაარსად გვევლინება.

დიახ, აბელური ცივილიზაცია ადამიანისა და ბუნების განუყოფელი ერთიანობაა, გუმანისა და ალღოს უკიდურესი გამახვილება და დაფარულ იდუმალებასთან შინაგანი ზიარება. აბელური ცვილიზაცია სიკეთეა: დიდსულოვნების, მიტევების, თანაგრძნობის, სიყვარულის ნავსაყუდელი. ხელოვნება, შემოქმედება აბელისაკენ სწრაფვაა, ამ საწყისთან მიახლოების მცდელობაა. აბელისაკენ სწრაფვაა მოხეტიალე ცხოვრება („სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს"), ერთ ადგილზე დამკვიდრების უარყოფა და მზიური ძალითა და ველების, ტყეების, მდინარეების, მთების სურნელებით ავსება...

ეს გზა გადაიკეტა...

ერთ ადგილზე დამკვიდრება, ანუ ქალაქური ცივილიზაციის დაფუძნება კაცობრიობისათვის უმთავრეს მიზნად გადაიქცა.

იმ ამაღლებულ იდეალს ეს ახალი იდეალი აეფარა და კაენური საწყისი საბოლოოდ გა-

მეფდა. კაენური საწყისი: თავისი სისხლიანი ფესვითა და მდაბალი ვნებებით.

„სად არის შენი ძმა აბელი?" — ეკითხება კაენს უფალი, იმას კი ჰგონია, ღმერთს რაიმეს დაუმალავს: — არ ვიცი, ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარო.

და რასაც ახლა უფალი ეტყვის, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც იმთავითვე დადგენილი აუცილებლობა, მკვლელობის გარდუვალი რგოლი, ხელშესახები და თვალნათლივი სურათი, თუ სად მიედინება დაღვრილი სისხლი და სად უნდა დაწესდეს საზღაური:

„შენი ძმის სისხლის მიწიდან შემომღაღადებს".

ეს ჭეშმარიტება ადამიანისათვის ყოველთვის ნათელი ყოფილა, გამოუთქვამს თუ არ გამოუთქვამს, რომ სისხლი მიწაში კი არ ჩაილვრება, ზეცაში ადის უხილავი ბილიკით... ადამიანისათვის ეს უკვე აღარ არის ბიბლიური ფრაზის განმეორება, მისთვის ეს თანდაყოლილი ცოდნაა, წინაპართაგან ნაანდერძევი. გოჩასთვისაც (ალექსანდრე ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა") ასევე შესისხლხორცებულია — მას სჯერა, რომ ამ შემთხვევაშიც, როცა ღალატმა თუ უგულისყურობამ არაერთი მოხევე გასწირა, — ყველაფერი უზენაესმა ძალამ უნდა განაგოს; თვითონ კი ღვთის ნება უნდა გააცხადოს, როგორც ხევისბერმა, ვინც შუამავალია ზეცასა და ხალხს შორის:

„მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს..."

ვიდრე შვილსაც არ დაინდობდეს, ვისმა თავდავიწყებამაც უნებლიეთ დაღუპა ამდენი ვაჟკაცი, გოჩა სასტიკ სასჯელს დაადებს გუგუას (ვისაც ღალატი ტყუილუბრალოდ ბრალდება); სასჯელს — არა სიკვდილს, არამედ მოკვეთას თემისაგან, განდევნას, მიუსაფრობას.

კაენსაც ეს სასჯელი ერგო უფლისაგან.

ასე მიეზღო პირველ ცოდვილს წუთისოფელში:

„ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას; დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე".

„ხევისბერ გოჩაში" ეს ვითარებაც თანდაყოლილი ცოდნის ნაყოფია, ოდითგან დამკვიდრებული საზოგადოების რჯულში.

გადახვეწილი კაენი დააფუძნებს ქალაქს და შემოიღებს ახალი ცხოვრების წესს, რაც სამარადჟამოდ უცვლელი დარჩება.

ეგაა: მის შთამომავალთა არსებობას აღარ დაჰყვება თან განსაკუთრებული მადლი, რაც ჩანასახშივე მოაშორა კაენმა,

თუმცა არა: განვითარება და საყოველთაო წესრიგად დამკვიდრება არ დაანება, თორემ მოშთობით აკი ვერ მოაშთო.

ვაჟას მინდიაც სხვა რა არის, თუ არა აბელის უშუალო მემკვიდრე, მისი სულიერი ხატი თანადროულ ეპოქაში.

იდეალი კვლავაც თავისი სრულყოფილებით წარმოსდგა.

ხოლო რადგანაც ეს იდეალი რეალურად განუხორციელებელია, მინდიას ტრაგედიაც, ცხოვრებასთან მისი შეუთავსებლობაც აქ იწყება.

მას მერე, რაც ქაჯთა ტყვეობისას უჩუმრად გველის ხორცს შეჭამს და — „ნიბელუნგების" ზიგფრიდივით, ვისაც, გველეშაპის სისხლში განბანილს, ახალი სული ჩაედგმის და ვინაც ფრინველთა ენას შეიმეცნებს — სამყაროს საიდუმლოებებს, ყოველგვარ დაფარულ სიბრძნეს ეზიარება („შეიგნო სიბრძნე ქაჯების ამიერიდან ტყვემაო; მას მუსაიფი დაუწყო ცამ, დედამიწამ, ტყემაო. მხოლოდ ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხია, სხვა დანარჩენი ქაჯური ყველა ისწავლა ხერხია"), მინდია ძალაუნებურად ამოვარდება გარემოს საერთო კალაპოტიდან და თვისტომთა ცნობიერებას მოსწყდება.

და მისი აღსასრულიც გარდუვალია: კაცთა შორის ცხოვრება, ოჯახური მოვალეობა თუ ძალდატანება ადრე თუ გვიან მაინც წაართმევს საშუალებას თავის გულისთქმას მისდიოს — არ მოკლას ნადირი, არ მოჭრას ხე, ესმოდეს მათი იდუმალი ენა და შეინარჩუნოს ბუნებასთან ზიარების უნარი. რახან მინდია ასერიგად გამოირჩა კაცთაგან, გაუჭირდება მათთან შეგუება და მათი წეს-კანონებით ველარ იცხოვრებს, ხოლო თუ თავის იდეალს უღალატებს, ღვთაებრივ უნარსაც დაკარგავს.

ახლა საყმოს ცნობიერებიდანაა ამოვარდნილი. თვისტომთა საერთო ცნობიერებაში რიგით წევრად დაბრუნება კი თავისთავად გულისხმობს სამყაროული ცნობიერებიდან ამოვარდნას.

ამ გადაუჭრელი წინააღმდეგობის მოგვარება თავის მოტყუებით („და მეც დღეს-ხვალეობითა, ცოტა-ცოტად, ნელაობითა დავიწყე თავის რწმენასთან მოქცევა მელაობითა") არ ხერხდება.

მძაფრი სულიერი ჭიდილიც, ხრული გაურკვევლობის წინაშე დგომა — რანაირად შეიძლება ბოროტებაც და სიკეთეც ერთნაირად ღვთაებრივი წარმოშობისა იყოს — ამითაა გამოწვეული.

პეტრე იბერმა (ფსევდო-დიონისე არეოპაგელმა) ამ დილემის მოგვარება იმით მოინდომა, ბოროტება შეფარდებით სიკეთედ აღიარა და, ამდენად, არასუბსტანციურად გამოაცხადა: რასაც არსებობა არ გააჩნია. რასაკვირველია, ეს მხოლოდ პირობითი, სიმბოლური

მსჯელობა და გააზრებაა, ნიშანდობლივი მოძღვრებათათვის, მაგრამ ამქვეყნიური ყოფის იდუმალების ასახსნელად მაინც უკმარი.

„გველის-მჭამელში“ საკაცობრიო იდეალისაკენ ამაო სწრაფვა უპირველესად ამ ჭრილში წარმოისახა: ადამიანისა და ბუნების დაშორიშორება.

ამ დაშორიშორებას უშუალოდ ეჯაჭვება ის ტკივილი: წუთისოფლის სისხლითა და რბევით გაჟღენთილი წესისაგან თავის დაღწევის ასევე ამაო წადილი. მინდიასთვის შემზარავია წუთისოფლის ეს გარდუვალობა, მაგრამ მის რწმენაში სისხლისღვრის უარყოფა ისე მკვეთრად არ არის გამოკვეთილი, როგორც ბუნებისაგან მოწყვეტის ტკივილი. მოძმენი სწორედ ამას ამუნათებენ:

ვსთქვათ, სიბრალული კარგია
ხე-ქვა--ბალახთი, ცხოველთი...
კაცის კვლა ყველასა სჯარბობს,
თუნდ მტერი იყოს ყოველთი.
მაშ აღარც კაცს უნდა ვკლავდეთ;
გეტყვით, მისმინეთ; მე რასა:
მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავს,
მინდია სდგამდეს გორასა.
რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც
კლვისას არ გვაძლევს ნებასა...

მაგრამ მტრის მოკვლა აკი აქ საბოლოოდ მაინც ღვთაებრივ აუცილებლობად ცხადდება („მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა ჩვენსას დაარღვევს შვებასა.... მაშინ არც ღმერთი გვიცოდვებს მტრისად შაქცევას ხელისას...“), რასაც თვით ხეთა და ნადირ-ფრინველთა შემბრალე მინდიაც ერთგულად აღასრულებს.

ეს სინამდვილის ტრაგიკული შეგრძნებაა, რაც ვაჟას მრწამსად, მისი ეპოსის მხატვრულ ლოგიკად ჩამოყალიბებულა. ეს ის სულისკვეთებაა, რომელსაც ევიწროვა ქრისტიანული დოგმები და რომელიც რეალობასთან ამ დოგმების შეუთავსებლობამ ასეთ მრწამსამდე მიიყვანა, ჩვენი ცივილიზაციისათვის აუცილებელ შეხედულებამდე.

კომპრომისული არც ქრისტიანულ კანონთა კრებულის — „დიდი სჯულისკანონის“ ის სიტყვებია, ბრძოლებში აღსრულებული მკვლელობანი კაცისკვლად რომ არ შეირაცხება; და წინასწარვე მიტევებულია, „ვითარცა სიწმინდისა და კეთილად მხახურებისათვის მოღვაწება“.

არც ესაა გადახვევა ქრისტეს შეგონებათაგან. ესეც ქრისტიანული მოძღვრებისა და წუთისოფლის სისხლიანი არსებობის მორიგებაა.

გავიხსოვთ ის თავისებურად სიმბოლური სცენა ჰენრიკ სენკევიჩის რომანიდან („ვიდრე მხვალ?..“): თუ როგორ არ ინდომებენ პირველი ქრისტიანები — ვისაც ცილი დასწამეს, რომს ცეცხლი წაუკიდესო — გლადიატორობას და ამფითეატრში ძალით გამოყვანილნი როგორ ყრიან მიწაზე ბადეებს, სამთითებს, შუბებსა და მახვილებს, როგორ გადაეხვევიან ერთმანეთს და ამხნევებენ, ტანჯვა მოთმინებით აიტანეთო, და ყველა უკლებლივ როგორ გაიჟლიტება ნამდვილი გლადიატორების ხელით? ერთმანეთს რომ შებმოდნენ, მათგან ნახევარი მაინც გადარჩებოდა, მაგრამ ასეთი სიცოცხლე არ ინდომეს — მტკიცე პროტესტი განუცხადეს ყოველგვარ სისხლიან ვაკხანალიას. მათი საქციელი სისხლმოწყურებული მაყურებლისთვის სრულ უცნაურობად და გაუგებრობად აღიქმება: მათთვის უცხოა ის ამაღლებული იდეალი, რამაც ქრისტიანებს ნება არ მისცა, იარაღი შეემართათ. მაყურებელი ბრმა და ყრუა მათი სულიერი სიმაღლის მიმართ და ყველას სიმხდალესა და სულმოკლეობას სწამებს. და მაინც: ამ გარემოში უკვე იჭრება ახალი ეპოქის სუნთქვა, ადრინდელ წარმოდგენათა და ზნეობრივ ღირებულებათა შეცვლის მაუწყებელი.

სისხლის წყურვილში თვალნათლივ იჭრება მისი დათრგუნვის სული.

სიმბოლურიც ესაა: ახალი ეპოქა უნდა განმტკიცდეს სწორედ ამ ზვარაკად შეწირულთა მეოხებით.

მათაც მაცხოვრის გზა უნდა განვლონ: სიკვდილით მოიპოვონ გადამწყვეტი ზნეობრივი გამარჯვება.

ოღონდ ვერც იმას დავივიწყებთ: ასე მთელი ერი, მთელი საზოგადოება ვერ იცხოვრებს, მთელი ერი ვერ დაყრის იარაღს და მხოლოდ იმის იმედად ვერ დარჩება — ტანჯვა მოთმინებით ავიტანოთო, და ვერ შეეჟლიტება სასტიკსა და დაუნდობელ ძალას.

ვაჟას მრწამსი აქ ჰპოვებს გამართლებას: როგორც დოგმატთა სასიცოცხლო უნარით აღმვსები.

ისიც მოსალოდნელი იყო, რომ ვაჟას რანგის პიროვნება შეეცდებოდა — მერე რა, რომ ამაოდ — შემოსაზღვრული გარსის გარღვევას და ტრაგიზმის სრულყოფილ გამოხატვას. ამიტომაც არ ნებდება მისი გული ასე ადვილად რეალობის მკაცრ გარდუვალობას და სისხლის მორევში ჩათრეულ ადამიანურ ყოფას უმძაფრესი ხილვებით წარმოგვიდგენს.

„ალუდა ქეთელაურის“ მთავარმა გმირმა, მტრის მხედრული სიმამაცით მოხიბლულმა, პირველად უნდა გააცნობიეროს თავისი ცხოვრების წესის ტრაგიკული აზრი, იმ შეხედულების — „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი; ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ კუპრში მიელის ქშენანი“ — მოჩვენებითობა და სიმყიფე; და მტერში მოყვასი, თავისივე მსგავსი ადამიანი დაინახოს: შეიყვაროს მტერი თვისი.

ალუდას, ვინც გუმანით მისწვდა მისთვის მანამდე დაფარულ ზნეობრივ საუნჯეს და იგრძ-

ნო სულიერი ფერისცვალება, უკვე სხვაგვარად წარმოუდგება მშობლიური შატილი: ეს არ არის და აღარც შეიძლება იყოს გამარჯვებით შემოქცეული გმირის მიახლოება თავის გარემოსთან. სულიერი ნათელის შუქზე მშობლიური გარემო კაცობრიული ცხოვრების — შეურიგებელი მტრობის საძირკველზე ამოზრდილი ურთიერთობების — სურათად წარმოუდგება და საშიში, შესაზარი და პირქუშიც ამიტომ ეჩვენება: არც შავი ყორანი და არც გაუმაძღარი სვავი, არც მწვავე მზის სხივებით დამდნარი მოკვეთილი ხელები და არც იქ დაღვრილი სისხლისაგან წითლად შეღებილი არღუნის წყალი აღარ აღიქმება მარტოდენ პეიზაჟის ნაწილებად, უფრო მეტად სიმბოლურსა და განზოგადოებულ შინაარსს იძენენ და ძალაუნებურად მოიყოლიებენ კიდევ უფრო მკვეთრსა და შემზარავ ხილვებს, ამ გარემოში მომწყვდეულ კაცთა ცხოვრების წესსა და მიზანს (თამაზ ჩხენკელის „ტრაგიკულ ნიღბებში" ამას დევური ცხოვრება, ანუ სისხლიანი ქორწილი ჰქვია, რაც იმასვე გულისხმობს, რასაც კაენური ცივილიზაცია):

ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გაალოს სახლის კარია,
სისხლ დაუგუბოს კერაში,
თვითონაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაპლევდეს,
პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაიწეროდეს,
მითამ საყდარში არია.
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,
იქ დაიწეროს ჯვარია,
დაიპატიჟოს სტუმრები,
დაამწკრიოლდეს ჯარია,
სისხლში დაიგოს ლოგინი,
გვერდს დაიწვინოს ცალია,
ბევრი იყოლოს შვილები,
ბევრი ვაჟი და ქალია;
იქვე საფლავი გათხაროს,
იქ დაიმარხოს მკვდარია.
შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია!

ასე შთამბეჭდავად წარმოგვიდგება მტრობის მორევში ჩაძირული კაცობრიობის არსებობის პრინციპი: დაუსრულებელი შურისძიებანი.

ვაჟა არ კმარობს თვით ამ ხილვათა უაღრეს სიმძაფრეს და გმირთან ერთად ხელახლა განგვაცდევინებს კანიბალიზმის მთელს საშინელებას, ლაშქრობითა და ხმლების ქნევით დაძლომა რასაც ნიშნავს, ალუდამ თვითვე უნდა იგემოს (თუმც სიზმარში, მაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის) კაცის ხორცით შემზადებული წვნიანი, თუმც ზარავდეს და ჭავრობდეს, რას ჩავდივარო, მაინც შეექცეოდეს კაცის ხელ-ფეხს, ვილაც უცნობი კი კიდევ უმატებდეს და აძალებდეს („ტრაგიკულ ნიღბებში" ღრმად და ექსპრესიულადაა გაანალიზებული ალუდას კოშმარული ხილვანიც და მტრობის კანიბალური საწყისიც)...

ნათელია: სულიერად ფერნაცვალი ალუდა ველარ დაუბრუნდება არა კერძო ხაყმოს, არამედ, საერთოდ, ადამიანებს, რადგანაც მისი მშობლიური საზოგადოება საყოველთაო კანონების, კაცობრიული წესის თანახმად ცხოვრობს. მისი მოკვეთა თემიდან მხოლოდ გარეგნული აქტია და, ამდენად, ნაკლებმნიშვნელოვანი იმასთან შედარებით, რომ ალუდა მართლაც ამოვარდა ერთიანი ცნობიერებიდან: უჩვეულოსთან, აბელურ საწყისთან ზიარებამ იგი თავისთავად მოჰკვეთა ხაყმოს. სიკვდილზე უარესი ხვედრი იმიტომ არგუნეს, რომ მისი საქციელი დაუსჯელად, თვისტომთა მხრივ შურისგების გარეშე ვერ გადარჩებოდა.

„სტუმარ-მასპინძელშიც" იდეალისა და ცხოვრების წესის კვლავ ამ მოუგვარებელ წინააღმდეგობას ვხედავთ: ჯოყოლა, ზვიადაური და აღაზა — მას მერე, რაც გადალახეს მტრობისა და დაუნდობლობის მიჯნა და ერთმანეთის მიმართ ნამდვილი სულიერი სიახლოვე იგრძნეს — სად და როდის ახერხებენ ამ იდეალური სულისკვეთების ხორცშესხმას? წუთისოფელში? არა და არა: მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ იმ ქვეყნად, მხოლოდ აჩრდილებად გადაქცეულნი:

კლდის თავს წადგება ჯოყოლა,
სასაფლაოსკე იძახის:
„ზვიადაურო, ძმობილო,
რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!"
სასაფლაოდამ წამოვა
აჩრდილი ფარხმალიანი...
მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ.
იქვე აღაზაც ამოდის
სახემოწყენით, მწუხარედ.

და რადგანაც ისინი „ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის ყანდობისასა, სტუმარ-მასპინძლობ წესზედა ცნობის და დაძმობისასა", ეს ამაღლებული ხილვა შეუძლებელია დიდხანს დაყოვნდეს და ჯანღმა და კუპრუმად შავმა ფერმა არა შთანთქას, აუხსნელ, ჯადოსავით რომ დასწოლია.

და იდეალი ბნელში იძირება...

მინდიას, ალუდას, ზვიადაურის, ჯოყოლას პიროვნებანი და ხაყმოსთან მათი შეურიგებელი ჭიდილი სხვადასხვაგვარად გაუაზრებიათ: ყველაზე ზუსტია არა მათი მრწამსისათვის უპირატესობის მინიჭება, არამედ ორი სიმართლის არსებობა — პიროვნების სიმართლეს უპირისპირდება საზოგადოების სიმართლე, დოგმებისათვის ხელის შეხებისა და მათი გადასინჯვის წადილს — ტრადიციათა მკაცრად დაცვის აუცილებლობა.

როგორი ადტაცებულნიც უნდა ვიყოთ ამ

გმირთა ცნობიერებაში კაცთმოყვარეობის, სიბრალულის, თანაგრძნობის გაღვიძებით, საზოგადოების ცხოვრება მოიშლება, მისი სიმტკიცე დაირღვევა და გაქარწყლდება, ყველა ამ გზას რომ გამყვეს. არჩევანი მისი არსებობის სათავეშივე გადაწყდა და უკან ველარაფერი შემოაბრუნებს. ეს და ამგვარი პიროვნებანი გაირიყნენ წუთისოფლის წესიდან და მთელი საზოგადოებაც ხომ არ გაირიყება: ეს კაცობრიობის ცხოვრების შეწყვეტას ნიშნავს და არა გადასხვაფერებას, რითიმე გაუკეთესებას, რაც არ არის მოსალოდნელი — მისი განვითარების ისტორია ამას დაბეჯითებით მოწმობს.

წუთისოფლის გაუკეთესება შეუძლებელია.

ერთადერთი ის შეიძლება, რომ მდაბალი ვნებანი უკიდურესობამდე არ გახელდეს, სისასტიკე რამდენადმე დაშოშმინდეს, მაგრამ ამოძირკვა?.. წუთისოფელი რაც არის, ეს არის და გულუბრყვილობაა იმის მტკიცება, თითქოს ზვარაკად შეწირულ პიროვნებათა თავდადება რითიმე უკეთეს კალაპოტში მოაქცევდეს მისწრაფებებს, თუნდ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდეს მის სულზე.

რისიმე გაუკეთესება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მაცხოვრის მოვლინება და ჯვარცმა კარგა ხანია გადაასხვაფერებდა კაცობრიობის სულს: პირწმინდად გააქრობდა შურლს, სისხლისღვრას, გაუტანლობას, დაუნდობლობას.. და აღადგენდა აბელურ ცივილიზაციას.

ქრისტეს ნათელს შინაგანად ზიარებული პიროვნებანიც აბა, რას შეცვლიან: მათაც მხოლოდ თავი უნდა გაწირონ.

შემთხვევითი კი არ არის: ზვიადაურის წარბშეუხრელი აღსასრული აღტაცებას გამოიწვევს მის მკვლელ ქისტებში. ისინი ჯერ სიბრაზით აღივსებიან, რადგან მოსისხლე ხევსური ვერ გატეხეს და ამიტომ იგი — ადათისამებრ — მათი მკვდრისათვის შეწირულად არ ჩაითვლება: დარლას სული კვლავაც დაიტანჯება და მტრის ჯავრი დაღრღნის, რადგან ზვიადაურის სისხლი აღარ მიუვა. და გულმოსული და შეურაცხყოფილი ქისტები ლამის მისცვივდნენ გვამს და ასო-ასო აკუწონ, მაგრამ სინანული დარევთ ხელს, ცოდვაა, გაიფიქრებენ და შეუდრეკლობასაც დაუფასებენ („კარგი ვაჟკაცი ყოფილა, ყველა ალლაჰსა ჰფიცავდა, იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა, თავის მიწა-წყალს იცავდა“).

ოღონდ ეს აღტაცებაც და სინანულიც წამიერია, ყოველ შემთხვევაში, მათი ფსიქიკა არ გადასხვაფერდება, რადგან სინამდვილე არ დაანებებთ, რომ ამ გრძნობებმა მოიცვან მათი არსება. ამიტომ:

„...მტერს მტრულად მოექეც“ —
თვითონ უფალმა ბრძანა,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
გულში ჩავურჭოთ დანა.

კვლავაც ეს წუთისოფლის გარდუვალობა...

ახლა ხევსურებმა უნდა იძიონ შური.

მერე ისევ ქისტებმა.

მაშ, რისთვის გაიწირნენ ზვიადაური, ჯოყოლა, აღაზა, თუ კვლავაც სისხლმა უნდა იდინოს?

რისთვის სწირავენ თავს სულიერად ამაღლებული პიროვნებანი? რისთვის ემეტებათ სიცოცხლე, თუ ამაოა მათი სულიერი გვემა, მათი ურვა-წუხილი, მათი ზვარაკად გაღებული გული?.. მისდიონ მათაც წუთისოფელს.

და თუ ამაო არ არის, რა მისია დაჰკისრებიათ, რასაც იქნებ ვერ ვხედავთ, მაგრამ ფარულად არსებობს?

ალბათ, ის, რომ ისინი სულიერების უწყვეტობას ინარჩუნებენ და ამით აკოწიწებენ აბელური ცივილიზაციის ნაშთებს, როგორც ოცნებას დაკარგულ სამყაროზე.

. . . . . . . . . . . . . . .

## თავი III

## კაცთა სამსჯავრო ან ზულისჭიდილი

ის შუალედი, რაც ძევს „კაკო ყაჩაღსა“ და „ოთარაანთ ქვრივს“ შორის, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შინაგანი ევოლუციის გზაა.

ერთი მხრივ არის შურისგება დანაშაულის წილ, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლისაკენ მოწოდება და, მეორე მხრივ, შერიგების, მიტევების, გაერთიანების, ურთიერთთანხმობის ქადაგება და ეს ქადაგება ისეთივე სიმტკიცით, იდეალური და რომანტიკული სულისკვეთებით არის აღვსილი, როგორც თავის დროზე ის მოწოდება, ის უმანკვილური რწმენა, რაც უთუოდ მოითხოვდა ფერისცვალებას, თუ ილია მართლა ის პიროვნება იყო, როგორადაც მოევლინა ჩვენს ბედკრულ მამულს.

შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!
ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი...
შენ დაგიკვეხოს შენმა მშობელმა —
რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია,
აი დალოცოს ის ქრისტე-ღმერთმა —
ვისაც შენებრი დაჰბადებია!

ეს მხოლოდ კაკოს აღტაცება არ არის, ეს მწერლის აღტაცებაცაა: და ასეთი ექსპრესია ძალდაუტანებლად ნათელყოფს, რომ ზაქრომ შურისძიებით, მამის მოკვლისათვის სისხლის აღებით არამარტო შვილის ვალი აღასრულა, არამედ სამართალი თვითონვე განაჩინა.

ჰქონდა კი ზაქროს ამის უფლება?

ჰქონდა — დაბეჯითებით გვარწმუნებს პოემა.

ხოლო შურისგების ფსიქოლოგიურსა და ფილოსოფიურ ძირებს ილია აქ ღრმად არ ჩამყოლია. მოწოდებისათვის მძაფრი სურათის დახატვა (გულქვა ბატონის ძალმომრეობა და საწყალი გლეხის სასტიკად ცემა) ხევსუ-

ბით კმაროდა და საძიებელიც რაღა იყო: ეს მოწოდება კი სავსებით ეთანხმებოდა ეპოქისეულ განწყობილებებს, იმჟამად ყველაზე მეტად გაბატონებულს: ღმერთდაკარგულ საზოგადოებაში გამოსავლის ძიებას სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის გზით და ამ მცდელობისას აღძრულ ნაირ-ნაირ იდეებს, საბოლოოდ ყველა სისხლიანი გადატრიალების აუცილებლობას რომ ირწმუნებოდა. დიდი იყო საფრანგეთის 1789-93 წლების რევოლუციის ზეგავლენაც, რომლის გარეგნული ელვარება და შთამბეჭდაობა იოლად ფარავდა მის წიაღში არსებულ საზარლობას — სრულ ზნეობრივ დაცემას, ჰუმანისტურ და ამაღლებულ მისწრაფებათა განქარებას, კაცთმოყვარეობისა და ბედნიერი ცხოვრების ნიღაბქვეშ ადამიანის დაკაბალებას, სულიერების დაშრეტის გარდუვალობას.

უღმერთო მორალს ჩაეთრია ეთიკური ღირებულებანი, გადაეფასებინა და სხვაგვარად გამოეჩინა. და ყმაწვილკაცისთვის — ვინც პეტერბურგში ისეთ გარემოში მოჰყვა, სადაც ყველა და ყველაფერი ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი — ერთბაშად ძნელი იყო მათი რაობის გარკვევა; და ქრისტიანული თვალთახედვისათვის სრულიად უცნაური სტრიქონებიც ამიტომ წასცდება, შურისმაძიებელს, კაცის მკვლელს ღმერთისაგან დალოცვილად რომ აღიარებს. აშკარაა, რომ ქრისტე აქ მხოლოდ მეტაფორაა და მისი ხსენება ზნეობრივი სინათლით არ არის განათებული.

დამაფიქრებელია, რომ ქრისტიანულ გარემოში აღზრდილი და სულიერადაც ღვთაებრივ ზნეობასა და იდეალებს ნაზიარები ილია, რომლის ლექსიც „ლოცვა“ — შექმნილი „კაკო ყაჩაღზე“ ორი წლით ადრე — განმსჭვალულია ორთოდოქსული ქრისტიანული სულისკვეთებით („შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული, რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“), პოემაში არ დგას ამ ეთიკურ საყრდენზე. და ეს ვითარება სახიერად გვიჩვენებს, თუ რაოდენ გაბატონებულიყო ის ახალი მცდარი წარმოდგენანი, რომლის გადალახვაც ილიას ნებისყოფას უნდა მოეხერხებინა და მას სოციალურ პრობლემებზე ბევრად და ბევრად მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემების დასამკვიდრებლად ელვაწა — რათა ამ განცდით განმსჭვალულიყო ქართული ცნობიერება.

ქვეყნიერებაზე იმისთანა განწყობილებანი და მსოფლგანცდანი ჩამოყალიბებულიყო, რომ სოციალური იდეები ძალდაუტანებლად ვრცელდებოდა და სულ უფრო მკვიდრად ბატონდებოდა როგორც სხვაგან, ასევე ჩვენშიც და ილიას მთელი ცხოვრება მათთან თავგადაკლულ ბრძოლას მიეძღვნა, თავის დროზე თითქოს (ან რაღა თითქოს) ამარცხ, მაგრამ თუ სიცოცხლეში ვერ მიაღწია ამას და დაზნეული და გაუკუღმართებული აზროვნება ვერ შემოატრიალა, ტრაგიკული, მოწამებრივი აღსასრულით მაინც შეძლო დროშად და შარავანდედად წამძღვარებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ეროვნული ნიშატის გადარჩენას.

ერთი სიტყვით: რაც უფრო ალმავალი იყო სოციალური იდეები, მით უფრო მტკიცე და მიზანსწრაფული გამოდგა ილიას სულიერი ევოლუციაც, ამ თავსმოხვეულ იდეებთან ჭიდილში გამძაფრებული, და „კაკო ყაჩაღის“ შეხედულებას — „რა გავაგრძელო, თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს?!“ — ამიტომაც შეენაცვლა ჩატეხილი ხიდის სიმბოლური სურათი და ამ სურათის შინაგანი ტრაგიზმის ხილვით გამოწვეული მწარე სულიერი ტკივილი:

„ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი. ისინი იქით დარჩნენ, ჩვენ აქეთ, შორიშორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. არც უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს?“

და აი, ამ ორ შეხედულებას, ორ უკიდურესობას შორის ძევს „გლახის ნაამბობში“ გამოკვეთილი ზნეობრივი მრწამსი, როგორც ილიას მსოფლმხედველობის ღრმა ევოლუციის ერთი არსეითი რგოლი.

გარეგნულად აქაც თითქოს სოციალური იდეა მსჭვალავს ყოველივეს და „კაკო ყაჩაღის“ სულისკვეთებას აგრძელებს: უსამართლობით და ძალმომრეობით შეურაცხყოფილი ყმა ჰკლავს ბატონს — შურს იძიებს პირადი ცხოვრების დანგრევისათვის, მაგრამ, პოემისაგან განსხვავებით, ეს აქტი აღარ იწვევს მწერლის აღტაცებას („შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!“) და არც მარტოდენ გარეგნული აღწერით იფარგლება. ამიტომაც იფარება ჩვენს თვალთაგან მოთხრობის სოციალური მხარე, აღარც ამბის ბანალურობას ვგრძნობთ, რათა შურისგების, სამართლიანი და უსამართლო მკვლელობის ღრმა ანალიტიკურმა განსჯამ გულისგულამდე ჩაგვახედოს ადამიანის ბუნებაშიც და ამ მოვლენის საფუძვლებშიც.

აღარც ქრისტეს ხსენება ჩნდება მეტაფორად: ამ მოძღვრების მორალური პრინციპები მთელს მოთხრობაში ბრწყინავს და ამ თვალსაჩინო საყრდენად წარმოგვიდგება, რაზეც ილიას ზნეობრივი მრწამსია აშენებული.

ის შრეები, როგორც ილია ანაწევრებს გმირის აფორიაქებულ სულიერ განცდებს, ნიუან-

სობრივად აქვს განხილული თამაზ ვასაძეს და მოთხრობის დედააზრიც — გარკვეული.

შურისგება, ბოროტების წილ ბოროტება, სისხლის დაღვრა რომ ცოდვაა, ეს ილიასთვის, ცხადია, ერთხელ და სამუდამოდაა გადაწყვეტილი („კაცისკვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა“), მაგრამ მას — როგორც მკვლევარი შენიშნავს — აქ სხვა რამ აღელვებს: შეიძლება თუ არა მკვლელობის ცოდვა გამართლებული იყოს ისეთი მნიშვნელოვანი ფასეულობების დაფუძნების აუცილებლობით, როგორიცაა ღირსების გრძნობა, მოყვასის სიყვარული, სამართლიანობა.

ეს იმის ძიებაა, — ხომ არ აქვს თავისი გამონაკლისი ამ უზენაეს ქრისტიანულ კანონს და ცნებას: თუნდ უიშვიათესი, თუნდ მარტოდენ განსაკუთრებულ პიროვნებათათვის... სამართლიანი შურისგების იდეამ, რაც მაცხოვრის მოვლინებამდე ცხოვრების ჩვეულებრივ წესად ითვლებოდა, ქრისტიანულ ეპოქაშიც ხომ არ უნდა განაგრძოს არსებობა, როგორც გარდუვალობამ?!.

გაბრიელისადმი მწერლის დიდი თანაგრძნობა მისი წარმოსახვა სულიერად სპეტაკ და წრფელ, მოყვასისადმი გულანთებულ პიროვნებად, სოციალური და ზნეობრივი უკუღმართობის მსხვერპლად, სხვაგვარად ვინმეს მოკვლას ფიქრადაც რომ არ გაივლებს, ხოლო დათიკოსი — ზნედაცემულ ადამიანად, მარტო გაბრიელისა კი არა, ბევრის გაუბედურების მიზეზად, მეტად შესაფერისი იდეურ-ზნეობრივი გარემოებაა ამ პრობლემის გულისგულში ჩასაწვდომად — თუ შეიძლება შურისგების მორალური გამართლება, აქ უნდა შეიძლებოდეს.

გაბრიელი, როგორც მორწმუნე კაცი, შურისგებამდეც და შურისგების მერეც ბევრს ფიქრობს თავის საქციელზე და ხან დაჯერებულია და ხანაც მძიმე ეჭვები იპყრობს — მიეტევება თუ არა კაცთაგან, მიეკითხება თუ არა ღვთის სამსჯავროზე. და თუმც ადამიანის მოკვლის განზრახვა წინასწარვე ზარავს („კაცს თუ გინდა, რომ გულში ჯოჯოხეთი გაუჩინო. კაცისკვლის ფიქრი ჩაუსახე...“) და მზადაა ცოდვილს შეუნდოს დანაშაული („...ჩემ სისხლს არ ვიღებ. ღმერთმა ხომ იცის, რომ მე ჩემს სამაგიეროს ჩემს მტერს არ ვუხდი: მე ჩემს მტერს ჩემი ყველა დავუთმე, ყველა ვაპატიე, ყველა დავივიწყე...“), მაინც არ შეუძლია იმ ფიცის დავიწყება, პეპიას რომ მისცა და შურისძიებას დაჰპირდა, თუკი ერთის ქალიშვილი და მეორის საცოლე დათიკოს ძალადობას ვერ გადაურჩებოდა.

ასე ეხლება ერთმანეთს გაბრიელის შეგნებაში მოყვასის სიყვარულის, თანალმობისა და ერთგულების ქრისტიანული მოთხოვნა (იგი მორალურად პასუხისმგებელია პეპიას და თამროს წინაშე) მიტევების, მტრისადმი სიყვარულის ასევე ღვთაებრივ ცნებას, რათა ისინი შეაფარდოს, შეათანასწოროს და შურისძიების კანონიერების საფუძველი მაინც ქრისტიანულ მოძღვრებაში დაინახოს, შურისგება წარმოიდგინოს, როგორც მოყვასის სიყვარულით შთაგონებული, პირადული მოტივების გამომრიცხველი წმინდა აქტი და მის აღსასრულებლად სულის წაწყმედასაც არ შეუშინდეს.

გაბრიელი თავს არ იტყუებს, რომ სულის წაწყმედა ასცდება.

იგი საკუთარ თავში ვერ პოულობს წრფელი მონანიებისთვის საკმარის ძალას. რაც შეეხება პირად მოტივს: შესაძლოა კი ამ შურისგებისას ეს მოტივი გამოირიცხოს?

„...როცა (გაბრიელი) ქალს, ვინც უყვარს, გამეძავებულს ნახავს, სწორედ პირადი შეურაცხყოფის გამო იპყრობს გაბოროტება. მისი თავმოყვარეობისთვის ეს იმდენად მტკივნეული დარტყმაა, რომ გაუბედურებული ქალისადმი თანაგრძნობაც არ უჩნდება. გაბრიელის ღირსების გრძნობა აღშფოთებულია. თუ აქამდე ის გულწრფელად ფიქრობს, რომ მტერს აპატია და თავისი დატანჯვისათვის არ უხდის სამაგიეროს, ახლა, როგორც ჩანს, შეურაცხყოფის მთავარი მოტივი უკვე შეურაცხყოფილი პირადი ღირსების გრძნობაა, თუმც ფიციც თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს“, — წერს თ. ვასაძე და ვიდრე განაზოგადებდეს მოთხრობისეულ კონცეფციას — სამართლიანია თუ არა ბოროტების წინააღმდეგ მახვილის აღმართვა, საგანგებოდ უკვირდება, ერთი მხრივ, ადამიანში ღირსების გრძნობის გაღვივების ზნეობრივ აუცილებლობას (თანაბრად ძვირფასს როგორც გმირის, ასევე ილიასათვის, ვინც იდეალურ ადამიანებად სწორედ ამ ღირსებით შემკულ პიროვნებებს მიიჩნევს, ხოლო ღირსების გათელვას და მასთან შეგუებას — ყველაზე დიდ უბედურებად, სოციალური მოუწყობლობის მთავარ მიზეზად) და, მეორე მხრივ, გაბრიელის ზნეობრივ შეცდომას, რომ ვიდრე პირადად მას და მის ახლობლებს არ დაემუქრათ საფრთხე, მანამდე გულგრილად ადევნებდა თვალს ავკაცობას; და მსჯელობა ისეთნაირად წარიმართება, თითქოს შურისგება სამართლიან სასჯელად გვევლინებოდეს. მაგრამ მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, რომ მიუხედავად გარკვეული, საკმაოდ საფუძვლიანი და კანონიერი მოტივებისა (მოყვასის სიყვარული და მოვალეობა მის წინაშე, ფიცის აღსრულების აუცილებლობა, ღირსების დაცვა, ავკაცობასთან შეურიგებლობის აუცილებლობა), არაფრისდიდებით არ შეიძლება სწორი იყოს შურისძიებისა და მკვლელობის მორალური გამართლება, ქრისტიანულ ზნეობასთან მისი შეთავსება.

მწერლის ამ მრწამსის რეალური გამოხატულებაა გაბრიელის ბედი (დაგლახაკება, დასაპყრება და კაცთაგან გარიყვა) და აღსასრული —

თუმც იგი მოუთმენლად მოელის ზიარებას, როგორც სულის გადარჩენის აუცილებელ საწინდარს, მაგრამ დგება თუ არა ქრისტეს სისხლთან და ხორცთან ზიარების ნანატრი წამი, მის ცნობიერებაში რაღაც ძვრა ხდება („არა, შენი ჭირიმე! მე ეგრე მწოლარედ ზიარების მიღებას ვერ ვაკადრებ ჩემს მხსნელსა და მაცხოვარსა, ვენაცვალე იმის მადლს! მინდა ჯერ პირქვე დავემხო იმის წმინდა ხორცისა და სისხლის წინ და შევავედრო ჩემი თავი“) და როცა აქვითინებული პირქვე დაემხობა, სულსაც დალევს. ეს სურათი მართლაც რელიეფურად გამოხატავს ღრმა სინანულსა და ცოდვილობის განცდას — და ზიარების მიღება იმიტომაც არ დასცალდება, რომ თვითონ ვერ ბედავს ზიარებას და — თუმც მღვდელი შეუნდობს დანაშაულს — ვერ აძლევს თავს უფლებას, რომ ქრისტეს არსებაში წილი დაიდოს.

შურისძიების მორალურ მარცხს ნათელყოფს — გარდა ფინალური სცენისა — გაბრიელისა და დათიკოს ორთაბრძოლის ეპიზოდი და, რაც მთავარია, დათიკოს სულში მომხდარი ღრმა ფერისცვალება.

გაბრიელის გაქცევა პატიმრობიდან დათიკოს მოწყობილია და ეს საქციელი სხვას რას ნიშნავს, თუ არა ცოდვის მონანიებას, მისი გამოსყიდვის ცდას. ამიტომ ათავისუფლებს პიროვნებას, ვინც მისი მტერია და მოსალოდნელია — არც დაინდოს (აკი არც დაინდო); და ეს რომ სავსებით შეგნებული აქვს, განა ნათლად არ მოწმობს ამას დათიკოს სიკვდილისწინა დიალოგი გაბრიელთან? („მაინც შენის ხელით მოვკვდი! გახსოვს, მაშინ რომ გითხარი: სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს-მეთქი. აკი არც დაჰკარგა... — რისთვის დაგვიხსენი?.. — ვერა ჰხედავ? აი, ამ დღისათვის“).

რასაკვირველია, დათიკო არ ეძებს სიკვდილს და არც უბრძოლველად აპირებს სიცოცხლის დათმობას: ღმერთის და კაცის სიკეთეს მინდობილს მიტევების იმედი აქვს, მაგრამ თუ არ შეუნდობენ, ამისთვისაც მზად არის; არც სიკვდილს უფრთხის, თუ შურისძიებას მაინც ვერ აიცდენს.

მკვლევარს მხედველობიდან არ გამორჩენია დათიკოს წადილი შელახული ღირსების აღდგენისა, ის, რომ „მის მიერ პატიმრების დახსნას, მონანიების გარდა, კიდევ ერთი მოტივი აქვს — თავადური ღირსების გრძნობა, რომელიც მან შელახა, როცა გაბრიელი მოტყუებით დააჭერინა... დათიკომ თავისი ღირსების, სიამაყის მიმართ შეცოდა და ამ შეცოდების გამოსყიდვა უნდა. მას სურს დაამტკიცოს, რომ არ ეშინია გაბრიელის, დაადასტუროს თავისი ღირსება და ვაჟკაცობა... სხვა მას სანანებელი არაფერი აქვს, ცოდვილი იყო და დაისაჯა. დათიკო კვდება მშვიდად, ისე, რომ ცოდვის სიმძიმეს არა გრძნობს, კვდება მკვლელის მიმართ უპირატესობის შეგნებით. მას აქვს კიდეც უპირატესობა, რადგან მაინც გამოიჩინა სულგრძელობა და კეთილშობილება, მისმა მეტოქემ კი პატიება ვერ შეძლო, არსებითად მან ზნეობრივად დაამარცხა გაბრიელი“.

თუმც ორივე უზიარებლად წარუდგება უფალს, მათი სიკვდილი სრულიად განსხვავებული ამიტომაც არის: ერთისა საკუთარი ღირსებით აღსავსე და უდრტვინველი, მეორისა კი — შესაბრალისი და მოურეველი სულიერი ტკივილებით გათანგული.

დათიკომ დაიბრუნა სულიერი სიმშვიდე, რაც გაბრიელისათვის სამუდამოდ მიუღწეველი დარჩა, და თუმც თავს ირწმუნებს, სამართლიანი შურისგება აღვასრულეო და არც მონანიებას ფიქრობს, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობს, რომ შურისძიებას მისთვის არავითარი მორალური კმაყოფილება არ მიუნიჭებია.

ასე გადაიქცა წმინდა აქტის აღსრულებაზე ოცნება უბრალო მკვლელობად.

ასეთივე მკვლელობას ჩაიდენდა ბათუც, საფარ-ბეგისათვის სამაგიერო რომ გადაეხადა (აკაკი წერეთელი, „გამზრდელი“).

და გამამართლებელი მოტივი გაბრიელზე მეტადაც ექნებოდა:

თუ დათიკომ გაბრიელის სატრფო შეურაცხყო, საფარ-ბეგმა — ბათუს ცოლი, როცა ბათუ თვითვე გაგზავნა უაღრესად სახიფათო დავალების შესასრულებლად. და კიდევ: ძუძუმტეობის ტრადიცია გაცილებით მეტს ავალებდა საფარ-ბეგს ბათუს წინაშე, ვიდრე დათიკოს — ბატონისა და ყმის თუნდ მეგობრული ურთიერთობა გაბრიელის წინაშე.

მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური გამართლება, თავის მოტყუება იქნებოდა. ზნეობრივი სიწმინდე, ქრისტიანული ეთიკა და ტრადიციის დაცვის აუცილებლობის შეგნება არ ანებებს ბათუს სისხლის დასაღვრელად ხელის აღმართვას და მის აღშფოთებულ თავმოყვარეობას, მძაფრ შინაგან განცდებს მიტევების სულისკვეთება განმსჭვალავს. ეს სულგრძელობა მიღწეულია დიდი სულიერი ჭიდილის ფასად და სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო: შენდობა, როგორც უღრმესი და ურთულესი ზნეობრივი აქტი, არ არის იოლად მისაწვდომი.

თვით ბათუც კი, ასეთი სულიერი სიმტკიცის პიროვნება, შიშობს, უეცრად მოწოლილმა ემოციებმა არ სძლიოს გონების კარნახს და, თუ საფარ-ბეგი სადმე უცაბედად შეეჩეხება, მისი სისხლი არ დაღვაროს, ამიტომაც აფრთხილებს — არსად შემეყაროო.

საფარ-ბეგი, შემყურე ძიძიშვილის უაღრესი კეთილშობილებისა, ერთბაშად იგრძნობს, თუ როგორ გაიღვიძებს მის არსებაში ცოდვის შეგნება და მონანიების სურვილი; და თუ დილით მარტოდენ ის აშინებდა, ბათუს არ გაეგო მისი დანაშაული, სინდისის ქენჯნას კი არა

გრძნობდა („ჩემს ხაქციელს, სამარცხვინოს, ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს“), ახლა უკვე საკუთარი თავი შესძაგდება და ცოდვის გამოსასყიდად მზად არის, სიცოცხლეც გაილოს:

მაზლევვინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე!

ეს განცდა უეცარ შთაბეჭდილებას არ გამოუწვევია: ბათუს საქციელმა სამარადისო კვალი აღბეჭდა მის ცნობიერებაზე და ამიტომაც არამარტო ბათუს წინაშე დგას მორჩილებით თავდახრილი, თავის გამზრდელსაც უამბობს, რა სირცხვილიც დაემართა და მის დამბაჩასაც მორჩილებით უშვერს გულმკერდს... რათა კიდევ ერთი იშვიათი კეთილშობილების მხილველი შეიქნას.

საფარ-ბეგის სულში ჩამხდარი ფერისცვალება საწინდარია იმისა, რომ იგი მართლაც მონანიებაში განლევს წუთისოფელს: როგორც მერიმეს დონ ჟუანი, როგორც მრისხანე ბატონი ლევანი — მათსავით აღმოაჩნდება სულიერი ძალა და ღვთიურ დიდსულოვნებას ახალ ბოროტებათა ჩასადენად არ გამოიყენებს. ამას ბათუ თავიდანვე გრძნობს („რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზე უფრო უმტკიცესად, რომ განტეხე, ის გეყოფა სიკვდილამდე შენ საკვნესად“), რადგან მისთვის, მიუხედავად მძიმე დანაშაულისა, ცნობილია ძიძიშვილის შინაგანი პატიოსნება.

ამიტომ ერთმანეთის წინაშე მდგარი სულგრძელი და შემტევებელი ბათუ და ცოდვილი, ოღონდ მომნანიე და სიკვდილისათვის მზად მყოფი საფარ-ბეგი ისევე გვევლინებიან თანაბარი სულიერი სიძლიერის პიროვნებებად, როგორც გაბრიელი და დათიკო, ვიდრე წონასწორობა დაირღვეოდეს და ვითარება ისეთნაირად შემოტრიალდებოდეს, რომ ცოდვილი ღირსებაალდგენილი მიებარებოდეს მიწას, ხოლო დანაშაულის მსხვერპლი სიძულვილის მორევს ჩაეთრევინებოდეს.

განსხვავებულ მოქმედებათა ანალიტიკური განსჯით ილიაც და აკაკიც ერთ ზნეობრივ მრწამსს ალიარებენ.

საგულისხმოა, რომ „გამზრდელშიც“ გმირები ერთი წოდებისანი კი არ არიან, არამედ სხვადასხვა და ეს გარემოება არც აქაა შემთხვევითი — ილიას მსგავსად აკაკიც წოდებათა მორიგებისა და შეთანხმების იდეას ქადაგებს, რათა როგორმე გაანელოს თავადაზნაურობის წინაალმდეგ სულ უფრო და უფრო აღზევებული დაუნდობელი განწყობილება, რასაც ულმობელი თანამიმდევრობით უნდა მოჰყოლოდა ის სასტიკი ხოცვა-ჟლეტა, კიდეც რომ მოჰყვა სინამდვილეში.

საბედისწეროდ იშრიტებოდა მათი ზნეობრივი იდეალი.

თვალდათვალ ქრებოდა.

საქართველო სოციალური იდეებისა და რევოლუციური ალტკინებების ქსელში ეხვეოდა და მისგან თავის დაღწევა, ეროვნული მეობის შენარჩუნებისაკენ სწრაფვა ძალაუნებურად იწვევდა შემოქმედის სულში იმ ჭიდილს, იმ ტრაგიზმის ალიარებას, რომ ქრისტიანული ეთიკური იდეალი — ასერიგად ძვირფასი და მაცოცხლებელი — უკმარი იყო ალრეულ ქვეყანაში.

ასე რომ, ამ იდეალს ხაყრდენად უნდა ამოსდგომოდა სამართლიანი შურისგების იდეა, ამოზრდილი არა პირად მოტივზე, არამედ ეროვნულ მსოფლგანცდაზე — ასეა ვაჟას, ასეა ილიასა და აკაკის შემოქმედებაში.

გადამწყვეტი სწორედ ეს განსხვავებაა პირადსა და ეროვნულს შორის.

დიადი ფიქრი და განცდა, საქვეყნო სატკივარზე წუხილი არ უნდა დაკნინებულიყო, არ უნდა მომწყვდეულიყო სოციალურ იდეებში, ამ მეტისმეტად ვიწრო და სულის შემხუთავ ყალიბში; სიძულვილს არ უნდა ჩაეთრია ყველა და ყველაფერი....

მაგრამ ულმობლად ტრიალებდა ისტორიის ჩარხი....

შურისგების გამართლება, მკვლელობის დასახვა აუცილებლობად სოციალურ-პოლიტიკური იდეების გარეგნულმა მიმზიდველობამ (მაშინდელი თაობებისთვის) დაიმორჩილა და თავის მიზნებს მიუსადაგა.

დათიკო, როგორც ლიტერატურული სახე, წინამორბედია იერემია წარბასი (გიორგი წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“) და ტარიელ მკლავაძისა (ეგნატე ნინოშვილი, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“), რომელნიც მასავით განასახიერებენ ბოროტეულ საწყისს, აუბედურებენ ერთს, მეორეს, მესამეს, მეათეს... და ბოლოს და ბოლოს უნდა აღმოჩნდეს ვილაც, ვინც, უსამართლო და ყოვლად მოუწყობელი ქვეყნის კანონებით იმედგაცრუებული, თვითვე შეეცდება განჩინებასა და სამაგიეროს მიზლვას.

შურისგების ვნებით ატანილი ბაზვა ფულავა და სპირიდონ მცირიშვილი სინდისის ქენჯნას არ განიცდიან შურისძიების მერე, რადგან ღრმად სწამთ ამ აქტის ალსრულების სამართლიანობა: არც სასჯელს გაურბიან მკვლელობისათვის, რადგან ბუნებით პატიოსანი ადამიანები არიან და კანონიერების მხარეს დგანან — მერე რა, რომ ამ კანონებმა მათ დამაქცევრებზე არ გამოიჩინეს თავიანთი ძალა და ბაზვა და სპირიდონი ულმერთოდ გაწირეს, თვითონ ამის გამო შებრალებას არ თხოულობენ. მათ მიაჩნიათ, რომ შურისძიებით დათრგუნეს ბოროტება და ალიდგინეს გათელილი ღირსების გრძნობა (ისევე, როგორც გაბრიელმა) და სხვარალა შეიძლება აშინებდეთ — ულის სამხჯავრო საერთოდ არ ტრიალებს მათ ცნობიერებაში.

ხომ გახსოვთ ბაზვას სიტყვები: ესმას სამაგიერო რომ გადავიხადე, ახლა გავცოცხლდი,

ისევ უწინდელი ბახვა გავხდი, ყველგან ბახვა მერქმევა და ქუდიც თავზე მეხურება, გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ მცოდნის ვაჟკაცურად სისხლის ძიება.

ხოლო სპირიდონს აზრადაც არ მოსდის გაქცევა და რევოლვერშემართული პოლიციელის სიტყვებს — „ვინ მოჰკლა?“ — მაშინვე მიუგებს: — „მე მოვკალი“.

დიახ, იერემია წარბა და ტარიელ მკლავაძე დათიკოს მოგვაგონებენ, ბახვა ფულავა და სპირიდონ მცირიშვილი კი — გაბრიელს, ოღონდ მხგავსია გარეგნული მხარე და არა შინაგანი სიღრმე და ზნეობრივი პათოსი — ის მძაფრი სულიერი ჭიდილი, მიტევების ფარული წადილი, რაც ბოლოს მაინც ვერ შეძლო გაბრიელმა, უცხოა გიორგი წერეთლისა და ეგნატე ნინოშვილის გმირებისათვის, ცოდვისა და შენდობის დილემა მათ წინაშე არ წამოჭრილა და არც ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნათელში განუჭვრეტიათ თავიანთი საქციელის ზნეობრივი რაობა.

მწერალთა თვალთახედვა სავსებით შეესატყვისება მათი გმირებისას.

მკვლელობა, სისხლისღვრა მათ არსებაში არავითარ გამცდას არ იწვევს.

აშკარაა: ილიასა და აკაკის ზნეობრივმა მრწამსმა ამ შემთხვევაში გაგრძელება ვერ ჰპოვა და მათი ჰუმანურ-ქრისტიანული სულისკვეთება სწორედ სოციალურ-პოლიტიკურ იდეათა გარემოცვაში ჩაიკარგა.

ისიც ამ მწერალთა თვალთახედვის მკაფიო დასტურია, რომ არც იერემია წარბა და არც ტარიელ მკლავაძე ერთი წუთითაც არ განიცდიან არავითარ სინდისის ქენჯნას და მონანიებას, არც საკუთარი ღირსების გრძნობის აღდგენა აწუხებთ; ვერც გაუგიათ, უზნეო საქციელით მათივე ადამიანური ღირსება რომ ილახება, მათ სულში წამიერადაც არ ინთება ის ღვთიური ნაპერწკალი, რამაც დათიკოს პატიმრების გამოხსნა გადააწყვეტინა. მონანიების გრძნობის გაღვიძება, ღირსების გულისთვის სიცოცხლის გამეტება და ვაჟკაცური აღსასრული იმ გარკვეულ თანაგრძნობას ბადებს მისადმი, რასაც მოკლებულნი არიან დათიკოს ლიტერატურული მემკვიდრენი, რომლებიც მხოლოდ მარტივ ბოროტებას განასახიერებენ.

ასე იჩენს თავს მწერალთა უაღრესად მიკერძოებული, უკუღმართი შეხედულება გარემომცველ ყოფაზე: თავადია? — მაშ, კიდეც დამნაშავეა, ყოვლად ულირსი პიროვნებაა.

ამ ფონზე კიდევ უფრო თვალსაჩინოა ზაქროსა და კაკოს სახეთა ტენდენციური იერი, მათი სულის სიმარტივე, რაც შეუძლებელია ჩაწვდეს ნამდვილ ზნეობრივ იდეალს; ალღოთი თითქოს გრძნობენ, თითქოს მან მიელტვიან, მაგრამ ეს იდეალი მათთვის ლაფარული რჩება.

პოემის ორივე გმირს სულიერ მხნეობას არსენას ლეგენდარული სახელი, მისი ბედის გახსენება ანიჭებს, მისით არიან შთაგონებულნი. და თუმც ეს აღტაცება ზაქროს პირით გამოითქმის, ორივე ერთნაირად იზიარებს: „ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა! ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა, ხან მომალხენდა, ხან მალონებდა... არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა, ჩვენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული, ის იყო ჩემი ჯავრი და ლხ ნა, ის იყო ჩემი გული და სული. ეგრეთ გონება ხალისიანი არსენას ამბით მე მეზრდებოდა: მიყვარდა მე ის კეთილდღიანი და არსენობა მენატრებოდა“.

გამჭვირვალე მინიშნებანი კიდევ უფრო მკაფიოდ ნათელყოფს, რომ ზაქროც და კაკოც არსენას სახით განხორციელებულ იდეალს მისდევენ თავიანთი ცხოვრების წესით. „მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს, ეხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს“ — წუხს ზაქრო, მაგრამ მისი ამბის მოსმენისას, კაკო აღტაცებული რომ შესძახებს, შენი გამჩენის ჭირიმე, შენიო, გვაგრძნობინებს, რომ არსენასებრი შვილები თურმე კიდევ იბადებიან; ანდა ეს სტრიქონები, ერთი არსენაზე ნათქვამი — „ჩვენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული“, მეორე კი კაკოზე — „შენი ამბავი, ეხლა მართალი, ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს“ — განა მათ შორის უმთავრესი საერთოს არსებობას არ გულისხმობს?

ორივე გმირის საქციელისა და ფიქრის საზომი არსენაა: მასავით გამოქცევიან უსამართლობას და ტყეში გასულან, გლეხკაცის ბედს, ჭირსა და ლხენას მასავით კალთით ატარებენ, ჩაგრულს მასავით უდგანან მხარში... ასე წარმოუდგენიათ არსენას ლეგენდა და ამას იქით მათი გონება აღარ იხედება: მაგრამ განა არსენა მხოლოდ ეს არის? — უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებული და ჩაგრულთ იმედი? ეს ხომ მარტოდენ ერთი მხარეა, ისიც გარეგნული, მისი მართლაც იდეალური სახისა, ნათელ სიმბოლოდ რომ განზოგადდება და ისე გამოჰყვება ჩვენს მხატვრულ აზროვნებას.

ამ იდეალურსა და ამაღლებულ სახეს ჰქმნის ის იშვიათი კაცთმოყვარეობა და შემწყნარებლობა, რაც ისე ჩაკირულა მის სიკეთითა და ღვთისმოსაობით აღსავსე სულში, რომ თვით უძნელეს გარემოებაში — სახელმწიფოსაგან დევნილი და ასოციალურ პიროვნებად გადაქცეული — უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ინარჩუნებს ამ იშვიათ უნარს. და ჩვენს წარმოდგენაში ეს პიროვნული თვისებები და ამით შთაგონებული მოქმედებანი გმირისა ჩრდილავს სხვა ყოველივეს და არსენას სახის ჭეშმარიტ ხიბლს ჰქმნის.

თხუთმეტ წელს ყაჩაღადა ვარ,
კაცის ცოდვა არ მაძევსა.

ესაა ჭეშმარიტი ხიბლი და არსენას ლეგენდის დუღაბი.

ამ სულიერი კეთილშობილების კაცმა შეუძლებელია სამაგიერო მიუზღას ფარსადანს მუხანათობისათვის: რომ მიიტყუა, დაათრო, დააძინა, ღალატით შეაპყრობინა თავის თანამზრახველებს და რუს გამგებელთ ჩაუგდო ხელთ. ისეთი სატანჯველისათვის გაწირა, თვით სიკვდილსაც რომ აღემატებოდა („ათასწილად სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა“).

თბილისისკენ მიმავალი — ცხენზე დაბორკილი — არსენა ამაოდ მოაგონებს ფარსადანს ნათელ-მირონს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მის ცოდვას ღვთის წინაშე, ამაოდ აშინებს ღვთის სამსჯავროთი და ღვთისმშობლის სამართლით, ამაოდ პირდება ათას ხუთას თუმანსაც... ფარსადანს ისე დაუფლებია ჯილდოს შოვნის, აღზევების სურვილი („ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა“), რომ მის მეტს ვერაფერს ხედავს... აქ უკვე არსენა აბობოქრდება და ბრაზით შეპყრობილი უეჭველ შურისძიებას დაჰპირდება მოღალატე ნათლიმამას („რას მიპირობ, ნათლიმამავ, თუ წაუველ ამათ ხელსა? თრიალეთში ცხვარს გაგიწყვეტ, მინდორში დაგიწვავ ძნებსა, მირონსაც აღარ დავეძებ, ღორივით გამოგჭრი ყელსა“).

თითქოს გაუთავებელმა უსამართლობამ და შინაურისაგან ასეთნაირმა ვერაგობამ სიძულვილი ჩაუღვარა არსენას გულში, თითქოს ტყვეობას გადარჩენილი კიდევ აპირებს დანაქადების აღსრულებას — „ვიდრე ფარსადანს არ მოვკლავ, გული როგორ გამიძლებსა“, — მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი განწყობილებაა, რაც მის სულსა და ზნეობრივ რწმენას ვერ მოერევა: ამიტომ მალევე უნდა გაიხსენოს თავისი უსისხლობა, უცოდველობა ღვთისა და კაცის წინაშედ და პირჯვარს რომ გადაიწერს, კიდეც შეუნდობს მირონის დამაქცევარსა და მოღალატეს:

ახლა მოვკლა ნათლიმამა,
ბოლოს სული წამიწყდესა!..
გამოუშვი ფარსადანი,
არას ვერჩი არაფერსა;
ვაპატიებ ნათლიმამას,
ჯერ მირონს და მერე ღმერთსა;
ფარსადანს მაინც არ მოვკლავ,
თუ გინდ რომ წინ დამიხვდესა!

აი, ეს არის ნამდვილი არსენა, სრულიად გამორჩეული გმირი სხვა ერთა ლეგენდებში შემონახულ ყაჩაღთა სახეების, მათ სისხლიან, შურისგებით აღვსილ მოქმედებათა ფონზე. ეს კი როგორი გულმოწყალეა, მიმტევებელი, ღვთისმოშიში... და რარიგ უჩვეულოდ და გაუგებრად წარმოსდგება სხვათა თვალში მისი ეს უსისხლობა! „არ მოგიკლავს? ჯერ კაცი არ მოგიკლავს? მაშ... როგორ გაიკეთე ეს სახელი?“ — ეს მხოლოდ დალი მახანს არ აოცებს, მხოლოდ მას არ ეჩვენება ისეთივე უცნაურობად, როგორც მშრალი წყალი ან ცივი ცეცხლი (მიხეილ ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“). ეს საზოგადოების საერთო მორალიცაა, ოღონდ მას გულისგულში ჩამარხული, ნავლწაყრილი იდეალის შემწეობით მაინც შეეძლო დაეფასებინა არსენას გამორჩეულობა: სხვაგვარად სახელს რანაირად მოიხვეჭდა. და თუ მომდევნო თაობათა თვალში მისი ნამდვილი ბუნება სიბნელეში ჩაიძირა და ზნეობრივი მოტივის ნაცვლად სოციალური მოტივები უფრო მკვეთრად წამოტივტივდა, ოდესმე ხომ მაინც აღსდგებოდა პირვანდელი სიმართლით და სიკაშკაშით.

აი, ეს არის კაკოსა და ზაქროსთვის მიუწვდომელი და, მიუხედავად არსენობის წადილისა, ამ უმთავრესი განსხვავების — ზნეობრივ მრწამსთა სხვადასხვაობა მათ შორის ზღუდავს და აკნინებს „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟთა მისწრაფებებს.

ყაჩაღის სახე ჩვენს მწერლობაში ამ ზნეობრივი შარავანდედით ვეღარც მერე შეიმოსა (თუმც მისი სხივი ადგას, ვთქვათ, „სისონა დარჩიას ლექსს“), რადგან კვლავ და კვლავ სოციალური იდეები და შეხედულებანი ჩრდილავდა სულიერ მიდრეკილებებს.

თვით არსენასაც კი, როცა მისი თავგადასავალი მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ქარგაში მოექცა, აღარ წაჰყოლია თან უსისხლობა. ამ რომანის შექმნისას მწერალი იძულებული იყო გაეთვალისწინებინა ხელისუფლებისა და ცენზურის ძალმომრეობა, ის დაუნდობლობა, რაც „ჯაყოს ხიზნების“, „კვაჭი კვაჭანტირაძისა“ თუ „დამპატიჟეს“ გამო თავს დაატეხეს, და წიგნში მხატვრული სიმართლის გვერდით ზოგიერთი აშკარა კონიუნქტურული რეალია თუ ეპიზოდი გაერია.

არსენას მიერ დაღვრილი სისხლიც ამ არალიტერატურული იძულების ბრალი უნდა იყოს. იქნებ სხვა მიზეზიცაა და ამჟღავნებდეს მწერლის სკეპსისს, რომ სულგრძელობა და მიმტევებლობა, კეთილშობილური თვისებანი ტოტალური ბოროტებისა და უსამართლობის პირობებში უკმარია სულიერების გადასარჩენად და, ადრე თუ გვიან, იძულებულს გახდის დაივიწყო ღვთის მცნებანი... მაგრამ, ასეა თუ ისე, გიგოლასა და მაიორ არლოვის მოკვლით ირღვევა არსენას სახის განსაკუთრებული ხიბლი, მისი ზნეობრივი მრწამსი.

ფარსადანის შეწყალება რომანში ვრცლადაა მოთხრობილი, მაგრამ ეს ვერაფერს ცვლის — აღსასრულის წინ ჩადენილი ეს ორი მკვლელობა ზადად დაემჩნევა არსენას ბიოგრაფიას.

მაგრამ არსენას იდეალური სახე ხომ უპირველესად პოემას უკავშირდება.

არსენა: ყოველ ადამიანში ღირსების, ღვთიური ნაპერწკლის მძებნელი.

მისი მხატვრული სახისათვის სრულიად უცხოა მოგვიანებით გაბატონებული ხაზედისწერო

შეხედულება: თავადია? — მაშ, კიდეც დამნაშავეა, ყოვლად უღირსი პიროვნებაა.

ლეო ქიაჩელი ამ საბედისწერო შეხედულებას მკვეთრად არ დაპირისპირებია (ეს უკვე შეუძლებელი იყო), მაგრამ „ტარიელ გოლუას" ერთი ეპიზოდი საგულისხმოა, როგორც კეთილშობილი წოდების პიროვნებაში — თუმც მას ცოდვა აქვს ჩადენილი — ღვთიური ნაპერწკლის ძიების ცდა. „გლახის ნაამბობთან" შედარებით მწერლის მრწამსი აქ მკრთალადაა გამოხატული, მაგრამ მაინც მინიშნებულია ცოდვის სიმძიმეც, მონანიების წადილიც, სულგრძელობაც, შურისგების ზნეობრივი მარცხიც.

გაიოზ გადალენდია, მზაკვრული განზრახვით მიეკედლა ამბოხებულებს, ერთგულად მოაჩვენა თავი, დაელოდა ხელსაყრელ შემთხვევას და ლალატით მოკლა ლევან გოლუა — იდეური მოწინააღმდეგე და სიყვარულშიც მისი რაყიფი.

შურის საძიებლად ჩასაფრებულ ბეჟანას უცნაური აღელვება ეტყობა, თითქოს მძიმე ლოდისებრ რაღაც დასწოლია გულზე, მაგრამ ეს არაა კრთომა მოსისხლე მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების წინ, რადგან ბევრად უფრო საშიშსა და ძნელ ყოფაში არაერთხელ ყოფილა ჩავარდნილი: „შიში კი არ იყო, მას რომ ახლა აწუხებდა. ეს სულ სხვა სულიერ-ზნეობრივი განცდა იყო, რომლის არსებობას მხოლოდ შეუგნებლად ხვდებოდა, მაგრამ შეუგნებლად ანგარიშს არ უწევდა".

ამ გაუცნობიერებელი სულიერ-ზნეობრივი განცდის გამოისობით ბეჟანასთვის წარმოუდგენელია, მიპარვით, ლალატით მოკლას გაიოზი; თანაც: შურისძიება უბრალო მკვლელობად რომ არ გადაიქცეს, ბეჟანა ამიტომაც მოუწყობს გაიოზს სასამართლოს ერთგვარ ინსცენირებას — ამ ფონზე უკვე კერძო პიროვნება, ლევანის მეგობარი კი არ უზღავს სამაგიეროს, არამედ მისი ხელით კანონი და სამართალი უნდა აღსრულდეს: — „ქურდულად, ლალატით მოჰკალ ლევანი, უსინდისოვ?" — ესაა ის ბრალდება, განაჩენი რომ უნდა მოჰყვეს: არა ისეთნაირი, როგორიც გაიოზმა ჩაიდინა, არამედ — ვაჟკაცურ ორთაბრძოლაში. ამიტომაც აგრძნობინებს, — იარაღს მიმართე, თავი დაიცავით.

ამ პასაჟებში ცნაურდება გაიოზის სულში მომხდარი ძვრა: იგი სრულიად წყნარად შეჰყურებს რევოლვერმომარჯვებულ ბეჟანას და მის გამოხედვაში არც შიში იხატება, არც რაიმე საყვედური. „— შენი საქმე ჰქენი, ბეჟანა!" — მერე კი მისი სიტყვების პასუხად: „ჰა, თავს ნუ ისაწყლებ!.. სულერთია, არ გადამირჩები!.." — კვლავ: „მორჩი, კაცო, ნუ აყოვნებ..." — არამარტო ბედთან შერიგებული კაცის მორჩილებაა, არამედ სიცოცხლის გაღების ფასად ცოდვის გამოსყიდვის წადილიც. ამით აღწევს ასეთ სულიერ წონასწორობას.

არა, ეს არ არის მზაკვრული ხერხი, მართლა თავის მოსაწყლება ბეჟანას მრისხანების დასაოკებლად ანდა მოსადუნებლად... მერე რა, რომ როცა გაიოზს მოეჩვენება, ბეჟანა სიმხდალის გამო ვერ მესვრისო, გულმოსული და ზიზღით აღვსილი („გლახა ყოფილხარ, რომ ვერ ბედავ.... მაშ მიფრთხილდი, არ დაგასწრო!") საკვირველი სისწრაფით ამოიღებს რევოლვერს. მთავარი შემდეგ უნდა მოხდეს: როცა სასიკვდილოდ დაჭრილი გაიოზი მიწაზე დაცემის წინ რაღაც სასწაულად თავს შეიკავებს, რევოლვერს მაღლა აწევს, მაგრამ სროლით არ ესვრის: „ხედავ, შემიძლია სროლა, მაგრამ... კმარა... არ მინდა!.. ღმერთმა გაგვასამართლოს!.."

ეს სულგრძელობა ბუნებრივი გაგრძელებაა გაიოზის ადრინდელი ქცევისა, მისი მონანიების რეალური გამოხატულება. და გამრთელებული სინდისით აღარც ღვთის სამსჯავროსი ეშინია, „ღმერთმა გაგვასამართლოს" — ეს შემთხვევით წამოსროლილი ფრაზა კი აღარ არის, სულთმობრძავის გაუცნობიერებელი ლტოლვა სულიერი გადარჩენისაკენ, არამედ ღრმა განცდა, მოპოვებული უთუოდ შინაგანი ჭიდილით.

მიტევების ის უნარი, რაც აღმოაჩნდა გაიოზს, ვერ მოიძია ბეჟანამ საკუთარ არსებაში, თუმც ყრუდ კი გრძნობდა მის ფაჩუნს. ვერ მოიძია და ისიც და მისი შურისძიებაც ისევე კნინდება გაიოზის აღსასრულის ფონზე, როგორც გაბრიელისა დაკნინდა. მასავით ვერც ბეჟანა განიცდის სიბრალულს მოკლულისადმი და როცა მგზავრი დედაბერი წივილით მივარდება — კაცი მოჰკალი, ვაი, ვაი, შე უბედურო, — დაჯერებული გამოსცრის: „მოღალატეა, ამხანაგის მკვლელი!.. თუ ვინმემ გკითხოს, უთხარი: „ბეჟანამ შური იძია და სისხლი აიღოთქვა!.." მას ჯერ ესახელება თავისი საქციელი, ოღონდ აღარ ვიცით, აღსასრულის წინ მასაც მძიმედ ხომ არ დააწვება ჩადენილი ცოდვა. იქნებ გაუღვივდეს ის ყრუ სულიერ-ზნეობრივი განცდა ან იქნებ ღმერთსმოკლებულმა გარემომ არავითარი მონანიება არ აღუძრას... აკი მოგახსენეთ: ზნეობრივი მრწამსი აქ შედარებით მკრთალად არის გამოხატული-მეთქი.

ინანიებს გაიოზი, ინანიებს დათიკო, ინანიებს მრისხანე ბატონი ლევანი, ინანიებენ კარლ მოორი და დონ ჟუანი... ვინ მოთვლის, კიდევ რამდენს მოუნანიებია: ზოგს ამქვეყნიურ სიამეთა დათმობითა და ლოცვა-ვედრებით, ზოგს — სიკვდილისთვის თვალის გასწორებით... მაგრამ იმათაც ვინ მოთვლის, ცოდვა რომ ვერ გადაუტანიათ, სინდისის ქენჯნისაგან ვერაფრით რომ ვერ მოუსვენიათ და გაშმაგებით დაეძებდნენ სიკვდილს, იქნებ ამან მაინც დაგვიხსნას სულიერი გვემისგან.

ნოდარის შურისძიება ცალკე ამბადაა ჩართული „სურამის ციხეში" — ისედაც შურისგების მოტივზე აგებულ ზღაპრულ ქარგაში, — ოღონდ ღრმა და უშუალო ძაფებითაა გა-

დაბმული მოთხრობის ფინალურ ეპიზოდებთან, სადაც მთავარი სისხლიანი დრამა უნდა გათამაშდეს — გულისვარდის სასტიკი სამაგიერო.

ორივე შურისძიება გარეგნულად რამდენადმე მსგავსია, თუმც არსებითად განსხვავებული შურისმგებელთა სულიერი განცდებით: ნოდარიც და გულისვარდიც ულმობლად მოექცნენ თავიანთი ცხოვრების დამღუპველთ — არამარტო მათ ჰკლავენ, არამედ მათ შვილებსაც იმეტებენ, რათა უკეთ მოიოხონ გული.

ნოდარი ბავშვს აფექტში ჰკლავს, წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე — დიდხანს უთმინა გულმხეც ბატონს: პირუტყვივით გაყიდვაც, კევრის ქვეშ დედის სიკვდილიც, ყოველმხრივ გაწამებული ცხოვრებაც (ეს ტენდენცია აკი მოგვიანებით კიდევ უფრო გაძლიერდა და გაიზარდა), მაგრამ სატრფოს გატანჯვა და თვითმკვლელობამდე მიყვანა ვეღარ აპატია, აიღო თავზე ხელი და, როცა შინ მიუვარდა და ბატონი სიცოცხლეს გამოასალმა, სისხლმოწყურებულმა აღარც მისი ოჯახი დაინდო: თუმც კნეინა ევედრა, მე მომკალ, ოღონდ ჩემს გოგოს ხელს ნუ ახლებო, და ბალღიც ეხვეწა, ნუ მომკლავო, ყმაწვილიც დედას დააკლა.

ნოდარი გადაურჩება მართლმსაჯულებას, ოსმალეთში გადაიხვეწება, რჯულსაც შეიცვლის და ოსმან-აღას სახელით დაიწყებს საკმაოდ შეძლებულ ცხოვრებას, მაგრამ უმანკო ბალღის ლანდს, მის ვედრებადქცეულ მზერას — ნუ მომკლავო, ვერაფრით ვეღარ მოიშორებს; და მარტო სინანული კი არა, ისეთი სასოწარკვეთა იპყრობს, სიკვდილს დაეძებს, ყველაზე გაცხარებულ ბრძოლებში გადაეშვება, რათა სიცოცხლის გაწირვით დაიამოს მწარე სულიერი ქენჯნა, მაგრამ ბედია თუ იღბალი, არც ტყვია ეკარება და არც ხმალი.

მიუხედავად რჯულის შეცვლისა, მის არსებაში ძლიერად ღვივის ქრისტიანული შეგნება (თავის მოკვლასაც ის არ ანებებს) და ჩადენილი ცოდვები ისე აფორიაქებს, რომ მაჰმადიანთა უეჭველ შურისძიებასაც არ შეუშინდება და კვლავაც ქრისტეს რწმენას აღიარებს. მას მართლაც ულმობლად გაუსწორდებიან და მხოლოდ ასე, მხოლოდ მოწამებრივი სიკვდილით გამოისყიდოს რჯულის დაგდებასაც და უდანაშაულო ყმაწვილის მოკვლასაც.

უცოდველი ბავშვის მოკვლით გამოწვეული სულიერი გვემა მძაფრად გამოიხატა „არსენა მარაბდელშიც“: თუმც სიმონა არ არის ნოდარივით ღვთისმოსავი, მაგრამ სინდისის ქენჯნას ვერც ის მოურევა — როცა სუმბათაშვილის სახლში ექვსი გაავებული კაცი შეიჭრება, გაავებულნი მებატონის მიერ მათ და სხვათა მიმართ ჩადენილი არაერთი ბოროტებისათვის, აღარავის გაარჩევენ და ქალებსაც დაუნდობლად მოეპყრობიან („დაჰკა! აჰკუწე! არ დაინდო! ახჩხე! არ გაუშვა!“), მხოლოდ ოთხი წლის გაფითრებული ბალღი აეკრობა კედელს და ცახცახით აბუტბუტდება: „ძია, მე პატარა ვარ და ნუ მომკლავ... შემიბრალეთ“.

სევასტი თვალს მოჰკრავს და სიმონას მიაძახებს: „არ დაინდო! გაიზრდება და ჩვენს ცოლ-შვილს გადუხდის“. თვალამღვრეული და ხანჯალამოღებული სიმონაც ბალღისკენ გაემართება, ბავშვი თვითონ გამოიქცევა მისკენ, მუხლებზე მოეხვევა და ერთხელ კიდევ წამოიძახებს: „მე პატარ ვარ და, ნუ... ნუ!“ და ვეღარ დაამთავრებს — მამაკაცის ხელი ყანყრატოში მისწვდება და მოუჭერს. ბავშვი თვალებს გადმოჰყრის და ენას გადმოაგდებს.

ისიც, ნოდარივით, აფექტში მოქმედებს და იმ წუთას ვერ აცნობიერებს, თუ რას სჩადის, მაგრამ სრულიად დანისლული გონება ოდნავ გადაეწმინდება თუ არა — თუმც სხვებთან ერთად გარბის და თავის შველაზე უფრო ფიქრობს, — დროგამოშვებით შედგება და წამოიძახებს: „ძმებო, ენა!“ — რაც მათ შორის ძრწოლასა და გაოცებას იწვევს, რა გემართება, რა ენა, ვისი ენაო... არადა, ყველაზე მწვავედ ბალღის სულის ამოხდომის სურათი ჩარჩენია ხსოვნაში და ამ შთაბეჭდილებას ვეღარაფერი აშოშმინებს, რაც ხანი გადის, უფრო და უფრო უმძაფრდება. დაძინების წინ ხომ რამდენჯერმე წამოვარდება ცახცახით, „ძმებო, ენა, ენა“, და გაქცევას აპირებს. დილით ისევ გადავა გონს: „ძმებო, ი ბალღი მომაშორეთ, თორემ გავგიჟდები! სულ თან დამდევს, ენას მიყოფს და აღარ მშორდება. — წამოიძახა მან და ხანჯალამოწვდილი ეცა ფოთლიანს, ეცა და გავეშებული ჰკაფავდა ყლორტებს, ჰაერს და თან ჰკიოდა: — დაიჭი! არ გაუშვა! ესეც შენ! ესეც! არც ახლა მომშორდები? — და ის ბალღი ერთხელ კიდევ ასჩეხა და მის ენას ღრმა ხევში დაემალა“. იძულებული შეიქნებიან დაიჭირონ, შეჰკრან, წყალი ასხურონ და პირქვე დააგდონ. მაგრამ სიმონას დამშვიდება ამაოა: ბალღი თითქოს მიწაშია და იქიდან აწვალებს.

სიმონა უკვე განწირულია და სიკვდილი მისთვის შვებაა. და თუმცა თავს არ იკლავს და მდევრები შეიპყრობენ, მაგრამ ჩამოხრჩობის წინ კვლავ მისი უსასოო ვედრება: „ენა, სევასტი! ენა მომაშორე, შე კაი კაცო“, გვარწმუნებს, რომ ამ ქენჯნასა და გვემას დიდხანს მაინც ვერ გაუძლებდა.

ხომ ასე მძიმე და გაუსაძლისია სულიერი ტანჯვა, მაგრამ ამქვეყნიური ყოფაც ეს არის: ულმობელია მისი კანონები, ულმობელია საზოგადოება და ითრევს ყველას, არამცთუ გაშმაგებულთ თუ გაბოროტებულთ, არამედ კეთილსაც და სათნოსაც, თუ წუთით მაინც მოუდუნდებათ ნებისყოფა და რწმენა.

(გაგრძელება იქნება)

# ნოდარ ხუნდაძე

# ღალატი

უკანასკნელ თვეებში სიტუაცია აფხაზეთში ძალიან დაიძაბა. ამაში კი, პირველ ყოვლისა, ბრალი მიუძღოდა ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტს, რომელიც თავის დროს სწორედ რომ არადემოკრატიული, უფრო მეტიც, ქართველთათვის ჭეშმარიტად დისკრიმინაციული წესით იქნა არჩეული. 46 პროცენტმა ქართულმა მოსახლეობამ 26 დეპუტატი აირჩია, 18 პროცენტმა აფსუებმა — 28, ხოლო სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა — 11.

არა მგონია, ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდეს საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანი, რომელმაც ეს ფაქტი არ უწყოდეს და ამნაირი უსამართლობით აღშფოთებული არ იყოს. მაგრამ იმაში კი ვარ დარწმუნებული, ბევრმა კარგად არ იცის, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში უკანასკნელ ათწლეულში, რა უძღოდა წინ მთელ იმ უბედურებას, რაც 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. აფსუურ-ქართული პრობლემა არახალია, ძველია.

მე პოლიტიკოსი არ გახლავართ და მოვლენათა ამომწურავი პოლიტიკური შეფასების პრეტენზია არა მაქვს, ამიტომ უმთავრესად იმ ფაქტების აღნუსხვით შემოვიფარგლები, რაც საკუთარი თვალით მინახავს, რისი მოწმეც ვყოფილვარ.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1955 წელი იდგა. მოგეხსენებათ, 50-იანი წლების ქართველთა გამუდმებული და ყოველმხრივი დამცირებისა თუ შეურაცხყოფის წლები იყო.

ერთ საღამოს სოხუმის ერთ-ერთ რესტორანში საპურმარილოდ შესული, — ცხადია, ცალცალკე სუფრასთან მსხდომი, — ქართველი და აფსუა ჟურნალისტები წაიჩხუბნენ. ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ერთმანეთს, მერე მუშტი-კრივიც გამართეს. როგორც წესი, ამ ფაქტზე სწრაფი და ჯეროვანი რეაგირება მოახდინა პარტიის საოლქო კომიტეტმა, რომლის ბიურომაც თავის ერთ-ერთ სხდომაზე ჟურნალისტისთვის შეუფერებელი საქციელის გამო მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო და სამუშაო დაატოვებინა ერთ ქართველ ჟურნალისტს. იმის მტკიცებას ვერ მოვყვები, აფსუა ჟურნალისტებს მადლობა გამოუცხადესმეთქი, მაგრამ უმუშევარი არც ერთი მათგანი რომ არ დაუტოვებიათ, ეს ფაქტია;

1967 წელს აფსუებმა მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ენგურიდან ფსოუმდე, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, წაშალეს ყველა ქართული წარწერა, რისთვისაც კაცისშვილი არ დასჯილა.

1977-78 წლებში აფსუებმა მოაწყეს მანამდე უნახავი და წარმოუდგენელი ანტიქართული აქციები: მრავალათასიან მიტინგებზე დაუფარავად გაისმოდა მოწოდებები, რომ ქართველები ოკუპანტები არიან, რომ მათ აფსუებს გენოციდი მოუწყეს და დადგა ჟამი შურისძიებისა. ისე დაიძაბა სიტუაცია, ისე გართულდა მდგომარეობა, ალბათ, ალბათ კი არა, ნამდვილად შეუძლებელი იქნებოდა სისხლისღვრის თავიდან აცილება, რომ არა ბატონ ედუარდ შევარდნაძის წინდახედულება და უტყუარი პოლიტიკური ალღო.

მახსოვს, მაშინ მხოლოდ ერთი ბიჭვინთელი აფსუა, გვარად ბგანბა, ჩვენთან „გებელსის" მეტსახელით ცნობილი, დააპატიმრეს, ისიც რაღაც სამეურნეო საქმიანობისას ჩადენილი და-

ნაშაულისათვის, ხოლო პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ უღირსი საქციელისთვის პარტიის რიგებიდან გარიცხული და სამსახურიდან გაძევებული აფსუები კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიაშიც აღადგინა და სამსახურშიც დააბრუნა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მიზანმიმართულად ჩაიდინა: არ დაღვრილიყო სისხლი, შექმნილიყო ნორმალური ატმოსფერო, რათა აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ხალხს ცხოვრების თანაბარი საარსებო პირობები ჰქონოდა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ისიც, რომ ხელისუფლებამ სოხუმში უნივერსიტეტი გახსნა, ტელევიზიაც დააარსა, საგამომცემლო თაბახებიც გაზარდა. სატელევიზიო გადაცემებსა და წიგნების გამოცემაზე იმთავითვე აფსუების მონოპოლია დაწესდა.

გამომცემლობისთვის გამოყოფილი 800 თაბახიდან ამ საქმის აფსუა მესვეურებმა ქართველი მწერლებისთვის ერთი თაბახიც არ გაიმეტეს, სანამ გამსახკომის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ბატონმა ელგუჯა მაღრაძემ საგანგებო ბრძანება არ გამოსცა — ქართველ მწერლებს ყოველწლიურად 100 თაბახი გამოუყავით.

1987 წლიდან მოყოლებული სიტუაცია სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. ერთ პერიოდში ცხოვრება რომ შეუძლებელი გახდა, თეატრი დატოვა ქართულმა დასმა, რომელიც თავისი შემოსავლით აფსუურ დასსაც ინახავდა.

აუტანელი მდგომარეობა შეიქნა მწერლობაშიც. კავშირი ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. აქედან ერთი ჯგუფი (ცხადია, აფსუები) დიდი უპირატესობით სარგებლობდა, მეორე ყოვლად უუფლებო იყო.

საზაფხულო იალაღებზე მყოფი ერთი აფსუა მწერალი შეუძლოდ რომ გახდა, აფხაზეთის მთავრობამ მის სასწრაფოდ ჩამოსაყვანად სოხუმიდან შვეულმფრენი გაგზავნა, ხოლო როცა ჩვენი ცნობილი პოეტის, ჯანო ჯანელიძის ოჯახს უდიდესი უბედურება დაატყდა თავს — ერთადერთი ვაჟიშვილი ერთობ საეჭვო, ბოლომდე დღესაც გაურკვეველ სიტუაციაში დაეღუპა — აფხაზეთის მაშინდელ ხელისუფლებას თითიც არ გაუნძრევია ჭეშმარიტების დასადგენად.

აფსუებმა მთავრობის მიერ დაშვებული კომპრომისები ბოროტად გამოიყენეს, ყოველი დათმობა და უკან დახევა შიშად ჩაგვითვალეს და თავს გაუვიდათ.

მაგონდება 1978 წლის ზაფხული. მაშინ გაგრის საქალაქო გაზეთის რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი. რედაქტორი იყო კომკავშირის გაგრის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ლ. ამფარი, რომელსაც ჟურნალისტიკასთან საერთო არასოდეს არაფერი ჰქონია, მაგრამ სწორედ მისმა აფსუობამ მიანიჭა უპირატესობა (სხვათა შორის, ამ მხრივ მეორედაც „გაგვიმართლა" — როცა ლ. ამფარი გაანთავისუფლეს, მის ადგილას ისევ შემთხვევითი პიროვნება, ყოფილი შოფერი, მერე კი კურორტ ბიჭვინთის პარტკომის მდივანი აფსუა დანიშნეს). აფსუებმა ლიხნში დიდი თავყრილობა ჩაატარეს და მოითხოვეს, აფხაზეთის კონსტიტუციაში ქართული ენა არ დაფიქსირებულიყო, როგორც სახელმწიფო ენა. და გაგრის გაზეთის რედაქტორმა დააპირა აფსუათა ეს მოთხოვნა საქალაქო გაზეთში გამოექვეყნებინა. ცხადია, ამ განზრახვის განხორციელება არ მოხერხდა, მაგრამ ეს იყო მრავლისმეტყველი სიმპტომი მოვლენათა შემდგომი განვითარების შესაძლებლობისა, რასაც აფხაზეთის ქართველობა გამუდმებით უსვამდა ხაზს. ამას წინათ ერთ-ერთ ოფიციალურ ლონისძიებაზე ქ. თბილისში, ითქვა, რომ ცნობილი მწერლები (ბ. შინქუბა, ა. გოგუა, შ. აჯინჯალი და სხვები) უარყოფითად აფასებენ ვლ. არძინბას პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა განვაცხადო: ჯერ ერთი, არც ერთ აფსუას, მათ შორის მწერლებსაც, ხმამაღლა არ გამოუთქვამთ ნეგატიური დამოკიდებულება ვლ. არძინბას ავანტიურული პოლიტიკისადმი, ყოველ შემთხვევაში ფართო საზოგადოებრიობისათვის ასეთი რამ ცნობილი არ გახლავთ.

მეორეც, აფსუათა გარკვეული ნაწილისათვის ცხადი გახდა, რომ ვლ. არძინბამ და მისმა ხროვამ ყოველგვარი სამომავლო პერსპექტივა მოუსპეს თავიანთ ხალხს, ჩიხში შეიყვანეს, საიდანაც თავის დაღწევა სწორედ რომ შეუძლებელია. ეტყობა, მიხვდნენ, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც სამართალი პურს ჭამს და საქართველო თავის მიწას აუცილებლად დაიბრუნებს. მალე დარეკავს შურისძიების ზარი, როცა ყველა, ვისაც სისხლში აქვს ხელი მოსვრილი, პასუხს აგებს ღვთისა და ქვეყნის წინაშე. აი, ამით შეშფოთებული აფსუა ინტელიგენტები, ალბათ, აღარ მალავენ უკმაყოფილებას ჭკუანაღრძობ არძინბასა და მის მხარდამჭერთა ვაიპოლიტიკით. ისე კი უკლებლივ ყველა მათგანი აფსუა სეპარატისტთა იდეოლოგი გახლავთ.

სწორედ ამნაირ „კეთილმოსურნეთა" მცდელობის შედეგია, რომ თბილისი და თითქმის მთელი საქართველო სავსეა აფხაზეთიდან ლტოლვილებით. ეს არის გაწამებული, შეურაცხყოფილი და მიწასთან გასწორებული ხალხი, ვინც დაკარგა არა მარტო სახლ-კარი და ცხოვრების მანძილზე შეძენილი ავლა-დიდება, არამედ გაუცამტვერდა რწმენა საკუთარი ძალისადმი, რწმენა იმისა, რომ საკუთარ სამშობ-

ლოში დაცულია და ვაგლახად ხელს ვერავინ ახლებს.

და ახლა ამ ხალხს მოუწოდებენ, წამოდით აფხაზეთში, საგანგებო ბატალიონს ვქმნით და გაგრა გავათავისუფლოთო.

დიდებული მოწოდებაა. რა გვეთქმის. მაგრამ, აბა, ერთი იმაზე დავფიქრდეთ, რა პერსპექტივა ელოდება ამ ბატალიონს. აფსუებსა და მათ დაქირავებულ ბანდიტებს უნდა ეომოს? — კი, ბატონო, ახალგაზრდები კი არა, მეც, დროული კაცი, რომელსაც საამისო ჯან-ღონე არ მომდევს, იარაღს ავისხამ და ჩემი მშობლიური კუთხის განთავისუფლებისათვის მებრძოლთ გვერდში დავუდგები. მაგრამ რუსის ჯართან ძლევამოსილად მებრძოლი ძალა დღეს საქართველოში არ მეგულება, ამიტომ მთელი საქართველო უნდა დაირაზმოს იმისათვის, რომ რუსის ჯარის თუნდაც ის ნაწილი, რომელიც დისლოცირებულია კონფლიქტის ზონაში და საქართველოს წინააღმდეგ დაუფარავ, თუმცა გამოუცხადებელ ომს აწარმოებს, გავიდეს ჩვენი ქვეყნიდან. აკი ბრძანა ბატონმა ე. შევარდნაძემ. ვისაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმედის თვალით უცქერის, — რუსეთის ჯარი მაშინვე გავა საქართველოდან, როცა ჩვენ ვიტყვითო?!. ვთქვათ, ბატონო! დაე, ჯერჯერობით მხოლოდ კონფლიქტის ზონა დატოვონ, რომ ჩვენს საშინაო საქმეებს თვითონ მივხედოთ, და ნუ გვემუქრებიან — თუ ჩვენს ბაზებს ჭურვის თუნდაც ერთი ნამსხვრევი მოხვდა, მუსრს გაუფრთხილებლად გავავლებთო!

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ თბილისში, და არა მარტო თბილისში, დომინირებს აზრი, რომ აფხაზეთში აფსუათა გაბატონება იქაურ ქართველთა ბრალია, ისინი უდრტვინველად შეურიგდნენ აფსუათა აღზევებასო.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადო, რომ: აფხაზეთის ქართველობა მუდამ ხმალამოწვდილი იბრძოდა ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია. უშედეგო იყო ეს ბრძოლა თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება მუდამ ცდილობდა წინააღმდეგობის მოფუჩეჩებას, კმაყოფილდებოდა ამწუთიერი ღონისძიებებით და ანგარიშს არ უწევდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამგვარ პოლიტიკას ახლო თუ შორეულ მომავალში.

ეს კია, მერე და მერე, როცა აფხაზეთის ქართველობა დარწმუნდა, რომ მთავრობის მხარდაჭერის გარეშე ბევრს ვერაფერს მიაღწევდა და, ამდენად, ყოველგვარი ბრძოლა აზრს ჰკარგავდა, თანდათანობით შეურიგდა ბედს.

ხშირად იმასაც გვიკიჟინებენ — აფსუებმა რომ შეიძინეს იარაღი, თქვენ რატომ ვერ შეიძინეთო. ჩვენ იმიტომ ვერ შევიძინეთ, რომ, ჯერ ერთი, ჩვენი (ვგულისხმობ საქართველოს) ხელისუფლება გამუდმებით მოთმინებასა და „უმცროსი ძმის" შეწუხებას გვიკარნახებდა, მეორეც, ჩვენთვის რომ ვინმეს იარაღი აღმოეჩინა, ცხრა მთას იქით გადაგვასახლებდნენ, აფსუებს კი აფხაზეთის მთავრობა არათუ ემუქრებოდა, პირიქით, აქეზებდა და ფულსაც აძლევდა, არიქა, იარაღი აისხით და ქართველთა გასაჟლეტად მოემზადეთო. ყოველივე ეს კარგად მოეხსენებოდა საქართველოს ხელისუფლებას, თუმცა საჭირო ზომების მისაღებად თავი არავის შეუწუხებია.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანთან — გივი გუმბარიძესთან. ეს მოხდა 1989 წლის 8 მაისს. აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველი მწერლების ჯგუფი მიგვიღო ბატონმა გ. გუმბარიძემ, თან გვახლდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბატონი ხუტა ბერულავა.

სწორედ იმ შეხვედრაზე ვუთხარი ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, აფხაზეთში ჩვენს დასახოცავად იარაღდებიან-მეთქი. პასუხად მივიღე — ყველაფერი ვიცით და ზომებსაც ვიღებთო. არ ვიცი, რა ზომები იქნა მიღებული, შედეგები რომ სავალალოა, ამას ყველა ვხედავთ.

დიდ ცოდვად არ უნდა ჩამეთვალოს იმის თქმა, რომ ყოველივე, რა უბედურებაც დღეს აფხაზეთში, კერძოდ, გაგრაში დატრიალდა და კვლავაც გრძელდება, სწორედ იმის ბრალია, რომ არ გვყავს სათანადოდ გაწვრთნილი, ერთ საერთო ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული ჯარი.

საერთოდ გვყავს კი ჯარი?

დიახაც გვყავანან ქვეყნისთვის თავდადებული ბიჭები, რომლებიც მზად არიან დაუფიქრებლად შეეწირონ ჩვენი ქვეყნის მთლიანობას, მისი საზღვრების ხელშეუხებლობას. სწორედ ამისთანა ბიჭების უმრავლესობა შეეწირა გაგრის, სოხუმისა თუ ოჩამჩირის მისადგომებთან ბრძოლებს.

მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, ჯარი არ გვყავს, ყოველ შემთხვევაში, გაგრასთან ბრძოლების დროს არ გვყავდა. დღეს არ ვიცი, რა მდგომარეობაა, მაშინ კი არსებობდა ცალკეული შეიარაღებული დაჯგუფებანი, რომლებიც — ამის დაფიცვას აზრი არა აქვს — ისე იბრძოდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ, იქ იბრძოდნენ, საითაც გული გაუწევდათ.

რამდენჯერ ყოფილა — „ბეტეერსა" თუ „ბეემპეს" წინა ხაზი მიუტოვებია, რადგან ბიჭებს პაპიროსი შემოაკლდებიათ ან წყალი მოწყურებიათ, — და ქალაქში შემოგრიალებულან.

არც იმის დამალვას აქვს აზრი, რომ ზოგი გვარდიელი, მხედრიონელი თუ რეზერვისტი

ხშირად ულირს ხაჭმეს სჩადიოდა. გახშირდა თავდასხმები ოჯახებზე; ძარცვა-გლეჯა, მოროდიორობა. ღმერთმა დამიფაროს, ყველა მებრძოლი მძარცველად გამოვაცხადო, მაგრამ ასეთებიც რომ მრავლად იყვნენ გაგრაში, ნებისმიერი ადგილობრივი მკვიდრი დაგიდასტურებთ.

ყოველთვის მაოცებდა და დღესაც ვერ ამიხსნია, ჩვენ, ქართველები, აფსუებს რატომ ვუმტკიცებდით მუდამ, და არცთუ იშვიათად დღესაც, რომ ძმები ვართ და ურთმანეთოდ ცხოვრება არ შეგვიძლია, როცა არასოდეს; დამიჯერეთ, — მე გაგრაში დავიბადე, გავიზარდე და მთელი ცხოვრება იქ გავატარე, ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, — აფსუებთაგან მსგავსი რამ ბოლო ორმოციოდე წლის განმავლობაში არ გამიგონია. პირიქით კი უთქვამთ — მოგვბეზრდა ამ ყალბი ფრაზის ხმენა. და ჩვენს ამ გადაჭარბებულ ყურადღებასა და გაუთავებელ დათმობებს აფსუები აღიქვამდნენ, როგორც ფარულ შიშს მათ წინაშე.

ახლა მთელი საქართველო გაფაციცებით ადევნებს თვალყურს, რაც ჩვენი ქვეყნის ახალარჩეული პარლამენტის სესიაზე ხდება. ჩვენი დეპუტატების — ბ. კაკუბავას, ვ. ყოლბაიას, ალ. ჯოჭიასა და თ. ნადარეიშვილის 10 ნოემბრის სესიაზე გაკეთებული განცხადებები ალბათ სულით ხორცამდე შესძრავდა ყოველ ქართველს. მე ვიზიარებ ჩვენი დეპუტატების პოზიციას. განა მარტო მე; დარწმუნებული ვარ, მთელი აფხაზეთის ქართველობაც იზიარებს და რაოდენ შემაშფოთებელია ჩვენთვის ზოგიერთი დეპუტატის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, ჩემში ძალზე უარყოფითი რეაქცია გამოიწვია სოციალ-დემოკრატ გურამ მუჩაიძის რეპლიკამ სესიის 10 ნოემბრის სხდომაზე — უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აფხაზეთიდან მაინცდამაინც აფსუა უნდა იყოსო. ნეტა რატომ უნდა იყოს აფსუა? რაო, ისევ ძველი გზით უნდა ვიაროთ, ბატონო გურამ?! რატომ მიგაჩნიათ, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ისევ აფსუა უნდა იქნეს? ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ, აფხაზეთის ქართველობა, კვლავაც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში უნდა დავრჩეთ? აღარ ვაპირებთ ძველი გზით სიარულს, აღარ ვაპირებთ ძველი შეცდომების გამეორებას. აფხაზეთის პრობლემა პოლიტიკური მეთოდებით უნდა მოგვარდესო. ერთი ჩვენც შეგვეკითხეთ, რას და როგორ ვფიქრობთ. პოლიტიკური მეთოდების არსენალი უკვე ამოიწურა. აღარაფერი დაგვრჩა ისეთი, ჩვენსა და აფსუების ურთიერთობაში ახალი სიტყვა თქვას. მე კარგად ვიცნობ აფსუათა ლიდერებს — უპირულობა და დემაგოგიაა მათი დამახასიათებელი. 1989 წლის ივლისში თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს რომ დაესხნენ თავს და უდანაშაულო ადამიანების სისხლი დაღვარეს, საქვეყნოდ მორთეს გოდება, არიქა, გვიშველეთ; ქართველები დახოცვას გვიპირებენო. ახლაც იგივე გაიმეორეს — სამშვიდობო მისიით გადაადგილებულ ჩვენს საჯარისო ფორმირებებს ტყვია თვითონ დაუშინეს და ბრალს აქეთ გვდებენ. ცივილიზებული საუბარი ცივილიზებულ ლიდერებთან შეიძლება. ხოლო ისეთებთან, როგორებიც არიან არძინბა და მისი მიმდევრები, ვინც იარაღითა და დემაგოგიით გვებრძვის, ცივილიზებული მეთოდით საუბარი იგივეა, რაც კედელზე ცერცვის შეყრა. ,

ის აფსუები, ვინც გაგრაში და მის ახლომახლო სოფლებში ქართველთა გაჟლეტაში მონაწილეობა მიიღო, ჩვენს გვერდით ვერ იცხოვრებენ. ჩვენ არას ვერჩით მშვიდობიან მოსახლეობას, ვისაც ხელი სისხლში არა აქვს გასვრილი, მაგრამ იმათ, ვისაც ქართველთა გენოციდში მიუძღვით ბრალი, ვერ დავინდობთ. არც უნდა დავინდოთ, თუკი გვინდა, რომ ჩვენი შთამომავლობაც არ გავწიროთ.

ერთსაც მინდა ხაზი გავუსვა: ვლ. არძინბამ და, საერთოდ, აფსუა დეპუტატების ფრაქციამ უღალატა საკუთარ ხალხს, რითაც განადგურების საფრთხე შეუქმნა, დღეს ბევრი აფსუა სასოწარკვეთას ვერ მალავს და პირდაპირ აცხადებს: ჩვენებმა იმდენი საზიზღრობა ჩაიდინეს, ქართველები არასგზით არ გვაპატიებენ, ქართველებს სამშობლო აქვთ და საქართველოს მიაშურეს. ჩვენ რა წყალს უნდა მივცეთ თავით.

არადა, ჩვენ თითქმის შეგუებულნი ვიყავით აფსუათა გაუგონარ აღზევებას. ორიოდე წლის წინ სოხუმში ჩატარდა ყბადაღებული მთიელ ხალხთა კონფედერაციის ასამბლეა, რომელმაც სოხუმი თავის დედაქალაქად გამოაცხადა. ამას დუმილით შეხვდა აფხაზეთის ქართველობაც და საქართველოს ხელისუფლებაც. წლეულს ზაფხულში, აფსუების ინიციატივით გაიმართა მთის ხალხთა ხელოვნების ფესტივალი, რომლის მონაწილე მამაკაცთა უმრავლესობა შინ აღარ დაბრუნებულა. აფსუებმა ისინი იარაღით მოამარაგეს და მერე ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში გვერდით ამოიყენეს. აფხაზეთის ქართველობამ და საქართველოს ხელისუფლებამ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. რით უნდა აიხსნას ყოველივე ეს? რამ მოგვადუნა, რამ გაგვხადა ასეთი ინერტული? ნუთუ 1989 წლის 15-16 ივლისს ჩვენთვის ჭკუა არ უნდა ესწავლებინა, არ უნდა გამოვეფხიზლებინეთ?

მოდა, არძინბა რომ ჭკვიანი პოლიტიკოსი ყოფილიყო, ხელთ ეპყრა პარლამენტი და შეეძლო თავისი ხალხისთვის უზრუნველი ცხოვრება გაეხანგრძლივებინა. მაგრამ მან ეს არ ისურვა. ერთბაშად მოინდომა საქართველოსთვის მისი ძირძველი მიწის წართმევა და ქართველთა მშობლიური მიწიდან აყრა ან განადგურე-

რება, და ახლა მოვლენები ისე ვითარდება, ხალხს უნდა მოეკითხოს იმ დანაშაულისთვის, რაც ვაიპოლიტიკოსების უთავობით განხორციელდა. სწორედ ამიტომ, თუ აფხაზებს უნდათ ქართველთა გვერდით ცხოვრება, თვითონ უნდა აღიმაღლონ ხმა არძინბასა და მისი დამქაშების წინააღმდეგ, თვითონვე უნდა მოუღონ ბოლო იმ უსამართლობას, რაც ათწლეულების განმავლობაში კანონდებოდა ქართველთა მიმართ.

აფხაზეთის ქართველობას, და არა მარტო ქართველობას, მიაჩნია, რომ აფხაზეთს ავტონომია არ სჭირდება. თუ საჭირო იქნება, ამას საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი დაამტკიცებს, ჩვენმა პარლამენტარებმა კი კომუნისტების მიერ გაკვალული გზით კი არ უნდა იარონ, არამედ ფხიზლად, რეალურად შეაფასონ სიტუაცია, გაითვალისწინონ მოსახლეობის უმრავლესობის სურვილი და აქედან გამომდინარე გადაწყვიტონ, როგორ მოიქცნენ.

არავინ გამიგოს, თითქოს ვინმეს ჭკუას ვასწავლიდე. მე მოგახსენებთ იმ ადამიანის ნაფიქრალს, რომელმაც პირადად გამოსცადა მთელი ის უსამართლობა, დამცირება თუ უუფლებობა, რასაც მისი ხალხი განიცდიდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ხშირად ისმის კითხვა — სწორი იყო თუ არა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული საჯარისო ფორმირებების გადაადგილებაო. ამაზე ცალსახა პასუხი არსებობს: დიახ, სწორი იყო. გარდა იმისა, რომ რკინიგზასა და საავტომობილო მაგისტრალს დაცვა სჭირდებოდა (ეს მრავალგზის და ხმამაღლა ითქვა), აფხაზებს განზრახული ჰქონდათ გაგრის ქართველთა ერთ ღამეში განადგურება (ამას იშვიათად და ხმადაბლა თუ აცხადებს ვინმე). ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იყო, დაეცვა პირველ რიგში თავისი ხალხი და მერე სატრანსპორტო მაგისტრალები. თუმცა მიმაჩნია, რომ ჩვენი სამხედრო ფორმირებები კოლხიდაში არ უნდა შეჩერებულიყვნენ. მტერი ომის საწყის ეტაპზე იმდენად უძლური და უსუსური იყო, იოტისოდენ წინააღმდეგობასაც ვერ გაგვიწევდა, თითქმის უდანაკარგოდ დავამარცხებდით ექსტრემისტ-სეპარატისტებს და გადარჩებოდა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე. მაგრამ, სამწუხაროდ, შეტევის განვითარებისა და გუდაუთის აღების ნაცვლად, სოფ. კოლხიდაში ხანგრძლივი მანევრების ჩატარებას შევუდექით. წამოვიდოდა მოწინააღმდეგე შეტევაზე, ჩვენები უკუაგდებდნენ, მტრის პოზიციებს კი არ იკავებდნენ, ისევ თავის ძველ პოზიციებს უბრუნდებოდნენ. და მთელი თვენახევრის მანძილზე გაუთავებლად ისმოდა მსხვილკალიბრიანი ზარბაზნების გრუხუნი თუ ავტომატების კაკანი. იხოცებოდა და იჭრებოდა ჩვენი ახალგაზრდობა. ტელევიზია წამდაუწუმ აცხადებდა — „ჩვენებმა უკუაგდეს", „ხელთ იგდეს", „გაანადგურეს"... ზუსტად ისე, როგორც ახლა ცხადდება სოხუმისა და ოჩამჩირის მისადგომებთან წარმოებული ბრძოლების შესახებ. არადა, ჩვენ, გაგრელები, კარგად ვხედავდით, რომ აშკარად წამგებიანი პოზიცია გვეჭირა, ვგრძნობდით, რომ საქმე სახიკეთოდ არ იყო. ამიტომ ჩავატარეთ მიტინგი ქალაქის სტადიონზე 20 სექტემბერს. დაჟინებით მოვითხოვეთ, მიტინგზე შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი მ. მარინაშვილი გამოცხადებულიყო. არ მოვიდა პოლკოვნიკი მიტინგზე, თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა, ვინმე თ. ბლიაძე, რომელმაც შეკრებილთ გამამხნევებელი სიტყვით მიმართა — არხეინად იყავით, ხალხნო, მტერი გაგრაში ვერ შემოვაო.

დაპირება დაპირებად დარჩა, ბრძოლა კი წავაგეთ.

1 ოქტომბერს, კოლხიდაზე მტრის გადამწყვეტი შტურმის წინ, სოფლის ცენტრში ისეთი არეულობისა და პანიკის მოწმე გავხდი, სასოწარკვეთა დამეუფლა. ერთმანეთში არეული მძიმე ტექნიკა, უნომრო მსუბუქი ავტომანქანები, ჯარისკაცები, ოფიცრები... ყვირილი, სტვენა, შეძახილები... შეშლილი სახეები... და სამი მხრივ მტრის შემოტევა... სროლა.. „სად წავიდე, მე თქვენი!.. — იგინებოდა პირტიტველა გვარდიელი. — შვიდი ვაზნაღა დამრჩა, რით უნდა ვიბრძოლო!"

იმავე საღამოს დავკარგეთ კოლხიდა, დავკარგეთ თითქმის უომრად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. მეორე დილას, დაახლოებით ნახევარ საათში, ხელთ იგდეს გაგრაც. ქალაქის დასაცავად თოფიც არავის გაუსროლია.

მშვიდობიანმა მოსახლეობამ, ვინც გაგრის დატოვება მოასწრო, განთიადსა და ლესელიძეს შეაფარა თავი.

მცირე იმედი მაინც არსებობდა — ხიდები დანაღმულია, თანაც ისეთი რელიეფია, მტერს წინ წამოწევა გაუჭირდებაო. საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელებიც ისეთ დაპირებას იძლეოდნენ, გული საგულეს გვქონდა. თუმცა ამჯერადაც მწარედ იმედგაცრუებულნი აღმოვჩნდით. 4 ოქტომბრის საღამოს მტერმა განთიადის მიმართულებით განახორციელა შეტევა. ვერც რელიეფმა გვიშველა, ვერც დანაღმულმა ხიდები ავაფეთქეთ და 5 ოქტომბრის დილას მტერმა საქართველო-რუსეთის საზღვართან თავისი დროშა ააფრიალა.

და დაიწყო ადამიანთა ჭირარნახული, მასობრივი ჟლეტა. ჰკლავდნენ ყველას — მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს. მამაკაცებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — ვინც კი ხელში ჩაუვარდათ, არც ერთი ცოცხალი არ დატოვეს. პირველ დღესვე ქალაქის სტადიონზე შერეკეს რამდენიმე ათეული ქართველი, დახოცეს, მერე ბულდოზერით შეაქუჩეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.

ოქტომბრის მიწურულს გაგრიდან გამოღწე-

ულმა ჯუმბერ დარსალიამ გვიამბო — გაგრის ცენტრალური საავადმყოფოს მორგის მუშაკს ხანშიშესულ რუს ქალს უთქვამს მისთვის. გუშინ ოთხასზე მეტი დახოცილი ქართველის გვამი გამოიტანეს მორგიდან, მანქანებზე დატვირთეს, ქალაქგარეთ სანეხვეზე წაიღეს და იქ დაწვესო.

დაზუსტებული ცნობები ჯერჯერობით ხელთ არა მაქვს, თუ სახელდობრ რამდენი გაგრელი დაიღუპა იმ ავადსახსენებელ დღეებში; ხაეჭვოდ მიმაჩნია ნებისმიერი ციფრი, ოფიციალურ ცნობებში რომ მოჰყავთ, მით უმეტეს, ქართველთა გენოციდი კვლავაც გრძელდება.

მიწასთან გასწორდა ქალაქი გაგრა, ერთ დროს უმდიდრესი და ულამაზესი სოფლები — კოლხიდა, ხეივანი, ლესელიძე, დაბა განთიადი. ჯერ გაძარცვეს, მერე კი ცეცხლს მისცეს ყველა ქართველის სახლი.

იყო თუ არა ღალატი? — ხშირად მეკითხებიან.

როცა ქალაქს უბრძოლველად თმობენ, ალბათ, ღალატია.

როცა ნაღმი არ გიფეთქდება, ალბათ, ესეც ღალატია.

და კიდევ: სწორედ 4 ოქტომბრის დილას (საღამოს უკვე წამოვედი განთიადიდან, რადგან მტერი დაბას მედგრად უტევდა) ჩემთან მოვიდა პანსიონატ „მზიურის" («Солнечный») დირექტორი, განთიადის სადაბო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ე. ოჩიგავა და მითხრა:

— ამას წინათ ლესელიძელთა დავალებით ვეახელი მავანსა და მავანს (პასუხისმგებელი პირის გვარი დამისახელა), და ვთხოვე, მოეცა იარაღი, რათა თავი დაგვეცვა. მან მითხრა, ავტომატი და სამასი ვაზნა ორმოცდახუთი ათასი მანეთი ღირს. მოიტანე ფული და იარაღს იმდენს მოგცემთ, რამდენსაც ისურვებთო.

ღალატია?! თქვენ რას იტყვით?

მით უმეტეს, თვითმხილველნი ამტკიცებენ კოლხიდა რომ აიღო, მტერმა აუარება იარაღი, ტყვია-წამალი და სურსათი ჩაიგდოო ხელში.

ისე მოულოდნელად და საეჭვო ვითარებაში დავტოვეთ გაგრა, პირველსავე დღეებში დაირხა ხმა: ღალატი იყო, თორემ გაგრას ისე ადვილად ვინ დასთმობდაო.

ამას წინათ გაგრელმა ლტოლვილმა ვიტალი ფაციამ საკმაოდ ხალხმრავალ წრეს გაგვანდო, რის მოწმეც თვითონ ყოფილა:

— გაცეცხლებულმა ხეივან-ლესელიძელმა ბიჭებმა სამ ოქტომბერს გაგრის შტაბის უფროსს მიხეილ მარინაშვილს, ქალაქის თითქმის უბრძოლველად დატოვების გამო, ღალატში რომ დასდეს ბრალი და დახვრეტით დაემუქრნენ, სასოწარკვეთილმა პოლკოვნიკმა გამწარებით შესძახა: მე რას მერჩით, ასეთი იყო ბრძანება და სხვა რა გზა მქონდა!

ამას რაღა დავარქვათ, თუ არა ღალატი, რომელიც ტრაგედიით დამთავრდა?!

ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიის მერამდენე ტრაგიკული ფურცელია ეს და ვინ შეასრულა ამ ტრაგედიაში მთავარი როლი?

ნუგზარ ტერ-ოგანოვი

# იაჰია დოულათაბადი თბილისისა და თბილისელების შესახებ

ჩვენთვის არაერთ უცნობ და, ამასთანავე საყურადღებო ფაქტს შეიცავს XIX ს-ის დამლევისა და XX ს-ის დამდეგის ცნობილი ირანელი განმანათლებლის, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის იაჰია დოულათაბადის „მოგონებები", რომლის ერთი თავი ავტორმა თბილისს მიუძღვნა.

იაჰია დოულათაბადი დაიბადა 1862 წ. ისპაჰანის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ დოულათაბადში. მამამისი ჰაჯ მირზა ჰადი დოულათაბადი ბაბიზმის რელიგიური სექტის მიმდევარი და აქტიური მოღვაწე იყო. 1878 წლიდან მოყოლებული იაჰია დოულათაბადიმ მამასთან ერთად რამდენჯერმე იმოგზაურა არაბეთის ერაყში, ხორასანსა და თეირანში. ერაყში არსებულ შიიზმის წმინდა ცენტრებში სასულიერო განათლების მიღების შემდეგ ჯერ ისპაჰანს ჩავიდა, ხოლო იქიდან თეირანს მიაშურა.

ირანში 1905-1911 წლების რევოლუციის პერიოდში კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ იაჰია დოულათაბადიმ აქტიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღა, არაერთ მედრესესა და საზოგადოებას ჩაუყარა საფუძველი, რამაც ასახვა ჰპოვა მის „მოგონებებში".

1908 წ. აგვისტოში, როცა ირანში კონტრრევოლუცია ბობოქრობდა, იგი სტამბოლს გაემგზავრა და მას შემდეგ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა, ჩვენი აზრით, იგი თბილისში სწორედ ამ დროს უნდა ჩამოსულიყო, რის საფუძველსაც გვაძლევს „მოგონებებში" მოტანილი არაერთი ისტორიული ფაქტი.

სტამბოლში მან გაიცნო ჰაჯი ზეინ ალ-აბედინ მარაღელი — „იბრაჰიმ-ბეგის მოგზაურობათა წიგნის" ავტორი და მირზა ჰოსეინ ზაქდანეჲ ესფაჰანი. აქვე დაამყარა მჭიდრო ურთიერთობა ირანელ ემიგრანტთა საზოგადოებასთან, „საადათთან" (ბედნიერება) და ისტორიულ სარბიელზე გამოსულ „ახალგაზრდა თურქებთან". 1909 წ. იაჰია დოულათაბადიმ გამოჩენილ ირანელ სწავლულთან დეჰხოდასთან ერთად დააარსა სპარსულენოვანი გაზეთი „სორუში". იმავე წელს, კონსტიტუციონალისტთა გამარჯვების შემდეგ იგი თეირანში ბრუნდება. მოგვიანებით. ქერმანის ოლქის მოსახლეობა მას მეჯლისში თავის დეპუტატად ასახელებს, რაზედაც იგი, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, უარს ამბობს და თავის საქმიანობას ევროპაში განაგრძობს. 1913 წ. იგი ირანში ბრუნდება, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ და სამშობლოში შექმნილმა მეტად მწვავე საშინაო პოლიტიკურმა ვითარებამ იგი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

1915 წ. ნოემბერში დევნილ კონსტიტუციონალისტებთან ერთად იგი ჯერ ყუმში ჩადის, იქიდან კი იძულებულია კვლავ თურქეთს გადაიხვეწოს, სტამბოლში ყოფნისას დაწერა რომანი „შახნაზი", რომელსაც ირანელი მკვლევარის იაჰია არინფურის თქმით, აშკარად ატყვია თურქული რომანის გავლენა, ხასიათდება რთული, ლვლარჩნილი და მეტისმეტად ჩახლართული სიუჟეტით. რაც შეეხება მის პუბლიცისტიკას, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ირანში კონსტიტუციური მოძრაობის განვითარების საქმეში.

1918 წ. ოქტომბერ-ნოემბერში იაჰია დოულათაბადი სამშობლოში ბრუნდება, სადაც ამჯერად ისპაანის ოლქმა იგი მეჯლისის მეხუთე მოწვევის დეპუტატად აირჩია. გარდაიცვალა იაჰია დოულათაბადი 1940 წელს.

იმედია, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ირანელი პოლიტემიგრანტის მოგონებებს, მისი თვალითაც შეხედავს XX ს-ის დასაწყისის თბილისსა და თბილისელებს. ქვემოთ გთავაზობთ თბილისისადმი მიძღვნილი თავის თარგმანს მცირეოდენი შემოკლებით:

„ქალაქი თბილისი ქართველების დედაქალაქი და კავკასიის ოლქის ცენტრია. ეს ქალაქი გამორჩეულია თავისი ხუროთმოძღვრებითა და ადგილმდებარეობით, მდინარე მტკვრით, რომელიც მის შუაგულში მოედინება, და მშვენიერი ბუნებრივი პირობებით. რუსეთის მთავრობამ იგი ევროპულ ყაიდაზე ხეივნებით, სავაჭროებითა და სახლებით დაამშვენა, ამიტომაც ხალხს აქ ეცხოვრება. თბილისში მრავლად არიან მკვიდრი და არამკვიდრი მუსლიმები. ირანელი მოჯაჰიდების ჯგუფის მთავარი ადგილსამყოფელიც აქ არის. ამ ქალაქის ქართველებს და სომხებს თავისუფლება სურთ. ისინი მხარს უჭერენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ირანელებს. სულ ახლახან მათი შეიარაღებული ჯგუფი აზერბაიჯანში (იგულისხმება ირანის აზერბაიჯანი — ნ. ტ-ო.) ჩავიდა, სადაც მოჯაჰიდებს ეხმარებიან.

ამ ქალაქში ისტამბება გაზეთი „მოლა ნასრედინი“.* მოჯაჰიდების ჯგუფში მუდამ დიდი აქტიურობაა, მაგრამ დანარჩენი ირანელები, ირანში მცხოვრები თავიანთი თანამოძმეების მსგავსად, ყოველმხრივ უსუსურნი და უდარდელნი არიან, უფრო მეტიც, ზოგიერთი ჩვეულება, რომელიც ირანში გააუქმეს, მათ შორის დღესაც ცოცხლობს.

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ირანში საყოველთაოდ გავრცელდა განმანათლებლობა, ირანელმა მოხელეებმა ამ გზით უცხოეთში კეთილი სახელი მოიხვეჭეს, მაგალითად, კავკასიაში მოღვაწე ირანელმა მოხელეებმა მირზა ჰასან-ხან მოშირ ოდ-დოვლეს თანადგომითა და წახალისებით, რომელიც, იმ ხანად რუსეთში ირანის სრულუფლებიანი მინისტრი იყო, თბილისში ირანელებისათვის საქველმოქმედო საზოგადოებას ჩაუყარეს საფუძველი. მათვე შეადგინეს კარგი წესდება მედრესეს დასაარსებლად და იგი ხელმოსაწერად რუსეთის ხელისუფალთ წარუდგინეს. კიდევაც დააარსეს მედრესე, რომელსაც „ეთთეფაყი“ უწოდეს. თეირანში ეროვნული საბჭოს მეჯლისის მოშლის შემდეგ ეს საზოგადოებაც დაკნინდა და ამჟამად აღარ მოქმედებს.

თბილისში ჩასვლისას, რაკი არაფერი ვიცოდი ირანელთა საკრებულოს არსებობის შესახებ, ერთ ცნობილ სასტუმროში დავბინავდი და ღამეც იქ გავათიე. შემდეგ ვაცნობე ჩემი ჩამოსვლის ამბავი მოჰამად თაყი სადეყოვს — მოჯაჰიდების ჯგუფის წარმომადგენელს და გულისხმიერ ახალგაზრდას. ირანელებმა შეიტყვეს ჩემი ამბავი და მეორე დღეს სასტუმრო „აზერბაიჯანში“ გადამიყვანეს. იმ ხანებში მირზა მოჰსენ მოთამედ ოლ-თოჯარი შარიფ ოლ-ოლამა ისფაჰანი-თავრიზის შვილიშვილი და მისი ძმები, აგრეთვე მირზა მოჰამადი შარიფ ოლ-ოლამას შვილი, უფრო შარიფ-ზადეს სახელით ცნობილი, თბილისში ამ სასტუმროში იმყოფებოდნენ. ვინაიდან უწინ მათთან ახლო ოჯახური ურთიერთობა მქონდა, ამ შეხვედრამ ძალზე გამახარა. შევხვდი ხალხს, რომელსაც იგივე აწუხებს, რაც მე, და ილტვის თავისი მისიის შესასრულებლად. ჩემს მსგავსად, მათაც ვერ შეძლეს სამშობლოში ცხოვრება.

კიდევ ორი დღე ვრჩები თბილისში, რადგან უნდა ვესაუბრო იმ ბატონებს, რომლებთანაც ერთად, როგორც დავთქვით, სტამბოლს უნდა გავემგზავროთ, რათა იქ სამშობლოდან გადახვეწილი ირანელებისა და უცხოეთში მცხოვრები ირანელი პატრიოტებისაგან შევადგინოთ საკრებულო (ასამბლეა), რომელიც მომავალში რჩევა-დარიგებას მისცემს ქვეყანას და ხალხს, ვილონოთ ყველაფერი, რაც კი სამშობლოს ბედნიერებას მოუტანს.

თბილისში ჩემი დარჩენის მეორე მიზეზია საქველმოქმედო საზოგადოების „ეთთეფაყის“ და კავკასიაში გენერალური კონსულის მოთამენ ოს-სალთანეს თხოვნა, გავცნობოდი მედრესე „ეთთეფაყს“ და ირანელთა საზოგადოებას და, თუ შევძლებდი, გამომესწორებინა მათი ნაკლოვანებები. საზოგადოება „ეთთეფაყს“ სოლიდური წესდება აქვს, მაგრამ, საუბედუროდ, ირანის ეროვნული საზოგადოების წესდებების მსგავსად, სიტყვა საქმედ ვერ იქცა. საზოგადოების წევრებთან ბევრი ვისაუბრე. ახლა კი მოგახსენებთ, რომ ირანელთა გული ქვეყნისა და ხალხის საქმის გაუმჯობესების საკითხში კავკასიელ მუსლიმებთან არის, ხოლო კავკასიაში — თბილისთან. თბილისში არსებობს ერთი საზოგადოება, რომელიც სასიკეთო საქმეებისათვის უნდა იყოს მომართული, მაგრამ მისი მდგომარეობა კი ისეთია, რომ ჯერაც არ განუხორციელებია თავისი საშინაო რეფორმა. აქედან გამომდინარე, მის საგარეო საქმეებზე ლაპარაკიც ზედმეტია ყოველ შემთხვევაში. ვსაყვედურობ მათ და იმავდროულად ვაგულიანებ კიდევაც. ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ ისინი დაიცავენ წესდებას, მედრესე „ეთთეფაყისათვის“ აირჩევენ განსწავლულ და უნარიან ხელმძღვანელს და შეუქმნიან ხელსაყრელ პირობებს საქველმოქმედო საქმიანობისა და მედრესეს გასაძლიერებლად.

მოჯაჰიდების ცენტრალური ჯგუფის საზო-

---

*„მოლა ნასრედინი“ იყო ყოველკვირეული, ილუსტრირებული პირველი აზერბაიჯანული სატირული ჟურნალი. გამოდიოდა 1906-1918 წლებში თბილისში, 1921 წელს თავრიზში, 1922-1931 წლებში ბაქოში. რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჯალილ მამედყულიზადე. იბეჭდებოდა არაბული შრიფტით. თბილისში გამოვიდა 340 ნომერი.

გადოება შეძლებისდაგვარად ირჯება. მან ხომბეზისა და „ახალგაზრდა თურქების" ეროვნულ საზოგადოებებთან ხელშეკრულებები დადო. თუმცა ისინი არცთუ ისე განსწავლულნი და ინფორმირებულნი არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, მათთან მოკავშირეობს ბევრი საქმის მცოდნე და სწავლული, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მსოფლიოს ეროვნულ საზოგადოებებთან, ამდენად, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ შეძლებენ საქმის გაკეთებას.

მომთაბენ ოს-სალთანე ფრიად კარგად იცნობს ამ ქალაქის მოჯაჰიდებს. თბილისში ჩემი რამდენიმე დღით ყოფნა და ის საგანგებო ყურადღება, რასაც იგი ჩემდამი იჩენს, ასევე ჩემი საპასუხო ალერსი, მათ ამშვიდებს.

ამ ქალაქში რუსეთის ხელისუფლებას ძალზე აწუხებენ ქართველები. დღე არ გავა, რომ რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავე არ დააპატიმრონ, განსაკუთრებით ახალგაზრდები, გიმნაზიელები, ვაჟები და ქალიშვილები.

ამ ქალაქის სატუსაღოები სავსეა პოლიტიკური პატიმრებით. ისინი ყოველდღე რიგრიგობით, ჯგუფ-ჯგუფად, ხელებზე ბორკილდადებულები დასაკითხად მიჰყავთ. თუკი ვინმე გაქცევას დააპირებს ან თუ ვინმე რომელიმე მათგანს გამოესარჩლება, ორთავეს ხოცავენ. თითოეული სიკვდილმისჯილი ქალაქგარეთ მიჰყავთ და იქ მას ათას ხუთას ტყვიას ახლიან. ხელისუფლების ამ სისასტიკის მიუხედავად პატიმრები გარბიან, იმ სატუსაღოებიდანაც კი გარბიან, საიდანაც გაქცევა თითქმის შეუძლებელია. პოლიტიკური პატიმრები, როდესაც ისინი დასასჯელად მიჰყავთ, ისეთ გუნება-განწყობილებაზე არიან, თითქოს ქორწილში მიდიოდნენ. მთვარის პირისახიან ქალიშვილებს, რომლებიც დასახვრეტად მიჰყავთ, ხალხი ყვავილებს ესვრის, თავად მათ კი უხარიათ, რამეთუ სამშობლოსათვის სულს სწირავენ.

ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი მომხიბლავია. ინფორმაცია პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობის შესახებ სულს მიფორიაქებს. იმ შენობის ძირას, რომელშიც მე ვცხოვრობ, ღამღამობით ხშირად სტვენის ხმა მოისმის — ეს პატიმართა გავლის ნიშანია: სტვენის გაგონებისთანავე, იმის შიშით, რომ ვაითუ მათ ვინმე გამოექომაგოს და ამით არეულობა გამოიწვიოს, მყისვე იკეტება დუქნები და მაშინ ჩვენს ყურამდე ახალგაზრდა პატიმართა ბორკილების ჟღარუნი აღწევს. მათი ჩავლის შემდეგ დუქნებს ხელახლა აღებენ.

ერთ ბორცვზე დიდი ციხე-სატუსაღოა აგებული, რომელსაც ირგვლივ პატარა კარები აქვს დატანებული. ისინი ქალაქს და მდინარე მტკვარს გადმოჰყურებენ. ყველა კართან შეიარაღებული მცველები დგანან. თუ შორიდან ვინმე ხელს იმ კარებისკენ გაიშვერს, მას თოფს ესვრიან. ვაი მას, ვინც ხელს შეუწყობს დამნაშავეთა გაქცევას.

ამ ქალაქში მრავლადაა სეფიანი შაჰების, განსაკუთრებით შაჰ-აბასის ხანის ნაგებობები. დიდ სავაჭროში ასევე მრავლადაა ირანის გამგებელთა კვალი. შიროხორშიდის — ლომისა და მზის — ბაირაღები, რომლებიც საომარი ნადავლია.

ერთი სიტყვით, მინდოდა თბილისიდან ბათუმში ჩავსულიყავი, ხოლო იქიდან სტამბოლში, მაგრამ ჭირის გაჩენისა და ბათუმში კარანტინის გამო გემები მგზავრების გადაყვანაზე უარს ამბობენ. იძულებული ვარ, ოდესაში ჩავიდე და იქიდან სინოპს გავემგზავრო, იქ მოვიხადო კარანტინი და ბოლოს სტამბოლს წავიდე. მეტი რა გზაა, ჩემს თანამგზავრებთან ერთად თბილისიდან ოდესას მივემგზავრები".

ნაირა ცხვედიანი

# ლადო ასათიანი და ნიკო ფიროსმანი

ლადო ასათიანი და ნიკო ფიროსმანი — მათ არ უცხოვრიათ ერთდროულად, ამიტომ თბილისის ქუჩებშიც ვერასდროს შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ვერც ჭიქა ღვინოს დალევდნენ ერთად და ვერც პურს გატეხდნენ. მხოლოდ მათ გზებს, მშვენიერების პარნასისაკენ მიმავალთ, ბედმა არგუნა ერთმანეთი გადაეკვეთათ.

როცა ლადოს ფიროსმანის ციკლის ლექსებს კითხულობ, გახსენდება დიდი გალაკტიონის პოეტური სტრიქონი — „მიყვარდა სულის შეხება შენი". ხულიერმა ნათესაობამ აქცია ლეგენდების ბურუსში გახვეული მხატვარი ლადოს მშვენიერი ლექსების გმირად.

სამიკიტნოებში იჯდა დღედაღამ დიდი ნიკო, კედლებს და აბრებს ხატავდა და ალამაზებდა; საერთოდ, თბილისს ხატავდა. თბილისს უხდებოდა ნიკო ფიროსმანი თავისი მაღალი, ხმელი სხეულით, დიდი, გაკვირვებული თვალებით. ნიკო ფიროსმანიშვილს „გრაფს" ეძახდნენ თურმე დაცინვით, რადგან უკვირდათ და აღიზიანებდათ მისი სულის არისტოკრატობა.

ლადო ასათიანი, თვითონაც ბუნებით დიდი ბავშვი, გატაცებული იყო ამ უცნაური კაცით, რომელმაც არც თავისი ნახატების ფასი იცოდა და აქეთ-იქით ფანტავდა, არც ფულის ყადრი ესმოდა მაინცდამაინც.

უყვარდა ლადო ასათიანს ეს დიდი კაცი.

ლადოს მეგობარი და მისი ცხოვრების მემატიანე ნიკა აგიაშვილი იგონებს: „მეტეხის მუზეუმში ფიროსმანის გამოფენას რომ ათვალიერებდა, დარბაზის დატოვება არ უნდოდა. დიდხანს იჯდა სკამზე მშვიდად, მდუმარედ შეჰყურებდა კედლებზე ჩამწკრივებულ სურათებს და მხოლოდ ფართოდ გახელილ თვალებში უკრთოდა გაოცება და სიხარული". ახლოს მისულა ფიროსმანის „მეეზოვესთან" და დიდხანს შეჰყურებდა თურმე.

მეგობარი, შალვა კოხოძე, ლადოს თბილისში სწერდა: მაქ რომ გეწვევი, ჩემთან ერთად ჩაივლი თბილისის ქუჩებს, ისე, როგორც ქუთაისში გვიყვარდა.. ჩამიყვან სარდაფში, დამპატიჟებ ორიოდე ჭიქა ლუდზე და დამალევინებ ნიკო ფიროსმანის სადღეგრძელოს... გავიგე ფიროსმანზე გიმღერია და ისე ტკბილად, რომ იმ ლექსების ქება აქ მოვიდა. ძლიერ კარგი ლექსები ყოფილა".

ისევ ნიკა აგიაშვილის მოგონებებიდან: „ხეების ქვეშ ახლად გათიბული ნამიანი ალერდი იყო დაზვინული. ლადომ მკლავები მოხვია, რამდენიმე ხორომი ბალახი მოზიდა, ღელის პირას დაჰყარა და ზედ გაიშხვართა.

„ფიროსმანი ვარ, ფიროსმანი", — გახარებული იძახოდა და ბავშვივით გორავდა ბალახში".

ჯარში მიმავალმა სხვა რამდენიმე ძვირფას ნივთთან ერთად ნიკა აგიაშვილს შესანახად დაუტოვა ბენო გორდეზიანის წიგნი „ნიკო ფიროსმანიშვილი" და ჟურნალ „მნათობის" რამდენიმე ფურცელი, სადაც გიორგი ლეონიძის „ცხოვრება ფიროსმანისა" იყო დაბეჭდილი.

„დავდივარ იმ ადგილებში, სადაც ნიკალას დაუდგამს ფეხი", — წერს ლადო თავის დღიურში.

ლექსში „თავადის ქალს" პირველად ჩნდება ფიროსმანის სახე. იგი 1938 წელსაა დაწერილი და აშკარად ატყვია იმ დიდი ტკივილების კვალი, პოეტმა იმ მძიმე წლებში რომ გადაიტანა.

საქართველო, პოეზია, სიყვარული და კიდევ

ერთი თავშესაფარი მისი სულისა — ყარიბ მხატვართან მიახლება:

რა დამრჩენია, ვის ვუმღერო, ვის
გავუცინო?
ამ ქვეყანაზე მე არავინ არ შემიყვარა,
ისევ შენს თვალებს ნაღვლიანებს უნდა
ვუცქირო
და სიხარულით შევეგებო ჩემს ძმას —
ნიკალას.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლები, არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი განადგურებითაც რომ ემუქრებოდა ადამიანებს, მძიმე აღმოჩნდა პოეტისათვის. ამ წლებს გაჰყვა პოეტის დედა, ხოლო თვითონ, მძიმე სენით დაავადებული, სულიერი გადარჩენისაკენ მიილტვის და იქნებ ამიტომაც ჩააყენა თავისი შემოქმედების ცენტრში ამ ცხოვრების წვრილმანებსა და ინტრიგებს. თავარიდებული, გენიალური მხატვრის სახე, როგორც სიმბოლო სულიერი თავისუფლებისა.

თუ რა იყო მისთვის ნიკო ფიროსმანიშვილი, ლადომ შესანიშნავად ახსნა რევაზ მარგიანისადმი მიწერილ ბარათში: „როდის წერდნენ თუ ძმა ხარ, გრიგოლ ორბელიანი და გრიშაშვილი ფიროსმანზე, ა?!

ან თუ გინდა სხვები წერდნენ, განა ჩემი ფიროსმანი ვინმესას ჰგავს, ან მე მესმის ისე ფიროსმანი, როგორც სხვებს ესმოდათ?! თუ ამას ჩვენს მწერლობაში ერთი ჭკვიანი კაცი იტყვის, მე ხელს ავიღებ ყველაფერზე. მაგრამ მაგ სულელმა არ იცის, რომ ფიროსმანზე თითო-ოროლა სტრიქონი თუ ვინმეს აქვს აქა-იქ, თორემ მთელი თავისი შემოქმედებისათვის არავის არ დაუკავშირებია ფიროსმანი, მე კი ჩემს ცხოვრებასა და ამ უიღბლო კაცის ცხოვრებას შორის მოვნახე, რაღაც ნათესაური, მე ფიროსმანის „პრიმიტივი" მესმის როგორც მაღალი ხელოვნება. ყოველი დიდი კულტურული პოეტი ასე რომ აკეთებდეს (ეს ტერმინი ფიროსმანს არ უდგება, მაგრამ არაფერია!) ლექსებს, როგორც ფიროსმანი თავის სურათებს, რაღა გვიჭირდა მაშინ! ფიროსმანის უზრუნველობა მინატრია მე ჩემი ლექსებისათვის, კაცს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი — ხატავს, მორჩა და გათავდა. რამდენი „კულტურული" მხატვარი ინატრებდა მის სურათებს!

ვიმეორებ, ყოველი ჭეშმარიტი პოეტი ისე უნდა წერდეს ლექსს, როგორც ნიკო ფიროსმანი წერს თავის სურათებს. თუმცა ფიროსმანი ნასწავლი მხატვარი არ იყო, მაგრამ ნიჭმა გადაწყვიტა ყველაფერი, ნიჭი ქმნის კულტურას. რა თქმა უნდა, უდიდესი ბედნიერებაა, როცა კულტურული პოეტიც ხარ, ნიჭიერიც და ფიროსმანის სურათების გვარად უბრალო და ცოცხალ ლექსებს ქმნი".

უშუალობა, ბუნებრიობა, ხალასი, თვითნაბადი ნიჭი აერთიანებს ამ ორ შემოქმედს. ენობრივი სისადავით, სიწრფელით ლადო ასათიანის პოეზია ერთგვარად ჰგავს ნიკო ფიროსმანის შემოქმედებას, რომელსაც ფუნჯის მოსმის დროს ჰქონდა რაღაც ჯადო-თილისმა". ეს „ჯადო-თილისმა", ანუ შემოქმედებითი ვნება უხვად არის ლ. ასათიანის პოეზიაშიც.

თუკი ფიროსმანი „ფერების მგოსანია", ლადო სიტყვით ქმნის ფიროსმანისეულ ლონიერ, მაძღარ ფერებს. მისი ლექსის გაურანდავი სტრიქონი ჰგავს ფიროსმანის დარღვეულ სიმეტრიებს, მაგრამ მათ შემოქმედებაში სილაღე, ნიჭი, ვნება ფარავს ყოველივეს, რაც იუველირის სიზუსტით არ არის გამოკვეთილი. სწორედ ლადოსეული „პრიმიტივი", საოცარ შემოქმედებით სიმაღლემდე აყვანილი, ქმნის ამ ორი ხელოვანის ერთდროულად ინდივიდუალურ და მონათესავე სამყაროს, სადაც „წრფელი გული, ცხელი გული" იქცევა შემოქმედების საწყისად.

ლადოს აქვს ერთი ექსპრესიონისტული მანერით დაწერილი ლექსი — დატეხილი სტრიქონებითა და პირველყოფილი ემოციებით, სადაც ისევ დიდი ნიკოს სახე ჩნდება:

1938 წლის 14 ივლისი
ყოველწლივ ჩაივლის,
მაგრამ ასეთი არცერთი არ იქნება...
ამ დღეს ჩამოვიდა მოსკოვიდან
პოეტი გრიგოლ აბაშიძე...
მჯერა, შევხვდები გრიგოლს
თბილისის ქუჩებში სადმე,
შემახვედრებს ნიკოლოზ საყიაშვილი...
მერე სამივე ერთად შევალთ სარდაფში,
იქ ჰკიდია ფიროსმანის სურათი
„ანგელოზები",
ავიღებ სასმის და დავლევ უგზო-უკვალო
ფიროსმანის სადღეგრძელოს...
გრიგოლიცა და ნიკოლოზიც
ასწევენ სასმისებს,
მამა-პაპურად ღვინოს პურზე დააწვეთებენ,
და იტყვიან: — „ღმერთმა აცხონოს
ნიკალაი!"

თუ რაოდენ ახლობელი, სისხლხორცეული იყო ნიკოს სახე ლადო ასათიანისათვის, ეს ჩანს ანიკო ვაჩნაძისადმი მიძღვნილ ლექსებში:

ვეტყვი თუ როგორ გვიყვარდა გულით
ფიროსმანი და თბილისის ღამე.
ან:
გამიხსენებენ, როგორც ნიკალას
და თბილ სამარეს დამაბიჯებენ.
ან:
მე ვეტრფი ძლიერ ტფილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას.

გულწრფელობისა და უშუალობის გამო გაითავისა ხალხმა ლადოს ერთი ლექსი, რომელიც შემდეგ სიმღერადაც იქცა:

ყველა ხევსური და ყველა სვანი,

ქართველი ქალი თვალებმაყვალა,
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ქრცი ასე რამ შემაყვარა.

გავიხსენოთ ლადო ასათიანის მშვენიერი ლექსი „ფიროსმანის დუქანი“. თაროებისა და დახლის ფონზე ჩანს წელზე ვერცხლის ქამარშემორტყმული მხატვარი, რომელსაც შაურების თვლა და კალმახის გაყიდვა თუ არ ეხერხებოდა, სამაგიეროდ ისეთ კალმახებს ხატავდა, ფასს რომ ვერ დაადებდა ვერც ერთი ჯიბესქელი მუშტარი:

მე მიყვარს შენი გრილი დუქანი,
შენი სიფათი და მარიფათი,
თვალები, ცეცხლით განაშუქარი
და წელზე ვერცხლის ქამარი ფართე.

ხელგაშლილი და გულგალეღილი ნიკალა ლადოს მასპინძელი და ძმაკაცია, მისი დოსტი და ამქარი. მათი შეხვედრები ამ დუქანში, მათი ძმობა და სიყვარული იმდენად სასურველია პოეტისათვის, მკითხველს ვეღარც გაუხსენებია, რომ ისინი ერთად არ დახეტიალობენ რუსთაველზე, ერთად არ სვამენ ჭიქა ღვინოს და ზედ პურის ნატეხს არ აყოლებენ, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ სურვილია და არა რეალობა.

ლადოს კი ჯიუტად სწამს ამ სურვილისა:

მოვდივარ შენთან, ჩემო ძმაკაცო,
სხვა მეგობარი ქვეყნად ნუ გინდა.

როცა ლადო ასათიანის ლექსს „ფიროსმანის მეგობრებთან“ კითხულობ, გრჩება შთაბეჭდილება, რომ შეუძლებელი იყო, ეს ლექსი არ დაწერილიყო.

აბორგებულ ქარში გასული პოეტი ეძებს ფიროსმანის გზას, ნაკვალევს, როგორც საკუთარი სულისკენ მიმავალ ბილიკს. ეძებს, რადგან ეს „ტვინდასეტყვილი“ და „თვითრჯული“ კაცი მისი სულის ნაწილია, მისი უიღბლო ცხოვრების გამეორებაა. ფიროსმანს კი არ ეძებს ლადო ასათიანი, არამედ საკუთარ თავს, რომელიც ერთხელ უკვე იყო მხატვრად განსხეულებული, ლოთი, მარტოსული:

მე ვუსმენ ყველას, წარმოვიდგენ
ცხოვრებას მისას,
ცოცხლდება ჩემ წინ მკრთალი სახე
ფერების მგოსნის,
მთვარეულივით დავემხობი თბილისის
მიწას
და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს
ვკოცნი!

ეს არის ორი ხელოვანის შეხვედრა უოველგვარი დროისა და სივრცის მიღმა, მშვენიერების ვარდისფერ სამყაროში.

ტექნიკური რედაქტორი ზიული სირაძე

ჟურნალი აწყვეს: ელიკო საკანელაშვილმა და ლარისა ლეჟავამ
დამკაბადონებელი ბაატა ციციშვილი

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75. საკორექტორო — 98.47.62.

გადაეცა ასაწყობად 21.11.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.01.93 წ.. ქაღალდის ზომა 70X108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ. საგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 2039. ტირაჟი 7.900.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

ფასი 5 მან.

ხ 65/24

ინდექსი 76286